პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეშვიდე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტების და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრობ) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე.
ტელეფ. რედაქტორის 14—76, მდივნის 10—68, ღამის მორიგეს 13—80.

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 34, ტელეფონი № 8—81.
ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.
განცხადებები: საქართველოს ფარგლებში—ტექსტის უკან—80 კ. ნონპარელის სტრიქონი, ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განმცხადებელი გარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ეღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

დღიური

- უცხოეთის დელეგატების ჩამოსვლა საბჭოთა კავშირში.
- სამხრეთ-სლავიის პარლამენტში რადიჩმა განაცხადა, რომ მთავრობამ არჩევნები მოახდინა პოლიციის და ჟანდარმების საშუალებით.
- საფრანგეთის და ესპანეთის პოლიციამ აღმოაჩინა კატალონელ ავტონომისტების ახალი შეთქმულება.
- გრძელდება უნგრეთის რევოლიუციონერების პროცესი.
- ტორესის სიტყვა შვარცბარდის პროცესზე.

შაბათი, 29 ოქტომბერი 1927 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 246 (1991)

საქართ. კომუნისტური პარტიის (ბ) მე-V-ე ყრილობა

შესდგება 1927 წ. 10 ნოემ.

დღის წესრიგი:

1) საქართველოს კომ. პარტიის (ბ) ცეკას ანგარიში.
2) ცენტრალური სარევიზიო კომისიის ანგარიში.
3) საქართველოს ცენტრალური საკონტროლო კომისიის და მუშათა და გლეხთა ინსპექციის ანგარიში.
4) მოხსენება ს. ს. ს. რ. სახალხო მეურნეობისა და მისი განვითარების პერსპექტივების შესახებ.
5) მოხსენება სოფლად მუშაობის შესახებ.
6) არჩევნები.

საქ. კომ. პ. (ბ) ცეკას მდივანი მ. კახიანი

„კომუნისტი“

მიიღება ხელის მოწერა
ნოემბრისათვის
კანტორა—რუსთაველის პრ. № 34. ტელეფ. 8—81
კვირას, 30 ოქტომბერს
კანტორა ღია იქნება
ხელის მოწერის მისაღებათ
დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე

ოსმალეთ-საბჭოთა კავშირის ურთიერთობა

ოსმალეთის რესპუბლიკის გამოცხადების 4 წლის თავის გამო

იმპერიალისტური ქვეყნები კონსერვატიული ინგლისის მეთაურობით ვერ ურიგდებიან იმ მტკიცე კეთილმეზობლურ ურთიერთობას, რომელიც არსებობს ოსმალეთ-საბჭოთა კავშირს შორის. ჩემბერლენი, რომელიც ყველგან და ყოველთვის იმის ცდაშია, რომ მთლიანი ფრონტი შექმნას პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფოს წინააღმდეგ, ყოველ ღონეს ხმარობს, რათა ოსმალეთიც ჩაბას ანტისაბჭოთა კამპანიაში.

ამ მიზნით ინგლისის იმპერიალიზმი სხვა და სხვა ღონისძიებებს მიმართავს. სხვათაშორის აღსანიშნავია, რომ ოსმალეთს გულმოდგინედ ეპატიჟებიან ერთა ლიგაში, რათა მასში გაბატონებულ ძალებს ერთი მხრივ დაემორჩილებიათ ოსმალეთი თავის გავლენისათვის, შეეზღუდათ მისი ნაციონალური დამოუკიდებლობა, მეორე მხრივ გამოეყენებია ის იარაღად საბჭოების წინააღმდეგ. მაგრამ ოსმალეთის საზოგადოებრივობის პროგრესიულ ელემენტებს და მმართველ წრეებს კარგათ ესმით იმპერიალისტების ასეთი ზრახვები და მათ ანკესზე არ ეგებიან, მათ იციან ერთა ლიგის როლი ხალხთა დამონების და მათი უფლებების შელახვის საქმეში. მრავალ სათანადო ცნობებიდან, მათ შორის იმ პოზიციიდან, რომელიც ლიგამ დაიკავა ირაქის საკითხის გარშემო ინგლის-ოსმალეთ შორის აღმოცენებულ კონფლიქტში, და ამიტომაც ეჭვის თვალით უყურებენ ამ ორგანიზაციას.

ინგლისელი შუბლმაგარნი არ ისვენებენ. ისინი, სხვათაშორის, დახელოვნებული არიან სხვადასხვა პროვოკაციული ხმების გავრცელებაში, რომელთა მიზანია უნდობლობის ჩამოგდება საბჭოთა კავშირსა და სხვა სახელმწიფოებ შორის. აიღეთ, მაგალითად, შემდეგი ფაქტი. ამასწინად ადგილი ჰქონდა კონფლიქტს ოსმალეთ-სპარსეთის საზღვარზე, რაც იმან გამოიწვია, რომ ოსმალეთის მიწა-წყალზე შეიჭრენ სპარსეთიდან გადმოსული ქურთთა ბრბოები, ცნობილია, რომ ასეთ კომფლიქტების წარმოშობას ხელს უწყობს ინგლისი, რომელიც ქურთებს აიარაღებს და აქეზებს ხან ოსმალეთის, ხან სპარსეთის წინააღმდეგ მტრული გამოსვლებისათვის. მისი მიზანი ამ შემთხვევაში აშკარაა: ოსმალეთ-სპარსეთის მეგობრობა არყევს ინგლისის იმპერიალისტურ პოზიციას ახლო აღმოსავლეთში, ხოლო მათი ერთმანეთზე გადაკიდება და ამ გზით ორივეს დასუსტება მას გაუადვილებს ორთავეზე გაბატონებას, მაგრამ ინგლისის შავრაზმულმა პრესამ ხსენებული კონფლიქტისათვის... საბჭოთა მთავრობას დასდო ბრალი; თითქო უკანასკნელი ხელს უწყობდეს სპარსეთის ვითომდა აგრესიულ პოლიტიკას ოსმალეთის მიმართ. ინგლისელ იმპერიალისტებს სულიერი წონასწორობა განსაკუთრებით დააკარგვინა სპარსეთ-ოსმალეთის უკანასკნელმა შეთანხმებებმა; მაგ., ჩემბერლენის ოფიციოზი „დეილი ტელეგრაფ“-ი სწერდა, რომ ეს შეთანხმებები თითქო ოსმალეთის წინააღმდეგ იყოს მიმართული, რის „საბუთად“ გაზეთს მოყავდა ოსმალეთის ტერიტორიაზე ქურთების თავდასხმაც.

მაგრამ ამ პროვოკაციამ ნაყოფი არ გამოიღო, სპარსეთ-ოსმალეთის ინციდენტი მოგვარებულ იქნა. ამასთან ხსენებულმა პროვოკაციამ ოდნავადაც ვერ შესძლო ოსმალეთის ხალხის ნდობის შერყევა საბჭოთა კავშირისადმი.

საგულისხმოა სხვა ფაქტებიც. დეტერდინგის მიერ მოსყიდული ფრანგული გაზეთი „მატენი“, საფრან.-საბჭ. ურთიერთობის გამწვავების მომენტში, ავრცელებდა ჭორს, რომ ოსმალეთ-საბჭოთა დამოკიდებულება გართულებულია და ოსმალეთი უარს ამბობს გააგრძელოს საბჭოთა კავშირთან დადებული „მეგობრობის ხელშეკრულებაო“. ეს თითიდან გამოწოვილი სიცრუე ოფიციალურად გაბათილებულ იქნა ოსმალეთის გარეშე საქმეთა მინისტრის მიერ.

„მატენ“-ს არც სოციალ-დემოკრატიული პრესა ჩამორჩა. გერმანიის სოციალ-დემოკრატიული ბეჭდვითი სიტყვის ბიურომ დააგდო ხმა, თითქო არსებობდეს ოსმალეთის წინააღმდეგ მიმართული იტალია-საბჭოთა საიდუმლო ხელშეკრულება. საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა კატეგორიულად უარყო ეს საზიზღარი სიცრუე. უამისოდაც ცხადია, რომ ლაპარაკიც არ შეიძლება რაიმე ამის მსგავს ხელშეკრულების არსებობაზე. მაგრამ ეს ცილისწამების კამპანია მოწმობს, თუ რა დიდი მუშაობა წარმოებს, რათა ოსმალეთი და საბჭოთა კავშირი ერთმანეთს დააცილონ და ოსმალეთი ანტისაბჭოთა ბლოკში მოაქციონ. ამ მუშაობაში გაერთიანებული არიან ყველა შავი ძალები, ჩემბერლენიდან დაწყებული და მენშევიკებით გათავებული.

როგორც ვსთქვით, ყველაფერმა ამან ვერ შესძლო იმ მეგობრული ურთიერთობის შერყევა, რომელიც დამყარდა ოსმალეთ-საბჭოთა კავშირს შორის, და ეს გასაგებია. მეგობრობა მათ შორის განმტკიცდა საერთო მტრის— იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ნიადაგზე. ახალ ოსმალეთს, რომელიც თავგამოდებით იბრძოდა თავისი დამოუკიდებლობისათვის, ზურგს უმაგრებდა საბჭოთა კავშირი, რომელიც გამოდის ყველა ხალხთა თავისუფლების დამცველის როლში. საბჭოთა მთავრობამ ერთად-ერთმა და პირველმა უარყო ოსმალეთზე რუსეთის თვითმპყრობელობის მიერ მოხვეული დამმონავებელი ხელშეკრულებანი და მასთან დაამყარა ურთიერთობა, როგორც თანასწორმა თანასწორთან. ასეთმა პოლიტიკამ უეჭველად დიდათ შეუწყო ხელი განმათავისუფლებელ მოძრაობის განვითარებას ოსმალეთში და მის გამარჯვებას იმპერიალისტურ ძალებზე.

მხარეთა შორის შეიქმნა ნამდვილი კეთილმეზობლური დამოკიდებულება, რამაც ოფიციალური გამოხატულება ჰპოვა ჯერ კიდევ 1921 წ. დადებულ „მეგობრობისა და ძმობის ხელშეკრულება“-ში. ამას შემდეგ მოყვა კიდევ სხვადასხვა შეთანხმებები, რომელნიც აწესრიგებენ ორთავე ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიურ დამოკიდებულებას. 1926 წ., როცა ინგლისმა გააძლიერა კამპანია საბჭოთა ქვეყნების წინააღმდეგ და ოსმალეთის თავის მხარეზე გადასაბირებლად, მოხდა ამხ. ჩიჩერინის და რუშტი-ბეის შეხვედრა, რამაც ჩაფუშა იმპერიალისტების ბნელი ზრახვები და ერთხელ კიდევ დაადასტურა ოსმალეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის სიმტკიცე.

როგორც ზევით აღვნიშნეთ, იმპერიალისტები ეხლაც მუშაობენ თავისი მიზნების მისაღწევად. მაგრამ აქედან არაფერი გამოუდით. ოსმალეთის მესვეურთ გადაწყვეტილი აქვთ ძველებურად გააგრძელონ ბრძოლა თავის ქვეყნის დამოუკიდებლობის განსამტკიცებლად. ამ დღეებში ოსმალეთის მმართველ პარტიის ყრილობამ გამოაქვეყნა დეკლარაცია, სადაც ვკითხულობთ: „საგარეო პოლიტიკის დარგში ჩვენი ხაზი, ემყარება მშვიდობიანობის დაცვას. ჩვენ ყოველგვარი საშუალებით უნდა განვამტკიცოთ ოსმალეთის პრესტიჟი, დამოუკიდებელი არსებობა და ხალხის მიერ ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ მოპოვებული უფლებანი. ამ ფარგლებში ჩვენ ვამაგრებთ და ვაფართოვებთ მეგობრულ ურთიერთობას სხვა სახელმწიფოებთან ნამდვილი თანასწორ უფლებიანობის ნიადაგზე“. საბჭოთა კავშირი, როგორც დღემდე, ისე შემდეგშიაც ოსმალეთს ენერგიულად დაუჭერს მხარს ასეთ საგარეო პოლიტიკის გატარებაში.

დღეს სრულდება ოთხი წელიწადი, რაც ოსმალეთი ფორმალურად რესპუბლიკად გამოცხადდა. მთელი ამ ხნის განმავლობაში და გაცილებით უფრო ადრე, საბჭოთა ხელისუფლების დამყარების მომენტიდან, საბჭოთა კავშირის პოლიტიკა ყოველთვის იქითკენ იყო მიმართული, რომ მჭიდრო დამოკიდებულება დაემყარებია იმპერიალისტებთან.—მებრძოლ ოსმალეთთან და უზრუნველეყო მისი დამოუკიდებელი არსებობა, ოსმალეთის რესპუბლიკა მოღონიერდა. ის მიიწევს წინ თავის პოლიტიკურ და ეკონომიურ დამოუკიდებლობის განმტკიცების გზით. ამ მიმართულებით წარმატებითი ბრძოლის აუცილებელ პირობას წარმოადგენს ოსმალეთ-საბჭოთა კავშირს შორის უკვე არსებულ მეგობრულ ურთიერთობის შენარჩუნება და უფრო გაღრმავება.

ლატვია-საბჭოთა შეთანხმების დამტკიცების შემდეგ

შეთანხმება ხელმოწერილია ხუთი წლისვადით

იაპონიის გლეხთა კავშირის მისალმება საბჭოთა კავშირის მუშებს

ლატვია-საბჭოთა შეთანხმების შემდეგ

ამხ. განეცკის განცხადება

მოსკოვი, 28 ოქტ. ლატვიის პარლამენტის მიერ ლატვია-საბჭოთა სავაჭრო ხელშეკრულების დამტკიცების გამო, საბჭოთა კავშირის ვაჭრობის სახალხო კომისარიატის კოლეგიის წევრმა ამხ. განეცკიმ საბჭოთა კავშირის დეპეშათა საგენტოს თანამშრომელს განუცხადა შემდეგი:

„ლატვია - საბჭოთა ხელშეკრულება ხელმოწერილია 5 წლის ვადით. ეს ხელშეკრულება ახალ შესაძლებლობას ქმნის ჩვენი ექსპორტის გასაფართოებლად ლატვიაში, ამასთან ერთად უზრუნველყოფს ლატვიის მრეწველობის ნაწარმოებთა გასაღებას საბჭოთა კავშირში და გააფართოებს ლატვიის რკინის გზების და ნავთსადგურების მუშაობას საბჭოთა საქონლის მოძრაობის ხარჯზე. უკანასკნელი გარემოება მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს ლატვიის სახალხო მეურნეობისათვის, ვინაიდან საშუალებას აძლევს მას დაუკავშირდეს საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობას. საბჭოთა კავშირის მტრები, როგორც ლატვიაში, ისე ლატვიის ფარგლებს გარეშე, ყოველგვარ ზომებს ღებულობდენ, რომ ხელშეკრულება არ ყოფილიყო დამტკიცებული ლატვიის პარლამენტის მიერ. **პარლამენტის დადგენილება იმის მაჩვენებელია, რომ ლატვიის საზოგადოებრივმა აზრმა და მთავრობამ მტკიცე კურსი აიღეს მნიშვნელოვან პოლიტიკურ საკითხების გადაწყვეტის საქმეში**“. (ადს).

„ლატვია-საბჭოთა ხელშეკრულების რატიფიკაცია—საბჭოთა კავშირის გამარჯვებაა“.

ბერლინი, 28 ოქტომბერი. „კელნიშე ცეიტუნგი“ ადასტურებს, რომ ლატვია-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულების რატიფიკაცია წარმოადგენს საბჭოთა კავშირის გამარჯვებას ინგლისის ხარჯზე, რომელიც ერთა ლიგაში მთელი თავისი ძალით ეწინააღმდეგებოდა ამ ხელშეკრულების რატიფიკაციას. შემდეგ გაზეთი გამოსთქვამს აზრს, რომ ხელშეკრულების რატიფიკაცია არის პოლონეთის დამარცხება, ვინაიდან ამ ხელშეკრულების რატიფიკაცია შეუძლებლად ხდის პოლონეთის ზრახვებს—პოლონეთ-ესტონეთის ხელმძღვანელობით ბალტიის სახელმწიფოთა კავშირის განხორციელებისას. ამ მიზნით ორთავე ეს სახელმწიფო სასტიკად ეწინააღმდეგებოდენ ხელშეკრულების რატიფიკაციას. (ადს)

ინგლისის პრესა ლატვია-საბჭოთა ხელშეკრულების რატიფიკაციის შესახებ

ლონდონი, 28 ოქტომბერი. გარეშე საქმეთა სამინისტროსთან ახლო მდგომი „დეილი ტელეგრაფი“, უკეთებს რა კომენტარიებს ლატვია-საბჭოთა ხელშეკრულების რატიფიკაციას, აცხადებს: „ჯერ კიდევ უნდა მოუცადოთ იმას, სცნობს თუ არა ლატვიის პრეზიდენტი აუცილებლად, რომ საკითხი, გადასაწყვეტად გადაეცეს ამომრჩევლებს“. შემდეგ გაზეთი ლატვიის წინააღმდეგ გამოსთქვამს მუქარას და აცხადებს: „ესტონეთ-ლატვიის სოლიდარობის გამომჟღავნებას მიზნად აქვს ის, რომ ასიამოვნონ მოსკოვს, მაგრამ საეჭვოა, რომ ეს შეთანხმება ხელს უწყობდეს ბალტიის მხარის სახელმწიფოთა სტაბილიზაციას“.

„დეილი ჰერალდი“ ხელშეკრულების რატიფიკაციას უწოდებს „მართალი აზრისა და გამბედაობის გამარჯვებას“. (ადს).

იაპონიის გლეხების მისალმება

საბჭოთა კავშირის მუშებს

ტოკიო, 27 ოქტომბერი. სრულიად იაპონიის საგლეხო კავშირმა საბჭოთა კავშირის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატიულ კავშირს გაუგზავნა საპასუხო წერილი მის მიმართვაზე წარმომადგენლების გაგზავნის შესახებ ოქტომბრის რევოლიუციის ზეიმზე დასასწრებლად.

წერილში სრულიად იაპონიის საგლეხო კავშირი გამოსთქვამს მწუხარებას, რომ მას არ შეუძლია დელეგატების გაგზავნა ოქტომბრის ზეიმზე, რადგან იაპონიის მთავრობამ უარი განაცხადა დელეგატებისათვის პასპორტის მიცემაზე. **იაპონიის საგლეხო კავშირი თავის წერილში მხურვალე მისალმებას უგზავნის საბჭოთა კავშირის მუშებსა და გლეხებს** (ადს).

კატალონელ ავტონომისტების მოძრაობა

პარიზი, 27 ოქტომბერი. ჰავასის სააგენტო იუწყება, რომ საფრანგეთის და ესპანეთის პოლიციამ **მიიღეს ცნობები კატალანელ ავტონომისტების მნიშვნელოვან გამოსვლის მზადების შესახებ.** მზადებაში მონაწილეობას იღებდენ პარიზში და ბრიუსელში მცხოვრები პირები, პოლიციამ მიიღო გამაფრთხილებელი ზომები. პოლიტიკური პოლიციის სამმართველო ადასტურებს, რომ კატალონელებს განზრახული ჰქონდათ გაეახლებიათ თავისი შარშანდელი ცდა, რომელიც მაშინ დამარცხებით დამთავრდა: მათ უნდოდათ კატალონიაში საფრანგეთიდან იარაღისა და სამხედრო მოწყობილობის შეზიდვა (ადს).

არჩევნები პოლიციის საშუალებით

ვენა, 27 ოქტომბერი. 27 ოქტომბერს რადიჩმა ხორვატთა გლეხური პარტიის სახელით სკუპშჩინაში (პარლამენტში) შეიტანა რეზოლიუცია, რომელშიაც ვუკიჩევიჩის მთავრობას ბრალს სდებს კონსტიტუციის მთელ რიგ მუხლების დარღვევაში. ასე, მაგალითად, მთავრობას ბრალდება, რომ **მან გამოიყენა ჟანდარმერია, პოლიცია და ადმინისტრატიული პირები ამომრჩეველთა დასაშინებლად,** რაც არღვევს ძირითად კანონს სახელმწიფოებრივ წესრიგის დაცვის შესახებ ადს).

უნგრეთის რევოლიუციონერების პროცესი

ვენა, 28 ოქტომბერი. სანტოს და მისი ამხანაგების პროცესზე სასამართლოს სხდომის დროს დამცველთა მოწმემ, ბრალდებულ ვამოშის ძმამ, დაადასტურა, რომ **პოლიციელები აწამებდენ ბრალდებულებს,** რათა იძულებული გაეხადათ ისინი ხელი მოეწერათ წინასწარი გამოძიების ოქმზე.

დაკითხულმა პოლიციის აგენტმა უტიფრად უარჰყვეს, რომ მიმართავდენ ბრალდებულთა წამებას. მაგრამ **ბრალდებულებმა იცნეს მათ შორის თავისი მწამებლები** და უძახოდენ მათ: „დადგება დრო, როცა თქვენ მოიგონებთ, რასაც სჩადიოდით“. როდესაც თავმჯდომარემ აკრძალა მოწმეებისათვის შემდგომი შეკითხვების მიცემა „ბრალდებულთა სკამიდან გაისმა ხმები: **„მკვლელო, ჯალათო! როგორც სჩანს, თქვენ წინასწარ შეუთანხმდით ერთმანეთს!“**

ამხ. სანტო

შვარცბარდის გამართლება

პარიზი, 27 ოქტომბერი. შვარცბარდის პროცესზე მხარეების კამათის დროს სამოქალაქო მომჩივანთა წარმომადგენლების გამოსვლის შემდეგ სიტყვა წარმოსთქვა პროკურორმა, რომელმაც განაცხადა, რომ „პეტლიურა იყო ებრაელების მეგობარი, მაგრამ ვერ შესძლო ანარქიის დაძლევა“. პროკურორმა ხაზი გაუსვა იმას, რომ „უცხოელები საფრანგეთში არ უნდა უსწორდებოდენ ერთმანეთს პოლიტიკურ ანგარიშებს“ და მოითხოვა შვარცბარდის „დასჯა სამაგალითოდ“.

პროკურორის სიტყვის შემდეგ სიტყვა დაიწყო დამცველმა **ტორესმა,** რომლის სიტყვას მთელი დარბაზი უდიდესი ყურადღებით ისმენდა. მან ასე დაასრულა თავისი სიტყვა:

„ჩვენთვის სულერთია— პეტლიურა ჯალათების მეთაური იყო, თუ მთავარი ჯალათი. ჩვენ ვიცით, რომ თუ **შვარცბარდს მიესაჯა თუნდაც ერთი დღის ციხე, ეს ნიშნავს ყველა იმ პოგრომების, ძარცვა-გლეჯისა და სისხლისღვრის გამართლებას, რომელთაც უკრაინაში ჰქონდა ადგილი,** დღეს აქ, საფრანგეთის დიდი რევოლიუციის ქალაქში, ასამართლებენ არა შვარცბარდს, არამედ „პოგრომებს“. საქმე ეხება საფრანგეთის პრესტიჟს და მილიონ ადამიანთა სიცოცხლეს. თუ თქვენ გინდათ ხელი შეუშალოთ რაიმე პოგრომებს მომავალში, შვარცბარდი უნდა გამართლებულ იქნას. ვფიცავ, რომ ეს კაცი აქედან თავისუფალი წავა, ვინაიდან მე ვხედავ, რომ თქვენ შეიგნეთ ის პასუხისმგებლობა, რომელიც თქვენ გეკისრებათ“.

ტორესის სიტყვის დროს ბევრი სტიროდა დამსწრე საზოგადოებიდან, სტიროდენ ზოგიერთი ნაფიცი მსაჯულებიც.

შვარცბარდმა უარი განაცხადა უკანასკნელ სიტყვაზე.

სასამართლომ ნაფიც მსაჯულებს შემდეგი კითხვა: დამნაშავეა თუ არა შვარცბარდი იმაში, რომ პეტლიურას მიაყენა ჭრილობები? თუ დამნაშავეა, გამოიწვია თუ არა ამ ჭრილობებმა პეტლიურას სიკვდილი? თუ ჰო, სურდა თუ არა შვარცბარდს პეტლიურას მოკვლა? თუ სურდა, არის თუ არა მკვლელობა წინასწარ განზრახული?

როგორც უკვე იყო ცნობა, ნაფიც მსაჯულთა თათბირი მხოლოდ 20 წუთს გაგრძელდა. **პირველსავე კითხვაზე ნაფიცმა მსაჯულებმა გასცეს უარყოფითი პასუხი და ამრიგად დანარჩენი კითხვები მოიხსნა.**

ნაფიც მსაჯულთა განაჩენის გამოქვეყნებას დარბაზში შეხვდა მქუხარე ტაშით და ძახილით: „გაუმარჯოს საფრანგეთს“. საზოგადოება გაეშურა ტორესისა და შვარცბარდისაკენ მისალოცავად და მისასალმებლად.

განაჩენმა უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა პარიზის საზოგადოებრივ და პოლიტიკურ წრეებში, სადაც მას აფასებენ, როგორც პეტლიურას მომხრეთა და თეთრგვარდიელთა დაგმობას (ადს).

შვარცბარდის გამართლების გამო

ხარკოვი, 28 ოქტომბერი. რატაუს თანამშრომელთან საუბარში უკრაინის განათლების სახ. კომისარმა შვარცბარდის გამართლების გამო განაცხადა:

„მე არ მოველოდი პეტლიურას მკვლელის გამართლებას. საფრანგეთში უკანასკნელ ხანებში გაძლიერდა ცილისწამების კამპანია საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, რისთვისაც იყენებდენ ოპოზიციის განცხადებას და ამხ. რაკოვსკის ხელის მოწერას ამ განცხადებაზე. ამიტომ მოსალოდნელი იყო საფრანგეთის სასამართლო არ გამართლებდა შვარცბარდს, ესე იგი მოახდენდა პეტლიურას მოძრაობის რეაბილიტაციას ებრაელების პოგრომების მოწყობის საქმეში, შვარცბარდის გამართლება ამტკიცებს, რომ მოსყიდული ბურჟუაზიული პრესის ყველა ცდანი პეტლიურას რეაბილიტაციისათვის, უძლური გამოდგა იმ ფაქტების წინაშე, რომელიც სასამართლოს პროცესის დროს გამოაშკარავდა.

სასამართლოს განაჩენი პეტლიურას მკვლელობის საქმეზე საბრალმდებლო განაჩენია მთელი უკრაინის კონტრ-რევოლიუციის მიმართ (ადს).

კაპიტალისტების „საღი გონება“ და ოქტომბრის რევოლიუცია

ახლოვდება დიდი ათი წლის თავი — ოქტომბრის რევოლიუციის ათი წლის თავი. ამ ფაქტს უდიდესი საერთაშორისო მნიშვნელობა აქვს, ისევე როგორც უაღრესი საერთაშორისო მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რას წარმოადგენს მსოფლიოს წინაშე საბჭოების ქვეყანა ოქტომბრის რევოლიუციის ათი წლის თავზე. ჩვენი მიღწევანი უდავოა და ჩვენი პოლიტიკური სახე საკმაოდ ნათლად არის გამოაშკარავებული საბჭოთა კავშირის ცაკის სესიის საიუბილეო მანიფესტით.

რევოლიუციონურ - პროლეტარული და ბურჟუაზიულ-სოციალ-დემოკრატიული ბანაკები, რასაკვირველია, სხვადასხვაგვარად უყურებენ, სხვადასხვანაირად აფასებენ ამ დიად ფაქტებს. მუშები ემზადებიან ოქტომბრის რევოლიუციის დღესასწაულისათვის, მიუხედავად ბურჟუაზიის ტერორისა, გვიგზავნიან პროლეტარულ დელეგაციებს, მიუხედავად სოციალ-დემოკრატიულ ბელადების გააფთრებული წინააღმდეგობისა, მშრომელი მასები სიხარულით ეგებებიან მთელი მსოფლიოს პროლეტართა სამშობლოს წარმატებებს და მხურვალედ ესალმებიან მანიფესტს, როგორც მათ მშობლიურს და საკუთარს.

ლიბერალურ - ფაშისტურ-„სოციალისტური“ მტრების აჭრელებული ბანაკი, რასაკვირველია, სხვაგვარად ხვდება ამ დღესასწაულს. ის, რაც კარგია პროლეტარიატისათვის, ცუდია ბურჟუაზიისათვის. ბურჟუაზიული პრესის ნაწილი კვლავ განაგრძობს დუმილის პოლიტიკას, ხოლო მეორე ნაწილი ხელოვნური „სკეპტიციზმით“ განსაზღვრავს თავის დამოკიდებულებას მანიფესტისადმი; მთელი რიგი გაზეთები, განსაკუთრებით სოციალ-დემოკრატიული გაზეთები გააფთრებულ იერიშებს აწარმოებენ, უსინდისო სიყალბეს და ცილისწამებას ავრცელებენ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

„ფორვერტსი“-ს სამარცხვინო აზრი ჩვენ უკვე ვიცით. „ტაიმსი“ სცდილობს სიცრუე გაავრცელოს მანიფესტის შესახებ და აცხადებს, რომ იგი მხოლოდ „ცარიელი დაპირებებია“. პროლეტარიატის მოღალატე კაცი—კორში მომხრენი გაჰკივიან, რომ ამნისტია აუცილებლად გავრცელდეს კონტრ-რევოლიუციონერებზე და განგაშს სცემენ „რუსეთის იმპერიალიზმის“ შესახებ. ფინური გაზეთი „სოციალ-დემოკრატი“ თავის გაბოროტებას უაზრო ცილისწამებაში გამოხატავს, იგი სერიოზულად ამტკიცებს, რომ ვითომც საბჭოთა კავშირში არსებობს 10 საათის სამუშაო დღე. უნგრეთის მთავრობის გაზეთი „ბუდაპეშტი ხირლაპი“ წუწუნებს იმის გამო, რომ „იმედები რუსეთში რეჟიმის შეცვლაზე გამოურკვეველ დრომდე გადაიდო“ და რომ „მრავალ მილიონ ხალხს სწამს კომუნიზმის ძალა, რომლის დამყარების ცდა მოხდენილ იქნა რუსეთში“!.

ერთ-ერთი ყველაზე უფრო საგულისხმო შეფასება არის ის შეფასება, რომელსაც აძლევს საფრანგეთის რეაქციონერ ბურჟუების ორგანო „ტან“-ი იუბილეის და მანიფესტს. აი „ტან“-ის სიტყვები:

„საბჭოთა კავშირი ამჟამად დღესასწაულობს ბოლშევიკური რევოლიუციის მეათე წლის თავს. უკვე ათი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც მაქსიმალისტებმა ლენინის მოწოდებით დაამხვეს კერენსკის უბადრუკი სოციალისტური დიქტატურა... და შესცვალეს ის პროლეტარული დიქტატურით, ყველაზე უფრო თავხედური დიქტატურით, რომელიც კი ოდესმე ყოფილა მსოფლიოში“.

საბჭოთა მუშების გაუგონარი „თავხედობით“, აღშფოთებული „ტან“-ი ამასთან ერთად ვერ ფარავს თავის „გაკვირვებასაც“.

„საკვირველი ის კი არ არის, რომ ეს გადატრიალება მოხერხდა..., არამედ საკვირველია ის, რომ ამ რეჟიმმა შესძლო 10 წელიწადი არსებობა: ეს რეჟიმი არსებითად წარმოადგენს სოციალურ და პოლიტიკურ იმპროვიზაციას; ის დიამეტრიალურად ეწინააღმდეგება საღ გონებას და წარმოდგენას ნორმალურ სახელმწიფოებრივ ორგანიზაციაზე“.

ჩვენ სრულიად კანონიერად მიგვაჩნია იმპერიალისტურ ჟურნალისტების „გაკვირვება“. პროლეტარული დიქტატურის ათი წლის არსებობის ფაქტის გამო. თუმცა მათი ცდა, რომ საბჭოთა რეჟიმის ათი წლის სიმტკიცის ფაქტი „ახსნან“ მით, რომ ის „ეწინააღმდეგება საღ გონებას“, მართლაც წარმოადგენს ნამდვილ და ძლიერ მცირედ დამაჯერებელ „იმპროვიზაციას“ მსოფლიო ისტორიულ მოვლენათა ახსნის დარგში. მართლაც ჩვენი რეჟიმი და მისი ათი წლის არსებობა ზოგიერთ ვინმეს „გონებას“ შეიძლება ეჩვენოს „წინააღმდეგობად“. ის შეიძლება და უნდა ეწინააღმდეგებოდეს ბურჟუაზიულ წარმოდგენას „ნორმალური ორგანიზაციის“ შესახებ. მაგრამ არსაიდან არ სჩანს, რომ საფრანგეთის ბურჟუა-იმპერიალისტების „გონება“ მართლა „საღია“. ოქტომბერს, საბჭოთა კავშირის არსებობას, რევოლიუციას ჩინეთში, მღელვარებას კოლონიებში, კომუნისტურ ინტერნაციონალს, პროლეტარიატის უკმაყოფილების ზრდას ევროპის კაპიტალისტურ ქვეყნებში „ტან“-ის რედაქცია ხსნის, როგორც „საღი გონების გამოწვევას“.

სამაგიეროდ, მსოფლიო ომის ისეთი შედეგები, როგორიცაა მრავალი მილიონი გვამები და დავრდომილები, მას ჰგონია „საღი გონიერების“ გამომჟღავნება. ჩვენი საიუბილეო მანიფესტიც, რომელსაც „ტან“-ი უწოდებს „კომუნისტური პარტიის ცაკის“ მანიფესტს, რვა საათის სამუშაო დღის დაწესებაც —ეწინააღმდეგება „საღ გონებას?“ აი, სამუშაო დღის გადიდებას 9, 10, 11 საათამდე, რომელსაც სრულიად უცერემონიოდ და თავხედურად ატარებს ბატონი ევროპიელი კაპიტალისტები,— ამას დიდის ხალისით იღებს „საღი გონება“. „საღი გონების სახელით მომშხამველი გაზებით სწამლავენ გმირ მეზღვაურებს ტულონის ციხეებში. „საღი გონების“ სახელით ფულერის სისხლისმსმელმა ბანდამ სიცოცხლეს გამოასალმა საკო და ვანცეტი. „საღი გონების“ სახელით, ესე იგი ჯიბის გასქელებისათვის, დამამცირებელი მონობის უღელ ქვეშ ჰყავთ კოლონიალური მონების მილიარდი მასა და ყველას თვალწინ დღითი-დღე ამზადებენ მსოფლიო ომს. რა არის გასაკვირველი იმაში, რომ ასეთ „საღ გონიერების“ „გამოწვევად“ ეჩვენება თვით ჩვენი არსებობის ფაქტი.

საფრანგეთის წვრილ ბურჟუაზიის მოსატყუებლად „ტანი“-ს რედაქცია სცდილობს უარჰყოს ჩვენი ეკონომიკის აღორძინების ფაქტიც. „სახალხო მეურნეობის ეგრედწოდებული აღორძინება არის მხოლოდ მოჩვენება, რომელიც შექმნილია ხელოვნური სტატისტიკით“. რას იზამს ათი ათასობით ახალი წარმოებანი, ლითონის ქარხნები, საფეიქრო ფაბრიკები, რამოდენიმე მილიარდი კაპიტალური ხარჯები, „ვოლხოვსტროი“, ტელეგრაფის ახალი შენობა მოსკოვში, უდიდესი ელსადგურები და მოწყობილობანი, ელექტროფიკაცია, ინდუსტრიალიზაციის შინაური სესხის წარმატება საფრანგეთის პოლიტიკის საპასუხოდ,—ყველა ეს „სტატისტიკური ფოკუსები- იმდენად არასასიამოვნო „მოჩვენებაა“ საფრანგეთის ბირჟის ორგანოსათვის, რომ „საღი გონიერება“ მას ვერ ეგუება.

რის იმედი აქვს „ტანს?“ რასაკვირველია, არა აყვავების, არამედ „რეჟიმის დაღუპვის“ მხრივ. რაზე ამყარებს იგი იმედს? „გლეხთა მასების წინააღმდეგობაზე“, ესე იგი მუშურ-გლეხური ბლოკის დაშლაზე. რაში ხედავს „ტანი“ მისთვის სანუგეშო ნიშნებს? ტროცკისტული ოპოზიციის მოქმედებაში,— ასეთია „ტანი“-ს გარკვეული პასუხი.

„...ეხლა შეიძლება ვიქონიოთ იმედი. რომ იგი (საბჭოთა რეჟიმი) ეცემა რევოლიუციონური პარტიის ნელი, მაგრამ აუცილებელი დაშლის გამო...“ „ტროცკიმ თავისი მომხრეებით კომუნისტური ექსპერიმენტი უფრო მკაცრად გააკრიტიკა, ვიდრე საბჭოების სასტიკმა მოწინააღმდეგებმა, საბჭოთა ხელისუფლების ათი წლის თავზე კონტრრევოლიუცია მწიფდება თვით რუსეთის კომპარტიის წიაღში, და უკვე არსებობს მომავალი დაცემისა და დანგრევის წინასწარი ნიშნები“.

„ტანი“-ს და სხვა იმპერიალისტურ გაზეთებს არა ერთხელ უჩხავლიათ ჩვენს „მომავალ დაღუპვაზე“. მაგრამ ეს არის საინტერესო. საგულისხმოა მხოლოდ „მტრის კლასიური სიმართლე“. საგულისხმოა, რომ „საერთაშორისო“ მესამე ძალა „მტკივნეულ ადგილს“ ხედავს იქ, სადაც ამას ხედავს შინაური მესამე ძალა. იგიც ეძებს „ხვრელს“ საკავშირო კომპარტიის რიგებში და იმედი აქვს, რომ ეს რიგები „დაიშლება“ ოპოზიციის დეზორგანიზატორული მუშაობით. სწორედ ამაზე, რომ პირწავარდნილი იმპერიალისტები, რომელნიც ჩვენს რეჟიმს სცნობენ „საღი გონიერების გამოწვევად“, ტაშს უკრავენ ეხლა ტროცკის ღრმად უნდა დაფიქრდეს ოპოზიციონერთა ბანაკში მყოფი სწორ გზას გადამცდარი ყოველი კეთილსინდისიერი ამხანაგი.

„პრავდა“, 27 ოქტომბერი.

უკანასკნელი ცნობები

გადამწყვეტი ბრძოლა ფინ-იუი-სიანისა და ჩან-ძო-ლინის ჯარებს შორის

პეკინი, 28 ოქტომბერი. იუწყებიან, რომ შანსის ცხენოსან რაზმს რომელიც შეიჭრა პეკინის აღმოსავლეთ უბანში—ხანხოსიანში, მუკდენის ჯარებმა შემოარტყეს ალყა. ჩუნ-მიუს რაიონში (ლუნხაის რკინის გზაზე კაიფინის დასავლეთით) მკაცრი ბრძოლაა ფინ-იუი-სიანის და ჩან-ძოლინის ჯარებს შორის. როგორც სჩანს ამ ბრძოლით გადაწყდება მთელი სამხედრო კამპანიის ბედი (ადს);

მოთხოვნილება ვენის „დამცველი რაზმის“ დაშლის შესახებ

ვენა, 28 ოქტომბერი. გაზეთი „აბენდი“ იუწყება, რომ ელჩთა კონფერენციამ, ინგლისის და იტალიის წინადადებით, ავსტრიის მთავრობას მოსთხოვა ვენის „დამცველი რაზმის“ დაუყოვნებლივ დაშლა, სამშვიდობო ხელშეკრულების იმ დადგენილების მიხედვით, რომელიც შეეხება ავსტრიის განიარაღებას.

ავსტრიის მთავრობამ უპასუხა, რომ იგი მზად არის შეასრულოს წამოყენებული მოთხოვნილებანი, მაგრამ თხოულობს, მიეცეს მას ერთგვარი ვადა იმის გამო, რომ „მიზანშეუწონელი იქნებოდა საკითხი დამცველი რაზმის დაშლის შესახებ აღიძრას სწორედ სოციალ-დემოკრატიული პარტიის ყრილობის წინ“.

ავსტრიის მთავრობის თხოვნა ელჩთა კონფერენციამ დააკმაყოფილა. (ადს).

დაპატიმრებანი რუმინეთში

ვენა, 29 ოქტომბერი. ბუქარესტიდან მიღებული ცნობებით, რუმინის მთავრობამ აკრძალა ტელეგრაფის ყოველგვარი ცნობების გადაცემა უცხოეთის გაზეთებისათვის. ვენაში გავრცელებული ხმების მიხედვით, ბუქარესტში დაპატიმრებულია მრავალი ოპოზიციონური პოლიტიკური მოღვაწეები.

ხმების მიხედვით, კიშინევის მიდამოებში შეიარაღებული შეტაკება მოხდა ჯარსა და ნაციონალურ-გლეხური პარტიის მომხრეთა შორის. ამ შეტაკების გამო დააპატიმრეს 50 კაცი.

იტალიის დაღუპულ გემის გარშემო

ნიუ-იორკი, 27 ოქტომბერი. რიო-დე-ჟანეიროდან იუწყებიან, რომ იტალიის დაძირულ გემიდან დაიღუპა 68 კაცი მგზავრი და გემის მოსამსახურე.

გემის დაღუპვის მიზეზი ჯერ კიდევ არაა გამორკვეული. (ადს)

ირლანდიის მუშების დელეგაცია

ლონდონი, 28 ოქტომბერი. საბჭოთა კავშირში მიემგზავრება ირლანდიის მუშათა დელეგაცია, რომელიც დაესწრება ოქტომბრის რევოლიუციის ათი წლისთავის ზეიმს. დელეგაციაში შედის ათი კაცი (ადს).

გენსაბჭოს დადგენილება პროფკავშირთა კონგრესიდან მეზღვაურთა კავშირის გარიცხვის შესახებ

ლონდონი, 28 ოქტომბერი. გამოქვეყნდა პროფკავშირთა გენერალურ საბჭოს დადგენილება პროფკავშირთა კონგრესიდან რეაქციონურ მეზღვაურთა კავშირის გარიცხვის შესახებ. გენსაბჭო ადასტურებს, რომ მეზღვაურთა კავშირი მხარს უჭერს ეგრედ წოდებულ სამთამადნო მუშათა „აპოლიტიკურ“ კავშირს მის გამოსვლებში სრულიად ინგლისის სამთამადნო მუშათა ფედერაციის წინააღმდეგ. გენსაბჭო აღნიშნავს, რომ მეზღვაურთა კავშირის საბჭოს ასეთი საქციელით ირღვევა პროფმოძრაობის ძირითადი პრინციპები. ამიტომ გენსაბჭო წინადადებას აძლევს მეზღვაურთა კავშირს 14 დღეში წარმოადგინოს წერილობითი პირობა, რომლის მიხედვით მხარს აღარ დაუჭერს ყოველგვარი სახის „აპოლიტიკურ“ კავშირებს.

თუ მეზღვაურთა კავშირი უარს განაცხადებს ასეთი პირობის მიცემაზე, მაშინ „გენსაბჭო მიიღებს ყველა ზომებს მის გასარიცხად პროფკავშირთა კონგრესიდან“ (ადს).

პოლიტისა და სხ. საქმე

ლონდონი, 28 ოქტომბერი. სასამართლოში განახლდა პოლიტის, სტრედვიკის და სხ. საქმე, რომელთაც ბრალად ედებოდათ ცილის დაწამება საბჭოთა კავშირიდან გადასახლებული სკოტისათვის. ბრალმდებელი ყოველგვარი საშუალებით სცდილობდა, რომ პროცესი გამოეყენებია ანტისაბჭოთა კამპანიისათვის. პოლიტმა სასამართლოს მისცა შეკითხვა: შეიძლება თუ არა მიღებულ იქნას და საქმეს დაერთოს სკოტის შესახებ გამართული მიმოწერა ინგლისსა და საბჭოთა მთავრობას შორის.

მოსამართლემ უპასუხა, რომ თუ მოწმეებად გამოწვეულ იქნენ ოფიციალური პირები, ისინი ალბად დაემყარებიან დიპლომატიურ მოსაზრებებს და არ მოგვცემენ ჩვენებას ამ საქმის არსებითი მხარის შესახებ (ად).

ჩინეთის ფრონტებზე

ჩრდილოელების გამარჯვება

პეკინი, 27 ოქტომბერი. ერთი თვის შეწყვეტის შემდეგ განახლდა სამგზავრო მოძრაობა პეკინსა და შიცზიაჩუანს შუა, აგრეთვე პეკინ-ხანკოუს რკინისგზაზედაც.

მუკდენის ჯარებმა განაახლეს იერიში ჩოჯოუზე და 5 საათის ბრძოლის შემდეგ შეიჭრენ ქალაქში. **ბრძოლა ქუჩებშიაც გაგრძელდა.**

ოფიციალური ცნობებით, მუკდენის ჯარებმა აიღეს ცზიაიგოუპუ, კალგანიდან 40 კილომეტრის მოშორებით.

ჩან-ძო-ლინის საჩუქარი

პეკინი, 27 ოქტომბერი. „შენტიან-ში-ბაოს“ ცნობით, პეკინიდან ხანკოუში გაემგზავრა მუკდენელების რწმუნებული, რომელმაც ჩან-ძო-ლინისაგან საჩუქარი წაუღო ხანკოუელ ლიდერებს (ადს).

პოლონეთის დაუესიზაცია

ვარშავა, 27 ოქტომბერი. პოლონეთის მთავრობამ მიიღო პრეზიდენტის დეკრეტის პროექტი პოლონეთის ფულის სისტემის შეცვლის შესახებ. ფულის სისტემა შეფარდებული უნდა იქნეს პოლონეთის ვალიუტის სტაბილიზაციის გეგმასთან. რომელსაც ითვალისწინებს ამერიკელ ბანკირებთან სესხის შესახებ დადებული შეთანხმება (ადს).

უცხოელი დელეგატები ოქტომბრის დღესასწაულზე

მოსკოვი, 28 ოქტომბერი. **26 ოქტომბრამდე მოსკოვში ჩამოვიდა უცხოელი მუშების, საზოგადოებრივი და პოლიტიკური ორგანიზაციების, მეცნიერთა და საზოგადოებრივ მოღვაწეთა 272 წარმომადგენელი.**

გერმანიიდან ჩამოვიდა 95 კაცი, საფრანგეთიდან —68. შვეიცარიიდან — 16, ავსტრიიდან— 16, ლატვიიდან— 19, ბულგიიდან —15 და სხვა ქვეყნებიდან 7-დან—2 კაცამდე (ადს).

მოსკოვი, 28 ოქტომბერი. **განათლების სახ. კომისარიატს ეწვია საფრანგეთის, შვეციის და გერმანიის მუშათა დელეგაციების 40 წევრი,** რომელნიც საბჭოთა კავშირში ჩამოვიდენ ოქტომბრის რევოლიუციის ათი წლის თავის დღესასწაულში მონაწილეობის მისაღებათ. დელეგატები დაინტერესდენ იმით, რომ ჩვენში სწარმოებს საყოველთაო სწავლება სწარმოებს ბრძოლა ბავშვთა უპატრონობის წინააღმდეგ, დეფექტიური ბავშვების აღზრდას და ფიზიკური გაწვრთნა სკოლებში. დელეგატებმა დაათვალიერეს მოსკოვის კულტურულ - განმანათლებელ დაწესებულებანი—სკოლები და მუშფაკები (ადს).

საბჭოთა კავშირში

რუსეთი

„ჩვენი პასუხი ჩემბერლენს“

მოსკოვი, 28 ოქტომბერი. დღეისათვის საკავშირო პროფსაბჭოს სალაროში ცენტრალური და ადგილობრივი პროფორგანიზაციებისაგან ფონდში ,—„ჩვენი პასუხი ჩემბერლენს“ შემოვიდა 2.298.000 მან. ამაში არ შედის ის თანხები, რომელნიც საკავშირო პროფსაბჭოს განკარგულებით დარჩა ადგილობრივ ორგანიზაციებში (ადს).

ვოლფრამი

ლენინგრადი, 27 ოქტომბერი. ბაიკალის იქითა მხარეში აღმოჩენილი ვოლფრამის მადანი. მადანი მოიპოვება 8 კილომეტრის მანძილზე, დაახლოებითი გამოანგარიშებით ვოლფრამის მადანის მარაგი აღემატება 3.000 ტონას. (ადს).

სამუშაო ხელფასის გაცემის ვადის შესახებ

მოსკოვი, 27 ოქტომბერი. საკავშირო ს. მ. უ. საბჭომ კატეგორიული წინადადება მისცა მის უწყებაში მყოფ ყველა წარმოება-დაწესებულებებს სასტიკად დაიცვას ხელფასის გაცემის წესები. დაუშვებელია ხელფასის დროზე გაუსტუმრებლობა. რასაც ადგილი ჰქონდა ზოგიერთ წარმოებებში. ამასთანავე დაუშვებელია ხელფასის გაცემა კოლხელშეკრულებებით დაწესებულ ვადაზე ადრე. (ადს).

თურქესტან-ციმბირის რკ. გზის სამხრეთი ნაწილი

მოსკოვი, 28 ოქტომბერი. სახკომსაბჭოს სხდომაზე საბოლოოთ გადაწყდა საკითხი თურქესტან-ციმბირის რკ. გზის სამხრეთ ნაწილის მიმართულების შესახებ. რ. ს. ფ. ს. რ. სახკომსაბჭო დაეთანხმა გზათა სახ. კომისარიატს, რომ აღნიშნული გზა გაყვანილი იქნეს ჩოკპარის მიმართულებით და საჭიროთ სცნო, რათა გზის ხარჯთაღრიცხვაში შეტანილი იქნეს ფრუნზე-ტოკმაკის შტოს ხარჯებიც. გადაწყვეტილია აღნიშნული შტო გაგრძელებული იქნეს ისიკ-კულის ტბამდე. ფრუნზე-ტოკმაკ-ისიკ-კულის ხაზის გაყვანა უნდა დასრულდეს ხუთი წლის განმავლობაში (ადს).

საბჭოთა საბავშვო ენციკლოპედია

მოსკოვი, 29 ოქტომბერი. განათლების სახალხო კომისარიატის კოლეგიამ მოიწონა გამომცემლობა „მოლოდაია გვარდიას“ განზრახვა გამოსცეს „საბჭოთა საბავშვო ენციკლოპედია“. (ადს).

წითელი დროშა მაქს გელცის ცოლისაგან

ვიატკა, 26 ოქტომბერი. რემედასის საგუბერნიო კომიტეტმა მაქს გელცის ცოლისაგან მიიღო მისივე ხელით ამოქარგული წითელი დროშა, რომელიც გელცის ცოლმა გამოგზავნა მადლობის ნიშნათ იმისათვის, რომ რემედასის ვიატკის ორგანიზაციამ შეფობა აიღო მაქს გელცზე. (ადს).

ამხ. კამენევა ოსმალეთში მოგზაურობის შესახებ

ოდესა, 27 ოქტომბერი. ოსმალეთიდან გემ „ტეოდორ ნეტტე“-თი ჩამოვიდა უცხოეთიდან კულტურული კავშირის სრულიად საკავშირო საზოგადოების თავმჯდომარე ამხ. კამენევა, რომელმაც უკრაინის დეპეშათა სააგენტოს თანამშრომლებთან საუბარში თავის მოგზაურობის შესახებ განაცხადა შემდეგი:

„ანგორასა და სტამბოლში ოსმალეთის მთავრობის წევრების, სტამბოლის პრეფექტის, უნივერსიტეტის რექტორის და სხ. პირთა დახმარებით მე საშუალება მომეცა ფართედ გამეშალა უცხოეთთან კულტურული კავშირის სრულიად საკავშირო საზოგადოების პროგრამა. უკვე გადადგმულია ნაბიჯი კულტურული კავშირის დასამყარებლად ოსმალეთსა და საბჭოთა კავშირს შორის. კერძოთ, კულტურული კავშირი დამყარებული იქნება ოსმალეთის სახალხო განათლების სამინისტროსთან და საზოგადო და სამეცნიერო მოღვაწეებთან. მიღებულია ზომები საბჭოთა მეცნიერების თანამშრომლობისათვის ოსმალეთის სამკურნალო, პედაგოგიურ, მუნიციპალურ და სხ. ჟურნალებში. საბჭოთა კავშირში განზრახულია ბიულეტენის გამოშვება ოსმალეთის ახალი კულტურის შესახებ. ოსმალეთში კი გამოცემული იქნება სპეციალური კრებული საბჭოთა კავშირის მიღწევების შესახებ 10 წლის მანძილზე. რადგან ანგორაში მოვხვდი ინტენსიური პოლიტიკური ცხოვრების დროს, მე საშუალება მომეცა გავცნობოდი მთავრობის ყველა წევრებს, მეჯლისის მრავალ წევრებს და სამეცნიერო და საზოგადო მოღვაწეთ“.

საოლქო პროფსაბჭოში ამხ. კამენევას მონაწილეობით გაიმართა პროფესიონალურ და საზოგადო ორგანიზაციების თათბირი, რომელზედაც მოსმენილ იქნა ამხ. კამენევას მოხსენება საბჭოთა კავშირისა და ოსმალეთის ხალხების კულტურული დაახლოების შესახებ. (ადს).

უცხოელ ქალთა დელეგაცია

ბაქო, 28 ოქტომბერი. დღეს ბაქოში ჩამოვიდა უცხოელ ქალთა დელეგაცია 26 ქალის შემადგენლობით. მასში შედიან საფრანგეთის, გერმანიის, ავსტრიის და სხვა ქვეყნების წარმომადგენლები. ეს დელეგაცია მონაწილეობას იღებდა ახლახან დასრულებულ მუშაქალთა სრულიად საკავშირო ყრილობაზე.

სადგურზე დელეგაციას შეხვდენ აზერ. ცაკის, ქალთა განყოფილების წარმომადგენლები, მოსწავლე და თურქი ახალგაზრდობა. სადგურშივე გამართულ მიტინგზე მისალმებით უცხო მუშა-ქალების მიმართ გამოვიდენ თურქ ქალთა კლუბის და კომკავშირის უჯრედის წარმომადგენლები. დელეგაციის საპასუხო მისალმებით გამოვიდა საფრანგეთის მუშების წარმომადგენელი, რომელმაც ფიცი დასდო, რომ დასავლეთის მშრომელი ქალები ყოველ ღონეს იხმარენ, რათა არ დაუშვან საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მიმართული ომი და მიაღწიონ მსოფლიო ოქტომბერს.

მიტინგი დაიხურა „ინტერნაციონალის“ სიმღერით ერთდროულად ხუთ ენაზე (ადს).

საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

თბილისის მერვე პარტკონფერენცია.

28 ოქტომბრის დილის სხდომა

თავმჯდომარეობს ამხ. ლადო სუხიშვილი.

კონფერენცია გადადის დღის წესრიგის მორიგ საკითხის განხილვაზე: „საქართველოს მეურნეობის მდგომარეობა და მისი განვითარების პერსპექტივები". მაგრამ, სანამ კონფერენცია მოხსენებას მოისმენდეს, რიგ გარეშე განცხადებით გამოდის ამხ. ასრიბეკოვი.

ამხ. ასრიბეკოვი

ამხანაგებო, ბაქოში გაიხსნა საქალაქო პარტიული კონფერენცია. წინადადება შემომაქვს გაიგზავნოს ბაქოს პარტკონფერენციაზე თბილისის პარტკონფერენციის სახელით მისალმება. (კონფერენცია წინადადებას ერთხმად ღებულობს და ავალებს პრეზიდიუმს მისალმების ტექსტის გამომუშავებას).

გარდა ამისა, ამხანაგებო, არის წინადადება, რომ ბაქოს კონფერენციაზე გაიგზავნოს ჩვენი კონფერენციის სახელით დელეგაცია. პრეზიდიუმში შემოსული დელეგაციის შემადგენლობის სია, რომელშიაც დასახელებულია შემდეგი ამხანაგები: **მანო სტურუა, სტეფანე ბარიშვილი, გიორგი რთველაძე, ანდრო ფირცხალავა, ვასილ იტრიევი, ვაცეკი, ნასარიძე, ზაქომოდდინი, ალავერდოვი ჰუსეინ, ხაჩატუროვი, ფაფახჩიანი, ჟუკოვი, ათანას რუხაძე, გიორგი ლელაშვილი, კატო მიხაილოვი და ფენია გეგეშიძე.** (კონფერენცია ერთხმად ადგენს გაიგზავნოს დელეგაცია ბაქოს კონფერენციაზე ზემოდ დასახელებულ ამხანაგების შემადგენლობით.)

საქ. სახ. მეურნეობის მდგომარეობა და მისი განვითარების პერსპექტივები

ამხ. ავაქოვის მოხსენება

ამხანაგებო, ოქტომბრის რევოლუციის ათი წლის მიჯნაზე საბჭოთა საქართველოს თვითეულ მოქალაქემ უნდა იცოდეს რამდენად წარმატებით ვმუშაობთ, რა ნაკლი გვაქვს, როგორია მიღწევები და ჩვენი შემდგომი წინსვლის ამოცანები. თქმა არ უნდა სამეურნეო აღმშენებლობაში ჩვენ გვქონდა შეცდომებიც, მაგრამ უდავოა ის ფაქტი, რომ მიღწევებიც დიდია.

მ რ ე წ ვ ე ლ ო ბ ა

კერძოთ, საბჭოთა საქართველოს შესახებ შეიძლება ითქვას, რომ ის სწრაფი ნაბიჯით მიდის წინ სამეურნეო აღმშენებლობის გზით. ჩვენში ისე, როგორც მთელ საბჭოთა კავშირში სოციალისტური სექტორი იზრდება კაპიტალისტურ სექტორის ხარჯზე.

საით ვიზრდებით

ძირითადი ლოზუნგი ჩვენი პარტიისა ინდუსტრიალიზაციის გაღრმავებისა და გაფართოების შესახებ, ჩვენში წარმატებით ხორციელდება მეურნეობის საერთო პროდუქცია 26—27 წლის განმავლობაში უდრის 365,6 მილიონ მან. აქედან, მრეწველობაზე მოდის 24 ½ პროცენტი და სოფლის მეურნეობაზე 78 ნახევ. პროცენტი.

უფრო ჩქარა მიდის წინ მრეწველობა, ვიდრე სოფლის მეურნეობა და ეს განსხვავება ჩვენში უფრო დიდია, ვიდრე საერთოდ საბჭოთა კავშირში. ამას თავის მიზეზებიც აქვს. მრეწველობა საქართველოში თავიდანვე სუსტად იყო განვითარებული.

ჩვენ არა თუ მივაღწიეთ მეურნეობის განვითარებაში ომამდე არსებულ დონეს,—არამედ ბევრ შემთხვევაში წინ გაუსწარით კიდეც მას. ჩვენ აღვადგინეთ ძველი ფაბრიკა-ქარხნები, გადავახალისეთ ბევრი მათგანი და აგრეთვე ვაშენებთ ბევრ ახალ ფაბრიკა-ქარხნებს. პროდუქციის ზრდა ჩვენს მრეწველობაში არა თუ გაუთანასწორდა ომამდე არსებულ დონეს, არამედ ზოგჯერ კიდეც გადააცილა მას. (თამბაქოს მრეწველობა, ნახშირის ამოღება და სხ).

უნდა ითქვას, ამხანაგებო ამასთანავე, რომ მრეწველობის ზრდასთან ერთად, ადგილი აქვს წარმოებაში დაბანდებულ მუშაკების შედარებით ნელი ტემპით ზრდას. ასე მაგალითად თუ ცენზიან მრეწველობაში 1924—25 სამეურნეო წელში ჩვენ გვყავდა 12.000 კაცი, 1926—27 წელს გვყავს 14.200 კაცი.

საით მიდის ჩვენი მრეწველობის ზრდა? არის ეს სოციალისტურ ელემენტების ზრდა, თუ ადგილი აქვს კაპიტალისტურ ელემენტების განვითარებას, როგორც ამის შესახებ ზოგიერთები გაიძახიან. მართალია, მრეწველობაში დაეცა კოოპერაციის მონაწილეობა ერთ-ნახევარი პროცენტით, მაგრამ ამავე დროს 81,3 პროც. დაეცა კერძო მრეწველობაც. კერძო მრეწველობის ასეთი მნიშვნელოვანი დაცემა გამოწვეულია უმთავრესად იმ გარემოებით, რომ შეიცვალა ჭიათურის შავი ქვის ექსპლოატაციის პირობები კონცესიის დადების შემდეგ. ამრიგად, დღეს ჩვენ გვაქვს სახელმწიფო და კერძო კაპიტალის შეფარდების შემდეგი სურათი: 1924—25 სამეურნეო წელს სახელმწიფო მრეწველობის ხვედრითი წონა სახალხო მეურნეობაში უდრიდა 77,3 პროც.; 1926—27 სამეურნეო წელში კი სახელმწიფო მრეწველობის ხვედრითი წონა უდრის 83,9 პროც.

როგორი მდგომარეობა იყო ამავე წლებში კერძო კაპიტალის მონაწილეობის მხრივ ჩვენს მრეწველობაში? 1924—25 სამეურნეო წელს კერძო კაპიტალის ხვედრითი წონა საბჭოთა საქართველოს სახალხო მეურნეობაში შეადგენდა 14,1 პროც.; 1926—27 სამეურნეო წელს კი—9,2 პროც. ამრიგად, ამხანაგებო, ჩვენ ვხედავთ, რომ მიუხედავათ მთელ რიგ სიძნელეებისა, რომელთაც ადგილი აქვთ ჩვენს სამრეწველო აღმშენებლობაში, მიუხედავათ იმისა, რომ ზოგიერთნი დაჟინებით გაიძახიან კერძო კაპიტალის სექტორის განვითარებაზე, ჩვენს მრეწველობაში ადგილი აქვს სწორედ წინააღმდეგ პროცესს.

მე უკვე ვსთქვი, ჩვენ არა თუ დავასრულეთ აღორძინებითი პერიოდი, არამედ შევუდექით, ახალ და გამალებულ სამრეწველო აღმშენებლობას. აი, მაგალითად 1924—25 სამეურნეო წელში კაპიტალურ ნაგებობათა მოსაწყობათ ჩვენ დავაბანდეთ 1.893.000 მანეთი, 1926—27 წელს კი ჩვენ უკვე ჩავდევით კაპიტალურ მშენებლობის საქმეში 8.402.000 მანეთი. გარდა ამისა განზრახულია 1927—28 სამეურნეო წ. კაპიტალურ მშენებლობისათვის გაღებულ იქნას 9.596.000 მანეთი. ასეთია, ამხანაგებო, საერთო სურათი ჩვენი მრეწველობის განვითარების დარგში.

სატყეო მრეწველობა

როგორი მდგომარეობა არის მრეწველობის ცალკე დარგებში? მე პირველ ყოვლისა მინდა მივაპყრო თქვენი ყურადღება სატყეო მრეწველობაზე. მას ჩვენში დიდი მომავალი აქვს და ამიტომ შესაფერისი ყურადღებაც ექცევა. თქვენ იცით, რომ ჩვენ ავაგეთ გრეხილ-ავეჯეულობის ქარხანა მარელისში, რომელიც ყოველწლიურად იძლევა 120.000 სკამს. ამ ქარხანაში მუშაობს 320 კაცზე მეტი. გარდა ამისა, ტყის მრეწველობის განვითარების მიზნით, ჩვენ ავაგეთ ბორჯომში ახალი საკასრე ქარხანა, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა კავშირის ერბო-კარაქის ექსპორტისათვის. წინათ კასრები ამ საქონლის საზღვარ-გარეთ გასატანათ უცხოეთიდან შემოგვქონდა და ამაზე იხარჯებოდა ვალიუტა, რომელიც ჩვენ ასე გვესაჭიროება. ეხლა ბორჯომის ქარხანას შეუძლია მიაწოდოს საბჭოთა კავშირს საკუთარი კასრები, რომელიც თავის ხარისხით სრულიად არ ჩამორჩება საზღვარ-გარედ დამზადებულ კასრს.

გარდა ამისა, განზრახულია მოეწყოს შამგონის ტყის ქარხანა. მას შემდეგ, რაც აგებულ იქნა ზაჰესი თავისი ჯებირებით შეფერხდა ტყის ტივებით ჩამოტანა თბილისში, ამიტომ განზრახულია მტკვრით ჩამოტანილი ტყის მასალა დაიხერხოს მცხეთაში, სადაც ამ მიზნით ეწყობა შესაფერისი ქარხანა. ამასთან ერთად აფხაზეთში აგებული იქნება დიდი მნიშვნელობის ტყის ქარხანა, რომელიც დაამზადებს უმთავრესად საექსპორტო საქონელს და გარდა ამისა პარკეტს, ფანერებს და სხვა.

უნდა აღინიშნოს აგრეთვე, რომ ჩვენ განზრახული გვაქვს ქაღალდის ქარხნის აშენება მდ. ენგურზე. ეს საკითხი ცოტა შეგვიანდა, მაგრამ ეს გამოწვეულია იმით, რომ საჭირო იყო მისი ყოველმხრივ შესწავლა, იმის შემოწმება, თუ რამდენად რენტაბელური იქნებოდა ქაღალდის ქარხანა და მხოლოდ ამის შემდეგ უნდა გადაგვედგა შესაფერისი პრაქტიკული ნაბიჯი. ამ ქარხნის აგება არც ისე იაფი ჯდება და ჩვენ არ შეგვეძლო მისი აშენებისათვის წინდაუხედავათ ხელის მოკიდება. ეხლა უკვე საკითხი გამორკვეულია, ქარხნის პროექტი სადაცაა დასრულდება და საქმესაც შეუდგებით. ქაღალდის ახალი ქარხანა საქართველოში დააკმაყოფილებს არა მარტო ამიერ-კავკასიის და თვით საქართველოს მოთხოვნილებას, არამედ თავის პროდუქციის ნაყოფს ის მიაწოდებს მეზობელ რესპუბლიკებს, როგორიცაა ოსმალეთი და სხვა. ამ ქარხანაში იმუშავებს 1000 კაცამდე.

ტყის მრეწველობის დარგში განზრახულია აგრეთვე მოეწყოს ახალი ქიმიური ქარხანა ბორჯომში, რომელიც გადაამუშავებს ხე-ტყის ქარხნებიდან დარჩენილ უვარგის მასალას.

აბრეშუმის მრეწველობა

გადავიდეთ ეხლა აბრეშუმის მრეწველობაზე. საქართველოში აბრეშუმის მრეწველობასაც კარგი მომავალი აქვს. ჩვენში ბევრგან მისდევენ აბრეშუმის მოყვანას, მაგრამ წინათ მხოლოდ გაჰქონდათ მოსავალი; ეხლა იქმნება ისეთი შესაძლებლობა, რომ აბრეშუმის მოსავალი თითქმის ადგილობრივადვე უნდა დამუშავდეს. ჩვენ უკვე გავხსენით ახალი [illegible] ამოსალები და სართავი ქარხნები თელავში, ოზურგეთში და ხონში. განზრახულია აგრეთვე აგებული იქნეს ახალი ქარხნები ქუთაისში, ხონში და ოზურგეთში. ამ მხრივ მუშაობა უკვე მიმდინარეობს. მაგრამ ჩვენ ამაზე ვერ შევჩერდებით; ჩვენი მიზანია იმდენათ დავაყენოთ აბრეშუმის მრეწველობა საქართველოში, რომ ნედლეულს მთლიანად აქვე ვამუშავებდეთ. მიღწევები, რომელიც დღემდე გვაქვს ამ დარგში არ კმარა, რადგან ქარხნები აკეთებენ მხოლოდ ნახევარ ფაბრიკატს. საჭიროა აგებულ იქნას ისეთი ქარხნები, რომელიც ამ ნახევარ ფაბრიკატს დაამუშავებენ. ამ მიზნით ჩვენს გეგმაში გათვალისწინებულია აბრეშუმის საქსოვი ქარხნის აგება, რომელიც უნდა განხორციელდეს ერთ ნახევარი წლის განმავლობაში.

მაუდის მრეწველობა

როგორია მდგომარეობა მატყლის დამუშავების მხრივ. წინათ მატყლი ჩვენი ქვეყნიდან გაჰქონდათ, ჩვენ ქუთაისში ავაშენეთ მაუდის ქარხანა, მაგრამ რა თქმა უნდა ის ადგილობრივ ნედლეულის უმნიშვნელო ნაწილსაც ვერ დაამუშავებს. ამიტომ ამ დარგში გადაიდგა მეორე ნაბიჯი, რომელიც გამოიხატება იმაში, რომ თბილისში შენდება მაუდის დიდი ქარხანა, რომელიც უნდა დასრულებულ იქნას 1928 წელს. ამ ქარხანაში იმუშავებს 900 კაცი.

ბუნებრივ სიმდიდრეთა გამოყენება

გარდა ამისა, ჩვენში ნიადაგი აქვს ცემენტის წარმოების განვითარებას. ამიტომ გადაწყვეტილია აგებულ იქნას ცემენტის ქარხანა გორის მაზრაში სოფ. კასპში, რომელშიაც იმუშავებს 600 კაცი. ამასთან ერთად ქუთაისში შენდება ბარიტის ქარხანა, რომელიც ლაქისა და საღებავების ქარხნებს მიაწოდებს სათანადო ნედლეულ მასალებს. ჩვენ ვღებულობთ აგრეთვე ზომებს ლიტოგრაფიის ქვის დასამუშავებლად.

საუკეთესო შედეგი მოგვცა საქართველოს ფლორიდინის გამოკვლევამ. ფლორიდინი, რომელსაც ჩვეულებრივად ეძახიან თავის საბან მიწას, წინად საზღვარ გარედან შემოგვქონდა. ადგილობრივ ფლორიდინს სრულიად შეუძლია შესცვალოს საზღვარ-გარეთიდან მოტანილი ფლორიდინი.

სწარმოებს აგრეთვე გურიის ნავთის აღმოჩენის მუშაობა. დიდი მუშაობაა დაწყებული ტყვარჩელის ქვა-ნახშირის გამოსაკვლევად. ჩვენ ვახდენთ ცდას ტყვარჩელის ქვა-ნახშირზე იმისათვის მოგვცემს თუ არა ეს ნახშირი კოკსს. როგორც ვიცით კოკსზე ბევრადაა დამოკიდებული ლითონ-მრეწველობის განვითარება. სრული საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ეს ცდა დადებით ნაყოფს გამოიღებს, რაც ჩვენ მოგვცემს შესაძლებლობას საფუძველი ჩაუყაროთ ლითონის მრეწველობას.

მექანიკური ქარხანა

გარდა ამისა, საბოლოოდ გადაწყვეტილია საკითხი თბილისში მექანიკური ქარხნის აგების შესახებ.

ამ ქარხნის პროექტის გაკეთება დავალებული აქვს სათანადო ტექნიკურ ძალებს. თბილისის მომავალ მექანიკურ ქარხანაში იმუშავებს—1.200 კაცი.

აი, ამხანაგებო ჩვენი მიღწევები და პერსპექტივები მრეწველობის აღმშენებლობის დარგში. ჩვენ განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევთ სამრეწველო აღმშენებლობას, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ გვავიწყდება სახალხო მეურნეობის სხვა დარგები. ეს დაუშვებელი იქნებოდა, თუნდაცა მარტო იმიტომ, რომ მრეწველობის ნორმალური განვითარება დამოკიდებულია სახალხო მეურნეობის სხვა დარგების წარმატებით წინსვლაზე.

ახალი ქარხნები

ასე მაგალითად, დიდი ყურადღება ექცევა ადგილობრივ მრეწველობის განვითარებას. ამ მიზნით შენდება ორი ხილის საშრობი ქარხანა: ერთი გორში და ერთი ახალ-ციხეში. ამას გარდა აგებული იქნება ერთი საკონსერვო ქარხანა გორში. გადადგმულია აგრეთვე ნაბიჯები აგურის და კრამიტის ქარხნების ასაშენებლად ახალ-სენაკის და შორაპნის მაზრებში და აგრეთვე კახეთშიაც. ქუთაისშიაც აგებული იქნება კირის ქარხანა.

ყოველივე ეს გვიჩვენებს ამხანაგებო, რომ ჩვენ მოწმე ვართ უდიდესი სამრეწველო აღმშენებლობის საქართველოში. დიდი ნაკლი, რომელიც წინ გვეღობება ამ დარგში—ეს არის კვალიფიციურ-ტექნიკურ ძალების სიმცირე. ასეთი მდგომარეობა თავის გავლენას ახდენს როგორც პროექტების სისწორეზე და სათანადოთ შედგენაზე, ისე ამ პროექტების შესრულების საქმეზე. ამიტომ ხდება, რომ ჩვენი პროდუქცია ზოგჯერ ნაკლებია ხარისხით და წამოწყებული საქმეები ხანდახან ნელი ტემპით მიდის წინ. ასეთ მდგომარეობას მომავალში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს.

მორიგი ამოცანა

მრეწველობის წინაშე სდგას ერთი დიდი მორიგი ამოცანა. ეს არის პროდუქციის თვითღირებულების შემცირება, ეს უნდა გადაიქცეს ჩვენს ცენტრალურ პრობლემად. პროდუქციის თვითღირებულების დაკლებას ჩვენ უნდა მივაღწიოთ სოციალისტური რაციონალიზაციის გატარების გზით. ზოგიერთ დარგში ჩვენ ჩავატარეთ ნაწილობრივ რაციონალიზაცია. ასე მაგალითად, თამბაქოს და ტყავის მრეწველობაში. ჩვენ აქ დავინახეთ, თუ რა დიდ ეფექტს იძლევა მრეწველობის რაციონალიზაცია.

უმუშევრობის საკითხი

მე მინდა კიდევ შევჩერდე უმუშევრობის საკითხზე მიუხედავათ იმისა, ამხანაგებო, რომ ჩვენში ადგილი აქვს მრეწველობის ასეთი ჩქარი ტემპით ზრდას, ის მაინც ვერ იკრებს ყველა თავისუფალ მუშა-ხელს და ამიტომ უმუშევრობას ჩვენშიაც აქვს ადგილი. აღსანიშნავია, რომ უმუშევართა შორის უმეტეს ნაწილად სჭარბობს კანცელიარიის მუშაკები და არაკვალიფიციური მუშა-ხელი. ამასთან ერთად, უმუშევართა შორის მნიშვნელოვან პროცენტს წარმოადგენს ისეთები, რომელთაც ჯერ არსად არ უმუშავნიათ და არავითარი საწარმოო ხელობა არა აქვთ.

უმუშევრობის ზრდა უმთავრესად ხდება სოფლიდან შემოსულ ელემენტების ხარჯზე. მთავრობა ყოველივე ღონეს იღებს, რომ შეამსუბუქოს უმუშევართა მდგომარეობა და შეამციროს მათი რიცხვი. წელს, უმუშევართათვის დახმარების აღმოსაჩენად გაღებულია—200.000 მანეთი. გარდა ამისა, საზოგადო სამუშაოებზე დაბანდებული იყო 42.000 კაცი. მოწყობილია უმუშევართა კოლექტივები, არტელები და სხვ. მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ ასეთი საშუალებებით უმუშევრობის მოსპობა არ შეიძლება. თუმცა არიან ისეთი „გონიერი" ეკონომისტები, რომლებიც გვირჩევენ, რომ დააჩქარეთ მრეწველობის განვითარება ისე რომ ის მთლიანად იკრებდეს უმუშევარ ხელსაცა. რა თქმა უნდა, ამაზე ლაპარაკი სრულიად უადგილოა. ჩვენს პირობებში ეს განუხორციელებელია. უმუშევრობას, ჩვენს სოფლიდან უნდა მოუაროთ. საჭიროა გადადგმულ იქნას ნაბიჯები ტექნიკური კულტურის განვითარებისათვის, მელიორაციის ჩასატარებლად და სხვა. ამასთან ერთად ჩვენ უნდა ვიზრუნოთ მუშა-ხელის კვალიფიციურად მომზადებისათვის. მე უკვე ვსთქვი, რომ ამ დარგში ჩვენ დიდ ნაკლულოვანებას განვიცდით. ამიტომ საჭიროა გადაიდგას ნაბიჯი პროფტექნიკური სკოლების ქსელის გასაფართოებლად. მხოლოდ ასეთი საშუალებებით მოვუღებთ ჩვენ ბოლოს უმუშევრობას.

ხელფასის საკითხი

მრეწველობის განვითარებასთან ერთად გაუმჯობესდა მუშათა ნივთიერი მდგომარეობა. ხელფასის ზრდასთან ერთად ადგილი აქვს მრეწველობის პროდუქციის გაუმჯობესებას, მის რაოდენობითი ზრდას, ფაბრიკა-ქარხნებში შრომის პირობების გაუმჯობესებას და სხვ. ცენზიან მრეწველობაში მუშათა ხელფასი საშუალოდ გაიზარდა შემდეგნაირად: 1925—26 სამეურნეო წელთან შედარებით 1926—27 სამეურნეო წელს ჩვენ გვაქვს საშუალო ხელფასის ზრდა 4,7 პროც. 1926—27 წ. საშუალო ხელფასი 1924—25 წელთან შედარებით გაიზარდა 24,9 პროც. თუ ჩვენ შევადარებთ დღევანდელ საშუალო ხელფასს ომამდე არსებულს, აქ მივიღებთ შემდეგ ციფრს: დღევანდელი საშუალო ხელფასი უდრის 92 პროც.; ზოგიერთ შემთხვევაში კი ის კიდევაც წააცილებს ომამდე არსებულ დონეს. ნაწილობრივ ჩამორჩება საშუალო ხელფასის მხრივ ლითონისა და ტყავის მრეწველობა. თუ ავიღებთ საშუალო ხელფასს საქართველოსა და მთელ საბჭოთა კავშირში, ჩვენ დავრწმუნდებით, რომ მრეწველობის თითქმის ყველა დარგში საშუალო ხელფასი საქართველოში უფრო მეტია, ვიდრე საბჭოთა კავშირში.

საბინაო მშენებლობა

უნდა აღინიშნოს აგრეთვე, რომ მრეწველობის განვითარებასთან უახლოესი კავშირი აქვს საბინაო მშენებლობას. უბინაობა სერიოზულ დაბრკოლებებს ჰქმნის მრეწველობისათვის. ამ დარგში 1924 წლიდან გაღებულია საბჭოთა სხვადასხვა ორგანიზაციების მიერ 7.000.000 მანეთზე მეტი, მაგრამ საბინაო კრიზისი დღეს მაინც ფაქტია. ჩვენ ხშირად ვაშენებთ ფაბრიკასა და ქარხნებს და არ ვზრუნავთ იმაზე რომ ქარხნების მუშები უზრუნველყოფილ იქნენ ბინით. საჭიროა ქარხნებთან ერთად შენდებოდეს მუშათა ბინები.

ელექტროფიკაცია

გადავდივარ ეხლა საქართველოს ელექტროფიკაციის საკითხზე. საქართველო ელექტროფიკაციის განვითარების მხრივ დიდ შესაძლებლობის ქვეყანას წარმოადგენს. ჩვენში ბევრი მთის მდინარეები, რომლებშიც დაგროვილია უდიდესი წყლის ენერგია. ელექტროფიკაციის დარგში უკვე დიდი მუშაობაა ჩატარებული და პერსპექტივებიც მეტად დიდია. წინასწარ გათვალისწინებულ გეგმის თანახმად 1930—31 წლ. ბოლოში ჩვენ უნდა გვქონდეს 63.000 ცხენის ძალიანი ელექტრო-ენერგია. აქედან, ჰიდრო ელსადგურებზე მოდის 93 პროც. და მხოლოთ სამი პროცენტი სათბობი მასალით მომუშავე სადგურებზე.

ჯერ-ჯერობით ზაჰესი მუშაობს 18.000 ცხენის ძალით. მას კი შეუძლია მოგვცეს ზოგიერთი ხარჯების გაღების შემდეგ 54.000 ცხენის ძალა. როგორც იცით, ჩვენ ვაშენებთ რიონის ჰიდრო-ელსადგურს, რომელსაც ექნება—60.000 ცხენის ძალა. პირველ ხანებში კი ის მოგვცემს 30.000 ცხენის ძალას. შენდება აგრეთვე ჰიდრო-სადგურები აჭარისტანში, აბაშაში, ახალციხეში, აბასთუმანში, ონში, შოვში, ცხინვალში, ახალ-ქალაქში და სხ. ხუთი წლის განმავლობაში უნდა აშენდეს ჰიდრო-ელსადგური აფხაზეთში, ოზურგეთში, ბორჯომში, სვანეთში, ცაგერში, ლაგოდეხში და სხვაგან.

გარდა ამისა, განზრახულია მოეწყოს ზაჰესის ენერგიის ახლო მახლო რაიონებში გადასაცემი საშუალებანი. ჩვენ ვფიქრობთ, ზაჰესის ენერგიის გადაცემას შემდეგი მიმართულებით: ზაჰესი-მარტყოფი-საგარეჯო, ზაჰესი-კოჯორი-მანგლისი, ზაჰესი-თიანეთის რაიონი და სხვა. ასეთია ჩვენი ხუთწლიანი გეგმა ელექტროფიკაციის დარგში.

აი, ამხანაგებო მოკლედ ის სურათი, რომელიც ჩვენ გვაქვს სამრეწველო აღმშენებლობის ფრონტზე.

ს ო ფ ლ ი ს მ ე უ რ ნ ე ო ბ ა

მეურნეობის მექანიზაცია

უდიდესი ყურადღება ექცევა აგრეთვე, ამხანაგებო სახალხო მეურნეობის მეორე ძირითად დარგს, სოფლის მეურნეობას. და ეს არა მარტო იმიტომ, რომ სოფლის მეურნეობა ჯერ კიდევ მთავარი დარგია ჩვენში, არამედ იმიტომაც, რომ ის არის მრეწველობის საძირკველი და წარმოადგენს ჩვენი საექსპორტო სახეების მთავარ წყაროს. სოფლის მეურნეობა არ შეიძლება ისე გეგმაშეწონილად წარმართოთ, როგორც მრეწველობა. ის ყველაზე მეტად განიცდის სტიქიის შედეგებს, როგორიცაა წყალდიდობა, გვალვა, ეპიზოტია და სხვ. ეს, რასაკვირველია, იმას არ ნიშნავს, რომ პარტია და ხელისუფლება ყოველ ღონეს არ ხმარობს იმისათვის, რომ სოფლის მეურნეობა წინ წაიწიოს. ამას მოწმობს ის ფაქტი, რომ ჩვენი სოფლის მეურნეობა არა თუ გაუთანასწორდა ომამდე არსებულ დონეს, არამედ მისი ზოგიერთი დარგი იმდენად განვითარდა, რომ ის გაცილებით წინ უსწრებს ომამდე არსებულ დონეს. ასეთია მაგალითად აბრეშუმის მოყვანა, ჩაი და სხვ. ჩვენი მორიგი ამოცანაა სოფლის მეურნეობის მექანიზაცია.

ნათესები

რანაირ მდგომარეობაშია სოფლის მეურნეობის მთავარი დარგები. პირველ ყოვლისა აღსანიშნავია დათესილი მოედნის სივრცე. ნათესების მოედანი ყოველწლიურად და შეუჩერებლივ იზრდება. ასე მაგალითად, 1924—25 წელს დათესილი მოედნის სივრცე უდრიდა 662.200 დესეტინას, 1926—27 წელს კი 685.000 დესეტინას. ომამდე არსებულ და დათესილ მოედანთან შედარებით ჩვენ აქ მომატება გვაქვს 1,2 პრ. ამასთან შედარებით მეტია, რასაკვირველია, სასოფლო მეურნეობის მოსავალი, ვიდრე ომამდე იყო. წელს, კი ამ მხრივ გამონაკლისი გვაქვს. წვიმების გამო მოსავალი წელს ნაკლებია. განსაკუთრებით გაიზარდა ჩვენში ტექნიკურ კულტურების მოედანი, რომლის სივრცე უდრის 18 ნახევარ ათას დესეტინას. ამ დარგში ჩვენ გვაქვს ზრდა 22,8 პროც. დიდი წარმატებით მიდის წინ ჩაის მოშენების საქმე, რომელსაც დიდი ყურადღება ექცევა. ხუთი წლის განმავლობაში ჩაით უნდა მოშენებული გვქონდეს 20.000 დესეტინა. ჩაის ასეთი დიდი პლანტაციები კი თავის-თავად გულისხმობს ჩაის ახალ ფაბრიკების აგებას. ეს კი საშუალებას მოგვცემს დავაბანდოთ ამ საქმეში სოფლის უმუშევართა დიდი რაოდენობა.

ბამბა

ბამბასაც დიდი პერსპექტივები აქვს ჩვენში. ამ მხრივ განსაკუთრებული ყურადღების ღირსია ალაზნის, სამგორის და სხვ. ველები, რომლენიც დიდ მოსავალს მოგვცემენ, თუ იქნა მოწყობილი მათი მორწყვის საქმე. გარდა ამისა, საჭიროა აღდგენილ იქნას ყარაიას სარწყავი არხები, რაც აგრეთვე ბამბის მოშენებას დიდ შესაძლებლობას მისცემს.

ვენახები

ჩვენში შეუჩერებლივ იზრდება აგრეთვე ბოსტნეულებისა და ბაღების მიერ დაკავებული მოედანიც. ადგილი აქვს მხოლოდ მევენახეობის შემცირებას, რომელიც ომამდე არსებულ დონესთან შედარებით უდრის 83 პროცენტს. ეს შემცირება იყო ჯერ კიდევ მენშევიკების დროს და ეს გამოიწვია სამოქალაქო ომის პირობებმა, როცა ვენახის კულტურა ნაკლებ რენტაბელური აღმოჩნდა, ვიდრე პურეული. გლეხობა ამიტომ არ ცდილობდა ახალი ვენახების გაშენებას და ძველის ადგილას ხშირად პურსა და სიმინდს სთესავდა. გარდა ამისა დიდი ზარალი მიაყენა მევენახეობას ფილოქსერამ. ეხლა სახელმწიფო მამულების ტრესტი ყოველ ღონეს ღებულობს იმისათვის, რომ გააფართოვოს ვენახების მოედანი ჩვენში.

მეცხოველეობა

შეუჩერებლივ იზრდება ჩვენში აგრეთვე მეცხოველეობის პროდუქცია. ჯერ კიდევ 1925—26 წელში მეცხოველეობამ მოგვცა 6,1 პროც. მეტი ომამდე არსებულ დონის. 1926—27 წელში კი მეცხოველეობის პროდუქცია წინ უსწრებს ომამდე არსებულ დონეს 9,2 პროც.

მელიორაციის დარგი

სოფლის მეურნეობის მთავარი დარგების ანალიზი ჩვენ გვეუბნება, რომ წარმატება ემჩნევა მცენარეულობის დარგსაც. განსაკუთრებით წინ მიდის ტექნიკური კულტურის განვითარების საქმე. ეს ასედაც უნდა იყოს. ეს სწორი ხაზია, რადგან ამაზე ბევრადაა დამოკიდებული ჩვენი მრეწველობის ნედლეულით უზრუნველყოფა. მაგრამ რომ მცენარეულობის დარგი განვითარდეს, საჭიროა სამელიორაციო საქმის გაფართოება.

ამ საქმეზე 1925 წლიდან დახარჯულია 5.200.000 მანეთი. განზრახულია გადაიდოს 4.500.000 მანეთი. აქედან თქვენ ხედავთ, ამხანაგებო, რომ ხელისუფლება დიდ ყურადღებას აქცევს სამელიორაციო საქმისათვის შესაფერის მატერიალურ ბაზის შექმნას.

სარეწაო კოოპერაცია

სოფლის მეურნეობის განვითარების საკითხთან ერთად არ შეიძლება უყურადღებოთ დავტოვოთ სარეწაო კოოპერაციის მდგომარეობა. ჯერ-ჯერობით ამ კოოპერაციას არა აქვს სათანადოთ გაშლილი მუშაობა. ის მხოლოდ 2.200 კაცს აერთიანებს. ამავე დროს ჩვენ ვიცით რა დიდი მნიშვნელობა აქვს სარეწაო კოოპერაციის განვითარებას სოფლის მეურნეობის აღორძინებისათვის და უმუშევრობის შესანელებლად.

სახალხო მეურნეობის საერთო ზრდამ თავისთავად გამოიწვია ალებ-მიცემობის გაფართოე-

შთაბეჭდილებები კონფერენციიდან

პირველი 6 სხდომა თბილისის კონფერენციამ არსებითად შინაპარტიულ უთანხმოების საკითხს მოანდომა. კონფერენცია ამ სხდომებზე დაჭიმული ენერგიით მუშაობდა. ბევრი ამხანაგი გამოდიოდა და გულისტკივილით აღნიშნავდა, რომ კონფერენციის ძვირფასი დრო უნდება ოპოზიციასთან დავას, რომელიც ამათ არც კი ღირს, რომ იჩრდილება პრაქტიკული საჭირბოროტო საკითხები და სხვა.

ამხანაგების ეს სამართლიანი შენიშვნები ცოტა ნაადრევი აღმოჩნდა. კონფერენცია 28 ოქტომბრის სხდომებიდან გადავიდა ჩვენს ყოველდღიურ საჭირბოროტო პრაქტიკულ საკითხების განხილვაზე და მთლიანად მიეცა ამ საკითხებს. თავიანთ დელეგატების პირით ალაპარაკდა ქარხნები და ფაბრიკები, ალაპარაკდა თბილისის მაზრის სოფლები. ნედლეულის მომარაგება, კვალიფიციური მუშა-ხელი, პროდუქციის თვითღირებულების შემცირება, მუშათა გამომგონლობა, აპარატის გაუმჯობესება, ზედნადები ხარჯების შემცირება, სოფლის მექანიზაცია, გზები და სხვადასხვა, აი, ის საკითხები, რომლებზედაც დინჯათ, სულდათქმით ლაპარაკობდენ მუშა და გლეხი დელეგატები, რომელნიც მთელ თავის სიტყვებს კონკრეტიულ ფაქტებზე აშენებდენ.

ორატორების 80 პროცენტზე მეტი მუშები და გლეხებია. უსმენ მათ და გიკვირს, როგორ შეუმჩნევლად წამოიზარდა საუკეთესო სამეურნეო მუშაკების აქტივი მუშებისა და გლეხებისაგან. პარტიას ამით მართლაც უფლება აქვს იამაყოს. პარტიას მათი იმედით უდიდესი პრაქტიკული სამეურნეო ამოცანების გადაწყვეტა შეუძლია. ჩვენ უკვე გვყავს ჩვენი სიამაყე მუშურ-გლეხური აქტივი, რომელიც გამოცდილი ხელით ღირსეულად გაუძღვება წინ საბჭოთა აღმშენებლობას.

კონფერენციის მუშაობა პრაქტიკულ საკითხებზე ხომ თვალსაჩინოთ მოწმობს საბჭოთა დემოკრატიის, პროლეტარულ საზოგადოებრიობის არაჩვეულებრივით ზრდას? ეს აქტივი, რომელიც დღეს აქ გამოდის ტრიბუნასთან და ასეთი დაბეჯითებითი, ასეთი მტკიცე ენით ლაპარაკობს, როგორც ჩვენი ცხოვრების ნამდვილი პატრონი, ხომ პარტიის და საბჭოთა საზოგადოებრიობის წიაღში აღიზარდა?

რაღა უნდა მაშ ოპოზიციას, როცა ის ყოველ გზაჯვარედინზე ჩხავის პარტიულ რეჟიმის სისასტიკის შესახებ, რა უნდა ოპოზიციას, როცა ის ნიანგის ცრემლებს ღვრის თითქოს ჩახშობილ კოლექტიურ თვითმოქმედებაზე? სად არის ის ეხლა, ამ საქმიან სხდომების დროს? რატომ არც ერთი მათგანი არ სჩანს აქ, დარბაზში? რა იქნა ოკუჯავა-ვირაპავები თავიანთი პლატფორმებით და დეკლარაციებით ჩინეთის რევოლიუციის, ინგლის-რუსეთის კომიტეტის, შინაპარტიულ რეჟიმის და სხვა ასეთ მაღალ მატერიების შესახებ? სად დაიკარგა „პარტიის პენსიონერი" თედორე კალანდაძე თავისი ხიდისთავური ლენინიზმით?

მაგრამ... მათ აქ რა უნდათ? აქ ხომ საქმე კეთდება. აქ ხომ ლაპარაკია ისეთ „უბრალო", „მოსაწყენ" რამეებზე, როგორიცაა წარმოების რაციონალიზაცია, შრომის ნაყოფიერება, 7 საათის სამუშაო დღის გატარება და სხვა, რაიც ოპოზიციის მაღალ-მეცნიერულ, არქირევოლიუციონურ ბუნებას არ შეეფერება.

ისინი მოვიდენ აქ დეზორგანიზაციის შესატანათ. უჯრედებში და სარაიონო კონფერენციებზე დამარცხებულნი, ფიქრობდენ ერთხელ კიდევ ეცადათ ბედი, მაგრამ როცა კონფერენციამ მათ მოუგრიხა ოპოზიციონურ ცხვირი, როცა დარბაზში საქმის ატმოსფერო დატრიალდა, მათაც თავიანთ სოროებს მიაშურეს.

კონფერენციას არ სჭირდება ოპოზიციის დახმარება. მისმა წასვლამ მხოლოდ ერთი რამ დააკლო კრებას. დარბაზში აღარ სჩანს, როგორც ის მოსწრებულად მონათლა ამხ. რუძუტაკმა „თავქაშიანი" თედორე კალანდაძე, რომელიც არა თუ მარტო ამ კონფერენციაზე, არამედ ყველა გაფართოებულ კრებებზე ტაკი-მასხარის როლს თამაშობს.

თბილისის კონფერენციის 28 ოქტომბრის სხდომებმა, ერთხელ კიდევ ცხადჰყო, რომ პარტია, მიუხედავად ოპოზიციის ისტერიულ კივილისა, შედუღებული რიგებით განაგრძობს სვლას სოციალისტურ აღმშენებლობის გზით და ის ამ გზაზე გასრისავს ყველა მათ, ვინც მის ძლევამოსილ მსვლელობას წინ გადაეღობება.

დამსწრე.

საქ. სასოფლო მეურნ. განვითარების ძირითადი პრობლემები

I

ამჟამად საერთოდ და მთლიანად დამთავრებულია როგორც მთელი კავშირის, ისე კერძოდ საქართველოს სახალხო მეურნეობის აღდგენის პროცესი, და საბჭოთა ხელისუფლების წინაშე სდგას უდიდესი და ხანგრძლივი ამოცანა—საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის ახალ საფუძველზე რეკონსტრუქციის, მეურნეობის საწარმოო ძალთა უფრო მაღალ საფეხურზე აყვანის ამოცანა. ამასთანავე სასოფლო მეურნეობამ, სახალხო მეურნეობის სხვა დარგებთან ერთად უნდა გაიაროს ევოლიუციის განსაზღვრული და მეტად მნიშვნელოვანი გზა, რომ სამეურნეო განვითარების საერთო პროცესში შეასრულოს თავისი ამოცანები.

ამის გამო განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება სახელმწიფო მშენებლობის ამოცანების გამორკვევას სახალხო მეურნეობაში, როგორც მთლიანად, ისე მის ცალკე დარგებში, მეურნეობის ცალკე დარგთა განვითარება პერსპექტივების გამორკვევას.

საბჭოთა ხელისუფლება ცდილობდა იმპერიალისტური და სამოქალაქო ომის მთელი რიგი წლების განმავლობაში დანგრეული სახალხო მეურნეობის აღდგენას და ეკონომიური პროცესების დამორჩილებას გეგმიანი შემოქმედებისათვის; ამასთანავე რამდენადაც მომენტის ძირითადი ამოცანა იყო, ჩვენი ქვეყნის საწარმოო ძალთა აუცილებლად აღდგენა, საბჭოთა ხელისუფლებას ჰქონდა ერთგვარი ობიექტიურად მიცემულ საორიენტაციო საფუძველი, ომამდე არსებული მეურნეობის სახით, თუმცა ამ საფუძვლებს ჰქონდა გარკვეული, კაპიტალისტური ეკონომიკის პირობებში შემუშავებული სამეურნეო პროპორციები და შეფარდებანი. ამჟამად კი, როცა აღდგენითი პერიოდი დამთავრდა, სახელმწიფოს, რამდენადაც იგი სოციალისტურია, არ შეუძლია დაუშვას ბაზრის სტიქიის ბატონობა და მან თვითონ უნდა შექმნას თავისი სამეურნეო მშენებლობის საფუძვლები, უნდა დასახოს სახალხო მეურნეობის მომავლის განსაზღვრული კონტურა, რომლის განხორციელებასაც უნდა ვცდილობდეთ ჩვენი სამეურნეო მშენებლობის პროცესში.

ამით აიხსნება ის განსაკუთრებული ყურადღება, რომელიც ამჟამად ექცევა საგეგმო და მომწესრიგებელ ორგანოების მუშაობას, ამით აიხსნება ის ფაქტი, რომელმაც ნათელი გამოხატულება ჰპოვა როგორც კავშირის, ისე მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლეს ორგანოთა სათანადო გადაწყვეტილებებში და დადგენილებებში.

ამ წერილში ჩვენ გვინდა საერთო სახით გავარკვიოთ ის ამოცანები, რომელნიც ჩვენის აზრით უნდა დაისახოს საბჭოთა მეურნეობამ საქართველოს სასოფლო-მეურნეობის დარგში. ამასთანავე ჩვენ არ გამოუდგებით დაწვრილებითი ციფრობრივი ცნობების მოყვანას, ჩვენ შევეცდებით დავსახოთ ჩვენი სასოფლო-მეურნეობის მხოლოდ ის ძირითადი დარგები, რომელნიც უახლოესი ხუთი წლის განმავლობაში უნდა გახდეს ენერგიული სახელმწიფოებრივ შემოქმედების ობიექტებად და მოკლედ აღვნიშნავთ ამ ზეგავლენის ხასიათს.

რომელი ძირითადი დებულებიდან უნდა გამოვიდეთ ჩვენ, როცა ვსახავთ სასოფლო-მეურნეობის განვითარების გზებს.

უპირველეს ყოვლისა, სასოფლო-მეურნეობა შეთანხმებულ და დაკავშირებულ უნდა იქნეს იმ ამოცანებთან, რომლებსაც საბჭოთა სახელმწიფო ისახავს როგორც სახალხო მეურნეობის სხვა დარგებში, ისევე მთელ სახალხო მეურნეობაში მთლიანად.

შემდეგ აუცილებელია გათვალისწინებულ იქნას გლეხობის საწარმოო ინტერესები, სოფლის მშრომელი მოსახლეობის კეთილდღეობის მაქსიმალურად გაუმჯობესების აუცილებლობა.

დაბოლოს, ჩვენ უნდა გამოვიდეთ იმ ფაქტიდან, რომ სასოფლო-მეურნეობის განვითარება დამოკიდებულია ჩვენი ქვეყნის ისტორიულ პირობებზე, ჰავისა და ნიადაგის თავისებურებაზე.

დასკვნები, რომელნიც გამოყვანილ იქნება ცალკე რაიონის სასოფლო მეურნეობის განვითარების ამოცანათა ზემოხსენებული დებულების თვალსაზრისით, შეიძლება ეთანხმებოდეს, ან არ ეთანხმებოდეს ერთმანეთს; ამასთანავე, თუ ეს დასკვნები არ ეთანხმებიან ერთმანეთს, ეკონომიური პოლიტიკის ამოცანას უნდა შეადგენდეს ერთგვარი საშუალო ხაზის გამონახვა, რომელიც შედარებით მაქსიმალურ ეფექტს მოგვცემს.

განვიხილოთ ის ამოცანები, რომელნიც უნდა იქნას დასახული საქართველოს სასოფლო-მეურნეობის დარგში.

საბჭოთა კავშირის სამეურნეო მშენებლობის ძირითადი საფუძველია ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია, ე. ი. სამრეწველო სექტორის ხვედრითი წონის გადიდება სახალხო მეურნეობის საერთო პროდუქციაში და ამავე დროს სოციალისტური საფუძვლების გაძლიერება და განმტკიცება ჩვენს ეკონომიკაში.

სასოფლო მეურნეობა მრეწველობის განვითარებისათვის წარმოადგენს ნედლეულისა და სასურსათო ბაზას. ამიტომ მრეწველობის განვითარება დაკავშირებულია სასოფ.-მეურნეობის განვითარებასთან, განსაკუთრებით ნედლეული ტექნიკური კულტურისა და სამრეწველო მესაქონლეობის განვითარებასთან. ამგვარად, მრეწველობის ინტერესების თვალსაზრისით, საქართველოს სასოფლო მეურნეობის განვითარება უნდა მიდიოდეს უმთავრესად ამ ხაზით, ნედლეული კულტურის და სამრეწველო მესაქონლეობის განვითარების ხაზით. სოციალისტური საფუძვლების გაძლიერებისა და განმტკიცების აუცილებლობა კი ჩვენგან მოითხოვს არამარტო სასოფლო-სამეურნეო წარმოების ტექნიკური ბაზის რეკონსტრუქციას, არამედ ინდივიდუალური სამეურნეო საქმიანობის არსებული ფორმის შეცვლას კოოპერატიულ და კოლექტიურ ფორმებად. ამასთანავე, ნედლეული ტექნიკური კულტურების და სამრეწველო მესაქონლეობის განვითარების ამოცანა და სასოფლო მეურნეობის კოლექტივიზაციის ამოცანა ერთმანეთთან არის დაკავშირებული და შეთანხმებული, რამდენადაც ნედლეული კულტურები, ისე, როგორც მესაქონლეობა (განსაკუთრებით მესაქონლეობის პროდუქტების პირველადი გადამუშავების დარგში) აძლევენ სტიმულს ღარიბ გლეხთა მეურნეობების ძალღონის გაერთიანებას და მჭიდრო კავშირის დამყარებას სახელმწიფო საკრედიტო აპარატთან. რომელმაც უნდა განახორციელოს სახელმწიფოს გეგმიანი ზემოქმედება გლეხთა მეურნეობაზე.

როგორია ის ამოცანები, რომელნიც აუცილებლად უნდა იქნას დასახული საქართველოს სასოფლო მეურნეობაში გლეხთა მოსახლეობის კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის.

ძირითადი ფაქტორი, რომელიც დაბალ ტექნიკასთან ერთად იწვევს საქართველოს სოფლის მოსახლეობის კეთილდღეობის კატასტროფიულად დაბალ დონეს, არის მიწის ნაკლებობა. ერთ მეურნეობაზე საქართველოში კულტურული მიწა და კარ-მიდამო მოდის 2,6 დეს., ამაშივე შედის 2,0 დეს. სახნავი. ერთ მჭამელზე, (ნაგულისხმევია მიწის პირველი კატეგორია)) მოდის 0,6 დესეტინა. თუ ჩვენ ვივარაუდებთ მიწის მეტად მცირე ნორმას, მაშინაც კი სასოფლო-სამეურნეო მოსახლეობის სიჭარბე საქართველოში უდრის არა ნაკლებ 470 ათასი სულისა. თუ მხედველობაში მივიღებთ მელიორატიული და გადასახლების დარგში მიღებული ღონისძიებების მაქსიმალურად განხორციელებას და აგრეთვე საქართველოს მრეწველობის განვითარების პერსპექტივებს, მიწის ნაკლებობის აღმოფხვრა ამ გზით მაინც შეუძლებელია. საკითხი საქართველოს სასოფლო-სამეურნეო მოსახლეობის კეთილდღეობის გაუმჯობესების შესახებ ამის გამო მჭიდროდ უკავშირდება ძვირფასი კულტურების და სამრეწველო მესაქონლეობის განვითარების აუცილებლობას. ამის მნიშვნელობა ნათლად გამომდინარეობს ცალკე კულტურების ამგვარ შეფარდებიდან: ჭვავი—1, მებაღეობა—8,83, ვენახი—14,50 თამბაქო—16,10.

მხოლოდ ინტენსიური კულტურების განვითარებით არის შესაძლებელი მცირე მიწის მქონე გლეხური მეურნეობის ნაყოფიერების აწევა და ჩვენი სოფლის თავისუფალი ძალების საწარმოო მუშაობაში ჩაბმა. ინტენსიური კულტურების განვითარება, როგორც ზევით აღვნიშნეთ, იწვევს სასოფლო-მეურნეობის განსაზოგადოების ტენდენციას.

ამრიგად, როგორც სახალხო მეურნეობის ინტერესები, ისე სოფლის მშრომელი მოსახლეობის კეთილდღეობის ზრდის ინტერესები მჭიდროდ არიან დაკავშირებული ერთმანეთთან და მოითხოვენ საქართველოს სასოფლო-მეურნეობის განვითარებას, უმთავრესად კი ძვირფასი, ტექნიკური კულტურებისა და სამრეწველო მესაქონლეობის განვითარებას სასოფლო-მეურნეობის სექტორში სოციალისტური საფუძვლების გაძლიერებასთან ერთად.

საქართველოს ჰავისა და ნიადაგის პირობები, რომლის ანალიზზეც ჩვენ არ შევჩერდებით სავსებით ხელსაყრელია სასოფლო-მეურნეობის ზემოაღნიშნული ხაზით განვითარებისათვის.

გადავიდეთ ეხლა იმ საშუალებათა საკითხზე, რომელთა გამოყენებაც შეუძლია სახელმწიფოს სასოფლო მეურნეობის დასახული გზით განვითარებისათვის. ამ მხრით მრეწველობა და სასოფლო-მეურნეობა სხვადასხვა პირობებში იმყოფებიან. მრეწველობა თითქმის სავსებით სახელმწიფოს ხელშია. ამიტომ მრეწველობის გეგმაშეწონილი განვითარება სახელმწიფოს წინასწარ აქვს გათვალისწინებული. სასოფლო მეურნეობა კი ჯერ-ჯერობით სრულიად სხვა სურათს იძლევა. სასოფლო მეურნეობის საწარმოო ძალები დაქსაქსულია მრავალრიცხოვან გლეხურ მეურნეობებს შორის, რომელთა გეგმიანი წარმართვა შეუძლებელია. ამიტომ სახელმწიფოს პოლიტიკა და მშენებლობა სასოფლო-მეურნეობის დარგში მეტ წილად გამოიხატება მთელ რიგ ღონისძიებებში, რომლებიც მიზნად ისახავენ პირობების შექმნას, როცა ყველაზე უკეთ იქნება შესაძლებელი ინდივიდუალური გლეხური მეურნეობათა სახელმწიფოსათვის სასურველი მხრით განვითარება.

გლეხურ მეურნეობაზე ზეგავლენის მოხდენა შეიძლება წარმოებისა და გასაღების დარგში. სახელმწიფომ სასოფლო მეურნეობაში სასურველი გეგმიანობის შეტანის მიზნით უნდა მიმართოს საჭირო ღონისძიებებს აღნიშნულ დარგებზე ზეგავლენის მოსახდენად.

პირველად განვიხილოთ ის ღონისძიებები, რომლებიც სასურველ ზეგავლენას მოახდენენ სასოფლო მეურნეობის საწარმოო პროცესებზე.

საქართველოს სასოფლო მეურნეობის რეკონსტრუქციისათვის, მისი რაციონალიზაციისა და საწარმოო ძალების განვითარებისათვის მთავარ ღონისძიებას წარმოადგენს მიწათმოწყობა. მიწების არაჩვეულებრივი დაქუცმაცება (7 და მეტი ნაკვეთი ერთ კომლზე), სახნავი მიწებისა და სათიბების დაშორება კარ-მიდამოდან, მიწის ნაკვეთების მეტად პატარა სივრცე წარმოადგენენ იმ ფაქტორებს, რომლებიც საგრძნობლად აფერხებენ სასოფლო-მეურნეობის ინტენსიფიკაციას, და რომლებიც თავიდან უნდა იქნენ აცილებული ფართო სამიწათმოწყობო ღონისძიებათა განხორციელებით. სამიწათმოწყობო სამუშაოთა სივრცე ყოველწლიურად მაქსიმალურად უნდა გაიზარდოს, რისთვისაც აუცილებელია საჭირო ტექნიკური ძალებით უზრუნველყოფა.

საქართველოს სასოფლო მეურნეობის ინტენსიფიკაციისათვის არა ნაკლებ მნიშვნელოვანია **სამელიორაციო მუშაობის** წარმოება. საქართველოში მიწის სიმცირე რამდენადმე აიხსნება გამოუსადეგარი მიწების დიდი პროცენტით, რაც რესპუბლიკის ტერიტორიის 26,1 პროც. შეადგენს. უვარგისი მიწების ასეთი დიდი პროცენტი გამოწვეულია არა მარტო ქვეყნის მთიანი რელიეფით და ნიადაგის პირობებით, არამედ ჰავის პირობებითაც. ატმოსფერული ნალექების რაოდენობა აღმოსავლეთ საქართველოს დაბლობ ადგილებში ქანაობს 300—500 მმ. წელიწადში, ამასთანავე ნალექების ყველაზე უფრო სიმცირეს ადგილი აქვს ზაფხულზე და შემოდგომაზე. საირიგაციო ქსელის სუსტად განვითარებასთან ერთად ეს მდგომარეობა იწვევს იმას, რომ მიწის დიდი სივრცე რჩება ან სრულიად უსარგებლოდ ან და იყენებენ ცუდათ—საძოვრებად და ხორბლეული კულტურისათვის, იმ დროს, როცა მისი გამოყენება შეიძლებოდა ძვირფასი კულტურებისათვის—ბამბისათვის, აბუსალათინისათვის და ბაღ-ბოსტნებისათვის. დასავლეთი საქართველო კლიმატიური მხრით თითქმის საწინააღმდეგო სურათს იძლევა: ატმოსფერული ნალექების რაოდენობა აქ 2.000 მმ. აღწევს და მასთან აქვს მეტად არა ზომიერი ხასიათი. ატმოსფერული ნალექების სიუხვე წყლის რეჟიმის მოუწესრიგებლობის პირობებში იწვევს ვაკე ადგილების დაჭაობიანებას დიდ სივრცეზე.

აღნიშნული მდგომარეობა წარმოადგენს ერთ ერთ მთავარ მიზეზს, რომელიც საქართველოს სასოფლო-მეურნეობას აძლევს ხორბლეულ-კულტურის მეურნეობის ხასიათს და ამცირებს ძვირფასი კულტურების როლს. მაგრამ თუ ოროგრაფიული პირობები სასურველი მიმართულებით შეიცვლება, მაშინ ტექნიკურ კულტურებს შეუძლიათ საქართველოში რამდენიმე ასი ათასი დესეტინა მიწის სივრცე დაიჭირონ.

ამრიგად, როგორც მიწის ნაკლებობის შემცირების, ისე ტექნიკური კულტურების განვითარების მიზნით, აუცილებელია დიდი სამელიორაციო მუშაობის განხორციელება საქართველოში.

ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ იმ მსხვილ სამელიორაციო სამუშაოებთან, რომლის განხორციელება თავის თავზე აქვს აღებული სახელმწიფოს (მაგალითად კოლხიდის ჭაობების ამოშრობა, სამგორის ველის მორწყვა და სხვ.), საჭიროა ყოველმხრივ ხელი შეუწყოთ სოფლის და თემის მნიშვნელობის წვრილ სამელიორაციო სამუშაოების განხორციელებასაც. ამისათვის-კი უნდა გამოვიყენოთ სოფლის მოსახლეობის თვითმოქმედება, უნდა შევქმნათ სამელიორაციო ამხანაგობები და უნდა გაუწიოთ ამ ამხანაგობებს როგორც ფულადი დახმარება (კრედიტი), ისე ტექნიკური დახმარება. ამასთანავე არ უნდა დავივიწყოთ, რომ თუ საქმე სათანადოთ იქნა დაყენებული, ამ ამხანაგობებს შეუძლია სათანადო როლი ითამაშონ სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის საქმეშიაც, როგორც ინდივიდუალურ მეურნეობათა გაერთიანების და თანამშრომლობის პირვანდელ უჯრედებს.

მიწის ნაკლებობის სიმწვავის შესანელებლათ, აგრეთვე იმ მიზნით, რომ მაქსიმალურად იქნეს გამოყენებული ის მიწები, რომლებშიც უკვე ჩატარებულია სამელიორაციო სამუშაოები, საჭიროა ამ მიწების გეგმიანათ დასახლება და ინტენსიურათ დამუშავება. ამასთან დაკავშირებით საჭირო იქნება ფართო მასშტაბით განხორციელდეს მოსახლეობის **გადასახლება და გეგმიანი დასახლება**, მაგრამ თუ მხედველობაში მივიღებთ, ერთის მხრივ მოსახლეობის ბუნებრივ ლტოლვას, მეორე მხრივ თუ ანგარიშს გაუწევთ იმ გარემოებას, რომ იმ შემთხვევაშიაც-კი, თუ მაქსიმალურად განვახორციელეთ განზრახული სამელიორაციო სამუშაოები, მაინც ვერ დავაკმაყოფილებთ მიწით საქართველოს ზედმეტ სოფლის მოსახლეობას, იმ დასკვნამდე მივალთ, რომ მოსახლეობის ნაწილი დასახლებული იქნება რესპუბლიკის ფარგლებს გარეშე.

მიწათმოწყობა, მელიორაცია და მოსახლეობის ნაწილის გადასახლება, წარმოადგენენ სახელმწიფოს ძირითად ღონისძიებებს სოფლის მეურნეობის მოწესრიგების საქმეში, ვინაიდან ეს ღონისძიებები აფართოვებენ ჩვენი სოფლის მეურნეობის მატერიალურ ბაზას და საშუალებას მისცემენ იმ მეურნეობის გაზრდას ინტენსიური კულტურების განვითარების ხაზით. მაგრამ იმისათვის, რომ გლეხობამ მთლიანად გამოიყენოს დღეს არსებული შესაძლებლობანი და ის შესაძლებლობანი, რომელნიც მოსალოდნელია მომავალში, საჭიროა აგრეთვე მთელი რიგი სხვა ისეთი ღონისძიებათა ცხოვრებაში გატარება, რომლებიც აწევენ სოფლის მეურნეობის ცალკე დარგების ნაყოფიერებას. ამ ღონისძიებათა შორის ერთ-ერთი პირველი (თუ უპირველესი არა) ადგილი უჭირავს სოფლის მეურნეობის ტრაქტორებით, მანქანებით და სათანადო ინვენტარით მომარაგების საკითხს. ამ მხრივ საქართველო ამჟამად არახელსაყრელ პირობებში იმყოფება. თუ რამდენათ უზრუნველყოფილია ჩვენი სოფლის მეურნეობა გაუმჯობესებულ მანქანებით და იარაღით, ნათელი გახდება შემდეგი ცხრილიდან, სადაც მოყვანილია პროცენტული შეფარდება მანქანების იმ რაოდენობის, რომელიც ამჟამად მოგვეპოვება, იმ რაოდენობასთან, რომელიც საჭიროა ჩვენი სოფლის მეურნეობის სრული მექანიზაციისათვის.

გუთანი	ფარცხი	სათესი მანქანა	სათიბი მანქანა	სამკელი მანქანა	სალეწი მანქანა	ტრიერი	კულტივატორი
22 პროც.	8 პროც.	2 პროც.	28 პროც.	6 პროც.	9 პროც.	10 პროც.	15 პროც.

საქართველოში მომუშავე ტრაქტორების რაოდენობა არ აღემატება 147. კაპიტალის რაოდენობა, რომელიც საჭიროა 1 დესეტინის გაუმჯობესებულ სასოფლო-სამეურნეო ინვენტარისათვის საბჭოთა კავშირის სახ. საგეგმო კომისიის მიერ ამიერ-კავკასიისათვის განსაზღვრულია 0,96 მანეთის რაოდენობით. მაგრამ მანქანებით და იარაღით ჩვენი სოფლის მეურნეობის მომარაგების დროს საჭიროა უდიდესი სიფრთხილის გამოჩენა, ნიადაგის რელიეფის და მისი ანაგობის სხვადასხვაობა ჩვენში მოითხოვენ იმის დაწვრილებით შესწავლას წინასწარ, თუ სახელდობრ რა მანქანები და იარაღებია საჭირო ამა თუ იმ რაიონში. ამ მხრივ დიდ როლს ითამაშებს საქართველოს მიწათმოქმედების სახ. კომისარიატის მიერ მოწყობილი მანქანების საცდელი სადგური.

გლეხობის უზრუნველყოფა გაუმჯობესებულ თესლეულობით და ნიადაგის გამანოყიერებელ ნივთიერებით და აგრონომიული ცოდნის აგრო დახმარება) ფართო გავრცელება, წარმოადგენენ იმ შემდგომ ღონისძიებებს, რომლებიც ხელს შეუწყობენ ჩვენს სოფლის მეურნეობის განვითარებას. მაგრამ აღნიშნული ღონისძიებები უნდა ტარდებოდენ ცხოვრებაში პარალელურად და თავის მხრივ მოითხოვენ საცდელი საქმის გაძლიერებას. საცდელ საქმეს ყველგან და ყოველთვის ჰქონდა უდიდესი მნიშვნელობა. ჩვენში-კი ამ საქმეს მით უფრო მეტი მნიშვნელობა ექნება, რომ ჩვენ განზრახული გვაქვს მთელი ჩვენი სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქცია, ახალი კულტურების გავრცელება (კანაფი, ლუფა და სხვ.) და არსებული კულტურების გაუმჯობესება და განვითარება და სხვ. საცდელი სადგურების ქსელის გაფართოება და მათი უზრუნველყოფა საჭირო მატერიალური რესურსებით—ასეთია სახელმწიფოს ერთ-ერთი ძირითადი ამოცანათაგანი.

ამით ჯერ-ჯერობით შევწყვეტთ იმ სახელმწიფო ღონისძიებათა აღნიშვნა, რომლებიც მიზნათ ისახავენ ჩვენი სასოფლო მეურნეობის მატერიალური ბაზისა და საწარმოო პროცესების გაუმჯობესებას.

გადავიდეთ იმ ღონისძიებათა გარჩევაზე, რომელიც საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების მიზნით, განზრახული აქვს სახელმწიფოს სოფლის მეურნეობის ნაწარმოებთა გასაღების დარგში.

აქ უპირველესად ყოვლისა უნდა შევჩერდეთ ფასებზე. სახელმწიფოს ძირითად მიზანს უნდა შეადგენდეს სოფლის მეურნეობის ნაწარმოებთა ბაზრის დამორჩილება, ფასების დაწესების პროცესის დამორჩილება სახელმწიფოს გეგმიან ხელმძღვანელობისათვის. ამ დარგში უკვე ბევრი რამ გავაკეთეთ, მაგრამ იმის გამო, რომ სოფლის მეურნეობის ნაწარმოებთა ბაზარზე გამოდის გლეხთა ინდივიდუალური მეურნეობის მრავალ მილიონიანი მასა, სახელმწიფოს გავლენა ბაზრის ამ ნაწილის ფასების შექმნაზე უფრო სუსტია, ვიდრე სამრეწველო საქონლის ბაზრის ფასებზე. ამ მხრივ საჭიროა სახელმწიფო და კოოპერატიული დამამზადებელი აპარატის გაძლიერება და განმტკიცება იმ მიზნით, რომ ბოლოს ამ აპარატმა შესძლოს ჩვენი სოფლის მეურნეობის ნაწარმოებთა გასაღების მოწესრიგება. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამის მიღწევას უნდა ვცდილობდეთ უფრო ჩვენი დამამზადებელი აპარატის თვისების გაუმჯობესებით, ვიდრე კერძო ვაჭრის შევიწროებით ადმინისტრატიული ზომებით აპარატის გასაუმჯობესებლათ-კი საჭიროა მისი მოქნილობის გაძლიერება და მისი უზრუნველყოფა სათანადო მატერიალური რესურსებით. ამასთანავე ჩვენ ვფიქრობთ, რომ სახელმწიფო დამამზადებელი აპარატის გაძლიერება უნდა სწარმოებდეს უმთავრესად სასოფლო – სამეურნეო კოოპერაციის გაძლიერების, განვითარების და განმტკიცების ხაზით.

მხოლოდ უნდა აღინიშნოს, რომ არ კმარა მარტო სოფლის მეურნეობის ნაწარმოებთა ბაზრის ორგანიზაციულად დამორჩილება. ინტენსიური კულტურების განვითარების დასაჩქარებლად, საჭიროა გლეხს უზრუნველყოფილი ჰქონდეს სათანადო ეკვივალენტის მიღება ბაზაზე გატანილ ნაწარმოებისათვის. თუ საკითხს სწორედ ამ მხრივ გავარჩევთ, ვნახავთ, რომ დღემდე ყველაფერი რიგზე არ იყო. გლეხ — ნედლეულის მწარმოებელი თავის ნაწარმოებს უმთავრესად სცვლის სამრეწველო ნაწარმოებზე და საკვებ საქონელზე. ხოლო როგორც სამრეწველო, ისე საკვები საქონლის ინდექსი სოფლის მეურნეობის ნედლეულობის ინდექსზე უფრო მაღალია. ამ რიგათ ბამბის მეურნე და მეაბრეშუმე დღეს თავის ნაწარმოებისათვის ღებულობს უფრო ნაკლებ პურს და ფართლეულობას, ვიდრე ომამდე. ეს არანორმალური მდგომარეობა აუცილებლათ უნდა იქნეს გამოსწორებული, თუ ჩვენ მართლა გვსურს ნედლეული კულტურების განვითარება. ჩვენ არ უარყოფთ სოფლის მეურნეობის ზოგიერთ ნაწარმოებთა ფასების გადიდების საჭიროებას, რაც უნდა გატარდეს დამამზადებელ და სავაჭრო ორგანიზაციების ზედნადები ხარჯების შემცირების გზით, მაგრამ იმ დისპროპორციის აღმოფხვრა, რომელიც არსებობს დღეს სასოფლო - სამეურნეო ნედლეულისა და სამრეწველო საქონლის ფასებს შორის, უმთავრესად უნდა ჩაგატაროთ სასოფლო - სამეურნეო ნედლეულობის თვითღირებულების შემცირებისა (შრომის ნაყოფიერების გაძლიერება სოფლის მეურნეობაში) და ქალაქის ნაწარმოებთა ფასების დაკლების გზით. ამიტომ ფასების დაკლების კამპანია ენერგიულად გაგრძელდება, ამასთან დაკავშირებით მრეწველობის რეჟიმის სასტიკათ დაცვა და ზედნადები და ადმინისტრატიული ხარჯების შემცირება, წარმოადგენენ აუცილებელ პირობას იმ ღონისძიებათა ცხოვრებაში გასატარებლათ, რომელიც მიმართულია ჩვენი სოფლის მეურნეობის განვითარებისაკენ.

სასოფლო - სამეურნეო პროდუქციის გასაღების უზრუნველყოფის თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა აქვს ტრანსპორტის საკითხებს. ბევრ ძვირფას, მაღალ ინტენსიურ კულტურების პროდუქციის გასასაღებლად ადგილობრივი ბაზარი მეტად მცირე შესაძლებლობებს იძლევა. ამ კულტურებს სათანადო განვითარება შეუძლიათ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მათი პროდუქცია გასაღდება არა მარტო მცირე ტევადობის ადგილობრივ ბაზარზე, არამედ სხვა ფართო ბაზრებზედაც. ამ შესაძლებლობის უზრუნველსაყოფად საჭიროა, რათა ეს შორეული ბაზრები დაუახლოვდეთ წარმოების რაიონებს სათანადო სატრანსპორტო პოლიტიკით. გადასაზიდ გზების აღმშენებლობა, მაცივართა ქსელის მოწყობა, იზოტერმიულ ვაგონების რიცხვის გადიდება და, რაც უმთავრესია, ჩვენი რკ. გზების ტარიფის სათანადოთ მოწესრიგება,—აი ის რთული ამოცანები, რომელთა გადაჭრა აუცილებელია პროდუქციის გასაღებასთან დაკავშირებით. როგორც აღნიშნულია, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს რკ. გზის ტარიფებს. სატარიფო პოლიტიკა არის საერთო ეკონომიური პოლიტიკის განუყოფელი ნაწილი და ამიტომ ის უნდა ემსახურებოდეს საერთო ეკონომიურ ამოცანებს. ამ დებულების საილუსტრაციოთ, მე ვფიქრობ, საკმაოა მარტო ის, რომ ამ ცოტა ხნის წინად შეცდარი სატარიფო პოლიტიკის მეოხებით საფრთხე მოელოდა ჩვენთვის მეტად მნიშვნელოვან კულტურის—დაფნის ფოთოლის არსებობას.

სასოფლო - სამეურნეო პროდუქციის გასაღების პირობების გაუმჯობესების თვალსაზრისით უნდა მიუდგეთ აგრეთვე საკითხს ჩვენი სასოფლო მეურნეობის ინდუსტრიალიზაციის შესახებ.

სასოფლო მეურნეობის ინდუსტრიალიზაცია ჩვენ გვესმის, როგორც სასოფლო მეურნეობის პროდუქტების წინასწარ გადამუშავების, დამუშავების და შენახვის მრეწველობის განვითარება. ჩვენი სასოფლო მეურნეობის ინდუსტრიალიზაციის გზით ჩვენ გავადიდებთ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის საქონლიანობას და მის ხარისხს. ინდუსტრიალიზაცია არის ფაქტორი, რომელიც ჩვენს სასოფლო მეურნეობას შესაძლებლობას აძლევს თავის განვითარებაში დაეყრდნოს განუსაზღვრელ ტევადობის მქონე საკავშირო და უცხოეთის ბაზრებს. მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს შესაძლებლობა უზრუნველყოფილი იქნება, ჩვენი სასოფლო მეურნეობის განვითარებაში მტკიცედ ჩამოყალიბდება ის გადახრა ძვირფას და ნედლეულ კულტურებისაკენ, რომელიც უკვე შემჩნეულია.

ვინაიდან საშუალება არა გვაქვს დაწვრილებით შევეხოთ აქ სასოფლო – სამეურნეო ინდუსტრიის იმ დარგებს, რომელთა განვითარება, ჩვენის აზრით, მოსალოდნელია საქართველოში, ჩვენ მხოლოდ დავასახელებთ მათ: ა) რძის მრეწველობა: ერბოს და ყველის დამამზადებელი ქარხნები, რძის კონსერვები, რძის შაქრის დამზადება და სხვ.; ბ) ხორცის მრეწველობა: ბეკონის ქარხნები; გ) სხვა სახის მრეწველობა და კავშირებული მესაქონლეობასთან: ნაწლავების ქარხნები, მატყლის სამრეცხაოები, ტყავეულობის ქარხნები და სხვ.; დ) ბაღ - ბოსტნების ნაწარმოებთა გადამამუშავებელი მრეწველობა: მაცივრები ხილისათვის, საკონსერვო ქარხნები, თხილის საწმენდი ქარხნები, ხილის საშრობები და სხვ.; ე) ყურძნის მრეწველობა: ღვინის სარდაფები, კონიაკის და არაყის სარექტიფიკაციო ქარხნები; ვ) თამბაქო: საწყობები თამბაქოს შესანახათ და მის ფერმენტაციისათვის და სხვ.

სასოფლო – სამეურნეო ინდუსტრია ჩვენში უნდა ვითარდებოდეს, როგორც სახელმწიფო, ისე ადგილობრივ (კომუნალურ) მრეწველობის განვითარების გზით. მაგრამ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სასოფლო - სამეურნეო კოოპერატიულ ინდუსტრიას, ვინაიდან სწორედ ამ ინდუსტრიას აქვს უდიდესი მნიშვნელობა, როგორც ჩვენი სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის ფაქტორს.

თუ გადავალთ იმ ღონისძიებათა გარჩევაზე, რომლებსაც მნიშვნელობა აქვს, როგორც სოფლის მეურნეობის საწარმოო პროცესების გაუმჯობესებისათვის, ისე სოფლის მეურნეობის პროდუქციის გასაღების შესაძლებლობათა გაუმჯობესებისათვის, თავდაპირველათ უნდა შევეხოთ საკითხს საბჭოთა მეურნეობების შესახებ, ვინაიდან ეს საკითხი მჭიდროთაა დაკავშირებული სოფლის მეურნეობის ინდუსტრიალიზაციის საკითხთან. ინდივიდუალურ გლეხურ მეურნეობათა უსაზღვრო ზღვაში საბჭოთა მეურნეობანი წარმოადგენენ სწორედ იმ კუნძულებს, რომლებიც მთელი 100 პროცენტით დაპყრობილი აქვს სოციალისტურ სახელმწიფოს და რომლებიც სოფლის მეურნეობაში წარმოადგენენ ჩვენი სახალხო მეურნეობის სოციალისტურ სექტორს. ხელის შეწყობა ამ მეურნეობებისათვის და ზომების მიღება მათ განსავითარებლად და განსამტკიცებლად — ასეთია ჩვენი მშენებლობის ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანათაგანი. საბჭოთა მეურნეობანი უნდა გახდენ ჩვენი პოლიტიკის დასაყრდენ პუნქტებათ სოფლის მეურნეობის დარგში, მათ უნდა შეუწყონ ხელი მის ტექნიკურ პროგრესს, უნდა გააუმჯობესონ გლეხთა პროდუქცია, მისი გადამუშავების გზით (სასოფლო – სამეურნეო ინდუსტრია) და გლეხთა მასებს შთაუნერგონ კოლექტიური მუშაობის მეთოდები.

საქართველოს სახალხო მამულების ტრესტმა ამ მხრივ ჩაატარა მნიშვნელოვანი მუშაობა. მიზეზები, რომლებიც ხელს უშლიან ასეთი მუშაობის უფრო ფართოდ გაშლას, შეიძლება რამდენიმედ მდგომარეობდეს იმაში, რომ ჩვენი ტრესტის მუშაობა რამდენიმეთ ცალმხრივია, ე. ი. ტრესტი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს მევენახეობას, მაგრამ მთავარი მიზეზია საშუალებათა ნაკლებობა (განსაკუთრებით ძირითადი თანხის ნაკლებობა).

სწორედ ეს უკანასკნელი გარემოება იწვევს აღნიშნულ დეფექტს. ზემოდ თქმულის გამო, ამ საკითხს მომავალში უნდა დაეთმოს საკმარისი ყურადღება. სახალხო მამულების ტრესტი უნდა იწვევდეს ყურადღებას არა ვიწრო-ფისკალურ თვალსაზრისით, არამედ იმ მნიშვნელობით, რომელიც მას აქვს ჩვენი მშენებლობისათვის სოფლის მეურნეობის დარგში.

ჩვენი სოფლის მეურნეობის გადასვლა მეურნეობის ინტენსიურ ფორმებზე, აგრეთვე ჩვენი სოფლის მეურნეობის ინდუსტრიალიზაცია, მორიგ საკითხად აყენებს სოფლის მეურნეობის ელექტროფიკაციას, ელექტრო - ენერგიის მიზანშეწონილად გამოყენებას ადამიანის და მუშა საქონლის შრომის მაგიერ, მორიგ საკითხად აყენებენ აგრეთვე დღეს არსებული მექანიკური მამოძრავებლების ელექტრომამოძრავებლებით შეცვლის საჭიროებას. ამისათვის შეიძლება გამოყენებული იქნეს როგორც ის მძლავრი ჰიდროელექტრო სადგურები, რომლებიც უკვე დასრულებულია, თუ შენდება და რომლებიც წარმოადგენენ საქართველოში საბჭოთა მშენებლობის საუკეთესო მაგალითს, აგრეთვე პატარა ჰიდროელექტრო სადგურებიც. რომ სოფლის მეურნეობის ელექტროფიკაცია, არ განისაზღვროს მარტო პროვინციალურ ქალაქების და ახლო - მახლო სოფლების განათებით, მოსახლეობისათვის შეღავათიან პირობებში (ხანგრძლივი კრედიტი) სათანადო აპარატურის და მანქანების მიწოდებით საჭიროა შეიქმნეს პირობები ელექტრო ენერგიის საწარმოო მიზნებისათვის გამოსაყენებლათ.

იმის შესახებ, რომ საჭიროა ყოველგვარი დახმარება გაუწიოთ ჩვენი სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის პროცესს, უკვე ვსთქვით. აქ-კი ჩვენ ერთხელ კიდევ აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ ჩვენი სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქცია მოუფიქრებელია, თუ სოფლის მეურნეობის განვითარების მატარებლები იქნებიან მხოლოდ ხელმოკლე, განცალკევებული, ინდივიდუალური მეურნეობანი. სახელმწიფოს და სოფლის მოსახლეობის წინაშე სასოფლო მეურნეობის დარგში წამოჭრილ გრანდიოზული ამოცანების დაძლევა შესაძლოა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ძირითად საწარმოო ერთეულად სოფლის მეურნეობაში თანდათანობით გახდება არა გლეხის ოჯახი, არამედ ამა თუ იმ სახით ჩამოყალიბებული კოლექტივი. სასოფლო მეურნეობის სრული კოლექტივიზაცია ჯერჯერობით, რა თქმა უნდა, შორეული მომავლის იდეალია, მაგრამ უეჭველია, თუნდაც სუსტი ტენდენცია ამ მიმართულებით უნდა გახდეს სახელმწიფოს განსაკუთრებული მზრუნველობის საგნად, ვინაიდან რამდენადაც სასოფლო მეურნეობის რეკონსტრუქცია წარმოადგენს სოფლის მშრომელი მასების კეთილდღეობის აწევის წინაპირობას, ხოლო კოლექტივიზაცია კი აჩქარებს და აადვილებს ამ რეკონსტრუქციას, — ამდენად ის მიზანშეწონილია როგორც სოციალ - პოლიტიკური, ისე ეკონომიური თვალსაზრისით.

ამრიგად, ჩვენ დავსახეთ იმ საერთო ხასიათის ღონისძიებათა ვრცელი, თუმცა არა სავსებით ამომწურავი სისტემა, რომელთა ამოცანას შეადგენს ისეთი პირობების შექმნა, რომლებიც ხელს შეუწყობენ საქართველოს სასოფლო მეურნეობის რეკონსტრუქციის პროცესს. მაგრამ რეკონსტრუქციის ამ პროცესის განხორციელება მოითხოვს დიდ ხარჯებს არა მარტო სახელმწიფოსაგან, არამედ გლეხურ მეურნეობათაგანაც, რამდენადაც ეს უკანასკნელი სამეურნეო მოქმედების სუბიექტებს წარმოადგენენ.

გარდა ამისა, სასოფლო - სამეურნეო პროდუქციის საქონლიანობის ზრდა, რომელიც დაკავშირებულია რეკონსტრუქციის ამ პროცესთან, მოითხოვს აგრეთვე ფულად საბრუნავ საშუალებებს ჩვენი სახალხო მეურნეობის სასოფლო-სამეურნეო სექტორში. ამ საშუალებების მიღება ნაწილობრივ შეიძლება გლეხების შორის დაგროვილ თანხებიდან. მაგრამ, თუ მხედველობაში მივიღებთ საქართველოს სოფლის მოსახლეობის კეთილდღეობის დაბალ დონეს, დიდ იმედებს, განსაკუთრებით პირველ ხუთწლედში, სასოფლო მეურნეობის შიგნით დაგროვებაზე ვერ დავამყარებთ. ამიტომ საქართველოს სასოფლო მეურნეობისათვის აუცილებელი იქნება საშუალებების გარედან მოზიდვა. როგორც გლეხობის შიგნით დაგროვილ თანხების გამოყენების, ისე გარედან მოზიდულ საშუალებების მოწოდების ფუნქციები დაკისრებული აქვს უმთავრესად სასოფლო – სამეურნეო კრედიტის სისტემას.

საქართველოში ამჟამად უკვე არსებობს სასოფლო - სამეურნეო კრედიტის გაშლილი და მოწყობილი სისტემა. საჭირო იქნება ამ ქსელის რამდენათმე უფრო განვითარება და უმთავრესად კი მისი კაპიტალის გადიდება. სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო სისტემამ თავისი მხრით მეტი ყურადღება უნდა დაუთმოს საანაბარო ოპერაციების განვითარებას და ამ რიგად მასში ორი წყაროდან შემოსული საშუალებები გრძელვადიანი და მოკლევადიანი კრედიტების სახით მიაწოდოს სასოფლო მეურნეობას; ამასთანავე მან უნდა იხელმძღვანელოს იმ ამოცანებით, რომლებსაც ისახავს საბჭოთა ეკონომიური პოლიტიკა საქართველოს სასოფლო მეურნეობის პირობებში, და არ დაივიწყოს რომ სასოფლო - სამეურნეო კრედიტი წარმოადგენს ერთ-ერთ იმ ბერკეტს, რომელმაც უნდა აიყვანოს ჩვენი სასოფლო მეურნეობა განვითარების ახალ საფეხურზე.

ვათავებთ რა საერთო ხასიათის იმ ღონისძიებათა ზოგად მიმოხილვას, რომლებიც უნდა განახორციელოს სახელმწიფომ სასოფლო მეურნეობის განვითარებისა და რეკონსტრუქციის მიზნით, ჩვენ ოდნავადაც არ ვაცხადებთ პრეტენზიებს ამ ღონისძიებათა სისრულეზე. დავსახეთ რა განვითარების ძირითადი ხაზი და მნიშვნელოვანი ღონისძიებები, ჩვენ ვფიქრობთ, რომ ისინიც მოგვცემენ სრულ ეფექტს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს სასოფლო მეურნეობის ინტერესებს ჯეროვან ანგარიშს გაუწევს სახელმწიფო იმ ღონისძიებებში, რომლებსაც ის ატარებს სახალხო და სახელმწიფო მეურნეობის სხვა დარგებშიაც (სამრეწველო მშენებლობა, საგადასახადო პოლიტიკა და სხვ.), ვინაიდან სახალხო მეურნეობის ორგანიზმის ცალკე ნაწილები მჭიდროთ არიან დაკავშირებული ერთმანეთთან.

ა. გეგეჭკორი.

(დასასრული იქნება)

ხ. 1924—25 წელთან შედარებით ვაჭრობა 1927 წელში გაიზარდა 47,9 პროც. საინტერესოა ვიცოდეთ, თუ როგორია კერძო კაპიტალის მონაწილეობა ვაჭრობაში. უკანასკნელი ცნობები გვეუბნება, რომ კერძო კაპიტალი თანდათან ეცემა. ამას მოწმობს სტატისტიკურად შემოწმებული ციფრები.

ფასების დაკლება

როგორც გავატარეთ ჩვენ საერთო საცალო ფასების დაკლება. თუ ავიღებთ მთელ საქართველოს მასშტაბს, აქ ჩვენ გვაქვს საცალო ფასების დაკლება 8,3 პროც. უნდა აღინიშნოს, რომ ეს შემცირება უმთავრესად მოხდა მოგების შეკვეცის ხარჯზე. ჩვენი ამოცანა კი არის ფასების დაკლება ჩავატაროთ აგრეთვე სავაჭრო აპარატის რაციონალიზაციის გზით. პარტიამ უკვე მოგვცა დირექტივა ადმინისტრატიულ სამეურნეო ხარჯების 20 პროც. შემცირების შესახებ და ეს დირექტივა უნდა იქნეს გატარებული ცხოვრებაში, რაც უსათუოდ ხელს შეუწყობს ფასების სათანადო დონემდე დაყვანას.

მე ვათავებ ამხანაგებო, ჩემს მოხსენებას. შეიძლება გამომრჩა კიდევ ჩვენი სახალხო მეურნეობის ზოგიერთი საყურადღებო დარგები, მაგრამ ჩემი მიზანი იყო თქვენთვის მოკლედ დამესახა ჩვენი მეურნეობის დინამიკა, გამერკვია საკითხი იმის შესახებ, რომელი ელემენტები უფრო იზრდება ჩვენს მეურნეობაში—სოციალისტური თუ კაპიტალისტური. ჩვენ 1924—25 წელში საერთოდ მთელს სახალხო მეურნეობის ყოველი [illegible] აღორძინებისათვის გავიღეთ 9.233.000 მ[illegible] —27 წელს კი 35.845.000 მანეთი. 1927-[illegible] წლისათვის კი განზრახული გაღებულ იქნას 62.190.000 მანეთი. ეს ციფრები მოწმობს, რომ ჩვენ საქმით ვანხორციელებთ უდიდეს ამოცანას, რომელიც ისტორიამ დაგვაკისრა სოციალიზმის მშენებლობაზე. შეიძლება ითქვას, რომ გამარჯვება უზრუნველყოფილია. ამ გამარჯვების მთავარი საწინდარია მუშათა კლასის და მშრომელი გლეხკაცობის ფართო მასების შეერთებული ძალა და კოლექტიური შემოქმედება. (ხანგრძლივი მქუხარე ტაში).

კამათი ამხ. ავაქოვის მოხსენების გარშემო

ამხ. გარინინ

(საპონ-ზეთის ქარხანა)

ამხანაგებო, ამხ. ავაქოვის მოხსენების გამო, მე მინდა შევაჩერო თქვენი ყურადღება საპონ-ზეთის მრეწველობის საკითხზე. ეს მრეწველობა ჩვენში მძიმე მდგომარეობას განი[illegible]. ჩვენი წარმოება მთლიანად დამოკიდე[illegible] ამიერ-კავკასიის მებამბეობის მთავარ კომიტეტზე. ამ კომიტეტმა ჩვენ მოგვცა მხოლოდ 120.000 ფუთი ზეთის გამოსახდელი მარცვალი, როცა ჩვენ წარმოებას შეუძლია დაამუშაოს თითო წლის განმავლობაში 600.000 ფუთი მარცვალი. იმის გამო, რომ ნედლეული საკმაო რაოდენობით არ მოგვეპოვებოდა დაიკეტა ჩვენში ორი ქარხანა. დადგა აგრეთვე ერევნის და განჯის ქარხანაც. ამრიგად, ამხანაგებო, აქედან სჩანს, რომ საპონ-ზეთის ქარხნების აშენება თავიდანვე არ იყო შეფარდებული ნედლეულობის საკითხის მოგვარების შესაძლებლობასთან. მე ვფიქრობ, რომ ასეთ მდგომარეობას მომავალში ადგილი არ უნდა დაურჩეს (ტაში).

ამხ. არ. რუხაძე

მე, ამხანაგებო, იმის გამო, [illegible] დრო განსაზღვრულია იძულებული ვიქნები მეტად შევკვეცო ჩემი სიტყვა და შევეხო ზოგიერთ საჭირბოროტო საკითხებს. ამბობენ, რომ ჩვენს მეურნეობაში კაპიტალისტური სექტორი იზრდება სოციალისტური სექტორის ხარჯზე. როგორია საქმის ნამდვილი ვითარება. რანაირ შეფარდებაშია ერთმანეთთან სოციალისტური და კაპიტალისტური სექტორი ჩვენს მეურნეობაში. რა სურათი გვაქვს ამ მხრივ საქართველოში. ჩვენ ვიცით, რომ მრეწველობის ნაციონალიზაციის შემდეგ კერძო კაპიტალი უმთავრესად მიილტვის ვაჭრობაში. სამი უკანასკნელი წლის განმავლობაში კერძო კაპიტალი შეუჩერებლივ ადგილს უთმობს ვაჭრობის დარგშიაც კოოპერაციას და სახელმწიფო ვაჭრობას. ასე, მაგალითად, ამ ხნის განმავლობაში კერძო კაპიტალის ტრიალი ვაჭრობაში 38,7 პროც-დან დაეცა 31 პროცენტამდე. როგორია მდგომარეობა თვითონ თბილისში? ჩვენს კონფერენციას ეს განსაკუთრებით უნდა აინტერესებდეს. 1924—25 წელში კერძო კაპიტალის ხვედრითი წონა თბილისში უდრიდა 18 პროც. უკანასკნელ ხანებში კი ის დაეცა 17,8 პროც.

ფასების დაკლების დარგში: 1 ივნისისათვის ჩვენ წარმატებით შევასრულეთ პარტიის დირექტივა. ფასები, შეიძლება ითქვას, ამის შემდეგ გამაგრებულ იქნა თავის დონეზე პირველ ოქტომბრამდე. მაგრამ უკანასკნელ ხანებში ემჩნევა ფასების ზრდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე. ეს პროდუქტები კი, როგორც იცით, მუშის საბიუჯეტო შენაკრებში დიდ როლს თამაშობს. ამას უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება. საჭიროა გადაიდგას ნაბიჯები სასოფლო სამეურნეო პროდუქტების ბაზრის უფრო ენერგიულად დაპყრობისათვის.

როგორი სურათი გვაქვს ჩვენ დაქირავებულ მუშა-ხელის ზრდის საკითხში. თუმცა მენშევიკების დროს 1920 წელში ანგარიშობდენ, რომ საქართველოში არის სულ 78.000 მუშა და მოსამსახურე, მაგრამ ეს არ არის სწორი. მაშინ, როგორც ვიცით, მუშებს ანგარიშობდენ პურის ბარათების მიხედვით. აქ კი დიდ გადაჭარბებას ჰქონდა ადგილი და ამგვარი ცნობები, რასაკვირველია, არ შეიძლება ჩაითვალოს სწორად. 1927 წლის პირველ ივლისისათვის საქართველოში არის 157.000 მუშა-მოსამსახურე. ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ დაქირავებულ მუშა-ხელის საერთო რიცხვი საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დროს 100 პროც. მეტად გაიზარდა. ოქტომბრის ათი წლის თავზე ემიგრაცია, ალბად, შეეცდება გვიძღვნას ჩვენ ჩვეულებისამებრ ჩვენთვის „გამანადგურებელი" წერილები. ისინი დაიწყებენ მტკიცებას, რომ ჩვენი მეურნეობა ეცემა და სხვ. სინამდვილე კი წინააღმდეგს გვიმტკიცებს. (ორატორს მოჰყავს ჩვენი სამეურნეო ზრდის დამახასიათებელი ციფრები).

ამხ. ნატ. ქიქოძე

აქ მომხსენებელი ლაპარაკობდა აბრეშუმის მრეწველობის განვითარების შესახებ. აქ მართლა ჩვენ დიდი მიღწევები გვაქვს, მაგრამ არის ნაკლი, რომელზედაც უთუოდ უნდა შევაჩეროთ ჩვენი ყურადღება. ეს გახლავთ ის, რომ ჩვენ სრულიად დავივიწყეთ, რომ შინა-მრეწველ მეაბრეშუმეს აღარ შეუძლია იშოვნოს ისე ადვილად მისთვის საჭირო მასალა, აღებულია კურსი უმთავრესად იმაზე, რომ ჩვენ დავამზადოთ გასატანი ნახევარ ფაბრიკატი. ამ გარემოებას ხელმძღვანელ სამეურნეო ორგანომ ყურადღება უნდა მიაქციოს.

გარდა ამისა, ჩვენ ბევრს ვლაპარაკობთ უმუშევრობასთან ბრძოლის შესახებ და ინდუსტრიალიზაციის ამოცანებზე. ერთ-ერთ საშუალებად ამ ლოზუნგების განსახორციელებლად მიჩნეული გვაქვს კვალიფიციურ ცოდნის გავრცელება. სინამდვილეში კი ჩვენ ვერ ვღებულობთ კიდევ სათანადო ზომებს იმისათვის, რომ გავაფართოვოთ პროფტექნიკური განათლების საქმე. ოქტომბრის რევოლიუციის ათი წლის თავზე არც ერთი პროფტექნიკური სკოლა არ შექმნია სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს. რა საჭიროა ქარხნები, თუ არ გვეყოლება ცოცხალი მუშა-ხელი, რომელიც ამ ქარხნებში იმუშავებს. სულ ხომ რუსეთში ან სხვაგან ვერ გავგზავნით ხალხს პროფტექნიკური განათლების მისაღებად. ბოლოს და ბოლოს იქ ადგილიც არ არის იმისათვის, რომ დააკმაყოფილონ ყველა ჩვენი მოთხოვნილება. წელს იყო შემთხვევა, როცა ჩვენ წამოვაყენეთ ორი კანდიდატი რუსეთში გასაგზავნად, რომ იქ მიეღოთ პროფტექნიკური განათლება. ერთი მათგანი უკვე დააბრუნეს იმ მიზეზით, რომ ფიზიკური ნაკლი აქვსო. მეორეს დაპირდენ გაგზავნას, მაგრამ დაპირება ვერ შეუსრულეს. გარდა ამისა, საჭიროა მიღებულ იქნას ზომები აბრეშუმის თესლის დამზადების გასაუმჯობესებლად. უნდა მიექცეს ყურადღება აგრეთვე აბრეშუმის ძაფის გაიაფებას. ეხლა ის მეტად ძვირი ღირს და ამ მხრივ დიდი გაუმჯობესება არ ეტყობა იმასთან შედარებით, რაც იყო მაშინ, როცა ძაფს შინა-მრეწველური წესით ვამზადებდით (ტაში).

ამხ. ლ. ენუქიძე

ტყავის ქარხანა

ამხანაგებო, მე მინდა კონფერენციის ყურადღება შევაჩერო ერთ არანორმალურ ფაქტზე. ეს გახლავთ ის, რომ როდესაც ხდება ამა თუ იმ წარმოებებისათვის თანხების განაწილება, აქ ადგილი აქვს ზოგიერთ არანორმალობას. ტყავტრესტი დღეს მუშაობს წარმატებით. მას შეუძლია კიდევაც გააფართოვოს თავისი მუშაობა, მაგრამ ამაში ხელს უშლის ის გარემოება, რომ მას არ გააჩნია საბრუნავი თანხა. ბევრჯერ აღვძრავით ჩვენ — მუშებმა ამაზე საკითხი, მაგრამ ის ჯერ კიდევ მოუწესრიგებელია. თანხები ვერ ნაწილდება თანაბრად არა მარტო წარმოებებს შორის, არამედ სხვადასხვა რესპუბლიკებს შორისაც. საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლესმა საბჭომ ამ გარემოებას უნდა მიაქციოს ყურადღება და მოუღოს ბოლო ამგვარ არანორმალობას.

დღეს ქეჩის ქარხანა ორ ცვლად მუშაობს. მაგრამ ბაზარს ის მაინც ვერ აკმაყოფილებს. ნედლეული მასალა ვერ უშოვნიათ. თუ ეს საკითხი არ იქნა მოგვარებული ქარხანა დადგება დაკეტის საფრთხის წინაშე.

ამხ. არეშინი

მთავარი სახელოსნოები

სანამ ქარხნის აშენებას შეუდგებოდეთ საჭიროა ვიზრუნოთ იმაზე, რომ ქარხანა უზრუნველყოფილი იყოს კვალიფიციურ მუშა-ხელით და ნედლეულით. თუმცა არის ჩვენში პროფტექნიკური სკოლები, მაგრამ ეს საკმაო არაა.

გარდა ამისა, ამხანაგებო, მე მინდა შევჩერდე კიდევ კოოპერაციის პროპაგანდის საკითხზე. მე შემთხვევა მქონდა ვყოფილიყავი სოფ. ახალ-ულიანოვკაში (კახეთი) და დავკვირვებოდი იქაურ გლეხების ცხოვრებას. ამ სოფელში ცხოვრობს 1.300 კომლი. მიუხედავად ამისა, სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია არაა სათანადოთ განვითარებული. როდესაც მე გლეხებს ვკითხე რას მიეწერება ეს, მათ მიპასუხეს, რომ არ იციან, როგორ უნდა ჩაეწერონ და მოაწყონ კოოპერაცია. სოფელში გავრცელებულია აგრეთვე მევახშეობა. მე მივი მაგალითი, როდესაც ზემოხსენებულ სოფელში ერთმა ბებერმა გლეხმა გაჰყიდა ცხენი და აღებულ თანხიდან მოიგო 1.000 მანეთზე მეტი მევახშეობის საშუალებით. ამასაც უნდა მიექცეს შესაფერი ყურადღება.

ახალ ულიანოვკაში არის წისქვილები, ნავთს ამ წისქვილებს [illegible] კერძო ვაჭარი, როგორც მან მითხრა, ის ამ ნავთს იძენს წნორის-წყალში კოოპერაციიდან და ფუთზე იგებს 60 კაპ. ნუ თუ ეს ნორმალური მდგომარეობაა. რატომ არ შეუძლია კოოპერაციას, რომ თვით მოჰკიდოს ხელი ამ საქმეს.

ამხ. ჯეჯელავა

ტყის ტრესტი

ამხ. ავაქოვმა დაიწყო თავისი მოხსენება ტყის მრეწველობის დახასიათებიდან. ეს ძალიან კარგია, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ იმდენად კარგი არ არის ტყის მრეწველობის მდგომარეობა, რამდენადაც საპატიო ადგილი მიუჩინა მას ამხ. მომხსენებელმა. როგორც იცით, მრეწველობის ამ დარგს ჩვენში უდიდესი მნიშვნელობა აქვს. მიუხედავად ამისა, ჩვენ მთელი რიგი დაბრკოლებები გვეღობება წინ. განსაკუთრებით საგრძნობია ჩვენს მუშაობაში დავალიანება გლეხებზე. მაგრამ ეს გამოწვეულია იმისგანაც, რომ ჩვენი მევალეები დროზე არ გვისწორებენ ანგარიშს. ასე, მაგალითად, ჩვენ რკინის გზიდან გვერგება 80.000 მან. ამ ფულის აღება მოგვცემდა საშუალებას რამდენადმე მაინც დაგვეკმაყოფილებინა გლეხები. მიუხედავად ამისა, ფულის მოცემა შეგვპირდნენ ჯერ კიდევ 8 ოქტომბერს და ის დღესაც არ არის მოცემული. ამბობენ სხდომამ უნდა გადასწყვიტოსო, ან სხდომის ორი წევრი თბილისშია, მესამე კი არა და საქმეც ამიტომ ჩერდება. ნუ თუ ეს ნორმალურია.

ორიოდე სიტყვა გეგმიანი აღმშენებლობის შესახებ. აი, მაგალითად, მცხეთის ხე-ტყის ქარხანა. ჩვენ აქ უნდა ავაგოთ ის ქარხანა, მაგრამ რა სარგებლობის მოტანა შეუძლია მას, როცა გასაქანი ადგილი არ არის და არ შეიძლება ისეთი ზომების მიღება, რომ პროდუქცია გააიაფო.

გუშინ აქ ამხ. ივანოვ-კავკასკიმ უთხრა ამხ. კალანდაძეს, რომ პარტია გაიზარდა და შენ იმას ველარ სცნობო. ასე ძნელი საცნობია ამხანაგებო, ის სამეურნეო მუშაკები, რომელიც დაზგიდან გაგზავნა პარტიამ საპასუხისმგებლო პოსტებზე. დღეს ეს ამხანაგები იმდენად გაიზარდენ, რომ მათი ცნობა აღარ შეიძლება. ეს შიშს გვრის ზოგიერთ გაბიუროკრატებულ სპეცებს, ჩვენ ვამბობთ, რომ ფართე გზა უნდა მივსცეთ მუშათა გამომგონლობას. მე უნდა განვაცხადო, რომ ეს ლოზუნგი ყოველთვის და ყოველგან არ ტარდება. ამის წინააღმდეგ უნდა იქნას მიღებული ენერგიული ზომები.

ამხ. ფესიუკი

მომხსენებელი შეეხო ექსპორტის საკითხს, მაგრამ მან არ გააშუქა ექსპორტის პოლიტიკური მნიშვნელობა. ჩვენ არ შეიძლება არ ვიცოდეთ, რომ ექსპორტი ერთი მთავარი საშუალებათაგანია უცხოეთის კაპიტალისაგან თავის დასაღწევად. თქვენ შეიძლება გაგეცინოთ, მაგრამ მე უნდა გითხრათ, რომ ჩვენს საექსპორტო საქმეში ბაყაყების ფეხების გატანასაც დიდი მნიშვნელობა აქვს. კაპიტალიზმი ებრძვის ჩვენს ექსპორტს. მან იცის რას უქადის საბჭოთა კონკურენცია, ამიტომაა, რომ დეტერდინგი ასე გააფთრებით იბრძვის საბჭოთა ნავთის წინააღმდეგ. შეიძლება ზოგჯერ მივაკლოთ რომელიმე საქონელი ჩვენს ფაბრიკა-ქარხნებს, მაგრამ არ შევამციროთ ექსპორტი, რომ გარეშე ბაზარზე მაგრად ვიდგეთ და ის ხელიდან არ გაუშვათ.

მე მინდა კიდევ შევჩერდე ერთ საკითხზე. ჩვენში ნაკლებ ყურადღებას აქცევენ ქალთა გასამხედროების საქმეს. ამავე დროს კაპიტალისტურ ქვეყნებში ყოველივე ღონეს ღებულობენ იმისათვის, რომ ომის დროს ქალის შრომის გამოყენება შესაძლებელი იქნება მრეწველობაში. პოლონეთი, მაგალითად, მიისწრაფვის იქითკენ, რომ მთლიანად შესცვალოს ომის დროს მამაკაცის შრომა ქალის შრომით. აქ შეიძლება ექსპლოატატორული მოსაზრებები არის, მაგრამ რაც არ უნდა იყოს, ფაქტია, რომ ამ გარემოებას, ომის წარმატებით წარმოებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს და ჩვენ მას უნდა მივაქციოთ ყურადღება.

ამხ. ფოფხაძე

(რკ. გზა)

უმუშევრობის შემცირებაზედაც ილაპარაკა აქ ამხ. ავაქოვმა; სთქვა, რომ მიღებულია ზომები მის შესანელებლად. საჭიროა ეს ზომები უფრო გავაფართოვოთ, და გავაძლიეროთ ბრძოლა უმუშევრობის წინააღმდეგ. ჩვენ ვერ ვღებულობთ სათანადო ზომებს მუშათა კვალიფიკაციურად მომზადებისათვის. არსებული პროფტექნიკური სკოლები მოთხოვნილებას ვერ აკმაყოფილებს. ეს ერთხელ კიდევ დამტკიცდა წელს, როდესაც ბევრი მსურველი, რომელთაც უნდოდათ ტექნიკური განათლების მიღება, სკოლის გარეთ დარჩა.

სოფლად უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება კრამიტის ქარხნების და აგურხანების აშენებას. ჩვენში ბევრი არის ისეთი ადგილები, სადაც ეს ქარხნები წარმატებით იმუშავებენ. ასე, მაგალითად, რაჭაში, გურიაში და სხვაგან. თუმცა იქ არის აგურისა და კრამიტის ქარხნები, მაგრამ საქონელი ისეთი მდარე ხარისხის გამოდის, რომ მას არ შეუძლია დააკმაყოფილოს ადგილობრივი მყიდველი. და მით უფრო გარეშე ბაზარი მოიპოვოს.

ამხ. დავითაშვილი

(აგურხანა)

ჩვენზე ამბობენ მტრები, რომ მართალია მუშები ჩაუდგენ სათავეში ფაბრიკა-ქარხნებს, მაგრამ ისინი საქმეს გამარჯვებით ვერ დააბოლოვებენო. ჩვენ უკვე დავამტკიცეთ, და მომავალში კიდევ უფრო თვალსაჩინოთ დავამტკიცებთ, რომ არა თუ შეგვიძლია ძველის დანგრევა, არამედ ახლის აშენებაც.

მე აგურის ქარხნიდან ვარ. მოგეხსენებათ აგური ყველაფრის საფუძველია (სიცილი). მიუხედავად ამისა, აგურის წარმოება ჩვენში მძიმე მდგომარეობაშია. მასალა ნედლი საკმაოზე მეტი გვაქვს, მაგრამ ქარხნები არ გვყოფნის. შვიდი ქარხანა გვაქვს და არ არის მიღებული სათანადო ზომები ამ ქარხნების გასაუმჯობესებლად.

დაპირება იყო, რომ აგურის გადაზიდვა უნდა მოეწყოთ ტრამვაის საშუალებით, მოიტანეს რელსები, დაგეგმეს გზა, მაგრამ ტრამვაის ლიანდაგი ჯერ კიდევ დაგებული არ არის. აგური ჩვენ გადაგვაქვს ტაჩკებით, რაიც ხშირად სამართლიან საყვედურს იწვევს მომხმარებელთა მხრივ, რადგან ასეთი გადატანით აგური ზიანდება.

აქ ლაპარაკობდენ ბინის სივიწროვის შესახებ. ეს შეიძლება იმიტომაცაა, რომ ჩვენ აგურის ნაკლებობას განვიცდით. საჭიროა გავაფართოვოთ აგურის წარმოება.

ამხ. არეშინა

(რკინის გზა)

საბჭოთა კავშირს ომის საფრთხე მოელის. განსაკუთრებული მნიშვნელობით დგას საკითხი მოსახლეობის გასამხედროების შესახებ. ეს კამპანია ვერ ტარდება სათანადო აქტივობით. მის ერთ-ერთ მთავარ ნაკლს წარმოადგენს ის, რომ გასამხედროების საქმეში არ არის სათანადო რაოდენობით ჩაბმული მშრომელი ქალები. ამას უნდა მიექცეს დიდი ყურადღება.

გარდა ამისა, ჯავშნის შესახებ. ხშირად ხდება, რომ ჯავშნის შევსების დროს წარმოებებში უმთავრესად აგზავნიან კომკავშირელ და უპარტიო ვაჟებს, მაგრამ ნაკლები ყურადღება ექცევა ქალიშვილების ჩაბმას წარმოებაში. საჭიროა პარტიამ მიუთითოს პროფკავშირებს, რომ მომავალში ასეთ არანორმალობას ადგილი აღარ დაურჩეს.

28 ოქტომბრის საღამოს სხდომა

თავმჯდომარეობს ამხ. მიხა ცხაკაია. კონფერენციას ესწრება ჩეხო-სლოვაკიის კომუნისტურ პარტიის ცეკას პოლიტბიუროს წევრი და ჩეხო-სლოვაკიის პარლამენტის კომფრაქციის თავმჯდომარე ამხ. კრეიბიხი. თავმჯდომარე მოახსენებს კონფერენციას ამის შესახებ. დელეგატები ფეხზე ადგომით ხანგრძლივ ოვაციებს უმართავენ საპატიო სტუმარს. სიტყვას ღებულობს ამხ. კრეიბიხი.

ამხ. კრეიბიხი

ამხანაგებო, მე პირველად ჩამოვედი საქართველოში. საქართველოს ცილისწამების და პროვოკაციის საგანია საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ მენშევიკებისათვის და იმპერიალისტებისათვის. რამდენიმე წლების განმავლობაში ამ ცილისწამების კამპანიას უსირცხვილოდ აწარმოებენ მშრომელი ხალხის შეურიგებელი მტრები.

თქვენ, რევოლიუციის ოსტატები ხართ. ჩვენ უნდა ვისწავლოთ თქვენგან და არა გასწავლოთ.

მე ღრმად მწამს, რომ საქართველოს მშრომელი ხალხი მისი ხელმძღვანელის, კომპარტიის მეთაურობით გასცემს ღირსეულ პასუხს საერთაშორისო მენშევიზმს და ნახევრად მენშევიზმს—ტროცკიზმის სახით. (ტაში) მაგრამ იდექით, ამხანაგებო, იმ დიდ და სახელოვან პოსტზე, რომელიც თქვენ მოიპოვეთ ოქტომბრის რევოლიუციით.

გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას. გაუმარჯოს პროლეტარიატის საერთაშორისო სოლიდარობას! (მხურვალე და ხანგრძლივი ოვაციები).

კონფერენცია ამის შემდეგ გადადის მორიგ მუშაობაზე. გრძელდება კამათი ამხ. ავაქოვის მოხსენების გარშემო.

ამხ. კელიაშვილი

ამხანაგებო, მე მინდა ამხ. ავაქოვის მოხსენების გამო შევეხო ჩვენი მეურნეობის ზოგიერთ საკითხებს. გომბორის რაიონში აღებულია ტყეები საექსპლოატაციოთ. აქ ამზადებენ როგორც შპალებს ისე შეშას, როგორ ხდება ამ ტყის ექსპლოატაცია? იჭრება ტყე, შპალები მიდის შპალებად, ამის შემდეგ კი რჩება ისეთი მასალა, რომელიც ბევრ რამეში შეიძლებოდა გამოყენებული ყოფილიყო. მაგრამ რა კი ამის გამკეთებელი არავინ არის, შპალების გამოჭრის შემდეგ დარჩენილი აუარებელი საუკეთესო ღირსების ტყის მასალა უსარგებლოდ ფუჭდება და ილუპება.

აქ ბევრს ლაპარაკობენ კვალიფიციურ მუშა ხელის მომზადების შესახებ, ეს საკითხი მართლაც მტკივნეული საკითხია. ამ მხრივ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ახალგაზრდების კვალიფიციურად მომზადებას.

არ შეიძლება არ აღვნიშნო კიდევ გაკვრით ლითონის ტრესტის ზოგიერთი დეფექტები, არ შეიძლება ითქვას, რომ ამ ტრესტის წარმოებებს ტექნიკურ მოწყობილობის მხრივ ბევრი გაუმჯობესება აქვს. ტექნიკური მოწყობილობა აქ ისევ უცვლელი არის. მუშაობაც ისეთივე წესით სწარმოებს, როგორც ეს წარმოებდა წინათ. გარდა ამისა, განსაკუთრებით აღსანიშნავია ის, რომ ლითონის ტრესტის ქარხნების ნაწარმოები გაცილებით უფრო ძვირად ფასობს, ვიდრე შინამრეწველობის მიერ დამზადებული პროდუქცია. მე მქონდა შემთხვევა პირადად დავრწმუნებულიყავი ამაში.

გადავიდეთ ეხლა შეგირდების მდგომარეობაზე წარმოებებში. მათი აღზრდა ვერ არის სათანადო სიმაღლეზე დაყენებული, შეგირდების დასვენება არ შეიძლება ჩაითვალოს ნორმალურად. ჩვენ უნდა მოვაწყოთ შეგირდებისათვის დასვენების ისეთი პირობები, რომ ისინი ტყუილ-უბრალოდ ქუჩაში და ლაზღანდარობაში არ ატარებდენ თავისუფალ დროს, არამედ კულტურული დასვენების გზით იწვრთვნებოდენ გონებრივად და პროფესიონალურადაც. ჩვენმა სამეურნეო ორგანოებმა ამ გარემოებას ანგარიში უნდა გაუწიონ.

გარდა ამისა, აქ უკვე სთქვეს, რომ საპონ-ზეთის ქარხნები უმწეო მდგომარეობაშია. ამ.-კავკ. მებამბეობის მთავარ კომიტეტის მიერ შექმნილ მონოპოლიურ პირობებმა არევ-დარევა შეიტანა ამ ქარხნის ნედლეული მასალით მომარაგების საქმეში და დღეს 100 თუ 150 კაცი უმუშევრად დარჩენის საფრთხის წინაშე სდგას.

ამხ. შუკოვი

ამხანაგებო, მე მინდა შევაჩერო თქვენი ყურადღება საბინაო აღმშენებლობის საკითხზე. ჩვენი აღმშენებლობის ეს დარგი საგრძნობლად ჩამორჩება უკან მეურნეობის საერთო განვითარებას. მართალია, არსებობს საბინაო კავშირი, რომელიც ღებულობს კრედიტს ბანკებიდან, და აშენებს მუშათა საცხოვრებელ სახლებს, მაგრამ ბევრ მუშა-მოსამსახურეს ამ ბინით სარგებლობა არ შეუძლია, ვინაიდან თითო სახლის გაკეთება 7—8 ათასი მან. ჯდება და იმისათვის, რომ მუშამ მიიღოს ბინა ამ სახლში მას სთხოვენ ბინის ღირებულების ათ პროცენტს, მხოლოდ ამის შემდეგ ასახლებენ შიგ მუშას. ათი პროცენტი კი იმდენად დიდია, რომ დაბალ და საშუალო ხელფასის მუშა-მოსამსახურეს არ შეუძლია მისი გადახდა. ამიტომ ის იძულებულია მდგომარეობას შეურიგდეს და განაგრძოს ცხოვრება ძველ შევიწროებულ პირობებში. აი, ამ საკითხს უნდა მივაქციოთ დიდი ყურადღება. ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ მრეწველობის განვითარება სხვათა შორის დაკავშირებულია საბინაო აღმშენებლობის განვითარებასთან.

ამხ. ათარბეგოვი

მრეწველობის გაფართოების ერთ მთავარ პირობას წარმოადგენს ნედლეულ ბაზრის შექმნა და მრეწველობის უზრუნველყოფა. ამ მხრივ. ამ მიზნით ჩვენ უნდა გამოვიყენოთ მოსავლიანი წლები და უნდა შევქმნათ ნედლეულის მარაგი იმისათვის, რომ ჩვენი ფაბრიკა-ქარხნები უზრუნველვყოთ ნედლეული მასალის სისტემატიური და რეგულიარული მიწოდებით. თუ ამის გამო ჩვენ ვერ მოვახერხებთ სათანადო რაოდენობით პურის ან სხვა საექსპორტო საქონლის გატანას, იმისათვის, რომ ამან გავლენა არ იქონიოს ჩვენს სავალიუტო ფონდზე, საჭიროა გაძლიერებულ იქნას ექსპორტის ისეთი მეორე ხარისხოვანი დარგები, რომელნიც დღეს მივიწყებულია და რომელთა აღორძინებაც საერთო ჯამით დაფარავს ექსპორტის დანაკლისს.

მე გულდასმით გავეცანი ამხ. ავაქოვის მოხსენებას და სამწუხაროდ ვერ ვნახე ადგილი, სადაც ნათქვამი იყო, მაცივარების მოწყობის შესახებ. აი, თუნდაც ფოთში სამტრედიაში და სხვაგან. მაცივარებს კი ესქსპორტის საქმის გაძლიერებაში დიდი მნიშვნელობა აქვს.

გარდა ამისა, ამხ. ავაქოვმა არაფერი სთქვა ან ძალიან ცოტა სთქვა პროდუქციის თვითღირებულების შემცირების შესახებ. ეს მაშინ, როცა პარტია დღეს ამ საკითხს ერთ-ერთ მორიგ მთავარ ამოცანად აყენებს.

ამხ. აქ. ენუქიძე

ამხანაგებო, ჩვენ თუ გვსურს, რომ მრეწველობამ წარმატებით იმუშაოს, უნდა ვიზრუნოთ დაზგებისა და მანქანების გაუმჯობესება-გადახალისებაზე. ჩვენ კი ბევრ შემთხვევაში ასეთ გადახალისება-გაუმჯობესებას ვერ ვამჩნევთ.

ამასთან ერთად, ჩვენ ვიცით, რომ განსაკუთრებით დღევანდელ პირობებში, როცა ა[illegible] რეალურად სდგას საკითხი ომის საფრთხის შესახებ, რა მნიშვნელობა აქვს არსენალის სათანადო მოწყობა და გაფართოება. არსენალი აწვდის ჩვენ ჯარს ბრძოლის იარაღს. ამ[illegible]ნის გაუმჯობესება-გაფართოებას მეტი ყურადღება უნდა მივაქციოთ, ვიდრე ეს დღემდე იყო.

ამხ. ფაფახჩიანი

ამხანაგებო, წარმოებების მუშაობის შეფერხება, როგორც აქ აღინიშნეს, ხდება ხშირად იმიტომ, რომ ნედლეულის მიწოდების საქმე ვერ არის დაყენებული სათანადო ნიადაგზე. გარდა ამისა,—ჩვენი მრეწველობის განვითარების ერთ-ერთ პ[illegible] წარმოადგენს ის ცოცხალი კვალიფი[illegible] ძალა, რომელიც ქმნის პროდუქციას. ამიტომ საჭიროა ვიზრუნო[illegible]სათვის, რომ მრეწველობაა უზრუნველყოფილ იქნეს არა მარტო ნედლეულით, არამედ ამასთანავე ერთად საჭირო კვალიფიციური მუშა-ხელითაც. სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭომ უნდა გახსნას ფაბრიკა-ქარხნებთან სასწავლებლები და ამავე დროს პროფკავშირებმაც ყურადღება უნდა მიაქციონ შეგირდების აღზრდა-განვითარებას. ეხლა ხშირად ხდება, რომ შეგირდები ერთი განყოფილებიდან გადაჰყავთ მეორეში, მეორიდან მესამეში და ასე დაუსრულებლივ. არის მაგალითები, როცა 18 წლის მოწაფეს გავლილი აქვს რამდენიმე სახის წარმოებები და ის ნამყოფია რამდენიმე პროფკავშირში. ასეთი მდგომარეობა, რასაკვირველია, ნორმალურად არ ჩაითვლება და ამას უნდა მიექცეს შესაფერისი ყურადღება.

ამხ. თევდორაძე

მე ვეცდები, რომ ბევრი დრო არ წაგართვათ, რადგან საკითხი თითქმის ისედაც ამოწურულია. მე მინდა შევაჩერო კონფერენციის ყურადღება ერთ უარყოფით მოვლენაზე, რომელიც დამახასიათებელია ზოგჯერ სამრეწველო აღმშენებლობისათვის. მე მოგახსენებთ იმის შესახებ, რომ ხშირად იწყება ესა თუ ის დიდი საქმე და შემდეგ ისეთი კუს ნაბიჯით მიდის ის წინ, რომ ამით ზედმეტი ხარჯები ადგება სახელმწიფოსაც და საქმეც ზარალდება.

აი, მაგალითად ცემენტის ქარხანა. აქ ისეთი მდგომარეობა იყო, რომ საქმე ერთი ადგილიდან არ იძვროდა და შტატი კი აყვანილი იყო, ფული იხარჯებოდა. მხოლოდ უკანასკნელ დროს, როცა ჩამოვიდა ამხ. ავაქოვი, მგონი მან იქონია გავლენა და მუშაობა მნიშვნელოვნად გამოცოცხლდა. გარდა ამისა, ამხანაგებო, უნდა აღვნიშნო კიდევ ერთი უარყოფითი მოვლენა, რომელიც ძვირად უზის ჩვენს მეურნეობას. ეს არის ზედმეტი მივლინებები. მართალია, ამის შესახებ ერთ დროს ბევრი იწერებოდა და ბევრსაც ლაპარაკობდენ,—მაგრამ მივლინებები უკანასკნელ ხანებში უფრო ფართე ხასიათს ღებულობს. მე, რასაკვირველია, არა ვარ წინააღმდეგი მივლინებების საერთოდ, თუ ის გამოწვეულია რაიმე პრაქტიკულ და რეალურ აუცილებლობით. მაგრამ სამწუხაროდ ისე ხდება, რომ მივლინება ინიშნება მივლინ[illegible]ბისათვის. აი მაგალითად, თბილისში ჩამოდიან აფხაზეთიდან, ბზიის ნაპირებიდან თვეობით სხედან თბილისში და ორმაგ ჯამაგირს კი ღებულობენ.

გარდა ამისა, საჭიროა შევჩერდეთ კიდევ საბჭოთა აპარატის კომუნისტურ ელემენტებით გაძლიერების საკითხზე. რატომ არ შეიძლება მაგალითად, რომ ზაჭესში გავაძლიეროთ ჩვენ კომუნისტური შემადგენლობა? ასეთივე ნაბიჯი უნდა გადაიდგას სხვა დაწესებულება-წარმოებებში, სადაც კომუნისტური ელემენტები ნაკლებად მოიპოვება. ეს უფრო მეტ გარანტიებს მოგვცემს მეურნეობის განვითარებისათვის.

ორიოდე სიტყვა სატყეო ტრესტის მუშაობის შესახებ. მე მოწმე ვიყავი ისეთი შემთხვევის, რომ სატყეო ტრესტი ვერ აკმაყოფილებს შეშით თავისივე განყოფილებებს. კერძო ვაჭარი კი ზოგჯერ უფრო კარგი ხარისხის შეშას, უფრო კარგ საჟენს და უფრო იაფად ყიდის. ეს ხომ ნორმალურ მდგომარეობად არ ჩაითვლება?

ახალქალაქის მაზრაში შენდება სარძეო ფერმა. აქაც კუს ნაბიჯით მიდის საქმე. ამხანაგებო ახლოვდება დიდი ოქტომბრის ათი წლის თავი. ჩვენ გვმართებს ჯამი გაუკეთოთ ჩვენს მიღწევებს და ახალი გამარჯვებებით, ახალი წარმატებით შევეგებოთ დიადი რევოლიუციის დღესასწაულს (ტაში).

ამხ. პევცოვი

პარტიამ ჩვენ მოგვცა დირექტივა შევამციროთ პროდუქციის თვითღირებულება 6 პროცენტით. მაგრამ ბევრი წარმოება ამ დირექტივას წარმატებით ვერ ანხორციელებს. რატომ ხდება ეს? იმიტომ, რომ პროდუქციის თვითღირებულების შემცირება დამოკიდებულია არა მარტო წარმოების ხელმძღვანელ ორგანოებზე, არამედ იმაზედაც, თუ როგორს და რა ფასის ნედლეულს ღებულობს ის. როგორია ამ მხრივ თამბაქოს მრეწველობის მდგომარეობა. მართალია ჩვენთან იზრდება პროდუქციის რაოდენობა, მაგრამ ამ ზრდასთან ერთად იზრდება მუშის ხელფასიც. საკითხავია, ღებულობს თუ არა რაიმე ზომებს შინა ვაჭრობის კომისარიატი რომ ხელი შეგვიწყოს ჩვენ პროდუქციის თვითღირებულების შემცირებაში? არა. შინა ვაჭრობის კომისარიატის მიზეზით მთელი ჩვენი ღონისძიება მიმართულია იქითკენ, რომ გავაიაფოთ პროდუქციის თვითღირებულება, კარგავს თავის ფასს.

პარტია აგრეთვე გვაძლევს დირექტივას, რომ პროდუქციის გაიაფების დროს არ დაუკლოთ საქონლის თვისებას. როგორ შეიძლება, როცა შინა ვაჭრობის კომისარიატის მიერ მოწოდებული ნედლეული უფრო და უფრო მდარე ხარისხის ხდება და ამავე დროს კი ფასები ამ ნედლეულზე იზრდება?

თუ ამ საკითხებს არ მიექცა ყურადღება, ისე ლაპარაკი იმის შესახებ, რომ შევამციროთ პროდუქციის თვითღირებულება, დიდ შედეგს ვერ გამოიღებს.

ამხ. ხარაზიანი

ჯერ კიდევ თბილისის ორგანიზაციის მეშვიდე პარტკონფერენციამ დაადგინა, რომ მომხდარიყო პოლიგრაფიულ წარმოების ქარხნების კონცენტრაცია. მართალია, პოლიგრაფიულ წარმოებას დამხმარე წარმოება ქვია, მაგრამ ჩვენ ვერ დავივიწყებთ, რომ მას მაინც აქვს დიდი მნიშვნელობა. ჩვენ გვავალებენ პროდუქციის თვითღირებულების შემცირებას. ამ ამოცანის მოგვარება გვიძნელდება იმიტომ, რომ მანქანები პოლიგრაფიულ წარმოებაში თითქმის არ განახლებულა. არის საერთოდ ასეთი მავნე ტენდენცია, რომ წარმოების გაუმჯობესება-გაფართოებას ფიქრობენ მანქანების რიცხვის გამრავლების გზით. ჩვენი აზრით არაა საჭირო იმდენად მანქანების რიცხვის გამრავლებაზე ზრუნვა, რამდენადაც მანქანების განახლება. ეს ამოცანა განსაკუთრებით სდგას პოლიგრაფიულ მრეწველობის წინაშე.

ეხლა ჩვენი მრეწველობის საანგარიშო და მართვა-გამგეობის შესახებ. იყო გამოყოფილი კომისია, რომელსაც უნდა შეესწავლა ტრესტების აპარატი მისი გაუმჯობესების და გადახალისების მიზნით. ამ კომისიას არაფერი გაუკეთებია. საინტერესოა ვიცოდეთ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს აზრი, თუ როგორ ფიქრობს ის ამ საკითხის მოგვარებას.

არ შეიძლება, რა თქმა უნდა, იმის თქმა, რომ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო არ უწევდეს ხელმძღვანელობას ჩვენს მეურნეობას ეს ხელმძღვანელობა უკანასკნელ ხანებში უფრო გაძლიერდა. მაგრამ საჭიროა მისი კიდევ უფრო გაღრმავება.

ამხ. ნათელაძე

ამხ. ავაქოვი თავის მოხსენებაში შეეხო აგრეთვე კოლექტიურ მეურნეობათა საკითხს. დღემდე ამ მეურნეობებს არ ექცევა სათანადო ყურადღება. ნაწილობრივად ამითაც აიხსნება ის გარემოება, რომ კოლექტიურ მეურნეობებიდან და კომუნიდან გადიან გლეხები. სოფლის მოსახლეობაში დიდია არტელებისადმი ლტოლვა, რათა ასეთი წესით შეიძინონ სასოფლო სამეურნეო იარაღი, მაგრამ მანქანის შოვნა არც ისე ადვილი საქმეა. გლეხები აგროვებენ ფულს, გზავნიან ხალხს, გაგზავნილები კი მანქანას ვერ შოულობენ. იყო ასეთი მაგალითიც, რომ მანქანის მიღებას ბათომიდან ერთი სოფელი 6 თვეს ელოდა. ამას მოუნდა ამხანაგობის ქონება და დრო.

გარდა ამისა, უნდა მიექცეს ყურადღება შინამრეწველობის მდგომარეობასაც. შინა მრეწველები ხშირად არიან ჯარიდან დაბრუნებული ელემენტები. მათი ნაწარმოები უმთავრესად სოფელშივე საღდება, შინა-მრეწველების მძიმე მდგომარეობა იმაში გამოიხატება, რომ ის არ არის უზრუნველყოფილი სათანადო რაოდენობით ნახევარი ფაბრიკატებით, რომელიც მას ესაჭიროება. ჩამოდიან შინამრეწველები ქალაქებში, რამდენიმე დღეობით დაეძებენ საქონელს და ვერ ნახულობენ. ამასთან ერთად შინა მრეწველობისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სამუშაო იარაღების საკითხს. უნდა შევუწყოთ მათ ხელი საჭირო სამუშაო იარაღების ხელმისაწვდომ ფასებით შეძენაში.

რამდენიმე სიტყვა კიდევ სოფლის აგრონომიზაციის შესახებ. აგრონომიული პუნქტები სოფლად ძალიან იშვიათია, აგრონომები ამის გამო ხშირად უფრო გასტრალიორებად თუ ჩამოუვლიან გლეხებს, თორემ მათ საშუალება არა აქვთ ხანგრძლივად დარჩენ ერთ რომელიმე ადგილას და სათანადო პრაქტიკული მუშაობა ჩაატარონ. თუ ჩვენ გვინდა სოფლის მეურნეობის აღორძინება, აგრონომიზაციის საკითხს მეტი ყურადღება უნდა მივაქციოთ.

ეხლა გაკვრით ჩვენი საგზაო მშენებლობის შესახებ კეთდება ხშირად ახალი გზები, დიდი თანხები იხარჯება ამ გზების გაყვანაზე და ხიდების აშენებაზე. ამავე დროს ნაკეთები ძალიან მდარე ხარისხისაა. ის უფრო მოგვაგონებს პრიმიტიულ სახის გზა-ბოგირებს. ჩვენ უნდა მივიღოთ ზომები იმისათვის, რომ სახალხო ფული არ იხარჯებოდეს ასე არარაციონალურად. (ტაში).

ამხ. კოჭლაძე

ამხანაგებო, გლეხის მეურნეობის განვითარებისათვის გზას, როგორც მოგეხსენებათ, დიდი მნიშვნელობა აქვს. მიუხედავად ამისა, თბილისის ახლო მახლო სოფლებიც კი განიცდიან გზების უვარგისობის გამო დიდ სიძნელეებს.

სოფლის მეურნეობის ასაღორძინებლად ჩვენ დავაარსეთ გლეხთა ახალგაზრდობის სკოლები, მაგრამ ჯერ ჯერობით ამ სკოლებს ვერ მოაქვთ ის ნაყოფი, რომელსაც ჩვენ მოველოდით. ეს აიხსნება იმით, რომ გლეხთა ახალგაზრდობის სკოლები მოუწყობელია. მათ არა აქვთ საშუალება მოიტანონ მანქანა და გაუმჯობესებული წესით აწარმოონ მეურნეობა, რათა ამით დაარწმუნონ გლეხკაცობა სოფლის მექანიზაციის სარგებლიანობაში. გარდა ამისა, გლეხთა ახალგაზრდობის სკოლები არ არიან უზრუნველყოფილ სათანადო შენობებით. მათ ესაჭიროებათ სათბურები და სახლი თვითონ სკოლის მოსათავსებლად.

აქ მომხსენებელმა განაცხადა, რომ ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებულია სამგორის არხის გაყვანათ. გლეხობამ ეს უკვე იცის, მაგრამ ეს საქმე გაჭიანურდება. ამავე დროს, [illegible]ბი გადის, მით უფრო ნაკლებ-[illegible] მიწები საჭიროა, ამ საქმის დაჩქარება.

უნდა მიექცეს აგრეთვე ყურადღება სამეურნეო მანქანების შეძენის საკითხს. ძა[illegible] ხშირად გლეხობა მოწადინებულია შ[illegible] ტრაქტორი, მაგრამ ის მიზანს ვერ აღ[illegible]დგან ასეთი ბაზარზე არ მოიპოვება, [illegible] იშოვნა, მის მიღებას დიდი დრო უნდე[illegible]ბა სასოწარკვეთილებაში ვარდება და [illegible] მის მიერ გაცემულ საპაიო ფულის და[illegible] კი ეშინია. აი, ის საკითხები, რომლებ[illegible] მინდოდა თქვენი ყურადღების შეჩერ[illegible]

ამხ. ავაქოვის საბოლოო სიტყვა

თავდაპირველად მე შევეცდები უპასუხო შეკითხვებზე. აქ ერთი ამხანაგი მეკითხება 7 საათის სამუშაო დღის შესახებ. ამაზე ჯერ პასუხის გაცემა ძნელია. მოსკოვში, როგორც გადმოგვცეს, შექმნილია კომისია, რომელიც მუშაობს იმაზე, თუ როგორ უნდა იქნას ჩატარებული 7 საათის სამუშაო დღე. ალბად ამის შესახებ ჩვენ გვექნება თავის დროზე შესაფერისი მითითებანი და განმარტებები.

მეორე ამხანაგი დაინტერესებულია რიონზე ნაოსნობის მოწყობის საკითხით. რიონი სანაოსნოთ გამოსადეგი მდინარეა სამტრედიიდან ფოთამდე. გარდა ამისა, ეს მდინარე გადის ბათომისა და ფოთის რკინის გზის ორ შტოს შუა, გაივლის მჭიდრო დასახლებულ ადგილებზე ამასთან ერთად რიონს ამ რაიონებში გარშემო არტყამს ტყეები. რიონზე ნაოსნობის მოწყობა სასარგებლოა მით უფრო რომ ფრახტი ე. ი. ტვირთის გადაზიდვა წყლით გაცილებით უფრო იაფი ჯდება, ვიდრე ხმელეთის ტრანსპორტი. ასე რომ, ამ მხრივ ჩვენ უნდა მივიღოთ ზომები, რათა რიონზე აღდგენილ იქნას ნაოსნობა, რომელიც ერთ დროს ამ მდინარეზე უკვე დასახელებულ რაიონში იყო კიდევაც.

გადავიდეთ ეხლა მოკამათეებზე. აქ ლაპარაკი იყო ფასების დაკლების შესახებ. ფასების დაკლება ჩვენ უმთავრესად ჩავატარეთ მოგების ხარჯზე. და ეს გასაგებიცაა, ვინაიდან კამპანია ატარებდა დაკვრითი ხასიათს და შეუძლებელი იყო მოკლე ხნის განმავლობაში ჩვენს წარმოებებს და სავაჭრო ორგანოებს ჩაეტარებიათ ის რაციონალიზაციის და სხვა საშუალებებით. საჭიროა მომავალში ფასების დაკლება უმთავრესად ხდებოდეს სწორედ ამ გზით.

თქვენ რომ აიღოთ წარმოების სხვადასხვა დარგის კალკულიაცია დაინახავთ, რომ ის იკლებს, მაგრამ ეს დაკლება სათანადო ეფექტს არ იძლევა. რატომ ხდება ეს? იმიტომ, რომ ნედლეულის ფასი იმატებს.

აქ ამხანაგები ლაპარაკობდენ საპონ-ზეთის ქარხნების შეკვეცის შესახებ. ჩვენ, რასაკვირველია, ასე ადვილად ვერ შევუვლით ამ საკითხს. ჩვენ დაინტერესებული ვართ უაღრესად საპონ-ზეთის ქარხნების ნორმალურ მუშაობით და იმითაც, რომ ამ ქარხნებში მომუშავეები უსაქმოდ არ დარჩენ. მე სწორედ დღეს გადმომცეს ცნობა, რომ ა.-კ. მებამბეობის მთავარმა კომიტეტმა უკვე გადასწყვიტა მისცეს საპონ-ზეთის ქარხანას 200.000 ფუთი ზეთის გამოსახდელი მარცვალი.

ზოგიერთი ამხანაგი საყვედურს ამბობდა იმის შესახებ, რომ ჩვენ ვიწყებთ საქმეებს და არ ვუზრუნველყოფთ მათ ფინანსიურად. ეს ასე არ არის. არც ერთი ახალი მშენებლობა ჩვენ ისე არ დაგვიწყია, რომ მასზე არ ყოფილიყოს გახსნილი სათანადო ასიგნობები. ახალ წამოწყებათა მშენებლობის ტემპის შენელება უმთავრესად აიხსნება იმით, რომ ჩვენ არა გვყავს საინჟინრო-ტექნიკური ძალები სათანადო რაოდენობით, ხშირად ხდება, რომ ჩვენ პროექტს შესამოწმებლად ვგზავნით მოსკოვში, შემდეგ საზღვარგარედ და მხოლოდ ამის შემდეგ ვიწყებთ საქმეს. სხვანაირად შეუძლებელიც არის, რადგან არ შეიძლება საქმის ისე დაწყება, თუ დარწმუნებული არა ხარ, რომ მას სწორად აკეთებ ამ შემოწმება-გასინჯვის დროს კი ხშირად გვიანდება ახალი წამოწყების სათანადო ტემპით შესრულება.

აპარატის რაციონალიზაციის შესახებ უნდა ითქვას შემდეგი. ჩვენ ამ რაციონალიზაციას ვატარებთ შტატების შემცირების გზით, მაგრამ მარტო ამით არ გადაწყდება რაციონალიზაციის საკითხი. არის ზოგჯერ ისეთი მდგომარეობა, რომ თანამშრომელთა განსაზღვრული შტატი საჭიროა. მიუხედავად ამისა, ზოგიერთ[illegible]კურად ამცირებს შტატს და შემდეგ, [illegible] გამო მუშაობა ფერხდება, არალეგალურად [illegible]უებს ზედმეტ მუშაობას. საქმე ამაში რო[illegible] მთავარია აპარატის გამარტივება. და სწ[illegible] აქეთკენ უნდა იქნეს მიმართული ჩვენი [illegible]დღება.

ჩვენ უნდა მოვამზადოთ ახალი ხალხი [illegible]რატში სამუშაოდ. ძველი სკოლის თანამშ[illegible]ლები ზოგჯერ ვერ ითვისებენ რაციონალ[illegible]ციის, ახალი მუშაობის ფორმებს, ამიტომ საჭ[illegible]როა ახალი ცოცხალი ადამიანური მასალა მო[illegible]ვამზადოთ, რომელიც უფრო შეითვისებს ა[illegible] ამოცანებს და უფრო ენერგიულად გაატარებს რაციონალიზაციას.

აქ ლაპარაკობდენ კვალიფიციურ მუშა-ხელ[illegible] მომზადების შესახებ, განსაკუთრებით შეჩერ[illegible] ამაზე ამხ. ნ. ქიქოძე.

კვალიფიციური ძალების მომზადება შეი[illegible]ბა ორი გზით: ან პრაქტიკულად—წარმოე[illegible]ში, ან თეორიულად. პრაქტიკული მომზადე[illegible] ყველა შესაძლებლობანი ჩვენ არა გვაქვს, ვ[illegible]იდან ჩვენ ვიწყებთ ბევრ ახალი სახის მრე[illegible]ლობას. ამ მრეწველობისათვის საჭირო კვა[illegible]ფიკაციასაც ჩვენში ვერ მიიღებთ. გარდა ა[illegible] თეორიულად [illegible]ლებისათვის, საჭიროა ს[illegible]ჟინერო ტექნიკური ძალები. ან ცოდნის მ[illegible] ხალხი. ესენიც ჩვენ სათანადო რაოდენობი[illegible] გვეჩნია. მაშასადამე, თავის თავად ცხ[illegible] რომ ჩვენ იძულებული ვართ ჯერ-ჯერობით ვაგზავნოთ ხალხი ტექნიკური ცოდნის შე[illegible]ნათ მოსკოვში და სხვაგან. ამით აიხსნება, [illegible] საქართველოში არ დგას სათანადო სიმაღ[illegible] პროფტექნიკური განათლება. ჩვენ გავაგზა[illegible] მოსკოვში 100 კაცი. ისინი ისწავლიან, ჩამო[illegible] აქ, დადგამენ მანქანებს და ასწავლიან სხვ[illegible]

მე უკვე ვსთქვი, რომ ჩვენ განვიცდით საინ[illegible]ჟინერო ტექნიკური ძალების ნაკლებობას. ჩვენ უნდა ვიზრუნოთ პროფტექნიკური განათლების შესახებ, მაგრამ ამავე დროს საჭიროა მივიღოთ ზომები საინჟინერო, ტექნიკური ძალების გასაძლიერებლად.

ჩვენ ბევრი სიძნელეები და დაბრკოლებები გადავლახეთ და იმედი გვაქვს, რომ ყველა ამ დაბრკოლებებსაც გადავლახავთ (ხანგრძლივი ტაში).

ამხ. მიხა ცხაკაია

ამხანაგებო, შემოვიდა წინადადება, არჩეულ იქნას კომისია, რომელიც გამოიმუშავებს პრაქტიკულ წინადადებებს ამხ. ავაქოვის მოხსენების გამო. (ამხ. იაროსლავსკი აქვეყნებს კომისიის შემადგენლობის სიას, რომელშიაც შედიან სხვათა შორის ამხ. ავაქოვი, ყურულაშვილი, გ[illegible] გეჭკორი, ივანოვ-კავკასკი, ასრიევი, ფესიუკი, პევცოვი, კ. კაკაბაძე, კოჭლაძე და სხვები. კონფერენცია ერთხმად ღებულობს ამ წინადადებას და ამტკიცებს კომისიას ზემოთ მოყვანილ შემადგენლობით).

ამხანაგებო, განაგრძობს თავმჯდომარე—შემოვიდა აგრეთვე წინადადება რომ დღის წესრიგიდან მოვხსნათ საკითხი მუშათა კოოპერაციის შესახებ. ამ მოხსენების ნაცვლად ჩვენ შე[illegible]ძლია მოვისმინოთ მოხსენება საკავშირო კ[illegible] პარტიის ცეკასა და საკონტროლო ცენტრ. კ[illegible] [illegible]ანასკნელ გაერთიანებულ პლენუმ[illegible] შედეგების შესახებ კონფერენცია ადგენს [illegible]იხსნას დღის წესრიგიდან საკითხი კოოპერაციის შესახებ და კონფერენციის შემდეგი სხდომა დაინიშნოს დღეს, სალ. 6 საათზე, საკავშირო კომპარტიის ცეკასა და საკონტროლო ცენტრ. კომისიის პლენუმის შედეგების შესახებ მოხსენების მოსასმენად.

პარტიული ცხოვრება

მისალმება

საქ. კომ. პარ. (ბ) ა.-კ. საოლქო კომიტეტს

„სურახანის მე-4 პარტკონფერენცია გადაჭრით აცხადებს, რომ ურყევია საქ. კომ. პარ. (ბ) სურახანის ორგანიზაციის რიგები.

ჩვენ დარწმუნებული ვართ იმ გზის სისწორეში, რომლითაც მიდის საქ. კომ. პარ. (ბ) სურახანის ორგანიზაცია.

ის გამთიშველი ჯგუფები, რომლებიც მვრეტიან ჩვენს რიგებში და სცდილობენ საქ. კომ. პარ. (ბ) მთლიანობის შერყევას, ყოველთვის მიიღებენ ღირსეულ პასუხს ჩვენი პარტიული ორგანიზაციის რიგებში.

ოქტომბრის რევოლიუციის მეათე წლისთავზე ვაცხადებთ, რომ, როგორც ყოველთვის ჩვენ სწორად და ურყევად ვსთვლით ლენინის გზას.

ჩვენ აგრეთვე ვაცხადებთ, რომ არ დაუშვებთ პარტიულ წესდების და პარტდისციპლინის დარღვევას ოპოზიციონურ ჯგუფების მიერ.

მთელი სურახანის პარტორგანიზაციის სახელით ვაცხადებთ, რომ გადამჭრელ ბრძოლის ვაწარმოებთ გამთიშველების წინააღმდეგ. ეხლა უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე, ჩვენ გვესაჭიროება ლენინის რიგების შემჭიდროვება, ვინაიდან ჩვენი დაქსაქსვა მიგვიყვანს ლენინის გზიდან გადახვევამდე.

გაუმარჯოს ლენინის პარტიის ამიერ-კავკასიის კომუნისტურ ორგანიზაციას!

გაუმარჯოს მთლიანობას ჩვენი პარტიის რიგებში" (ადს).

ოპოზიციის წინაა[illegible]

სტალინო, 27 ოქტომბერი. [illegible]ქის ბევრ წარმოებებში გამართ[illegible] კრებები, რომლებმაც, მოისმინ[illegible]ბები ს.კ.პ. (ბ) ცეკასა და ც. ს. კ[illegible] ლი პლენუმის უკანასკნელი გა[illegible]ბის შესახებ, ერთსულოვნად მოითხ[illegible] მე-15 პარტყრილობამ ბოლო მოუღოს ოპოზიციის გამთიშველ მუშაობას (ადს).

ლუგანსკი, 27 ოქტომბერი. საოლქო კომიტეტის პლენუმმა, მოისმინა რა მოხსენება ოპოზიციის უკანასკნელი გამოსვლების შესახებ უკრაინასა და მოსკოვში, მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც სასტიკად ჰგმობს პარტიიდან ჩამოცილებულ ტროცკის, ზინოვიევის და ოპოზიციის სხვა ბელადების მუშაობას. პლენუმმა ლუგანსკის პარორგანიზაციის ყველა წევრებს მიმართა მოწოდებით კიდევ უფრო მჭიდროდ დაირაზმონ პარტიის ცეკას გარშემო. (ადს).

კიევი, 27 ოქტომბერი. № დივიზიის პარტკონფერენციამ მიიღო რეზოლიუცია, რომელიც გადაჭრით ჰგმობს ოპოზიციის მუშაობას და სრულ ნდობას უცხადებს ცეკასა და ცენტრალურ საკონტროლო კომისიას.

ცეკას სახელზე გაგზავნილ დეპეშაში ნათქვამია: „კონფერენცია დარწმუნებულია, რომ მე-15 პარტიული ყრილობა საბოლოოდ ამოსდებს ლაგამს ოპოზიციონერებს და კიდევ უფრო მჭიდროდ შეაკავშირებს პარტიის რიგებს ლენინურ ცეკას გარშემო". (ადს).

საერთაშორისო კოოპერატიული კონგრესი

სტოკჰოლმში (შვეცია)

საერთაშორისო კოოპერატიული კავშირი, ანუ მოკლეთ ალიანსი, წარმოადგენს ყველა ქვეყნების კოოპერატიულ ორგანიზაციათა გაერთიანებას. მისი სულის ჩამდგმელნი არიან ძველი კოოპერატორები, პოლიტიკური მიმართულებით კონსერვატორ-ლიბერალ-რეფორმისტები (მენშევიკები), რომელთა მიზანია თხა და მგელი ერთად აძოვონ და ფართო მასები დაარწმუნონ, რომ ქვეყანათ უკვე არსებობს მშვიდობიანობა და კაცთა შორის სათნოება. მისი მრწამსია პოლიტიკურ საქმეებში ჩაურევლობა, ნეიტრალობა, რის გამო მისი საქმიანობა ოთხ კედელ შუა გამოტანილი რეზოლიუციებს არა სცილდება. მის თვალწინ იტალიის კოოპერაცია ძირიანათ მოსპეს იქაურმა ფაშისტებმა და თუმცა ალიანსმა მოინდომა ამ თავის ძველ წევრს მორალურათ და ნივთიერად დახმარებოდა, მაგრამ მალე დარწმუნდა თავის სრულ უძლურობაში და სავსებით შეურიგდა ასეთ მდგომარეობას.

მაშ რათ შედის საბჭოთა კოოპერაცია ასეთ კავშირში, რა მიზანს ისახავს ის სამოქმედოთ?

საქმე იმაშია, რომ მთელი ქვეყნის კოოპერატივთა დიდი უმრავლესობა თავისი საფუძვლით, შემადგენლობით მუშათა კოოპერაციას წარმოადგენს. მისი წევრები მომეტებულ შემთხვევაში თითქმის მარტო მუშები არიან. მართალია, მის დღევანდელ ხელმძღვანელთა წყალობით ის ყოველივე მუშურ ელფერს და ყოველივე სასიცოცხლო ნიშან-წყალს მოკლებულია, მაგრამ სწორეთ ამიტომ ცდილობს საბჭოთა კოოპერაცია შეიტანოს მასში ახალი სული, ჩააყენოს იგი ახალ კალაპოტში, გააცხოველოს მისი მოქმედება, მისცეს მას ახალი პროგრამა, დააკავშიროს ის როგორც ადგილობრივ მუშათა ორგანიზაციებთან, ისე საერთაშორისო პროფესიონალურ ორგანიზაციებთან. საბჭოთა კოოპერაციის ასეთი მიმართულება დიდ წინააღმდეგობას იწვევს ალიანსის რეფორმისტ-წევრთა მხრით, რომელნიც დღემდე დიდ უმრავლესობას წარმოადგენენ და ეს ბრძოლა შეადგენს ამ ექვსი წლის განმავლობაში მის ნამდვილ შინაარსს და ინტერესს. ერთი მხრით ალიანსის შემატკბილებული დიდი უმრავლესობა და მეორე მხრით საბჭოთა კოოპერაცია, რომელსაც სხვა ქვეყნებიდან უერთდება რეფორმისტების სურვილის წინააღმდეგ არჩეული მცირე რიცხვი კომუნისტებისა — ასეთია ჯერჯერობით ის ძალთა განწყობილება, რომელშიაც სწარმოებს ალიანსის მოქმედება.

დაახლოვებით სამ წელიწადში ერთხელ იკრიბება ალიანსის კონგრესი, რომელსაც ესწრება მრავალრიცხოვანი წარმომადგენლობა ყველა ქვეყნის კოოპერატივებისა; აქ, სხვადასხვა კითხვების განხილვის შემდეგ ირჩევა ალიანსის ცენტრალური კომიტეტი, რომელიც თავის მხრით გამოყოფს აღმასრულებელ კომიტეტს და ეს ორი ორგანიზაცია განაგებენ ალიანსის საქმეებს კონგრესიდან კონგრესამდე.

ამ მოკლე შესავალის შემდეგ გადავდივართ თვით სტოკჰოლმის კონგრესზე, რომელსაც ადგილი ჰქონდა ამა წლის აგვისტოში, და რომელიც იწოდება მეთორმეტე კონგრესათ (ალიანსის დაარსების დღიდან).

⁂

თვით ბურჟუაზიული რიგიანობის წესები მოითხოვდა, რომ შვედებს, როგორც მასპინძლებს, გამოეჩინათ ჩვენდამი, მოჩვენებულათ მაინც ერთგვარი თავაზიანობა, ზრდილობა და პატივისცემა; ნამდვილათ კი მათ ვერ დაიცვეს ობიექტიური მიუდგომლობის მინიმუმი და პირიქით შეეცადენ მოეწამლათ საზოგადოებრივი აზრი საბჭოთა კოოპერაციის წარმომადგენლობის წინააღმდეგ. სიმართლე რომ ვსთქვათ, ინგლისთან დიპლომატიური კავშირის გაწყვეტის შემდეგ ჩვენ ფსიქოლოგიურათ მზათ ვიყავით ყოველგვარ უსიამოვნო სიურპრიზებისათვის, მაგრამ შვეციის რეფორმისტების სასახელოთ უნდა ითქვას, რომ მათ გადააჭარბეს ჩვენს მოლოდინს.

რომ იტყვიან, მგლებივით დაგვხვდენ. გაზეთები გავსებული იყო ჩვენი უარყოფითი დახასიათებით, ბევრს ლაპარაკობდენ ჩვენს უტაქტობაზე, კომუნისტურ პროპაგანდაზე, „საბჭოთა კოოპერაციის ნამდვილ სახეზე" და სხვა და სხვა. იყო მთელი სტატიები ასეთი სათაურებით: „დოქტორი იოჰანსონი ამხ. ლიუბიმოვის წინააღმდეგ", „საბჭოთა კოოპერაცია დამარცხდება", „საბჭოთა დელეგაციის წინადადებანი უარყოფილ იქნება" და სხვ. ტონის მიმცემი აქაც საერთაშორისო მენშევიკები იყვნენ. უკანასკნელათ მათ ხელობათ გაიხადეს აქონ და აღიდონ ნაციათა ლიგა და მისთან გაასწორონ საბჭოთა კავშირი. მათი მორიგი პოპულიარული ლოზუნგია „კომუნიზმი მიდის, ნაციათა ლიგა რჩება". ერთ გაზეთში მოთავსებული იყო საუბარი ალბერ ტომასთან, სადაც ეს საერთაშორისო მენშევიზმის ერთი უმთავრესი ბურჯი ასე ააშკარავებს თავის გულის ნადებს: „კომუნიზმი—ეს რეაქციაა ომის შემდეგ. როგორც პოლიტიკური მიმდინარეობა ის თანდათან მცირდება ინდუსტრიალურ ქვეყნებში. შეუძლებელია შედარება მოსკოვის კომუნისტური იდეებისა დასავლეთ ევროპის იდეებთან. მოსკოვის მიმდინარეობამ სრულიათ დაჰკარგა საზღვარგარეთისთვის თავისი ბრწყინვალე მიმზიდველობის ხასიათი. ამჟამად იგი წარმოადგენს მხოლოდ კაპიტალიზმს, რომელიც თანდათან ძლიერდება"... და სხვ.

როგორც ხედავთ, საზოგადოებრივი აზრი უკვე დამუშავებული და ჩვენს წინააღმდეგ დარაზმული იყო. ასეთ პირობებში უნდა გაგვეტარებია ჩვენ ჩვენი საკუთარი ხაზი და მოგვეხდინა ზეგავლენა ფართო კოოპერატიულ და საერთოდ საზოგადო წრეებზე.

⁂

კონგრესს წინ უძღოდა ალიანსის აღმასრულებელი და ცენტრალური კომიტეტის სხდომები. 13 აგვისტოს შეიკრიბა აღმასრულებელი კომიტეტი, რომელშიაც ჩვენ, ამხ. ხინჩუკის დაუსწრებლობის გამო, წარმომადგენელი აღარ აღმოგვაჩნდა. სათათბირო ხმით, გამონაკლისის სახით, დაშვებულ იქნა ამხ. კისინი, მან იქ წამოაყენა ორი მოთხოვნილება: 1) რომ კონგრესის პრეზიდიუმში ერთი ადგილი დაეთმოთ საბჭოთა კოოპერაციის წარმომადგენლისათვის და 2) რუსული ენა ცნობილიყო ალიანსის ოფიციალურ ენათ. ორივე ეს საკითხი გადაეცა გადასაწყვეტათ ცენტრალურ კომიტეტს, რომელიც შესდგა მეორე დღესვე, 14 აგვისტოს.

აქ, ჩვენ მიერ აღძრულ პირველი საკითხის შესახებ მე მომიხდა გამოსვლა, სადაც მთელი საბჭოთა დელეგაციის სახელით, განვაცხადე შემდეგი: აქამდე ჩვენ არასოდეს არ წამოგვიყენებია საკითხი ჩვენი წარმომადგენელის დაშვებისა კონგრესის პრეზიდიუმში, მაგრამ სამართლიანობა მოითხოვს, რომ ამჟამად ეს ადგილი მოგვეცეს ჩვენ, ვინაიდან ჩვენი ფრაქცია წარმოადგენს ალიანსის ყველაზე მნიშვნელოვან ნაწილს და ამას გარდა ჩვენ წარმოვადგენთ სხვა და სხვა დამოუკიდებელ რესპუბლიკათა კოოპერაციას. ამ საკითხის გადაწყვეტა მით უფრო ადვილია, რომ თავმჯდომარე გერდჰარტის დაუსწრებლობის გამო პრეზიდიუმში თავისუფალია ერთი ადგილი და მაშასადამე ჩვენი წარმომადგენელის შესვლით პრეზიდიუმის წევრთა რიცხვი ისევ ძველი დარჩება. ამნაირათ, ერთხელვე დადგენილი რიცხვი პრეზიდიუმის წევრებისა არ მოიმატებს და ამავე დროს სხვადასხვა ქვეყნების წარმომადგენლობა უფრო სრულათ იქნება დაცული.

რა უნდა ეთქვათ არსებითათ ასეთი წინადადების წინააღმდეგ? მათ სცადეს ფორმალურ მომენტს ამოფარებოდენ: აღმასრულებელმა კომიტეტმა ერთხელ უკვე განიხილა ეს საკითხი და ახლა შეუძლებლათ სცნობს მას დაუბრუნდესო. საქმე მაინც კენჭის ყრაზე მიდგა და ამით დამტკიცდა, რომ ცენტრალურ კომიტეტს შეეძლო ან დაედასტურებია ან უარეყო აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილება. კენჭის ყრის დროს ჩვენს წინადადებას მხარი დაუჭირა 19 წევრმა წინააღმდეგ 24-სა და ამნაირათ ჩვენი წარმომადგენელი არ იქნა დაშვებული პრეზიდიუმში.

უფრო მეტი ერთსულოვნებით გამოილაშქრეს ჩვენს წინააღმდეგ, როდესაც საქმე მიდგა საკითხზე — დაშვებულ იქნეს თუ არა რუსული ენა, როგორც ალიანსის ოფიციალური ენა. რაკი აღმასრულებელი კომიტეტი აქაც ფორმალურ მომენტს ეჭიდებოდა — ერთხელ უკვე განვიხილეთ ეს საკითხიო — ჩვენ მოვითხოვეთ, რომ ეს საკითხი გადატანილიყო კონგრესზე და იქ გარჩეულიყო პირველ რიგში, სანამ იგი სხვა საკითხების განხილვას შეუდგებოდა. საბოლოოთ უყარეს კენჭი და ჩვენმა წინადადებამ მიიღო 14 ხმა (მარტო საბჭოთა დელეგაციისა) წინააღმდეგ 30 ხმისა.

პრინციპიალური ხასიათის კამათი გაიმართა ომის საკითხზე. საქმე იმაშია, რომ ომის საშიშროება ევროპიული მუშის წინ უკვე წამომდგარია და ის ეწევა საწინააღმდეგო პროპაგანდას. ამით აიხსნება, რომ ომის საწინააღმდეგო რეზოლიუცია წამოაყენა ინგლისის დელეგაციამ, რომელიც კონსერვატორ-ლიბერალებისაგან შესდგება, მაგრამ რომელიც იძულებული იყო ანგარიში გაეწია თავის წევრთა სულიერი განწყობილებისათვის. ეს რეზოლიუცია ამაზე ადრე მიღებული იყო ინგლისის კოოპერაციის ყრილობაზე და ალიანსის დელეგატებს დავალებული ჰქონდათ ეს რეზოლიუცია დაეცვათ საერთაშორისო კონგრესზე.

ეს რეზოლიუცია სხვათა შორის ასეთ აზრს შეიცავდა: „კონგრესი მოუწოდებს ყველა კოოპერატიულ ორგანიზაციებს გადაჭრით გამოსთქვან თავისი აზრი ომის წინააღმდეგ და მთელი ქვეყნისა და თავის ნაციონალურ მთავრობათა წინაშე გამოაცხადონ, რომ ისინი შეურიგებელი მტრები არიან ყოველგვარი ეკონომიური და მილიტარისტული პოლიტიკისა, რომელსაც შეუძლია გამოიწვიოს ომი და ისინი მზათ იყვნენ გაუწიონ გადაჭრითი წინააღმდეგობა ომის გამოცხადებას და თვით ომს".

ჩვენ შევეცადეთ უფრო მეტი გარკვეულობა შეგვეტანა ამ რეზოლიუციაში და ამიტომ მოვითხოვეთ, რომ დაემატებინათ შემდეგი: „კონგრესი განსაკუთრებით მოუწოდებს ყველა კოოპერატიულ ორგანიზაციებს გამოილაშქრონ ჩინეთში წარმოებულ ომის წინააღმდეგ და აგრეთვე ხელი შეუშალონ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მიმართულ ფინანსიური და ეკონომიური ბლოკადის ყოველგვარ ცდას და მით უმეტეს მის წინააღმდეგ სამხედრო გალაშქრებას. ამ მიზნით კონგრესი მოუწოდებს ალიანსში შემავალ ყველა ორგანიზაციებს და მათ წევრებს ახლავე გამოილაშქრონ იმ ღონისძიებათა დასაცავად, რომელნიც ხელს შეუშლიან სამხედრო სამზადისს იმპერიალისტური სახელმწიფოების მხრით და უკეთუ ომი გამოცხადდება, მხარი დაუჭირონ ყოველგვარ მოძრაობას, რომელიც ხელს შეუწყობს მუშათა მოძრაობის მიზნების განხორციელებას. კონგრესი განსაკუთრებით მიაქცევს ყველა თავის წევრთა ყურადღებას, რომ აუცილებლათ საჭიროა ფართო პროპაგანდის წარმოება ომის საშიშროების წინააღმდეგ კრებებზე და კოოპერატიულ პრესაში. ამ მიზნით მხარი უნდა დავუჭიროთ ყოველგვარ ზომებს, რომელნიც ხელს შეუწყობენ მთლიანი მუშათა ფრონტის შექმნას, ვებრძოლოთ კაპიტალისტურ სახელმწიფოთა სამხედრო სამზადისს, უარვყოთ ომისა და შეიარაღებისათვის გამოთხოვილი კრედიტები, მხარი დაუჭიროთ გაფიცვებს და მასიურ გამოლაშქრებას, რომელნიც ომის წინააღმდეგაა მიმართული, ვაწარმოოთ აქტიური პროპაგანდა და საორგანიზაციო სამზადისი საერთო გაფიცვის სასარგებლოთ იმ შემთხვევისათვის, როდესაც სამხედრო მოქმედება უკვე დაიწყება".

რა თქმა უნდა ასეთი დამატება არაფრათ ეპიტნავათ არც რეზოლიუციის შემომტან—ინგლისის დელეგატებს და არც სხვა წევრებს. ამ შეჯახების შედეგი ის იყო, რომ ინგლისელებმა კიდევ უფრო შეასუსტეს თავისი რეზოლიუცია და დასთანხმდენ, რომ პირვანდელი ტექსტიდან ამოღებულიყო ის ადგილი, რომელიც ეხება „ომის წინააღმდეგ გადაჭრითი წინააღმდეგობის" გაწევას და შესცვალეს იმ აზრით, რომ ომის წინააღმდეგ ბრძოლა „ლეგალური" საშუალებებით უნდა სწარმოებდეს.

კენჭის ყრის დროს სავსებით გაიმარჯვა ოპორტიუნისტულმა სულისკვეთებამ და ჩვენი წინადადება უარყოფილ იქნა 33 ხმით.

ასეთ ატმოსფერაში სწარმოებდა კონგრესის სამზადისი.

⁂

კონგრესი გაიხსნა 15 აგვისტოს საკონცერტო შენობის დიდ ზალაში. დაესწრო 450 დელეგატი, რომელთა შორის საბჭოთა დელეგაცია წარმოდგენილი იყო 70 დელეგატით. ჩეხო-სლოვაკიას ჰყავდა 35 დელეგატი, მათ შორის 6 კომუნისტი; სხვა დელეგაციებში კომუნისტები უფრო სუსტად იყვნენ წარმოდგენილი; ამერიკის დელეგაციაში იყო ორი კომუნისტი, ნორვეგიისა და საფრანგეთისაში თითო კომუნისტი, გერმანელები პრინციპიალურად უარყოფენ დაუშვან თავის შემადგენლობაში პირველი საფეხურის კოოპერატივებიდან არჩეული კომუნისტ-დელეგატები; ასევე სჩადიან ფრანგებიც.

კონგრესს ესწრებიან სხვადასხვა მთავრობების წარმომადგენელნი (შვეციის, დანიის, ფინლიანდიის, ინგლისის, ნორვეგიის, პოლონეთის). პირველ სიტყვას ამბობს შვეციის საგარეო საქმეთა მინისტრი, რომელიც აქებ-ადიდებს ჟენევის ეკონომიურ კონფერენციას და ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ამ კონფერენციის პროგრამა სავსებით ეთანხმება დღევანდელი კონგრესის პროგრამასო. ასეთსავე შეხედულებას გამოსთქვამენ ნაციათა ლიგის წარმომადგენელი ერთი მხრით და თავისუფალი ვაჭრობის საერთაშორისო კომიტეტის წარმომადგენელი მეორე მხრით. რამოდენიმე მისასალმებელი სიტყვის შემდეგ სხდომა იხურება და ამის შემდეგ იწყება კონგრესის „საქმიანი" მუშაობა.

მხოლოთ ჩვენი დელეგაცია აძლევდა კონგრესს სიცოცხლის ნიშანწყალს. ყოველი საკითხის წამოყენებისთანავე ყველანი ჩვენსკენ იხედებოდენ და უნდოდათ შეეტყოთ, გამოვილაშქრებდით თუ არა. თუ ჩვენ არ ჩავერეოდით, რაც უნდა დიდი საკითხი ყოფილიყო, ის ერთ წუთში ამოწურულათ ითვლებოდა. ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება ცალკე წიგნათ დაბეჭდილი წინდაწინ დაურიგდათ კონგრესის წევრებს. მისი განხილვა ამ წესით სწარმოებდა. თავმჯდომარე ასახელებდა ერთმანეთზე მიყოლით ცალცალკე თავებს და ეკითხებოდა კონგრესს, ხომ არავის აქვს ამის გამო რამე შენიშვნაო. როდესაც მან დაასახელა ანგარიშის ის ნაწილი, რომლის სათაურია „კომუნისტური პროპაგანდა" გაიმართა გაცხოველებული კამათი. ანგარიშში ნათქვამია, რომ სხვადასხვა ქვეყნების პრესაში ხშირათ შეხვდებით ალიანსის პოლიტიკის გაკრიტიკებას და უეჭველია, რომ შესაფერ ცნობებს ალიანსის მოქმედების შესახებ მოსკოვის კომუნისტური პრესა იძლევაო. საბჭოთა დელეგაციის სახელით გამოდის ამხ. კისინი და აცხადებს, რომ საბჭოთა კოოპერაციას აქვს უფლება თავისუფლად გამოსთქვას თავისი აზრი, და ამ უფლებაზე ის ხელს ვერ აიღებს. ალიანსის ორგანოებში არჩეული საბჭოთა კოოპერაციის წარმომადგენელნი პასუხისმგებელი არიან მასების წინაშე და ვალდებული არიან თავისი მოქმედების ანგარიში მოათავსონ კოოპერატიულ და საერთო პრესაში. ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ ჩვენ არავითარ „კომუნისტურ პროპაგანდას" არ ვეწევით საბჭოთა კავშირის გარეშე. მაგრამ ყოველი ჩვენი წინადადება, რაც გინდ უბრალო იყოს იგი, თქვენ კომუნისტურ პროპაგანდათ მიგაჩნიათ. მაგალითათ, მთლიანი მუშათა ფრონტის შექმნა პროფესიონალურ კავშირებთან, ან და გაფიცულთათვის მხარის დაჭერა თქვენ მიერ მონათლულია როგორც „კომუნისტური პროპაგანდა"; ნამდვილათ კი ეს მუშათა ელემენტარული მოთხოვნილებებია. ჩვენ შემოვიტანეთ წინადადება, რომ კონგრესს პროტესტი გამოეცხადებია საკო-ვანცეტის გასამართლების წინააღმდეგ, მაგრამ ეს წინადადება უარყოფილ იქნა, როგორც „უაღრესად პოლიტიკური ხასიათისა". ნამდვილათ კი, რა აქვს ამას საერთო კომუნისტურ პროპაგანდასთან?

თითქმის ყოველთვის ჩვენი გამოსვლის შემდეგ სიტყვას იღებდენ გერმანელი დელეგატები, რომელნიც ყველა სხვათაგან განირჩევიან უდიდესი სიძულვილით ჩვენდამი. მათ ვერ მოუნელებიათ ჩვენი არსებობა და ეს გასაგებიცაა, თუ გავიხსენებთ, რომ ისინი არიან მართლ მორწმუნე სოციალ-დემოკრატები (მენშევიკები). სანიმუშოთ მოგვიყავნთ ერთი მათგანის, ლორენცის სიტყვას:

„რუსებს ჩვეულებათ აქვთ წამოაყრანტალონ ცნობები ალიანსის ორგანოების სხდომების შესახებ და ამ ჩვეულებას მათ თავი უნდა დაანებონ. კომუნისტები ხომ მუდამ ვალდებული არიან ყველგან პროპაგანდა აწარმოონ და ამ დროს ისინი ხმარობენ არა მარტო იეზუიტურ, არამედ ლენინურ საშუალებებსაც. ჩვენ არავითარ შემთხვევაში ნებას არ მივსცემთ ბოროტად გამოიყენონ კოოპერატიული მოძრაობა, ჩვენ მხოლოდ კოოპერატიული მიზნები გვაინტერესებს. გერმანიაში ჩვენ კარგად უსწორდებით ჩვენს კომუნისტებს და აქ კონგრესზე ჩვენს დელეგატთა შორის თქვენ ერთ კომუნისტსაც ვერ ნახავთ. ბოროტად ნუ იყენებთ ჩვენს მოთმინებას, ყველაფერს თავისი საზღვარი აქვს. დაგვიფაროს ღმერთმა ისეთი მეგობრებისაგან, როგორც საბჭოთა კოოპერაციის წარმომადგენლები არიან".

ასეთი გესლით იყო სავსე გერმანელ დელეგატების ყველა გამოსვლები.

იმ დღესვე მიღებულ იქნა რეზოლიუცია, რომელიც კმაყოფილებას გამოსთქვამს ჟენევაში შემდგარ საერთაშორისო ეკონომიურ კონფერენციის მუშაობის გამო. ჩვენმა დელეგაციამ აღნიშნა, რომ კაპიტალისტურ კონფერენციას არასოდეს არ ძალუძს გადასწყვიტოს მუშათა კლასის წინ წარმომდგარი პრობლემები; ეს იქიდანაც სჩანს, რომ კონფერენციაზე უარყოფილ იქნა კოოპერატიულ-პროფესიონალური ჯგუფის მოთხოვნილება იმის შესახებ, რომ კარტელებზე და ტრესტებზე დაწესებულიყო კონტროლი.

დაისვა საკითხი რუსული ენის დაშვების შესახებ ალიანსის ერთ-ერთ ოფიციალურ ენათ (გერმანულ-ფრანგულ-ინგლისურის გვერდით). ალიანსის მდივანმა მეიმ მოახსენა კონგრესს, რომ ეს საკითხი უკვე განიხილა როგორც აღმასრულებელმა, ისე ცენტრალურმა კომიტეტმა და დიდი თანაგრძნობითაც მოეპყრა მას. მაგრამ ერთი ახალი ენის მიმატება კიდევ უფრო გაადიდებდა კონგრესის მუშაობას და გააჭიანურებდა მის სხდომებს. ამიტომ უკეთესია საკითხი გადეცეს აღმასრულებელ კომიტეტს, რომელიც გამოსძებნის საშუალებას საკითხის საუკეთესოდ გადასაწყვეტად.

წინადადების დამცველად გამოვიდა ამხ. მეშჩერიაკოვი. მან განაცხადა: რუსეთის კოოპერატორების რიცხვი 20 მილიონს აღწევს. კოოპერაციის ხელმძღვანელთა შორის ბევრი მუშა და გლეხია, რომელნიც მოუთხრობენ კონგრესს კოოპერაციის იმ ახალი ფორმების და წესების შესახებ, რომელთაც ადგილი აქვთ საბჭოთა კავშირში, მაგრამ მათ არ აქვთ ეს შესაძლებლობა, რადგან არ იციან არც ერთი უცხო ენა. რაც შეეხება ამ საკითხისადმი იმ თანაგრძნობას, რომელიც ცენტრალურმა და აღმასრულებელმა კომიტეტებმა გამოიჩინეს, უნდა ითქვას, რომ ასეთივე თანაგრძნობა გამოიჩინა მთელმა კონგრესმა ამ სამი წლის წინათ, მაგრამ მას აქეთ არაფერი არ გაკეთებულა. ჩვენ არ მოვითხოვთ, რომ მომავალ კონგრესზე ყველა ჩვენი დელეგატები უეჭველად რუსულად ლაპარაკობდენ, არამედ იმას, რომ ეს უფლება მინიჭებული ჰქონდეთ მათ, ვინც უცხო ენა არ იცის.

შვეიცარიის წარმომადგენელმა მხარი დაუჭირა ჩვენს წინადადებას და განაცხადა, რომ რუსეთის მუშებს უეჭველად უნდა მივსცეთ შესაძლებლობა თავისუფლად გამოსთქვან თავისი აზრი მათთვის საინტერესო საკითხებზე. მას, საერთოთ, უხერხულად მიაჩნია ის მეთოდი, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ დღეს ყველა სიტყვები ორ ენაზე ითარგმნება. რუსეთში ამჟამად 25.000 მუშა ესპერანტოს სწავლობს. მასწავლებელთა საერთაშორისო კონგრესზე ყველა სიტყვები ესპერანტოზე ითარგმნება.

ჩვენი წინადადების დასაცავად მომზადებული ვიყავით გამოსასვლელად ერთი უკრაინელი დელეგატი და მე. კამათის შემოკლების გამო მარტო მე მომიწია გამოსვლა. მე განვაცხადე საბჭოთა დელეგაციის სახელით (უკრაინა, ბელორუსია, აზრბეიჯანი, სომხეთი და საქართველო), რომ ჩვენ მხარს უჭერთ ამ წინადადებას არა მარტო იმიტომ, რომ ჩვენ ყველას გვესმის ეს ენა და ვლაპარაკობთ მასზე, არამედ იმიტომაც, რომ ეს ენა ესმით საბჭოთა კავშირის გარეთაც (მაგალითად ჩეხო-სლოვაკია, პოლონეთი, ფინლიანდია, ლატვია, ლიტვა, ესტონეთი).

საფრანგეთის კოოპერაციის წარმომადგენელმა პროფესორმა შარლ ჟიდმა აქტიურად დაუჭირა ჩვენს წინადადებას მხარი და მოითხოვა მისი დადებითად გადაწყვეტა.

აშკარად სჩანდა, რომ თანაგრძნობა ჩვენს მხარეზე იყო. მაგრამ გერმანელ დელეგატებს მოსწყინდათ ასეთი მდგომარეობის ატანა და მოითხოვეს კამათის აღკვეთა. კენჭის ყრით ჩვენი საკითხი უარყოფილი იქნა.

შემდეგ დღეებში საკამათო დრო 8 წუთით იქნა შეზღუდული და მიუხედავად ჩვენი პროტესტისა, ყველა კითხვები თითქმის უკამათოდ წყდებოდა. მიღებულ იქნა წინადადება გერმანელ დელეგატების წინააღმდეგ, რომ საბჭოთა დელეგაციას ცენტრალურ კომიტეტში ქონდეს 14 ხმა. კოოპერაციის ნეიტრალობის წინააღმდეგ ჩვენ მოგვეცა ცოტაოდენი საშუალება გამოგვეთქვა ჩვენი აზრი.

როდესაც დაისვა ინგლისელების რეზოლიუცია ომის საშიშროების შესახებ, გამოვიდა ქალთა გილდიის წარმომადგენელი ინგლისელი ბარტონი, რომელმაც დაიცვა ამ რეზოლიუციის წინანდელი ტექსტი. ამნაირად ინგლისის დელეგატები ორ ნაწილად გაიყვენ. საბოლოოდ მიღებულ იქნა შეცვლილი ტექსტი, სადაც — „გადამჭრელ ზომებით ბრძოლის" მაცვლად შეტანილია ლეგალური საშუალებით ბრძოლა. ჩვენმა დამატებამ მიიღო 144 ხმა, ინგლისელთა წინანდელმა ტექსტმა—244, ხოლო შეცვლილმა ტექსტმა 491 ხმა.

თითქმის უკამათოდ ჩაიარა მოხსენებებმა „კოოპერატიული მუშაობის პრობლემებზე" და „სასოფლო-სამეურნეო და სამომხმარებლო კოოპერაციის ურთიერთობაზე".

ალიანსის სამოქმედო პროგრამის შესახებ ცხარე კამათმა იჩინა თავი, მაგრამ მას მალე მოუღო ბოლო პრეზიდიუმმა, რომელმაც წამოაყენა წინადადება, რომ შექმნილიყო განსაკუთრებული კომიტეტი ამ საკითხის დასამუშავებლად.

დასასრულ დადგა საკითხი თუ სად უნდა შეიკრიბოს მომავალი კონგრესი. ავსტრიელი სოციალ-დემოკრატი რენერი წინადადებას იძლევა მოწვეულ იქნეს კონგრესი ვენაში, რაც მიღებულ იქნა.

საბჭოთა დელეგაცია მოითხოვს საკო-ვანცეტის სასჯელის წინააღმდეგ რეზოლიუციის გამოტანას. პრეზიდიუმი ამ საკითხის დაყენებას არ უშვებს და კონგრესს ხურავს. გაისმის საეკლესიო ორგანის ხმა. ჩვენი დელეგაცია მღერის ინტერნაციონალს და ახშობს ორგანის ხმას. ჩვენ გვიერთდება ინგლისელ დელეგატების ნაწილი და ცალკე დელეგატები. ეტყობა, ჩვენი ასეთი ქცევა ძალიან არ მოეწონათ რეფორმისტებს, რომელთაც თავის ორგანოში ასეთი სტატია მოათავსეს: „რუსების უტაქტო გამოსვლა. ინტერნაციონალით გააყრუეს რელიგიური ჰიმნი. კონგრესის დასასრულ რუსებმა მოახდინეს უტაქტო დემონსტრაცია. როგორც კი თავმჯდომარემ გამოაცხადა, რომ კონგრესი დამთავრდა, რუსეთის რამოდენიმე დელეგატმა სიტყვა მოითხოვა წესრიგისათვის. ამაზე მათ უარი უთხრეს. დოქტორმა იოჰანსონმა მადლობა გადაუხადა თავმჯდომარეს და მიიპატიჟა დელეგატები საუზმეზე გრანდოტელში. დაუკრა საკონცერტო ზალის ორგანმა, მაგრამ რუსი დელეგატები ადგენ ფეხზე და ერთხმათ დასძახეს ინტერნაციონალი და მღეროდენ მთელი იმ დროს განმავლობაში, ვიდრე ორგანი უკრავდა და წარმოიდგინეთ იმის შემდეგაც, როდესაც მუსიკა შესწყდა".

კონგრესის შემდეგ შესდგა ახლად არჩეული ცენტრალური კომიტეტის სხდომა, სადაც ალიანსის თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა სოციალ-დემოკრატი ფინლიანდელი ტანერი 28 ხმით წინააღმდეგ პუასონისა (საფრანგეთი), რომელმაც მიიღო 26 ხმა.

⁂

საერთოდ, კონგრესზე ჩვენ ვერ გავიყვანეთ ჩვენი წინადადებები და ეს შეუძლებელიც იყო, რადგან ჩვენი მოწინააღმდეგენი იქ დიდ უმრავლესობას წარმოადგენდენ... მაგრამ მათ ვერ შესძლეს ჩვენი მოპოვებული პოზიციების დასუსტება, ჩვენ შევინარჩუნეთ ჩვენი ხვედრითი წონა ალიანსის ორგანოებში მიუხედავად გერმანელ დელეგატების მრავალგვარი საწინააღმდეგო ცდისა და ჩვენ სხვადასხვა საკითხების დროს შემოვიკრიბეთ სხვადასხვა დელეგაციები ან მათი ნაწილები. აღსანიშნავია, რომ ფრანგების და ჩეხო-სლოვაკების დელეგატები ბევრ საკითხში ჩვენს მხარეს იხრებოდენ. რასაკვირველია, სავსებით ისინი ჩვენს პოზიციას ვერ გაიზიარებენ, მაგრამ დროგამოშვებით მაინც, მასების ზეგავლენით ხშირად გახდებიან იძულებული ჩვენს წინადადებას მხარი დაუჭირონ.

გ. ტო[illegible]შელიძე.

საბჭოთა საქართველო

წერილები

ურადღება კოლექტიურ მეურნეობას

რესპუბლიკის ფარგლებში არ არის ი არც ერთი თემი, თუ პატარა სოკი, სადაც მნიშვნელოვან მიღწევებს ეს ადგილი აღმშენებლობის ფრონტთა ორგანოების ხელმძღვანელობით გლეხობის თვითმოქმედებით ჩატაა საგრძნობი მუშაობა, როგორც სოფთილმოწყობის საქმეში, ისე კულტურგშიაც.

თო სოფელი ჩაბმულია სააღმშენებლო ობაში, გაჰყავთ გზები, აგებენ სასკოლო ობებს, აფართოებენ კოოპერაციას, იხსნება მო პუნქტები, ეწყობა ქოხ-სამკითხველოწითელი კუთხეები, სწარმოებს წერა-კითხუცოდინარობის ლიკვიდაცია, და მრავალ

ოქტომბრის რევოლუციის ათი წლის თავს საბჭოთა სოფელი ხვდება მომზადებული. ყვეა თემი ცდილობს არ ჩამორჩეს, მეორეს და ამ დიდი ზეიმის ჩატარების დროს აღნუის მიღწევები, რომელიც მან მოიპოვა უციის ათი წლის თავზე.

შეძლებელია იმის უარყოფა, რომ სოფლის ხელმძღვანელ ორგანიზაციებს შეუძლიათ თავიანთი წარსული საქმიანობით, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ მიღწეული შედეგებით დაკმაყოფილება და მომავლისათვის სააღმშენებლო მუშაობის ტემპის შენელება ყოვლად შეუძლებელია. სოფელს ჯერ კიდევ ბევრი რამ ესაჭიროება, სანამ ის მიაღწევდეს თავის საბოლოო მიზანს.

განსაკუთრებით აღსანიშნავია სოფლად კოლექტიური მეურნეობის სუსტად განვითარება. ამ მიმართულებით ჯერ ძლიერ მცირეა გაკეთებული. კოლექტიური მეურნეობის განვითარების გარეშე კი შეუძლებელია სასოფლო მეურნეობის სოციალისტურ ნიადაგზე გადაყვანა.

სოფლის შეგნებულმა გლეხობამ და განსაკუთრებით კი კომუნისტური პარტიის წევრებმა უნდა უჩვენონ მაგალითი გლეხობას, რომ კოლექტიური მეურნეობის შექმნის გაცილებით უკეთ შეუძლია გლეხობის ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესება, ვინემ კერძო მეურნეობას. საბჭოთა კანონმდებლობით, ასეთ მეურნეობებს გაცილებით მეტი შეღავათები აქვს მინიჭებული.

მომავალ სამუშაო გეგმაში ამ საკითხს ესაჭიროება უფრო მეტი ყურადღების მიქცევა.

ამგვარად საბჭოთა სოფლის სამოქმედო ღონისძიებაში სდგას რევოლუციის მეორე ათეული წლის პერიოდში განგრძობა იმ მუშაობის, რომელიც განვლილ წლების განმავლობაში სწარმოებდა და აგრეთვე კოლექტიური მეურნეობების ჩამოყალიბება და მისი გაფართოებისათვის ხელის შეწყობა.

ჩვენი წარსული მუშაობა იმის თავდებია, რომ საბჭოთა სოფელი და მისი ხელმძღვანელი ორგანოები ამ ამოცანას პირნათლად შეასრულებენ.

ხ. მ

დაბა აბაშა, სენაკის მაზ.
ჩვენც არ ჩამოვრჩით

ამ საერთო აღმშენებლობას, რომელიც სწარმოებს საბჭოთა საქართველოს ფარგლებში, დაბა აბაშა არ არის ჩამორჩენილი. ამას დამადასტურებლად მოვიყვანთ მაგალითებს. აბაშაში 1924 წლიდან უკვე არსებობს ელსადგური, რომელიც ანათებს მთელს დაბას. იქვე აგებულია სახერხი ქარხანა და წისქვილი, რომელიც აბაშის მშრომელთ დიდ დახმარებას უწევს. გვაქვს საკრედიტო ამხანაგობა, რომლის ინიციატივით აბაშისა და მის რაიონში შემოაქვთ სხვადასხვა სახის სამეურნეო მანქანები და ტრაქტორიც. საკრედიტო ამხანაგობა ხსნის სახერხ ქარხანას და აგრეთვე მოსახლეობაში ავრცელებს ინდუსტრიალიზაციის სესხის ობლიგაციებს; აშენებულია აბრეშუმის პარკის ფარდული, გვაქვს სახალხო სახლი, რომელიც იტევს 700-დე კაცს. აბაშის რაიონის ერთ-ერთ მში გახსნილია მიმღები რადიო სადგური, ვე არსებობს სამეურნეო განხრიანი ცხრაწლედი, სადაც მშრომელთა შვილები ნამდვილ მეურნეო ცოდნას იძენენ. მომავლისათვის ობენ ამ სასწავლებლის სამეურნეო ტექს გადაკეთებას. აბაშაშივე არსებობს ტელეგრაფი, სახალხო სასამართლო; შედგ ა გლეხკომის სავაჭროები და წელს სავადმყოფო. გზები და ხიდები ყველგან შეკეთებულია.

ყოველივე ეს მოწმობს იმას, რომ აბაშა, რაიონი მტკიცედ სდგას აღმშენებლობის ფრონტზე.

შ. ქველაია.

სუსტი ხელმძღვანელობის შედეგი
(წერილი გარე-კახეთიდან)

დღეს ჩვენ სოფლებში გლეხობა დიდ ენერგიას ხარჯავს სარწყავი არხების გამოსაყვანად. ამ მხრივ გარე-კახეთშიაც შესამჩნევი ნაბიჯები იქნა გადადგმული, მაგრამ ამ მუშაობაში ზოგიერთ შემთხვევაში წინ გვხვდება უგეგმობა და საქმის მესვეურთაგან სუსტი ხელმძღვანელობა. ნათქვამის დასამტკიცებლად მოვიყვანთ შემდეგ მაგალითს: ამას წინეთ პატარძეულის საზოგადოებამ წინასწარ შეიმუშავა გეგმა იმის შესახებ, რომ გაეყვანა სარწყავი არხი თავიანთი მიწების მოსარწყავად. სოფ. ხაშმის საზოგადოების სახნავ მიწებზე და ყოველგვარი შეთანხმების გარეშე შეუდგა კიდეც მუშაობას, მაგრამ ხაშმმა პატარძეულის საზოგადოებას შეაჩერებინა მუშაობა, რადგან არხის გაყვანით ხაშმის სახნავი მიწები ზიანდებოდა, ხოლო ეს საქმე კი გამოსარკვევათ და სათანადოთ მოსაგვარებლად გადაეცა შესაფერ ორგანოებს. ამ საკითხების გადაწყვეტას პატარძეულის საზოგადოებამ დიდი ხანი აღარ დაუწყო ლოდინი და 11 ოქტომბერს პატარძეულიდან 100-მდე კაცი დაიძრა სამუშაოდ, დილით ადრე დაესხნენ თავს ხაშმის მიწებს და დაიწყეს თავიანთი გეგმების მიხედვით არხის გაყვანა.

როდესაც ეს გაიგეს ხაშმელებმა, ასტეხეს სოფელში ზარის რეკა და ამცნეს საზოგადოებას, პატარძეულის მიერ მათი საზოგადოების გადალახვა, ამის გამო ხაშმელები უმალ გაჩნდნენ იმ ადგილას, სადაც მათ მიწებში პატარძეულელები განაგრძობდნენ მუშაობას, აქ ამ ორ საზოგადოების შეხვედრას კარგი ამბავი არ მოჰყვა, დაერივნენ და თავ-პირი ამტვრიეს ერთი მეორეს.

ეს ამბავი დროზე ეცნობა სართიჭალის რაიმილიციას, რომელიც სწრაფად გაჩნდა ხსენებულ ადგილას, მაგრამ „კრწანისის" ველზე უკვე რამოდენიმე ათეული მებრძოლი ეგდო თავპირ დამტვრეული მიწაზე, ამ ბრძოლიდან აგრეთვე ორივე მხრიდან ბევრი წავიდა სახლში რბილად დაბეჟილ-დარეტიანებული.

აი როგორი შედეგი მოჰყვა უგეგმობას და სოფლის მესვეურთაგან სოფელზე სუსტ ხელმძღვანელობას.

საჭიროა თბილისის აღმასკომის საადგილ-მამულო განყოფილებამ დროზე მიაქციოს ამ გარემოებას შესაფერი ყურადღება და საჩქაროდ მოაგვაროს პატარძეულის და ხაშმის შორის ეს სადაო საკითხი, რომ კიდევ არ განმეორდეს ეს სამწუხარო ამბავი. ამასთანავე მადლობის ღირსია სართიჭალის რაი-მილიციის უფროსი ამხ. ი. ვანიძე და ყველა მილიციის თანამშრომლები, რომელთაც სასწრაფოთ მიიღეს საჭირო ზომები ამ ორ საზოგადოების დასაწყნარებლად, თორემ შესაძლებელი იყო ამ ადგილას რამოდენიმე გლეხი სიცოცხლეს გამოსალმებოდა.

შ. გარე-კახელი.

თამაკონის თემი, სენაკის მაზრა
დამნაშავეს პასუხი მოსთხოვეთ

თამაკონის თემში მეურნეობა სწრაფად ვითარდება. ადგილობრივი გლეხობა ეტანება ნამყენი ვენახის მოშენებას, რომელიც აქ ხარობს და კარგ მოსავალსაც იძლევა. აგრეთვე საკმაოდ მისდევენ სხვა კულტურული მცენარეების მოშენებასაც, როგორიც არის მაგალითად: ჩაი, თამბაქო, ლიმონი და სხვა. ზოგიერთი გლეხი უკვე შეუდგა ამ დარგში მუშაობას და საგრძნობ შედეგებსაც მიაღწია. ხელისუფლება აქტიურ დახმარებას უწევს გლეხობას ამ საქმეში. მაგრამ კიდევ მოიპოვებიან ზოგიერთი უპასუხისმგებლო პირები, რომელნიც თავისი უმგვანო საქციელით გულს უცრუებენ გლეხობას ინტენსიური მუშაობაზე, რომლის დასადასტურებლად მოვიყვანთ ერთ მაგალითს: მიმდინარე წლის მაისში გლეხებმა იონა და გრიშა კოხიებმა მოიწიეს 20 ფუთი თამბაქო, რომელიც წაიღეს გასასყიდათ ზუგდიდის მაზრაში — ახუთში, სადაც „სოფლის კავშირს" ჰქონდა თავისი განყოფილება თამბაქოს შესასყიდათ.

გლეხები დარწმუნებული იყვნენ, რომ მათ ნაშრომს გაყიდდენ სამართლიან ფასებში და ფულსაც თავის დროზე მიიღებდენ, მაგრამ განყოფილებაში მათ განუცხადეს: თბილისიდან ჯერ გამრჩევი არ ჩამოსულა, სანამ ის ჩამოვა, თამბაქო აქ მოგვაბარეთ, ჩამოსვლისთანავე გაცნობებთ, თამბაქოს თქვენთან ერთად გადავარჩევთ და ფულსაც მაშინ მიიღებთო. მიიღეს რა მობარების ქვითარი,—დაიმედებული ასეთი შეპირებით გლეხები სახლში დაბრუნდნენ.

დიდხანს მოუხდათ ლოდინი, სანამ პასუხს გაიგებდენ, შემდეგ მიაკითხეს განყოფილებას, სადაც მათ თამბაქოში შეაძლიეს სულ მცირე ფასი, რაზედაც გლეხები არ დასთანხმდა და მოითხოვეს თავიანთი ნაწარმოების უკან დაბრუნება, ან სამართლიანი საფასურის მიცემა, მაგრამ გარეთ გამოაგდეს და განუცხადეს: „წადით, სადაც გინდათ იქ იჩივლეთ, საქმე გასარჩევად მაინც ჩვენთან მოვა და აქედან არაფერს წაიღებთო".

ასეთი მოქცევა გლეხებისადმი ყოვლად დაუშვებელია. ამის შესახებ ხსენებულმა გლეხებმა საჩივარი შეიტანეს თბილისში „სოფლის კავშირის" გამგეობაში, სადაც მოითხოვენ საქმის გამოძიებას.

იმედია, „სოფლის კავშირის" გამგეობა გამოარკვევს მას და დამნაშავე თანამშრომელს სათანადო პასუხს მოსთხოვს. ზოგიერთი თავხედი თანამშრომლის უხეში საქციელით გლეხებს არ უნდა შევაძულოთ საზოგადოებრივი ორგანიზაციები.

ნაზურცილოელი.

წერილებიდან

შაუმიანის რაიონი, ბორჩ. მაზ.
საჭიროა თვითმოქმედება

დღეს თითქმის ყველა თემებსა და სკოლებში გაცხოველებული ენერგიით სწარმოებს შარა-გზების შეკეთება და სხვა ამგვარი აღმშენებლობა, მაგრამ ამ საქმიანობას შაუმიანის რაიონი ჩამორჩენილია. ჯერ ერთი კაციც არ გამოსულა საგზაო ზეგარის მიხედვით გზების შესაკეთებლად.

როდესაც შეეკითხებით თემ-აღმასკომის თავმჯდომარეს ამის შესახებ, ის გიპასუხებთ: ჩვენ არავითარი განკარგულება არ მიგვიღია გზების შეკეთების შესახებ და ისე ხომ არ დავიწყებთო.

თუ ეს მართალია, რას უყურებს სამაზრო აღმასკომი, რატომ დროზე არ მიაქცევს ამას ყურადღებას?

შ. ქავზანაძე.

ახალი აბაშა, სენაკის მაზრა
ენერგიულად მუშაობს

ახალ-აბაშის რაი-მილიციის უფროსად ითვლება ბ. ბაკურია, რომელიც პირნათლად ასრულებს თავის მოვალეობას. აბაშასა და მის რაიონში თითქმის, სავსებით მოსპობილ იქნა ქურდობაცობა და სხვადასხვა უწესრიგობანი.

ამჟამად ამხ. ბაკურია დიდ აქტივობას იჩენს კომკავშირელების გასამხედროების საქმეში და აგრეთვე მონაწილეობას იღებს სხვადასხვა კულტურულ საქმიანობაში.

მირ. ქველაია.

ქ. ახალსენაკი
გზას შეკეთება ესაჭიროება

ქ. ახალსენაკში მიხა ცხაკაიას ქუჩის გაგრძელებაზე, სოფ. ძონძირისაკენ მიმავალი გზა ძალზე დაზიანებულია, რომელზედაც წვიმის დროს გავლა შეუძლებელია. ეს გზა ეკუთვნის ქალაქს, ხოლო ქალაქის გზის შემდეგ სოფლისმიერ ის შეკეთებულია.

ახალსენაკის აღმასკომმა უნდა შეაკეთოს ხსენებული გზა, რაც დიდ ხარჯებს არ გამოიწვევს.

ბ. გამყელი,

სოფ. ქიმითი, გურია
შეუდექით სამზადისს

ოქტომბრის რევოლუციის ათი წლის თავის ჩასატარებლად გამოყოფილი იქნა კომისია, რომელმაც ცხრა ოქტომბერს მოაწყო კრება, რომელზედაც კომისია დაიყო ჯგუფებათ სხვადასხვა მოვალეობის შესასრულებლად. ერთ ჯგუფს დაევალა ქოხ-სამკითხველოსა და მისი ეზოს მორთვა-გამშვენიერება, მეორეს საღამოს მოწყობისათვის სამზადისი და სხვა. არჩეული ამხანაგები ენერგიულად მუშაობენ.

გ. მორჩილაძე.

სოფლის ქრონიკა

— სავადმყოფო. ოქტომბრის რევოლუციის ათი წლის თავზე თელავში საძირკველს ჩაუყრიან სავადმყოფოს შენობას.

— თელავის აღმასკომს განზრახული აქვს თელავში აგოს აგურის ქარხნები, რომლის განხორციელებას შეუდგება ოქტომბრის რევოლუციის ათი წლის თავზე.

— თელავის კეთილმოწყობა. სწარმოებს გაცხოველებული მუშაობა ქალაქის გასამშვენიერებლად.

— გზების შეკეთება. თელავის მაზრაში გაცხოველებული ენერგიით სწარმოებს შარა-გზების შეკეთება.

— გამოფენა. ოქტომბრის რევოლუციის 10 წლის თავის აღსანიშნავად ქ. ხონში ეწყობა სასოფლო-სამეურნეო გამოფენა.

— ხარჯების შემცირება. 20 პროცენტიანი ადმინისტრატიული ხარჯების შემცირება ხონის აღმასკომის მიერ წარმატებით მიმდინარეობს.

— მასების გასამხედროების მიზნით ხონში იხსნება ტირი.

— ინდუსტრიალიზაციის სესხის ობლიგაციების განაღდება როგორც ხონში, ისე მის რაიონში წარმატებით ვითარდება.

მუშათა ცხოვრება

მუშა გამომგონი
(მარელისის გრეხილ-ავეჯეულობის ფაბრიკა)

მარელისის გრეხილ-ავეჯეულობის ფაბრიკის მუშაობა სასურველად მიდის. ფაბრიკაში მუშაობს 350-მდე მუშა-მოსამსახურე, რომლის უმრავლესობა ადგილობრივი ღარიბი მოსახლეობაა. ფაბრიკის ნაწარმი დღითი-დღე იზრდება და ღირსებით უმჯობესდება, რაც აიხსნება მით, რომ მუშები თანდათან სწავლობენ და ეჩვევიან წარმოებას. მუშები, რაც უფრო უახლოვდებიან და ეცნობიან წარმოებას, მით უფრო ითვისებენ და იყვარებენ მას და თავისუფალ დროს გამოგონებაზედაც ფიქრობენ.

ამას წინეთ, ფაბრიკაში მომუშავე ძველმა მუშამ, ამხ. კონსტანტინე ცინცაძემ გამოიგონა სკამების წინა ფეხების სალაქავი დაზგა, რომელსაც, გარდა მუშა-ხელის და დროის მომჭირნეობისა, მრავალი სხვა დადებითი თვისებები აქვს. ეს დაზგა გამოსცადა და მოიწონა ადგილობრივმა საფაბრიკო-საექსპერტო კომისიამ და ტრესტის მმართველობის სპეცმა ინჟინერებმა, რომლების გამოანგარიშებით დაზგის მუშაობით ფაბრიკის მომჭირნეობა ყოველწლიურად 5.000 მანეთამდე აღწევს. ეს დაზგა უკვე მუშაობს ფაბრიკაში.

ამხ. ცინცაძის მიერ გამოგონილმა მარტივი კონსტრუქციის დაზგამ განცვიფრებაში მოიყვანა ავსტრიელი სპეციალისტი, რომელმაც გამომგონებლის ნებართვით, დაზგის ნახაზი წაიღო თავის სამშობლოში.

გარდა ამისა ამხ. ცინცაძემ ფაბრიკის ადმინისტრაციას ახალი იდეა მიაწოდა—უფრო რთული და მექანიკური დაზგისა, რომელსაც ამუშავებს და ახლო მომავალში დაამთავრებს სატყეო ტრესტის ინჟინერი—სპეციალისტი.

კანდინი.

რატომ არის დაბალი ხარისხის ჩვენი აგური

ადგილობრივი მრეწველობის განყოფილება აერთიანებს შვიდი აგურის ქარხანას. მიმდინარე წლის პროგრამა უდრის—22.000.000 ცალ აგურს. ვენს ქარხნებში არ არის გატარებული მექანიზაცია, ამიტომ აგური ვერაა მაღალი ხარისხის. ქარხნების ხელმძღვანელები აგურის დაბალ ხარისხობას თიხის უვარგისობას აწერენ. მაგრამ ეს არ არის მართალი. აგურის უვარგისობა უმთავრესად გამოწვეულია, იმით, რომ აგურის დამზადება ვერ ხდება წესიერად და გეგმის მიხედვით.

მუშები ნარდით მუშაობენ. ყველა დაინტერესებულია, რაც შეიძლება მეტი აგური დაამზადოს და მეტი ხელფასი მიიღოს. ამიტომ ისინი ღუმელში აწყობენ სველ აგურს, რის გამო აგური გამოწვის დროს დუღს და ხმება. ან კიდევ ნახევრად გამზარულ დამტვრეულია. ყოველ ქარხანას ჰყავს თავისი ინსტრუქტორი, მაგრამ ზოგიერთი მათგანი ვერ უწევს სათანადო ხელმძღვანელობას ქარხანას.

მაგალითად ქარხ. № 1-ილს მეყალიბეს, მეთიხეს და მათი ოჯახის წევრებს, ყველას ყალიბი უჭირავთ ხელში და აყალიბებენ თიხას. ისე, რომ მეთიხე ჯერ ამზადებს თიხას, ხოლო შემდეგ კი აყალიბებს, რაც ყოვლად დაუშვებელია წარმოების თვალსაზრისით. ქარხნის ინსტრუქტორი ამას არავითარ ყურადღებას არ აქცევს.

რაც შეეხება თიხის უვარგისობას, ამაზე ლაპარაკი ზედმეტია. ამას წინად ქარხ. № 1-ში გამოსცადეს თიხა და დარწმუნდნენ, რომ აღნიშნულ თიხიდან წესიერად დამზადებული აგური საუცხოო ხარისხის გამოდგა.

აგურის ხარისხის ასაწევად საჭიროა საწარმოო თათბირების უფრო ხშირად მოწვევა გარდა ამისა ქარხკომი უნდა იცავდეს საწარმოო თათბირებს დაესწრონ მუშებიც, რაც არ ხდება დღემდე.

ამას ყურადღება უნდა მიაქციოს აგრეთვე პროფკავშირებმაც.

მიხ. ბოკუჩავა.

საზეიმო საღამო
(წერილი ქუთაისიდან)

ქუთაისის საბჭოთა და სავაჭრო მუშაკების პროფკავშირის კლუბი საუცხოოთ არის მოწყობილი. შესავალ კარებთან სდგას დიდი ბელადის — ლენინის ბიუსტი, ხოლო კედლებში კი ლამაზადაა ჩამწკრივებული რევოლუციონურ მოღვაწეთა სურათები. კლუბთან არის მოწყობილი წიგნთსაცავი - სამკითხველო, სადაც აურებელი რუსულ-ქართული წიგნები მოიპოვება. სამკითხველოს ყოველდღიურად მოსდის სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთები. აგრეთვე კლუბში მოწყობილია სათამაშოები: ჭადრაკი, ბილიარდი, ნარდი და სხ. დაარსებულია მუსიკალური წრე, მომღერალთა გუნდი, ფიზკულტურის და ქალთა წრეები.

საზაფხულო მუშაობა კლუბმა უკვე შეასწყვიტა და 15 ოქტომბრიდან გადავიდა საზამთრო სეზონის მუშაობაზე. საღამო გაიხსნა ზეიმით. მოკლე სიტყვა კლუბის ზამთრის მუშაობის შესახებ სთქვა კლუბის გამგემ ამხ. მონიავამ. შემდეგ კლუბთან არსებულ დრამწრის მიერ წარმოდგენილ იქნა „აგიტსატირა „კიტრაძე". მოთამაშეებმა საუცხოოთ შეასრულეს თავიანთი როლები. ამის შემდეგ მომღერალთა გუნდმა ახლად მოწვეულ ხელმძღვანელად დ. კავსაძის ლოტბარობით შეასრულა სხვადასხვა ხალხური-რევოლუციონური სიმღერები, რამაც კარგი შთაბეჭდილება დასტოვა დამსწრე მუშა-მოსამსახურეებში.

საერთოდ კლუბის საქმიანობა სათანადო სიმაღლეზეა დაყენებული, რაც უნდა მიეწეროს კლუბის გამგეობის მუყაით მუშაობას.

ი. ბუხაიძე.

გიჟი ქალი

19 თებერვლის ქუჩა № 93-ში სცხოვრობს ლოლა შაუთიძე, რომელიც თავისი ყოფაქცევით მოსვენებას არ აძლევს მდგმურებს. ეს ქალბატონი ხშირად სრულიად უმიზეზოდ ეტხრიდება რომელიმე მდგმურს და დაუწყებს უშვერი სიტყვებით ლანძღვა-გინებას. ვერც ერთ მდგმურს მისთვის ვერაფერი გაუბედია, რადგან დარწმუნებული არიან, რომ შავ დღეს დააყენებს ლოლა. გინებაში გმირი ლოლა ხშირად გაიძახის: „იცით თქვენ მე ვინა ვარ. იცით თქვენ მე ვისი ცოლი ვარ" და სხვა.

არ გავა ისეთი დღე, რომ მოქ. ლ. შაუთიძეს არ მიაყენოს შეურაცხყოფა რომელიმე მდგმურს და არ დაუწყოს ქუჩური სიტყვებით გინება.

საჭიროა ქალაქის მილიციამ ქალბატონ ლოლას უჩვენოს შესაფერი ადგილი და მიიღოს ზომები გიჟი ქალის გამოსასწორებლად.

ხელს აწერს თერთმეტი მდგმური.

წინათ და ეხლა

22 ოქტომბერს, მოეწყო გაზ. „კომუნისტი"-ს მუშკორთა ექსკურსია თბ. 1-ლ გამსახლში, სადაც დიდი ხალისით მიიღო გამსახლის უფროსმა ამხ. ივანიძემ და მოგვცა ყოველგვარი ახსნა განმარტება გამსახლის და პატიმრების მდგომარეობის შესახებ. პირველად დავათვალიერეთ პატიმრების შესახვედრი ოთახი. წინეთ ოთახში მოწყობილი იყო ორი ბადე, რომლის შუა დადიოდა საპატიმროს ზედამხედველი. ამჟამად გაკეთებულია მხოლოდ ერთი მიაჯნარი, სადაც მნახველს შეუძლია პატიმრის ხელის ჩამორთმევა და უფრო ახლოს ლაპარაკი. შემდეგ დავათვალიერეთ გამსახლის სახელოსნოები. სადურგლოში მოწყობილია პარკეტის დასამზადებელი ჩარხები, აქვე მზადდება ნაგიდები, სკამები, შკაფები და სხვ. გამსახლი შეკვეთებს ღებულობს სხვადასხვა სახ. საზ. ორგანიზაციებიდან. ამჟამად საკერვალო ამზადებს მილიციის და ცეცხლის მქრობელ რაზმის შეკვეთებს. სახელოსნოში მუშაობს 40 პატიმარი. განზრახული ყოფილა კიდევ სახელოსნოს გაფართოება და მექანიკურ სისტემაზე გადასვლა, რისთვისაც უკვე სწარმოებს წინასწარი მუშაობა. ამხ. ივანიძის სიტყვით, სახელოსნოებში მომუშავე პატიმრებს ეძლევათ გასამრჯელო ტარიფიკაციის მიხედვით. ღირებულების 50 პროც. აქედან 25 პრ. ეძლევა ხელზე; ხოლო 25 პროც. პატიმარს ენახება სასჯელის მოხდამდე და როდესაც გადის საპატიმროდან, ეძლევა სრულიად. გარდა ამისა, მომუშავე პატიმრებს კვირაში ერთხელ ეძლევათ: 24 საათის შვებულება, გაძლიერებული ულუფა და სხვ.

საკნებში საუცხოვო სისუფთავე და წესრიგია დაცული. განსაკუთრებით სისუფთავეა აბანოში, რომელიც საუცხოვოდ არის მოწყობილი. აბანოსთან არსებობს ტანთსაცმელის სადეზინფექციო ოთახი, კანის ავადმყოფთათვის განსაკუთრებული ოთახი და სხვ. გარდა ამისა, მოწყობილია აბაზანებიც. პატიმრები აბანოთი სარგებლობენ თვეში ორჯერ.

საპატიმროში მოწყობილია პატიმართა კლუბი, მშვენიერი დეკორაციებით, სკამებით და სხვა. კულტურულ მუშაობას აწარმოებენ თვით პატიმრები, რომლებიც დროგამოშვებით მართავენ საღამო - წარმოდგენებს და სხვა გასართობებს. კლუბთან არსებობს: დრამატიული, სალიტერატურო, მოჭადრაკეთა და სხვა წრეები. აქვე არის იურიდიული სექცია, რომელიც აძლევს რჩევა - დარიგებებს პატიმრებს.

ამჟამად ეწყობა ლენინის კუთხე, რომლის გახსნა მოხდება ოქტომბრის რევოლუციის ათი წლის თავზე.

კლუბთან არსებობს აგრეთვე წერა - კითხვის უცოდინართა და მცირე - მცოდნეთა სკოლა, საბუღალტრო და უცხო ენების შესასწავლი კურსები. წიგნთ - საცავე სამკითხველოს მოეპოვება 3.000 წიგნი. მუშა-მწერალმა ამხ. ნავთლუღელმა წიგნთ - საცავს გადასცა ორი წიგნი. (საკუთარი ნაწარმოები).

გამსახლის უფროსის სიტყვით საავადმყოფო ემსახურება მთელ საქართველოს საპატიმროებს. საავადმყოფოში მუშაობს რვა ექიმი. ავადმყოფ პატიმრების სიტყვით ავადმყოფებს საუკეთესო კვება აქვთ.

ასეთია ჩვენი დღევანდელი საპატიმრო. აქ დამნაშავე იგზავნება არა დასასჯელად, არამედ გამოსასწორებლად. წინათ კი ასეთებს ვერ ნახავდით სატუსაღოში. ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ ძველი, ადამიანის გონების დამახლუნჯებელი სატუსაღო, დღეს კულტურის კერად არის გადაქცეული.

კინო.

ნაკლი მუშკოოპის მაღაზიებში

მუშკოოპის ზოგიერთ მაღაზიების საფართლე განყოფილებებში ადგილი აქვს არა სასურველ მოვლენებს. ფეხზე მოვაჭრეებს მუშკოოპებიდან გამოაქვთ ისეთი საქონელი, რომელიც ბაზარზე იშვიათად მოიპოვება. ამის გამო მომხმარებელი მუშკოოპში ვერ იძენს მისთვის საჭირო საქონელს და ძალაუნებურად უხდება კერძო ვაჭრებთან მისვლა.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ფართალზე მოვაჭრე ნოქრები ძალიან კარგათ იცნობენ მათთან სავაჭროთ მისულ კერძო პირებს, მაგრამ მაინც აძლევენ მათ საქონელს. ზოგიერთები ხელსაც უწყობენ ამ ვაჭრებს კოოპერატივიდან საქონლის გატანაში. ამას ყურადღება უნდა მიაქციოს მუშკოოპის გამგეობამ.

გარდა ამისა ნოქრები ხშირად გულგრილად და უდიერათ ეპყრობიან მომხმარებლებს. ეს გარემოება გულს უცრუებს მუშას კოოპერატივზე და იძულებულს ხდის მიმართოს ისევ კერძო ვაჭარს, სადაც მას უფრო წესიერად და თავაზიანად მოეპყრობიან.

მუშკოოპის გამგეობამ ზომები უნდა მიიღოს ასეთ მოვლენების ერთხელ და სამუდამოთ აღმოსაფხვრელად.

ი. შ.

ინდუსტრიალიზაციის სესხი

როგორ მიმდინარეობს ხელის მოწერა

თბილისში

კრებები წარმოება-დაწესებულებებში

თბილისის წარმოება-დაწესებულებებში ინდუსტრიალიზაციის სესხის კამპანია გრძელდება. ფინსახკომის თანამშრომლებმა უკანასკნელ ორი დღის განმავლობაში მოხსენებები ჩაატარეს მილიციის თანამშრომელთა კრებაზე, საქართველოს იუსტიციის კომისარიატის თანამშრომელთა კრებაზე, ზაჰესში აღმოსავლეთის მემუსიკეთა კოლექტივის კრებაზე და სხვა.

ყველა ჩამოთვლილ კრებებზე, მუშა-მოსამსახურეებმა ერთხმად დაადგინეს უკლებლივ მოაწერონ ხელი სესხზე.

მსვლელობა ქუჩებში

ინდუსტრიალიზაციის სესხის იდეის პოპულარიზაციისათვის კვირას თბილისის ქუჩებში ეწყობა საგიტაციო ხასიათის მსვლელობა.

გამოყვანილი იქნება პლაკატებით მორთული ავტომობილები. ფინსახკომის თანამშრომლები ავტომობილებიდან წარმოსთქვამენ სიტყვებს ინდუსტრიალიზაციის სესხის მნიშვნელობის შესახებ.

ავტომობილებიდან ქუჩებში მოფანტავენ ფურცლებს, რომლებშიაც განმარტებული იქნება ინდუსტრიალიზაციის სესხის ხასიათი და მისი შეძენის პირობები.

მსვლელობაში მონაწილეობას მიიღებენ „ლურჯხალათიანების" კოლექტივები და აზიური და სამხედრო ორკესტრები.

მეტყავეთა კრება

მეტყავეთა კავშირის მესამე რაიონული ადგილკომის წევრების საერთო კრებაზე საქართველოს ფინსახკომის ინსპექტორმა მ. მარგველაშვილმა გააკეთა მოხსენება ინდუსტრიალიზაციის სესხის შესახებ.

კრებას დაესწრო ასამდე კაცი, რომელთაც დაადგინეს აუცილებლად შეიძინონ სესხი და ხელი შეუწყონ მის რეალიზაციას.

მოსალოდნელია 1000 მანეთის ობლიგაციის გასაღება.

გლეხთა სასახლეში

გლეხთა სასახლეში ჩამოსულ გლეხებისათვის სისტემატიურად იმართება მოხსენებები ინდუსტრიალიზაციის სესხის შესახებ. სასახლის 27 თანამშრომელმა მოაწერა ხელი 355 მ. 20 კაპ. ობლიგაციაზე.

ქუთაისში

ინდუსტრიალიზაციის სესხის რეალიზაცია ქუთაისის მაზრაში დიდი წარმატებით მიმდინარეობს. დირექტივების მიღებისთანავე ჩამოყალიბდა მომქმედი კომიტეტი, სადაც შედიან ყველა ორგანიზაციების და სამხედრო ნაწილების წარმომადგენლები. ამ კომიტეტის საშუალებით ადგილობრივათ ჩატარებულ იქნა ფართე კამპანია, მაზრებში დაიგზავნენ მომხსენებლები, რომელთაც დავალებული ჰქონდათ აგრეთვე რაიონებში ჩამოყალიბებიათ მომქმედი კომიტეტები. ამ მიზნით კომიტეტმა გამოჰყო თავის წევრები სამხედრო ნაწილებშიაც.

კამპანიამ დიდათ გამოაცოცხლა მუშაობა. ჯერ-ჯერობით ქუთაისის მაზრაში ხელმომწერეთა რიცხვი აღწევს—5.000 კაცს, გასაღებულია 64.000 მანეთამდის ობლიგაციები, მაზრაში სულ გავრცელებული უნდა იქნეს 101.000 მანეთის ობლიგაცია კოლექტიური ხელის მოწერით, ხოლო ინდივიდუალური ხელმოწერა ამაში არ შედის.

უდიდესი წარმატებით მიმდინარეობს სესხის რეალიზაცია წითელი ჯარის ნაწილებშიაც. მარტო № დივიზიის შტაბის და პოლიტგანყოფილების თანამშრომლებმა 800 მანეთამდის ობლიგაციაზე მოაწერეს ხელი. ასეთივე მდგომარეობაა რუსულ არტლეგიონში, № ტერლეგიონში და № ძირითად ლეგიონში.

გარდა მეთაურებისა და უფპოლიტშემადგენლობისა, სესხზე ხელის მოწერის სურვილი განაცხადეს აგრეთვე წითელ-არმიელებმაც. ამ კამპანიამ განსაკუთრებული ზეიმის სახე მიიღო ცაკის მანიფესტის გამოცემის შემდეგ.

მაზრის სხვადასხვა ადგილებიდან (სამტრედია, ხონი, ტყიბული), მოდის ცნობები, რომ სესხის რეალიზაცია ძლიერ წარმატებით მიმდინარეობს. არ დარჩენილა არც ერთი საბჭოთა ორგანიზაცია, სადაც კამპანიის ჩატარების შემდეგ არ მიმდინარეობდეს ხელის მოწერა.

მომქმედ კომიტეტმა დაარიგა როგორც მუშათა, ისე წითელი ჯარის ნაწილებშიაც სხვადასხვა პლაკატები, ლოზუნგები და სახელმძღვანელო ინსტრუქციები. უჯრედებში მიმდინარეობს სესხის შესახებ მოხსენებები, არსდებიან ცალკე კომისიები ადგილებზე დამატებითი კამპანიის გასაძლიერებლად და სხვა.

დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ინდუსტრიალიზაციის სესხის ობლიგაციები გავრცელდება იმაზე მეტი, რაც მოცემული ჰქონდა ქუთაისის მაზრას. ეს უნდა მიეწეროს ამ საქმეზე მაზრის ხელმძღვანელ ორგანოების განსაკუთრებულ ყურადღებას.

ხ. გიგია.

ადგილებზე

აბრეშუმის ქარხნებში

„საქართველოს აბრეშუმის ყველა წარმოებებში ინდუსტრიალიზაციის სესხის გასაღების კამპანია წარმატებით მიმდინარეობს. ასე, მაგალითად, ოზურგეთის აბრეშუმის ქარხნის მუშებმა შეიძინეს 6.000 მანეთის ობლიგაციები, ქუთაისის მეორე საგრენაჟო სადგურის მუშებმა 1.000 მანეთის; ხონის და სამტრედიის ქარხნებში კამპანია ეხლა ტარდება. მოსალოდნელია, რომ ამ ქარხნების მუშები არ ჩამორჩებიან ოზურგეთის და ქუთაისის მუშებს. ობლიგაციებზე ხელს აწერენ, როგორც მუდმივი, ისე დღიური მუშები.

აჭარისტანში

მარტო 24 ოქტომბერს ბათომის საფინანსო ორგანოებმა დაუკვეთეს კოლექტიურად და ინდივიდუალურად 105.000 მანეთის ობლიგაცია, რაც წინად დაკვეთილთან ერთად შეადგენს 140.000 მანეთს. არის ნიშნები, რომ აჭარისტანში ინდუსტრიალიზაციის სესხი გასაღდება 200.000 მანეთის რაოდენობით.

ხარჯების ოცი პროცენტით შემცირება

ვაჭრობის სახალხო კომისარიატმა გამოიკვლია თუ რამდენათ არის გატარებული ცხოვრებაში უმაღლეს ორგანოების დირექტივა სახელმწიფო და კოოპერატიულ ორგანიზაციათა ხარჯების 20 პროც. შემცირების შესახებ. შემოწმებამ გამოარკვია, რომ პროცენტული დამოკიდებულება ხარჯებისა საერთო ბრუნვასთან 1926—27 წელში ყოფილა: ცეკავშირში —2,43 პრ.; მუშკოოპში—7,78 პრ.; საქართველოს სახელმწიფო ვაჭრობაში—4,11 პრ.; „თბილისის ვაჭრობაში" 3,6 პროც., „სოფლის კავშირში"—1,47 პროც.; „მწყემსში"—12,94 პრ.; „ბირლიკ"-ში—12,02 პროც.; სახელგამში 17,33 პროც.; „საქართველოს ღვინო"-ში—9,87 პროც. და სასოფლო-სამეურნეო ბანკში— 0,23 პროც.

1927—28 წელში აღნიშნული პროცენტული ურთიერთობა გამოიხატება: „ცეკავშირში"—1,96 პროც.; მუშკოოპში—6,22 პროც.; საქართველოს სახელმწიფო ვაჭრობაში—1,03 პრ.; „თბილისის ვაჭრობა"-ში—3,17 პროც.; „სოფლის კავშირში"—1,62 პროც.; „მწყემსში"—2,83 პროც.; „ბირლიკ"-ში—8,17 პროც.; სახელგამში—13,72 პროც.; „საქართველოს ღვინო"-ში 3,73 პროც. და სასოფლო-სამ. ბანკში—0,12 პროც.

გასულ საოპერაციო წელთან შედარებით მიმდინარე წელს ხარჯები შემცირებულია: „ცეკავშირში"—19,3 პროც.; მუშკოოპში—20,2 პროც.; საქართველოს სახ. ვაჭრობაში—25,9 პროც.; „თბილისის ვაჭრობა"-ში—22 პრ.; „მწყემსში"—24,9 პროც., „ბირლიკ"-ში 32,1 პროც.; სახელგამში—20,8 პროც.; „საქართველოს ღვინო"-ში—62,2 პროც. და სასოფლო-სამეურნეო ბანკში—22,7 პროც.; სოფლის კავშირში მიმდინარე წელს გასულ წელთან შედარებით ხარჯები გაზრდილა—10,2 პროცენტით, ეს მდგომარეობა გამოწვეულია „სოფლის კავშირი"-ს საორგანიზაციო მუშაობით.

როგორ მზადდებოდა დიდი ოქტომბერი

თებერვლიდან—ოქტომბრამდე*)

პეტროგრადის პროლეტარიატის და გარნიზონის, 3—5 ივლისის გამოსვლამ ნათლად დაამტკიცა, რომ რევოლუციონურმა მასებმა კარგად შეითვისეს ლოზუნგი „ძირს დროებითი" მთავრობა. მაგრამ ამ გამოსვლებმა ნათლად დაამტკიცეს აგრეთვე ისიც, რომ ესერ-მენშევიკები არიან დროებითი მთავრობის მხარეზე, კაპიტალისტების მხარეზე, რევოლუციონური მუშების, გარნიზონისა და გლეხობის წინააღმდეგ და რომ სანამ საბჭოების სათავეში იმყოფებიან ესერ-მენშევიკები, ბურჟუაზიასთან თანამშრომლობის და შეთანხმების მომხრეები, საბჭოები ვერ შესძლებენ იმ ისტორიული მისიის შესრულებას, რომელსაც მათ ისტორია აკისრებდა.

ასეთ პირობებში, მოთხოვნა იმის, რომ ძალაუფლება გადასულიყო საბჭოების ხელში, ნიშნავდა ძალაუფლების გადაცემას ესერ-მენშევიკურ საბჭოებისათვის, რომლებიც ერთი რომ აიღებდნენ ძალაუფლებას და რომც აიღოთ, გამოიყენებდენ მას მუშების, გლეხების და ჯარისკაცების წინააღმდეგ და ხელსაყრელ მომენტში ამ ძალაუფლებას ისევ დაუბრუნებდენ ბურჟუაზიას.

ივლისის ამბების შემდეგ შექმნილი ახალი მდგომარეობა მოითხოვდა ამ მდგომარეობასთან შეგუებულ ლოზუნგებს, ახალი ამოცანების დაყენებას მშრომელი მასების წინაშე, რომ უკანასკნელის ენერგია რევოლუციის ტალღების მორიგი აზვირთების დროს არ დახარჯულიყო რევოლუციონური მასების საწინააღმდეგო ამოცანების განხორციელებაზე—ძალაუფლების მოპოვებაზე საბჭოებისათვის, რომლებშიც ისხდენ რევოლუციის მოღალატენი და გამცემლები.

ბოლშევიკურმა პარტიამაც ნ. ლენინის პირით მისცა ასეთი ლოზუნგი რევოლუციონურ მასებს, მიუთითა კონკრეტულ ამოცანებზე, რომელთა განხორციელებას მოითხოვდა მათგან 3—5 ივლისის შემდეგ შექმნილი მდგომარეობა. ნ. ლენინმა ამ ახალი ამოცანების გარკვევას მასებისათვის უძღვნა მთელი რიგი წერილები: „ლოზუნგებისათვის", „კონსტიტუციონური ილიუზიების შესახებ", „რევოლუციის გაკვეთილები" და სხ.

„მაშინ, რევოლუციის განვლილ პერიოდში (ე. ი. 27 თებერვლიდან 4 ივლისამდე.—X), სახელმწიფოში გამეფებული იყო ე. წ. „ორმთავრობიანობა", რომელიც მატერიალურადაც და ფორმალურადაც გამოხატავდა სახელმწიფო ძალაუფლების ერთგვარ გაურკვეველ-გარდამავალ მდგომარეობას. არ დავივიწყოთ, რომ ძალაუფლების საკითხი არის ძირითადი საკითხი ყოველგვარი რევოლუციის.

მაშინ ძალაუფლება მერყევ მდგომარეობაში იმყოფებოდა, მას, ურთიერთს შორის ნებაყოფლობითი შეთანხმებით იყოფდენ დრ. მთავრობა და საბჭოები. საბჭოები წარმოადგენდენ დელეგაციებს შეიარაღებულ მუშების და ჯარისკაცების თავისუფალ მასებისას, რომლებიც არავითარ ძალადობას არ განიცდიდენ გარედან. იარაღი ხალხის ხელში და ის გარემოება, რომ გარეშე ძალადობას ხალხზე არ ჰქონდა ადგილი,—აი რაში იყო საქმის შინაარსი. აი რა ხსნიდა და უზრუნველყოფდა მთელი რევოლუციის წინ განვითარების მშვიდობიან გზას. ლოზუნგი მთელი ძალაუფლების გადასვლის შესახებ საბჭოების ხელში, იყო უახლოესი ნაბიჯის ლოზუნგი, ნაბიჯის, რომლის გადადგმა უშუალოდ შეიძლებოდა განვითარების ამ მშვიდობიან გზაზე. ეს იყო ლოზუნგი რევოლუციის მშვიდობიანი განვითარების, რომელიც შესაძლებელი იყო 27 თებერვლიდან 4 ივლისამდე და რომელიც, რასაკვირველია, ყველაზე უფრო სასურველი იყო და რომელიც ახლა უსათუოდ შეუძლებელია...

... 4 ივლისის გარდატეხა სწორეთ იმაში მდგომარეობს, რომ მის შემდეგ ობიექტიური მდგომარეობა ძირფესვიანად შეიცვალა, ხელისუფლების მერყევი მდგომარეობა შეწყდა, ძალაუფლება გადამწყვეტ მომენტში გადავიდა კონტრ-რევოლუციის ხელში. 4 ივლისის შემდეგ კონტრ-რევოლუციონურმა ბურჟუაზიამ მონარქისტებთან ერთად შეიერთა წვრილ-ბურჟუაზიული მენშევიკები და ესერები, ნაწილობრივ დააშინა ისინი, და ფაქტიური ძალაუფლება გადასცა კავენიაკების *) ხელში, სამხედრო ბანდის ხელში, რომელიც ფრონტზე ხვრეტს ჯარისკაცებს, პიტერში კი არბევს ბოლშევიკებს.

ლოზუნგი მთელი ძალაუფლების გადასვლის შესახებ საბჭოების ხელში ახლა იქნებოდა უდიდესი დონკიხოტობა ან დაცინვა. ეს ლოზუნგი, ობიექტიურად, იქნებოდა ხალხის მოტყუება, შთაგონება ილუზიის, რომ თითქო საბჭოებისათვის ახლაც საკმაოა მოისურვოს ძალაუფლების აღება ან დაადგინოს ეს ძალაუფლების ასაღებათ,—თითქოს საბჭოებში კიდევ მოიპოვებიან პარტიები, რომლებსაც თავი არ შეურცხვენიათ ჯალათებისათვის ხელისშეწყობით"...

ასე სწერდა ლენინი ივლისის დღეების შემდეგ წერილში „ლოზუნგებისათვის" და იქვე იძლეოდა პასუხს იმაზე, თუ როგორია სადღეისო ამოცანები:

„... ახლა უკვე აღარ შეიძლება ძალაუფლების ხელში აღება მშვიდობიანი გზით. მისი მიღება შეიძლება მხოლოდ მას შემდეგ, რაც გადამწყვეტ ბრძოლაში დამარცხებული იქნებიან ისინი, ვის ხელშიაც ამჟამად სანამდვილეში არის ძალაუფლება, სახელდობრ კავენიაკების სამხედრო ბრბო, რომელიც ემყარება პიტერში შემოყვანილ რეაქციონურ ჯარებზე, კადეტებზე და მონარქისტებზე.

... სახელმწიფო ძალაუფლების ამ ნამდვილი პატრონების დამარცხება შეუძლია... მხოლოდ ხალხის რევოლუციონურ მასებს, რომელთა მოძრაობის პირობას წარმოადგენს არა მარტო ის, რომ მათ ხელმძღვანელობდეს პროლეტარიატი, არამედ ისიც, რომ მათ ზურგი აქციონ ესერებსა და მენშევიკებს, რომლებმაც უღალატეს რევოლუციის საქმეს".

მაგრამ საკითხის ახალი ფორმულიროვკა მასებს შეეძლოთ გაეგოთ ისე, თითქო ბოლშევიკური პარტია უარჰყოფდა საბჭოების როლს რევოლუციის ახალ ტალღების აგორების დროს, თითქოს სრულიად ხსნიდა ლოზუნგს— „მთელი ძალაუფლება საბჭოებს". ლენინი ამ გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, იმავე წერილში—„ლოზუნგებისათვის" ასეთ განმარტებას იძლეოდა:

„საბჭოებს შეუძლიათ და უნდა გამოჩნდენ ამ ახალ რევოლუციაში, მაგრამ არა ახლანდელი საბჭოები, არა ბურჟუაზიასთან შეთანხმებლობის ორგანოები, არამედ ბურჟუაზიასთან რევოლუციონური ბრძოლის ორგანოები. რომ ჩვენ მაშინაც ვიმხრებით მომხრე სახელმწიფოს მოწყობისა საბჭოების ტიპის მიხედვით, ეს ასეა. ეს არის საკითხი არა საბჭოების შესახებ საერთოდ, არამედ საკითხი ახლანდელ კონტრ-რევოლუციასთან და ახლანდელი საბჭოების მოღალატეობასთან ბრძოლის შესახებ.

ბრძოლის კონკრეტული მიზნების და შინაარსის შეცვლა განყენებული მსჯელობით —ყველაზე მთავარი ბოროტებაა, ყველაზე საშიში ბოროტებაა რევოლუციაში. ახლანდელი საბჭოები ჩაფლავდენ, მათ განიცადეს სრული მარცხი იმის გამო, რომ მათში ბატონობდენ ესერები და მენშევიკები. ამჟამად ეს საბჭოები ჰგვანან ცხვრებს, რომლებიც მიიტანეს სასაკლაოზე და საშინლად ზმუიან. საბჭოები ახლა უძლური არიან გამარჯვებულ და გამარჯვების გზაზე დამდგარ კონტრ-რევოლუციის წინაშე. საბჭოებისათვის ძალაუფლების გადაცემის ლოზუნგი ახლა შეიძლება გაგებულ იქნეს, როგორც „უბრალო" მოწოდება ძალაუფლების გადასვლის შესახებ სწორეთ ახლანდელი საბჭოების ხელში, ამის თქმა კი, მოწოდება, აქედან, ეს იქნებოდა ხალხის მოტყუება. არ არის არაფერი მოტყუებაზე უფრო საშიში".

* * *

ამრიგად ბოლშევიკური პარტია 3—5 ივლისის ამბების შემდეგ დროებით ხსნიდა ლოზუნგს „მთელი ძალაუფლება საბჭოებს" და მის მაგიერ აყენებდა ლოზუნგს „დიქტატურა მუშების და უღარიბესი გლეხობის". პარტია არ უარჰყოფდა საბჭოების როლს, მაგრამ რევოლუციის მამოძრავებელ ძალად მიაჩნდა არა ის საბჭოები, რომლებიც „სასაკლაოზე მირეკილ ცხვრის ფარას გვანდენ", არამედ „ბრძოლის ცეცხლში განახლებული, ბრძოლის ქარცეცხლში გამობრძმედილი და გარდაქმნილი" საბჭოები.

მაგრამ იმისათვის, რომ მუშებსა და ღარიბ გლეხობას მოეპოვებიათ ძალაუფლება საჭირო იყო შეიარაღებული გამოსვლა, რადგან გაერთიანებული კონტრ-რევოლუცია, ესერ-მენშევიკების დახმარებით ზურგ-გამაგრებული, უბრძოლველად არ დასთმობდა ძალაუფლებას. რევოლუციის განვითარებამ დღის წესრიგში დააყენა შეიარაღებული აჯანყების საკითხი. პეტროგრადის ბოლშევიკური ორგანიზაციების სასწრაფო კონფერენციამ, რომელიც ივლისის დღეების შემდეგ (29—30 ივლისს) შედგა, მთლიანად მიიღო შეიარაღებული აჯანყების ტაქტიკა. შეიარაღებული აჯანყების ტაქტიკა მიიღო აგრეთვე პარტიის მეექვსე ყრილობამ, რომელიც 10 აგვისტოს გაიხსნა.

ახალი ტაქტიკა, რომელსაც დაადგა ბოლშევიკური პარტია ივლისის დღეების შემდეგ, სავსებით მართლდებოდა მოვლენათა მთელი განვითარებით. რევოლუციონურ მუშების, გლეხების და ჯარისკაცების მასამ რევოლუციის ნახევარი წლის გამოცდილებაზე დაინახა, რომ პარტიები, რომლებსაც იგი მიჰყვებოდა მანამდე, ვერ მისცემენ მას ვერც პურს, ვერც ზავს, ვერც მიწას და ვერც თავისუფლებას. ისინი რწმუნდებოდენ, რომ ესერ-მენშევიკები სათავის მხარის დაჭერით ისინი ამაგრებენ ბურჟუაზიის დიქტატურას, უადვილებენ კონტრ-რევოლუციას თავისი ამოცანების განხორციელებას.

3—4 ივლისის ამბები იყო მიჯნა მასების განწყობილებაში მომხდარი გარდატეხის. თუ როგორ მზადდებოდა და ღრმავდებოდა ეს გარდატეხა, ამას ქვევით გავეცნობით.

* * *

ხელისუფლების, ომისა და ზავის და მიწის საკითხი,—აი ის მთავარი საკითხები, რომლებიც წამოაყენა რევოლუციამ.

იმაზე, თუ როგორ გადაიჭრებოდა თვითეული ამ საკითხთაგანი, დამოკიდებული იყო გადაჭრა მთელ რიგ სხვა, არანაკლებ მნიშვნელოვანი საკითხების—კონტროლი მრეწველობაზე, კაპიტალისტების მოგების დაბეგვრა და სხვა.

ბურჟუაზიასთან შეთანხმების პოლიტიკამ შეუძლებლად გახადა ყველა ამ საკითხების გადაწყვეტა.

როცა თებერვლის მიწურულში ცხადი შეიქნა, რომ დინასტიის გადარჩენა შეუძლებელია, ბურჟუაზია შეეცადა სათავეში მოქცეოდა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ მიმართულ მოძრაობას, რომ მოსალოდნელ გადატრიალებას ხელიდან არ გამოეცალა მისთვის ძალაუფლება. სახ. სათათბიროს დროებითი კომიტეტის შექმნა და კომიტეტის მიერ პირველი დროებითი მთავრობის შედგენა ამ ცდის გამოხატულებას წარმოადგენდა. მაგრამ რევოლუციის გაშლა-გაფართოებამ ბურჟუაზიის შტაბის—სახ. სათათბიროს გვერდით შექმნა რევოლუციონური მასების შტაბები—ჯერ [illegible]

ლიც წინააღმდეგ ესერ-მენშევიკებისა კარგად ხედავდა, რომ რევოლუცია არა თუ გათავე[illegible]თმპყრობელობის დამხობით, არამედ [illegible]წყება. გუჩკოვის ამ შიშს ნათელ[illegible]თი ფრაზა მის მიერ ზემოხსენებულ[illegible]იაზე წარმოთქმულ სიტყვიდან: [illegible]ის მექანიკური გადანაცვლება ერ[illegible]ან მეორეში, ე. წ. ნაციონალიზაცი[illegible]იზაცია—ეს არის მსოფლიოში ჯერ [illegible] ექსპერიმენტი, რომლის საშუალე[illegible]ვე შეიძლება ჩაკლულ იქნეს ყოველ[illegible]წველობა".

[illegible]უციამ, როგორც ვიცით, გაამართლა [illegible] ეს „შავი" მოლოდინი. მხოლოდ [illegible]კდა ბ-ნი გუჩკოვი: „ნაციონალიზა[illegible]ოციალიზაციამ" არა თუ „ძირში [illegible]ველგვარი მრეწველობა", არამედ, [illegible]ელი შეუწყო ომისა და სამოქალაქო [illegible] დროს დანგრეული მეურნეობია [illegible]

[illegible]ეწველები და ფინანსისტები თავის [illegible]იებზე და თათბირებზე და აგრეთვე [illegible]ესის საშუალებით იმუშავებდენ თა[illegible]მიურ პროგრამას. მათი წარმომადგ[illegible]რ. მთავრობაში კი ცდილობდენ [illegible]მის განხორციელებას და ყოველ[illegible]იდენ ხელს იმ ღონისძიებების გა[illegible]ხოვრებაში, რომლებსაც რევოლუ[illegible]მასების ზეგავლენით დრ. მთავრობას [illegible] ესერ-მენშევიკები. *)

[illegible]შევიკები გარეტიანებულივით ქანა[illegible]რ მოწინააღმდეგე ძალას შორის—[illegible]ებსა და მუშებს შორის. მათ აშინ[illegible]უაზიის მუქარა—ხელს ავიღებ[illegible]თანამშრომლობაზეო—და ისინიც ამ [illegible]" თავიდან ასაცილებლად მოუწო[illegible]მუშებს „დათმობაზე" წასვლისაკენ, [illegible]საკენ", „მსხვერპლის გაღებისაკენ"

[illegible]ანხმებლური პოლიტიკის წყალობით [illegible] ქაოსი მრეწველობაში თანდათანო[illegible]ებოდა.

[illegible]ლიუტინი თავის შრომაში „რუსე[illegible]დროვე განვითარება და პროლეტ[illegible]ქტატურა" შემდეგ საინტერესო ცი[illegible]ევა ამ ქაოსის და ნგრევის დასახა[illegible]:

[illegible]რტში	დაიხურა	48	წარმ.	6.646	მუშ.
აპრილში	„	55	„	2.816	„
მაისში	„	108	„	8.701	„
ივნისში	„	125	„	38.455	„
ივლისში	„	206	„	47.754	„

[illegible]დეგ იყო ის, რომ აგვისტო-სექტემ[illegible]ლი რუსეთი გაფიცვების ალში იყო (რკინისგზელების, მემაღაროების, ხის [illegible]ლების და სხ. გაფიცვა).

[illegible] როგორ ებრძოდა ამ გაფიცვებს დრ. [illegible] ნათელჰყოფს თუგინდ ის ფაქტი, [illegible]იანებულ მენშევიკების ცეკამ პარ[illegible]მორიცხა შინაგან საქმეთა მინისტრი, [illegible]შეუფერებელ საქციელისათვის რკ[illegible] გაფიცვის დროს".

[illegible]ებიც კი აღაშფოთა ამ მინისტრის [illegible]ელმა ერთგულებამ ბურჟუაზიისად[illegible]

* * *

[illegible]ფოში იწყებოდა ნამდვილი შიმში[illegible]აქსა და სოფელს შორის ნორმალურ [illegible]ა-გამოცვლის დარღვევა, ქაღალდის [illegible]სის დაკარგვა, აიძულებდა გლეხო[illegible]ალა პურის მარაგი. ამას კიდევ ზედ [illegible]ნგრევა ტრანსპორტზე, რაც შეუძ[illegible]დიდა პურის იმ მარაგის გამოტანა, [illegible]ლიც სასურსათო ორგანოების გან[illegible]ში მოიპოვებოდა. ყველაფერ ამის [illegible]ო ის, რომ არა მარტო ქალაქებში, [illegible]ელ რიგ რაიონებში, მოსახლეობა [illegible]ა.

[illegible]ორ თანდათანობითი მწვავდებოდა სასურსათო კრიზისი, ამას გვიჩვენებს შემდეგი ციფრები: *)

1927 წ. ნორმასთან შედარებით მიიღო პური

თვეები	არმია	მოსახლეობა.
იანვარში	51,4 პროც.	0,2 პროც.
თებერვალში	45,9 „	29,6 „
მარტში	50,4 „	41,4 „
აპრილში	36,4 „	24,7 „
მაისში	61,4 „	56,9 „
ივნისში	53,2 „	34,8 „
ივლისში	82,0 „	26,1 „
აგვისტო 1—15	18,4 „	
15—31	81,0 „	82,7 „
სექტემბერში	26,2	

ბურჟუაზია თავის მხრივ ყოველ ზომებს იღებდა, რომ გაემწვავებია სასურსათო კრიზისი, ვაჭარ - მრეწველთა ყრილობაზე, რომელიც მოსკოვში გაიხსნა ივლისში, რიაბუშინსკიმ, ერთ - ერთმა მსხვილმა მრეწველმა და ფინანსისტმა, შემდეგი პროგრამა წარმოადგინა რევოლუციის ასალაგმავად:

„...შესაძლებელია, საჭირო დარჩეს სიმშილის მძახრავი ხელი, ხალხის სიღატაკე, რომელიც მიაღრჩობს ხალხის ცრუ-მეგობრებს, დემოკრატიულ საბჭოებს და კომიტეტებს".

ასეთ პირობებში გასაკვირი არ არის, რომ სასურსათო მღელვარებათა ტალღამ გადაიარა მთელ რუსეთში და საჭირო ხდებოდა შეიარაღებული ძალების და დამსჯელი ექსპედიციის გზავნა ამ მღელვარებათა ჩასაქრობათ.

* * *

ღელავდა გლეხობაც. იგი მთელ რიგ ათეულ წლების განმავლობაში, ბატონ - ყმობიდან „განთავისუფლების" დღიდან ოცნებობდა მიწაზე და თავისუფლებაზე, და როცა რუხ ფარაჯაში გამოწყობილმა მისმა შვილებმა და ძმებმა მუშებთან ერთად დაამხვეს თვითმპყრობელობა, ამ დღიდან გლეხობა მემამულეთა მიწებს თავისად თვლიდა. პირველ ხანებში გლეხობა თავს იკავებდა თვითნებურ მოქმედებისაგან. დარწმუნებული იყო, რომ ახალი მთავრობა მას დაურიგებდა ამ მიწებს. მაგრამ გადიოდა თვეები, მემამულეები ისხდენ თავის სასახლეებში, ძველებურად სარგებლობდენ თვალუწვდენელ მიწების შემოსავლით. გლეხობამ დაჰკარგა მოთმინება. მუშების მღელვარებას ქალაქში და სასურსათო მღელვარებათა ტალღას შეუერთდა აგრარული მღელვარების ზღვა.

არასასურველი სტატისტიკური ცნობები აგრარული მოძრაობის განვითარების შემდეგ სურათს გვიხატავენ: სულ მარტიდან აგვისტოს მეორე ნახევრამდე ადგილი ჰქონდა 2.367 აგრარულ მღელვარებას. თვეების მიხედვით ეს ციფრი ასე ნაწილდება: მარტის პირველის ნახევარში — 3 შემთხვევა, მარტის მეორე ნახევარში — 9 შემთხვევა, აპრილში — 163, მაისში — 512, ივნისში — 855 ივლისში—167, აგვისტოს პირველ ნახევარში — 56.

არ უნდა დავივიწყოთ, რომ ეს ცნობები არ არის სრული და თან შეეხება პერიოდს მარტიდან აგვისტოს მეორე ნახევრამდე.

აგრარული მოძრაობის გამძაფრება კი იწყება სწორედ შემდგომ პერიოდში — სექტემბეროქტომბერში, როცა მიუხედავად „სოციალისტ" მინისტრების მოწოდებისა და მუქარისა, მთელს რუსეთში ნამდვილი ჟაკერიების ცეცხლი დაინთო და საჭირო შეიქნა ჯარების გაგზავნა ფრონტიდან აგრარულ მღელვარებათა ჩასაქრობათ.

ესერები, რომლებიც რევოლუციამდე ბევრს ტრაბახობდენ თავისი აგრარული პროგრამითა და რომლებსაც მიჰყვებოდა გლეხების მასა, უძლური აღმოჩნდენ მიწის საკითხის გადაწყვეტაში, როცა ჯერი სიტყვიდან საქმეზე მივიდა. მათ ვერ შესძლეს თავისი თეორეტიული პროგრამის გადაქცევა პრაქტიკულ მიწის კანონად და გლეხობის დაკმაყოფილება. მემამულეები კი, სარგებლობდენ რა მიწის საკითხის გადაწყვეტის ამ დაგვიანებით, განაგრძობდენ მიწების ყიდვა-გაყიდვას. მხოლოდ აგვისტოს დასაწყისში შეიტანა მთავრობაში ესერმა ჩერნოვმა კანონპროექტი მიწის ყიდვა - გაყიდვის აკრძალვის შესახებ.

მაგრამ გლეხური მასა უკვე აღარ ენდობოდა ესერებს და თვით შეუდგა მიწის საკითხის გადაწყვეტას: მიწების ჩამორთმევას მემამულეებისათვის და განაწილებას.

* * *

მთავარი საკითხი, თანაბრად და ყველაზე უფრო აღელვებდა რევოლუციონურ მასებს, ეს იყო — ომისა და ზავის საკითხი.

ბურჟუაზიამ რევოლუციის პირველ დღეებშივე განაცხადა, რომ „ომის დასრულება შეიძლება მხოლოდ მოკავშირეებთან ერთად".

მილიუკოვმა 18 აპრილს (პირველ მაისს) ნოტით ოფიციალურად გამჟღავნა მოკავშირეების შიში, რომ რუსეთის დრ. მთავრობას შეუძლია დასთანხმდეს სეპარატიულ ზავზე და განუცხადა მათ, რომ „დროებითი მთავრობა იმოქმედებს მოკავშირეებთან სრული თანხმობით".

პეტროგრადის პროლეტარიატმა კი თავისი დემონსტრაციით ამ ნოტის გამოქვეყნების მეორე დღეს დაამტკიცა, რომ მას არა აქვს განზრახვა განაგრძოს მტაცებლური ომი. მილიუკოვი იძულებული შეიქნა გადამდგარიყო, მაგრამ მისი მემკვიდრე ტერეშჩენკო, დროებითი მთავრობის სხვა წევრებთან სრული თანხმობით, განაგრძობდა მილიუკოვის გზით სიარულს.

მოკავშირეები განუწყვეტლივ მოითხოვდენ დრ. მთავრობისგან, საომარი მოქმედების გაძლიერებას. საფრანგეთის ელჩი მორის პალეოლოგი და ინგლისის ელჩი სერ ჯორჯ ბიუკენენი — აი ვინ მიმართავდა დრ. მთავრობის საგარეო პოლიტიკას. და იმ გარემოებაში, რომ კერენსკიმ გაიღო კორნილოვის მიერ ჯარის ბრძოლის უნარიანობის გასაძლიერებლად შემუშავებული ღონისძიებები: სიკვდილით დასჯის შემოღება ფრონტზე, სამხედრო კომიტეტის უფლებების შეზღუდვა და სხვ.,—მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ჯორჯ ბიუკენენის ზეგავლენამ დრ. მთავრობაზე. დრ. მთავრობამ ვერ შესძლო დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკის წარმოება. ამას ხელს უშლიდა ბურჟუაზიის წარმომადგენლები დრ. მთავრობაში და მოურიდებლად კერენსკისა და სხვ. „სოციალისტ" მინისტრების ლამაზი ფრაზებისა „დემოკრატიული ზავის" შესახებ, დრ. მთავრობა განაგრძობდა საერთაშორისო და რუსეთის ბურჟუაზიის საქმის კეთებას.

ახლა უკვე საკმაოთ ნათლად არის გამორკვეული, რომ ბურჟუაზიის შეტევა ფრონტზე დაიწყო მოკავშირეების მოთხოვნით. ეს შეტევა თავიდანვე იყო განწირული დამარცხებისათვის,*) მაგრამ მოკავშირეთა სამხედრო გეგმა მოითხოვდა ათეულ ათას რუს ჯარისკაცის სიცოცხლის განწირვას და დრ. მთავრობამაც უსიტყვოთ მიიტანა ეს მსხვერპლი იმპერიალისტების სამსხვერპლოზე.

მუშათა და ჯარისკაცთა მასები მოითხოვდენ ზავს. დროებითი მთავრობა ყოველმხრივ აყოვნებდა ამ საკითხის გარკვევით დასმას, მის გადაჭრას. ჯარისკაცები უარს ამბობდნენ ბრძოლის გაგრძელებაზე. სტოვებდენ პოზიციებს მტრის მცირეოდენი შემოტევის დროს, ფრონტი იშლებოდა და ირღვეოდა.

გახრწნის პროცესი განსაკუთრებით ძლიერი იყო ზურგის ნაწილებში. ქალაქებში დაბანაკებული სამხედრო ნაწილები გაცილებით აქტიურ მონაწილეობას იღებდენ პოლიტიკურ ცხოვრებაში, ვიდრე ფრონტის ნაწილები. ზურგის ნაწილებს საშუალება ჰქონდათ თავისი თვალით დაენახათ, თუ რა შედეგებს იძლევა კოალიციონური პოლიტიკა ეკონომიურ - პოლიტიკური ცხოვრების ყველა დარგებში, გარდა ამისა მთავრობა ზურგის ნაწილებს იყენებდა შინაური (სასურსათო და აგრარული) მღელვარებათა ჩასაქრობათ. გამოსვლა „ თავისუფლების" წინააღმდეგ კიდევ უფრო აძლიერებდა სამხედრო ორგანიზაციის დაშლის პროცესს.

კორნილოვის მიერ ჯარში შემოღებული და დროებითი მთავრობის მიერ შეწყნარებული კიდევ უფრო გაძლიერებული დისციპლინის [illegible] ზომები აღრმავებდენ და აფართოებდენ ჯარისკაცთა მასის უკმაყოფილებას. თანაც ყველაზე უფრო კონტრ - რევოლუციონური და „ბოლომდე ომის" მომხრე ოფიცრების თვითგასამართლება და მოკვლა.

„ზავი დაუყოვნებლივ" — გაისმოდა რუსეთის კიდით - კიდემდე, არმიის სანგრებიდან დაწყებული ფინეთის ყურემდე.

* * *

რევოლუციის ამ მთავარ მამოძრავებელ ძალების — მუშების, გლეხების და ჯარისკაცების უკმაყოფილება, აღმოცენებული მათ მთავარ მოთხოვნილებების და მისწრაფებათა დაუკმაყოფილებლობის ნიადაგზე და კონტრ - რევოლუციის შემოტევის გაძლიერება (კორნილოვის შეთქმულება), განსაზღვრავდა მოვლენათა მთელ შემდგომ განვითარებას, რევოლუციის შემდგომ ბედს.

სახელმწიფოში თანდათანობით ღრმავდებოდა და ფართოვდებოდა მემარცხენე განწყობილება.

მასების ძველმა ხელმძღვანელმა პარტიებმა—ესერებმა და მენშევიკებმა დაჰკარგეს ყოველგვარი ნდობა მუშებში, გლეხებში და ჯარისკაცებში. მასების ხელმძღვანელობა ბოლშევიკების ხელში გადავიდა. ამ გამემარცხენების პროცესმა თავი იჩინა არა მარტო წმინდა პროლეტარულ მასაში, არამედ მოსახლეობის საერთო მასაშიაც.

კორნილოვის გამოსვლის წინ მოხდა პეტროგრადის ქალაქის საბჭოს არჩევნები. ბოლშევიკებს წინანდელ საბჭოში ჰყავდა 37 წარმომადგენელი, მენშევიკებს — 40, ახალ საბჭოში მენშევიკებმა გაიყვანეს 8 წარმომადგენელი, ბოლშევიკებმა — 67. ასეთივე სურათი იყო მოსკოვის რაიონულ მუნიციპალურ საბჭოების არჩევნების დროს, რომელიც კორნილოვის გამოსვლის შემდეგ მოხდა. მოსკოვის წინანდელ ქალაქის საბჭოში ესერ - მენშევიკებს ეკუთვნოდა ადგილების 70 პროც., რაიონულ საბჭოების არჩევნების დროს ესერ - მენშევიკებმა მიიღეს ხმების მხოლოდ 18 პროც., ბოლშევიკებმა კი— 47. მაგრამ ბოლშევიკების გავლენა გაიზარდა არა მარტო მოსკოვში და პეტროგრადში არამედ მთელ რიგ სხვა ქალაქებში პროლეტარული მოსახლეობით. ასე მაგ. ორეხოვო-ზუევის ქალაქის საბჭოში ბოლშევიკებმა გაიყვანეს 75 პროც., ნარვაში — 50 პროც., კრონშტადტში—44, ივანოვო - ვოზნესენსკში — 89 და სხვ. მაგრამ უფრო მკვეთრად გამოიხატა ეს გარდატეხა საბჭოების განწყობილებაში.

დაიწყო პეტროგრადის საბჭოთი, რომელმაც 7 სექტემბერს (25 აგვისტოს) მიიღო ბოლშევიკური რეზოლუცია. ამის შემდეგ პეტროგრადის საბჭო მტკიცედ დაიპყრეს ბოლშევიკებმა. ასეთივე მდგომარეობა განმეორდა მოსკოვის საბჭოშიც. პეტროგრადისა და მოსკოვის საბჭოს დაპყრობას მოჰყვა მთელ რიგ პროვინციალურ საბჭოების დაპყრობა.

შეთანხმებლებმა შეინარჩუნეს საბჭოების ცაკი, რომელიც არჩეულ იქნა ივნისში, როცა ჯერ კიდევ ძლიერი იყო ობორონული განწყობილება. ამიტომ დღის წესრიგის მორიგ საკითხად დაისვა მოწვევა საბჭოთა მეორე ყრილობის.

ასეთი გარდატეხის პირობებში ბოლშევიკურმა პარტიამ მთელი თავისი სიგრძე - სიგანით დააყენა საკითხი აჯანყების შესახებ. შეცვლილ პირობებში, მას შემდეგ, რაც ბოლშევიკებმა უკვე დაიპყრეს პეტროგრადისა და მოსკოვის საბჭო, აჯანყების მოწყობის დროს, უკვე მთლიანად შეიძლებოდა საბჭოებზე დაყრდნობა.

პეტროგრადის საბჭომ სავსებით გაამართლა ეს იმედები. საბჭოთა ყრილობის მოწვევისათვის ბრძოლასთან ერთად, პეტროგრადისა და მოსკოვის საბჭოს ბოლშევიკური ფრაქციები, პარტიის ცეკას დირექტივების თანახმად, ენერგიულად ამზადებდენ შეიარაღებული აჯანყებისათვის.

29 ოქტომბერს პეტროგრადის საბჭომ აირჩია სამხედრო - რევოლუციონური კომიტეტი, რომელიც დაუყოვნებლივ შეუდგა მზადებას შეიარაღებული აჯანყებისათვის.

7 დღე გავიდა პეტროგრადის სამხედრო-რევოლუციონური კომიტეტის შექმნის დღიდან და 7 ნოემბერს პეტროგრადის პროლეტარიატი და რევოლუციონური ჯარი მწყობრად გამოვიდა ძალაუფლების დასაპყრობად „გამობრძმედილ და რევოლუციის ქარცეცხლში განახლებულ" საბჭოებისათვის.

არავინ გარდა იუნკრებისა და ოფიცერთა მცირე რიცხოვან ბანდისა არ გამოსულა დრ. მთავრობის დასაცავად.

სულ რამოდენიმე დღის შემდეგ მთელმა ქვეყანამ დაადასტურა ოქტომბრის გადატრიალება, რომელმაც სულ მცირე დროის განმავლობაში გადაჭრა რევოლუციის მთავარი საკითხები— ზავის, მიწისა და სხვ. საკითხები.

კონტრ - რევოლუციონერებმა და მათმა მოკავშირეებმა — ესერ - მენშევიკებმა რამოდენიმე ხნით შესძლეს ძალაუფლების შენარჩუნება ზოგიერთ კუთხეებში (დონზე, ყუბანზე, ამიერკავკასიაში), სანამ ძლევამოსილი ოქტომბრის რევოლუციის ჯარმა აქედანაც არ აღგავა ისინი.

X

---

*) [illegible] იხ. „კომუნისტი" № 241.

*) ფრანგი გენერალი, რომელმაც სისხლში ჩაახრჩო პარიზის მუშების აჯანყება 1848 წ. ივნისში.

*) [illegible]შესახებ, თუ როგორ ებრძოდენ ბურ[illegible] მინისტრები ეკონომიური საკით[illegible]არების ცდას არა ძათი რეცეპტით, [illegible]ლურად მოგვითხრობს „კომსო[illegible]პრავდა"-ში დრ. მთავრობის შრომის [illegible] სკობელევი, წერილში „დრ. მთავ[illegible]ნომიური პოლიტიკა". წერილების [illegible]წყო „კ. პ." № 232-დან.

*) ს.პიონტკოვსკის წიგნიდან „ოქტომბრის რევოლუცია და მისი წინაპირობები", გვ. 30.

*) იხ. „არმიის გახრწნა 1917 წ.", რუსეთის ცენტრო - არქივის გამოცემა, ნაწილი კერენსკის შეტევის შესახებ, გვ. 86—95.

ათი წლის წინად

როგორ მზადდებოდა დიდი ოქტომბერი

29 ოქტომბერი

აჯანყების საკითხი

პეტროგრადში შესდგა რ. ს.-დ. მ. პ. (ცენტ. კომ. სხდომა, რომელზედაც განხილულ იქნა აჯანყების საკითხი. მიღებულ იქნა (19 ხმით ორის წინააღმდეგ, ოთხმა თავი შეიკავა) ნ. ლენინის მიერ წარმოდგენილი შემდეგი რეზოლუცია: „სხდომა სავსებით იწონებს და უჭერს მხარს ცეკას რეზოლუციას, მოუწოდებს ყველა ორგანიზაციებს და ყველა მუშებსა და ჯარისკაცებს გაძლიერებულ და ყოველმხრივ მზადებისაკენ აჯანყებისათვის, ცენტ. კომიტეტის მიერ ამ მიზნით შექმნილ ცენტრის მხარის დაჭერისაკენ და გამოსთქვამს სრულ რწმენას, რომ ცენტ. კ. და პეტროგრადის საბჭო თავის დროზე გამონახავენ ხელსაყრელ მომენტს და მიზანშეწონილ მეთოდებს გამოსვლისათვის.

არჩეულ იქნა აჯანყების ხელმძღვანელი ცენტრი (სვერდლოვი, სტალინი, ძერჟინსკი, ბუბნოვი, ურიცკი).

მუშათა გვარდიის მოწყობა

პეტროგრადის საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა გადაუდებელ ამოცანად აღიარა მუშათა გვარდიის შექმნა და იკისრა მთელი ამ საქმის ორგანიზაცია და პოლიტიკური ხელმძღვანელობა.

სამხედრო-რევოლუციონური კომიტეტის მოწყობა

პეტროგრადის საბჭოს პლენარულ სხდომაზე გამოქვეყნებულ იქნა პროექტი სამხედრო-რევოლუციონური კომიტეტის ორგანიზაციის შესახებ. მენშევიკებმა და ესერებმა გაილაშქრეს სამხედრო-რევოლუცი[illegible] კომიტეტის შექმნის წინააღმდეგ და [illegible]დეს, რომ „რევოლუციონურ შტაბში, [illegible]ელიც იქმნება ძალაუფლების დასაპყრობათ, ისინი მონაწილეობას არ მიიღებენ“.

ტროცკიმ განაცხადა, რომ ბოლშევიკები არ მალავენ თავის მზადებას ძალაუფლების დაპყრობისათვის. შემდეგ ტროცკის მოჰყავს ნაწყვეტი როძიანკოს განცხადებიდან გაზ. „უტრო როსიის“ თანამშრომელთან საუბრის დროს, რომ „პეტროგრადის დატოვებას ექნებოდა თავისი დადებითი მხარეებიც, რადგან გერმანელები პეტროგრადშიც, ისე როგორც რიგაში, აღადგენდენ წესრიგს, გაიდევნიდენ საბჭოებს, მოსპობდენ ბალტიის ფლოტს და მიაღრჩობდენ „რევოლუციას“ და აცხადებს: „საჭიროა ძალაუფლება გამოვსტაცოთ უპასუხისმგებლო ხელმძღვანელთ ხელიდან“.

მთელ ორატორების სიტყვების შემდეგ, სამხედრო-რევოლუციონური კომიტეტის ორგანიზაციის პროექტი მიღებულ იქნა ხმების დიდი უმრავლესობით.

მილიციის მობილიზაცია

ბოლშევიკების გამოსვლის შესახებ გავრცელებულ ხმებთან დაკავშირებით, მილიციის წარმომადგენლებმა შემოიარეს რაიონები „მუშების განწყობილების გამოსარკვევად“. მილიციის ცნობებიდან გამოირკვა შემდეგი სურათი: ალექსანდრე ნეველის რაიონში, სადაც მდებარეობენ ზოგიერთი დიდი ფაბრიკა-ქარხნები სრული სიწყნარეა. ვიბორგის რაიონში გარეგნულად სიწყნარეა, მაგრამ აქ საჭიროებას დროებითი მთავრობის დამხობისას აშკარად ქადაგებენ. ვასილიოსტროვის რაიონი უფრო საშიშ შთაბეჭდილებას ქმნიდა: თუმცა იქ მილიციის წარმომადგენლებმა გამოსვლის ნიშნები ვერ შენიშნეს, მაგრამ განწყობილება ისეთი იყო, თითქო რაღაცას მოელიანო. ყველაზე უფრო შეაფიქრიანა მილიციის წარმომადგენლები მდგომარეობამ ნარვის რაიონში: ქუჩებში და ფაბრიკა-ქარხნებთან იკრიბებოდნენ მუშათა ჯგუფები და სწარმოებდა გაძლიერებული აგიტაცია გამოსვლის სასარგებლოდ.

დათვალიერების შემდეგ რაიონებში გაძლიერებული იქნა პატრულები და კომისრებს მიეცათ წინადადება ხშირ-ხშირათ შეემოწმებიათ საგუშაგოები.

დროებითი მთავრობაში

დროებითი მთავრობის დახურულ სხდომაზე პეტროგრადის სამხედრო ოლქის უფროსი პოლკოვნიკი პოლკოვნიკოვი ამშვიდებდა დრ. მთავრობის წევრებს, რომ „საშიში არაფერია“, რომ „პეტროგრადის გარნიზონი დრ. მთავრობის მხარეზე არის“ და „მიღებულია ყოველგვარი ზომები ზამთრის სასახლის დასაცავად მოსალოდნელი გამოსვლების დროს“. გადაწყდა უფრო ფართედ იქნას გამოყენებული მილიცია „ანარქიასთან ბრძოლაში“, რისთვისაც მილიცია ქალაქის თვითმართველობების ნაცვლად დაუმორჩილდეს შინაგან საქმეთა სამინისტროს. „ანარქია“ რკინისგზებზე. სასურსათო საქმეთა მინისტრმა პროკოპოვიჩმა და გზათა მინისტრმა ლივეროვსკიმ გააკეთეს მოხსენებები ანარქიის შესახებ რკინისგზებზე. დრ. მთავრობამ წინადადება მისცა სამხედრო მინისტრს შეადგინოს სამხედრო რაზმები მატარებლების და სადგურების დასაცავად და დაავალა იუსტიციის მინისტრს შეიმუშაოს პროექტი დიდ სადგურებთან საგანგებო სასამართლოების მოწყობისა რკინისგზების წესების დამრღვეველთა საქმეების გასარჩევად სასწრაფო წესით.

დროებითი მთავრობა და უკრაინა. შემდეგ განხილული იქნა საკითხი უკრაინის რადის განზრახვის შესახებ მოიწვიოს უკრაინის დამფუძნებელი კრება. დროებითი მთავრობამ გადაწყვიტა სასწრაფოდ გაიწვიოს პეტროგრადში „განმარტებისათვის“ ვინიჩენკო და რადის ორი გენერალური მდივანი. მანამდი, სანამ „გამოირკვევა უკრაინის რადის როლი უკრაინის დამფუძნებელი კრების მოწვევაში“, —რადას წაერთვა სახელმწიფო კრედიტი და შეჩერებულ იქნა იმ 330.000 მან. გაცემა, რომელიც უკვე გამოწერილი იყო უკრაინისათვის. ადგილობრივ სასამართლო ორგანოებს წინადადება მიეცათ დაიწყონ „გამოძიება უკრაინის დამფუძნებელი კრების უკანონოდ მოწვევის საქმეზე“.

პარიზის კონფერენცია და დრ. მთავრობა.

რუსეთის ბურჟუაზიის წრეებში და დრ. მთავრობაში დიდი მღელვარება გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ ესერ-მენშევიკურმა „დემოკრატიამ“—საბჭოების ცაკის სახით—გადაწყვიტა გაგზავნოს პარიზში, მოკავშირეთა კონფერენციაზე, თავისი წარმომადგენელი (სკობელევი) და შესაფერი „ნაკაზიც“ შეიმუშავა მისთვის. თუმცა ეს „ნაკაზი“ ძლიერ შორს იყო ნამდვილად რევოლუციონური დემოკრატიის მოთხოვნილებებისაგან, მაგრამ მას მაინც შეეძლო დისონანსის შეტანა მსოფლიო იმპერიალისტების თათბირზე. ამიტომ ბურჟუაზია და განსაკუთრებით გარეშე საქმეთა მინისტრი ტერეშჩენკო ყოველღონისძიებას ხმარობდენ, რათა დაეთანხმებიათ ესერ-მენშევიკები „ნაკაზის“ „შეთანხმებაზე“ მთავრობის თვალსაზრისთან ომისა ზავის საკითხში.

რესპუბლიკის საბჭოს სხდომაზე ტერეშჩენკო „თვალსაზრისების შეთანხმების“ მოთხოვნილებით გამოვიდა. იმავე დღეს მან რუსეთის ელჩებს ლონდონში, პარიზში და რომში გაუგზავნა საიდუმლო დეპეშა, რომელშიც აფრთხილებდა მათ, რომ „დემოკრატიის“ წარმომადგენელი შევა დრ. მთავრობის დელეგაციაში, რომლის სახელით კონფერენციაზე ილაპარაკებს მხოლოდ მისი მეთაური“. ამრიგად ესერ-მენშევიკური „დემოკრატიის“ წარმომადგენლებს წინასწარ დაადევს პირზე დუმილის ბოქლომი.

დროებითი მთავრობის წინააღმდეგ.

სარატოვის საბჭომ მიიღო ბოლშევიკური რეზოლუცია. საბჭო უარს ამბობს დრ. მთავრობის განკარგულებების შესრულებაზე. ესერ-მენშევიკები გავიდნენ საბჭოდან.

დასავლეთის ოლქის საბჭოების ყრილობამ მინსკში საჭიროდ აღიარა საბჭოთა მეორე ყრილობის მოწვევა დანიშნულ დროზე „ჭეშმარიტად რევოლუციონური მთავრობის შესადგენად“. ყრილობაზე უმრავლესობას ბოლშევიკები შეადგენენ.

ვლადივოსტოკის საბჭომ თავის დელეგატს საბჭოთა ყრილობაზე მისცა ბოლშევიკური ნაკაზი.

ციმბირის საბჭოთა ყრილობაზე (ირკუტსკში) 184 დელეგატიდან 64 ბოლშევიკია, 35 მემარცხენე ესერი, 10—ინტერნაციონალისტი, 11—მენშევიკი, 50—მემარჯვენე ესერი, 2—ანარქისტი, 1 ბუნდოველი, 11—უპარტიო. ყრილობის თავმჯდომარეთ აირჩიეს ბოლშევიკი.

დვინსკში გაიხსნა მეხუთე არმიის დელეგატთა ყრილობა. თავმჯდომარეთ არჩეულია ბოლშევიკების და ინტერნაციონალისტების კანდიდატი—ხალიანსკი.

კაზაკების გაერთიანება

კავკასიაში გაიხსნა სამხრეთ-აღმოსავლეთის ოლქების კონფერენცია „სამხრეთ-აღმოსავლეთის კავშირის“ შესაქმნელად კაზაკთა ოლქებიდან.

გაფიცვები

გაიფიცნენ ნიკოლაევის რკინისგზის ზეინკლები. მოძრაობა შეწყდა.

პეტროგრადის ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეებმა წამოაყენეს ეკონომიური მოთხოვნილებები. არჩეულია საგაფიცვო კომიტეტი.

გაიფიცნენ ტიუმენისა და ვიატკის ასოთ-ამწყობები.

მზადება ოქტომბრის რევოლუციის 10 წ. თავისათვის

გამოფენა რევოლუციის მუზეუმი

ოქტომბრის ათი წლის თავის საიუბილეო დღესასწაულებისათვის რევოლუციის მუზეუმმა მოაწყო სპეციალური გამოფენა, რომელიც მთლიანად მიძღვნილია ოქტომბრის რევოლუციის წინა და შემდეგი დროისათვის.

გამოფენა შესდგება 4 განყოფილებისაგან. პირველ განყოფილებაში წარმოდგენილია მასალები თებერვლის რევოლუციიდან ოქტომბრის რევოლუციამდე. აქ გამოფენილია სხვადასხვა მომენტების დამახასიათებელი ფოტოგრაფიული სურათები, მოწოდებები, მანიფესტები, გაზეთები და სხ. ყველა გამოფენილ მასალას თან ახლავს შესაფერისი წარწერა და აღნიშვნა იმის, თუ რომელ პერიოდს ეკუთვნის ესა თუ ის მასალა.

მეორე განყოფილება უჭირავს სხვადასხვა დიაგრამებს. დიაგრამები გამოხატავენ უმთავრესად საბჭოთა ხელისუფლების მიღწევებს, როგორც ჩვენში, ისე სხვა მოკავშირე რესპუბლიკებში. აღსანიშნავია აგრეთვე, რომ მუზეუმს დაუმუშავებია ერთი დიდი დიაგრამა საქართველოში მენშევიკების ბატონობის დროიდან. დიაგრამა ასურათებს იმ ზარალს, რომელიც მენშევიკებმა მიაყენეს სხვადასხვა აჯანყებულ კუთხეებს, როგორც მაგ. სამხრეთ-ოსეთს და სხ. და ციფრებითაა დასურათებული ამავე კუთხეებში გასაბჭოების შემდეგ ჩატარებული აღმშენებლობის შედეგები.

გამოფენის მესამე განყოფილება მიძღვნილი აქვს სურათებს. აქ წარმოდგენილია მხატვარ ლიუბიმოვის დიდი ნაწარმოები თეთრგვარდიელთა ბატონობის ხანიდან და გამოფენილია ფოტოგრაფიები მენშევიკური მთავრობის მიერ დახვრეტილი კომუნისტების. სურათებში ყურადღებას იპყრობს ძველი კომუნისტის—ამხ. პავლე მარდალეიშვილის დამწვარი გვამი. (ამხ. მარდალეიშვილი მენშევიკების დროს გაიყვანეს ქუთაისის ციხიდან და დასწვეს სალორიის ტყეში).

მეოთხე განყოფილება დათმობილი აქვს პლაკატებს. ამ განყოფილებაში წარმოდგენილია 400-მდე სხვადასხვა პლაკატი, როგორც სამოქალაქო ომის, ისე იმპერიალისტური ინტერვენციის და საქართველოს გასაბჭოების დროიდან.

გამოფენა დიდძალ მნახველებს იზიდავს.

საზღვარ-გარეთ გამოფენისათვის

საქართველოს სტატისტიკის ცენტრალურმა სამმართველომ, ოქტომბრის რევოლუციის 10 წლის თავზე საზღვარგარეთ გამოფენის მომწყობ კომისიის დავალებით, საზღვარ-გარეთ გამოფენაზე გასაგზავნათ დაამზადა საქართველოს მოსახლეობის კარტოგრამები და დიაგრამები ეროვნების დედა ენის და წერა-კითხვის ცოდნის მიხედვით, მოსახლეობის ზრდა 1897 წლიდან 1927 წლამდე და მოსახლეობის სიმჭიდროვე საქართველოში შემავალ ცალკე ავტონომიურ რესპუბლიკებს და ცალკე მაზრებში.

ეს კარტოგრამები იქნება საზღვარ-გარეთ გაგზავნილი ამ დღეებში.

რკინის გზებზე

ამიერ-კავკ. რკ. გზების გამგეობასთან ამხ. ს. კალანდაძის ხელმძღვანელობით შექმნილია განსაკუთრებული კომისია, რომელსაც დაკისრებული აქვს გზებზე ოქტომბრის ზეიმის ჩატარება.

თანახმად კომისიის მიერ შემუშავებულ გეგმისა, ზეიმის დროს გზების სამმართველოს მთავარი შენობა მორთული იქნება პლაკატებით და დიაგრამებით, რომლებშიაც დახასიათებული იქნება ამიერ-კავკასიის სარკინისგზო ტრანსპორტის მეურნეობის ზრდა.

აფხაზეთში

ოქტომბრის რევოლუციის ათი წლის თავი აფხაზეთში, ისე როგორც საქართველოს სხვა კუთხეებში, გადაწყვეტილია აღინიშნოს მთელ რიგ ახალ კულტურულ დაწესებულებებისათვის საძირკვლის ჩაყრით, მაგ. სოხუმში საძირკველი დაედება ცენტრალურ ამბულატორიის დიდ შენობას, რომელშიდაც სხვათა შორის, მოწყობილი იქნება ვენეროლოგიური განყოფილება 10 საწოლიანი სტაციონარით. შენობის ასაგები ხარჯთაღრიცხვა 40 ათას მან. უდრის. სოხუმში გაიხსნება კურსები პროფილაქტიკის მუშაკთა მოსამზადებლად. დაბა გალში საფუძველი ჩაეყრება სამაზრო ამბულატორიის შენობას, კოდორის მაზრაში გაიხსნება საჩვენებელი ბაგა 16 ბავშვისათვის და სხვ.

საიუბილეო გამოფენა თბილისში

ოქტომბრის დღესასწაულის ჩამტარებელმა ცენტრალურმა კომისიამ გამოჰყო სპეციალური ქვე-კომისია, რომელსაც დავალებული აქვს უშუალო ხელმძღვანელობა საიუბილეო გამოფენის მოწყობის თბილისში. გამოფენამ უნდა ნათელჰყოს საბჭოთა ხელისუფლების ყველა მიღწევები საქართველოში დღიდან გასაბჭოებისა.

გამოფენის მომწყობმა კომისიამ დაადგინა მიმართოს ყველა უწყებებს, რომ დაჩქარებით შეუდგენ გამოსაფენი ექსპონატების დამთავრებას, დიაგრამებისა და კარტოგრამების დამუშავებას და ფოტოგრაფიული სურათების გადაღებას. ყველა წარმოდგენილ ექსპონატებს დართული ექნება შესაფერი წარწერები ქართულ და რუსულ ენებზე.

გამოფენის საზეიმო გახსნა მოხდება 7 ნოემბერს, ხოლო ექსპონატების ჩაბარების უკანასკნელ ვადათ დანიშნულია 4 ნოემბერი.

ყველა დაწესებულებებმა და უწყებებმა მათი ექსპონატების სია და მათ გამოსაფენათ საჭირო ადგილის ზომა უნდა აცნობონ კომისიას 1-ლ ნოემბრამდე (ს.მ.უ.ს. შენობა ოთახი № 35). აქვე მიიღება ყოველგვარი ცნობები გამოფენის გახსნასთან დაკავშირებით.

1157000 მანეთი საქართველოს მრეწველობისათვის

ს.მ.უ.ს. საბჭომ მოსკოვიდან მიიღო ცნობა, რომ მიმდინარე საბიუჯეტო წლის 1-ლ მეოთხედში ამიერ - კავკასიის რესპუბლიკების მრეწველობისათვის, თანახმად საკავშირო შრ. და თავდაცვის საბჭოს დადგენილებისა, გადადებულია საბჭოს დადგენილებისა, გადადებულია სახელმწიფო ბიუჯეტიდან 3.000.000 მანეთი. აღნიშნულ თანხას ა-კ. რესპუბლიკებს შორის ანაწილებს საკავშირო ფინსახკომი და საკავშირო ს.მ.უ.ს საბჭო.

3 მილიონი მანეთიდან საქართველოს მრეწველობას მიეცემა 1.157.000 მან., აზერბეიჯანის — 1.103,000 მან. და სომხეთს 740.000 მან.

საქართველოს მრეწველობის სხვადასხვა დარგებს შორის კი 1.157.000 მანე- ხვა დარგებს შორის კი 1.157.000 მანეთი ნაწილდება შემდეგნაირად: ლითონის მრეწველობას — 50.000 მან., ქვანახშირის მრეწველობას (ტყიბულში და ტყვარჩელში) — 75.000 მან., სამთო მრეწველობაზე (სალებავების წარმოება, ლითოგრ. ქვის დამუშავება და ინფუზორიტის მადნების ექსპლოატაცია) — 27.000 მან., ტყის მრეწველობაზე სულ დაიხარჯება — 620.000 მანეთ., აქედან ტყის მრეწ. ტრესტს მიეცემა — 450.000 მან., ბზიბის ქარხნის ასაგებათ — 20.000 მან., ცხივნალის სახერხი ქარხნის ასაგებათ — 20.000 და ბათომის სატკეპნ ქარხნისათვის — 50.000 მან., ქიმიური მრეწველობისათვის გადადებულია —10.000 მან., საფეიქრო მრეწველობისათვის — 300.000 მან. და სასილიკატო მრეწველობისათვის (ცემენტისა და აგურის ქარხნების ასაგებათ) — 75.000 მანეთი.

აბრეშუმის ახალი ქარხნები

(საუბარი „საქართველოს აბრეშუმის“ მმართველთან ამხ. გ. გოგოტიშვილთან)

თბილისში დაბრუნდა ს. მ. უ. ს. ტრესტის „საქართველოს აბრეშუმის“ მმართველი ამხ. გ. გოგოტიშვილი, რომელიც გამგზავრებული იყო დასავლეთ საქართველოში აბრეშუმის ახალი ქარხნების საამშენებლო საქმის გასაცნობად.

ჩვენს თანამშრომელთან საუბარში ამხ. გ. გოგოტიშვილმა განაცხადა:

— უპირველეს ყოვლისა მე გავემგზავრე ბათომში, სადაც ჩავიბარე საზღვარგარეთიდან მიღებული მოწყობილობა აბრეშუმის ქარხნებისათვის. მიღებულია 96 ქუბი და 100 ქუბის ნაწილები. ქუბები გადაგზავნილია ხონში, ხოლო ნაწილები კი სამტრედიაში. მოწყობილობის ჩაბარების შემდეგ მე დავათვალიერე ოზურგეთის, ქუთაისის, ხონის, ცაგის და სამტრედიის ქარხნები და საგრენაჟო სადგურები.

ოზურგეთის ახალი ქარხნის აღმშენებლობა ნორმალურად მიმდინარეობს. ქუბები შეკვეთილი აქვს თბილისის ლითონის ტრესტს. ქარხანა აამუშავდება 1928 წლის პირველ ივლისს.

ძველ ქარხანაში მუშაობა კარგათაა დაყენებული. მუშაობს 600-დე მუშა. ქარხანას აქამდი არ ჰქონდა სასმელი წყალი. ეხლა ჩვენ გადავწყვიტეთ გავიყვანოთ ქარხნამდე 2—3 ვერსის მანძილზე წყალსადენი, რომელიც წყაროს წყალს მიაწვდის მუშებს, წყალსადენი მზათ იქნება თვენახევარში და დაჯდება დაახლოვებით 10.000 მანეთი. ამ რამოდენიმე კვირის წინად ქარხანაში ამუშავდა 35 ძალიანი დიზელი, რომელიც ჩვენ საზღვარგარეთიდან გამოვიწერეთ. განზრახულია ქარხნიდან ზედმეტი ენერგიის მიწოდება რკინისგზისათვის, რისთვისაც სათანადო მოლაპარაკება რკინის გზასთან უკვე სწარმოებს.

ქუთაისის ახალი დიდი საგრენაჟო სადგური № 3 სრულიად დამთავრებულია და ამჟამად იქ სწარმოებს გაცხოველებული მუშაობა თესლის ანალიზის გარშემო. სადგური უზრუნველყოფილია როგორც წყალით, ისე ყოველგვარი ტექ. მოწყობ., რომლებიც მიღებულია საზღვარგარეთიდან. სადგური წლიურად დაამზადებს 30.000 კოლოფ სრულიად საღ თესლს.

ტრესტის მიერ მიღებულია ზომები, რათა ქუთაისის მომავალ ძაფსაღებ ქარხნის საძირკვლის ჩაყრა მოხდეს ოქტომბრის დღესასწაულზე. ეს ქარხანა იქნება 152 ქუბიანი, მზად იქნება ერთი წლის განმავლობაში და იქ იმუშავებს 1.000 მუშა.

ხონში ძველ ქარხანაში მუშაობა ნორმალურად მიმდინარეობს. ახალი ქარხნის კორპუსი დამთავრებულია და ოქტომბრის დღესასწაულზე მოხდება მისი გადახურვა, ქარხანა ამუშავდება პირველ ივლისს.

სამტრედიაში სრულიად დამთავრებულია დიდი ქვის საწყობი, რომელიც დაჯდა 35.000 მანეთი. საწყობი აგებულია ქარხნის ეზოში. ქარხნის შენობაში იდგმება 48 ახალი ქუბი, რომელთა მოწყობა ორი მესამედით უკვე დამთავრებულია და დაახლოვებით 20 ნოემბრისათვის უკვე ახალი ქარხანაც დაიწყებს მუშაობას. ქარხანაში ორწყებად იმუშავებს 280 მუშა.

აღსანიშნავია, რომ „საქართველოს აბრეშუმმა“ გადაწყვიტა კრედიტი გაუხსნას საქონლით თავისი დაწესებულებების მუშა-მოსამსახურეებს ადგილობრივ სამომხმარებლო საზოგადოებებში. ამ მიზნისათვის გადადებულია 35.000 მანეთი. კრედიტი გაცემული იქნება სამი თვის ვადით. კრედიტის რაოდენობაა—ერთი თვის ხელფასი.

ვინაიდან ადგილობრივ კოოპერატივებს არ მოეპოვებათ მანუფაქტურის საკმაო რაოდენობა, ტრესტმა მიიღო ზომები, რომ ისინი უზრუნველყოფილი იქნენ ფართლეულობის იმ რაოდენობით, რომელიც საჭირო იქნება ჩვენი ქარხნების მუშა-მოსამსახურეებისათვის.

სასამართლოების რეორგანიზაცია

საოლქო სასამართლოს გაუქმება

საქ. ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის პრეზიდიუმმა მიიღო პროექტი დადგენილებისა საოლქო სასამართლოების და საოლქო პროკურატურის გაუქმების შესახებ. მათ ნაცვლად დაარსებული იქნება სამაზრო სასამართლოები და სამაზრო პროკურატურები.

უზენაეს სასამართლოს ახალი შემადგენლობა

ცაკის პრეზიდიუმმა დაამტკიცა უზენაეს სასამართლოს ახალი შემადგენლობა: სასამართლოს თავმჯდომარედ — ალექსანდრე ივანესძე კაჭარავა, წევრებათ: სერგო მეგრელიშვილი, მაკარი ბედია, რომან შომახია, გრიგოლ მგალობლიშვილი, ივანე ზერზერაშვილი, ალექსანდრე ლუკაშევიჩი, არტემ აკოპოვი, აფრემ გაგლოევი, მიხეილ ლაშხი, აშოტ გალუსტიანი, ირადიონ სურგულაძე, მიხეილ ორჯონიკიძე, სერაფიონ ქავჟანიძე, ვასილ თათეიშვილი, ვარდენ კალანდაძე, თოდრია, მელიტონ შეიშვილი, ევგენი ებრალიძე, მიხეილ კაკულია, ალექსანდრე აფხაიძე და ლადო გაგნიძე. სათადარიგო წევრებად: კალისტრატე კობახიძე და სოლომონ ხანკლამოვი.

სამაზრო სასამართლოები

თბილისის და მისი მაზრის რაიონის სამაზრო სასამართლოს თავმჯდომარეთ დანიშნულია ამხ. სამსონ არხიპოსძე ხარაბაძე, ამავე სასამართლოს წევრებათ: იოსებ ზერიშვილი, სავინ თურქია, პავლე გრიქორაშვილი, მამანტი კაჭარავა, და დავით ციციშვილი.

ქუთაისის და მისი მაზრის სამაზრო სასამართლოს თავმჯდომარეთ — ამხ. თომა ბოცვაძე, წევრებად: ვლადიმერ წივწივაძე და მიხეილ თუმანოვი; **გორის** — სასამართლოს თავმჯდომარედ დაინიშნა ამხ. გაბრიელ გასიევი; **ახალციხის** — დიმიტრი ხუციშვილი, **ბორჩალოს** — ვალერიან კერესელიძე, **დუშეთის** — აბესალომ თენეიშვილი, **თელავის** — პავლე ბურკაძე, **შორაპნის** — ალექსი ნაკაიძე, **ოზურგეთის** პროკოპი ვაჩნაძე, **სენაკის** — მიხეილ ნოდია, **ზუგდიდის** — ერასტი როდონაია.

ახალი ნავთსადგური სოხუმში

ამიერ-კავკასიის ნავთსადგურების განყოფილება უახლოეს კვირეებში დაიწყებს მუშაობას გემთ მისადგომი ნავთსადგურის ასაგებად ქ. სოხუმში. ახალ ნავთსადგურის ასაგები ხარჯთაღრიცხვაზე გამონაგარიშებულია — 530.850 მანეთის რაოდენობით.

ნავთსადგურის აგების დამთავრება გათვალისწინებულია 1929 წლის დამლევისათვის. ნავთსადგურის პროექტი, რომელიც დამუშავებულია ინჟ. ჯუნკოვსკისა და პეჟემსკის მიერ, მოწონებული და დამტკიცებულია გზათა-მიმოსვლის კომისარიატის მიერ.

ნავთსადგურები შენდება უახლესი სისტემით და თავისი კონსტრუქციით იქნება პირველი ნავთსადგური მთელ საბჭოთა კავშირში ამ სისტემის ნავთსადგური ეხლა-ხან აუგიათ ჰონ-კონგში. გემთ-მისადგომის სათავე ნაწილი ნაპირების მიმართ ისეთი კუთხით იქნება მიმართული, რომ სავსებით უზრუნველყოფილი იქნება გემების მშვიდობიანი დგომა ნავთსადგურებში. გემების დატვირთვა და გადმოტვირთვა შესაძლებელი გახდება იმ შემთხვევაშიდაც, როცა ქარის ქროლა 7 ბალს მიაღწევს. ამით შესაძლებელი გახდება მაქსიმალურად გადიდებული იქნეს გემების მიმოსვლა ნავთსადგურებში.

ნავთსადგური შენდება რკინა-ბეტონისაგან და მიიღებს როგორც სამგზავრო ისე საბარგო გემებს. ერთდროულად ნავთსადგური მიიღებს ორ გემს. ნავთსადგურის სათავე აღჭურვილი იქნება მოწყობილობით, რომლის საშუალებითაც იწარმოებს გემების მექანიკურად დატვირთვა-გადმოტვირთვა.

ნავთსადგურის აგება მინდობილი აქვს ინჟინერ მშენებელს კოპილევს, რომელმაც ააგო ტუაფსის ნავთსადგური.

სტიქიურ უბედურებათა შედეგები

სახკომსაბჭოს ამა წლის 4 ოქტომბრის 29-ს დადგენილებით გამოყოფილმა კომისიამ მოახდინა გამოკვლევა საქართველოს ნათესების მდგომარეობისა და მასთან ერთად გამოიმუშავა ღონისძიებანი თესვის კამპანიის ჩასატარებლად. კომისიის მოხსენებიდან გამოირკვა, რომ სოფლის მეურნეობისათვის არა ხელსაყრელ მეტეოროლოგიური პირობების გამო, განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში, წელს საგრძნობლად დაზიანდა სას.-სამეურნეო კულტურები.

მაზრის აგრონომების და სამაზრო სტატ. განყ. ოფიციალური ცნობების მიხედვით, რაც შეთანხმებულია მაზრის საექსპორტო კომისიებთან, სრულიად დაღუპულ ნათესების სივრცის რაოდენობა უდრის: თბილისის მაზრაში—2.073 დეს.; დუშეთის მაზრაში—1.331 დეს.; ახალქალაქის მაზ.—1.071 დ.; სამხრეთ-ოსეთში—6.300 დეს.; სულ აღმ. საქართველოში—10.765 დეს.; ზუგდიდის მაზრაში—12.135 დ. სენაკის—2.980 დეს.; ოზურგეთის—2.160 დეს.; ლეჩხუმის 15 დეს.; შორაპნის—92 დ.; სულ დასავლეთ საქართველოში 17.382 დეს. მთლად საქართველოში დაიღუპა—28.147 დეს ნათესი. აღნიშნულ სივრცის დასათესათ საჭირო იქნება—64.082 ფ. სიმინდი და 136.656 ფ. ხორბლეული, სულ—200.738 ფ.

გარდა სრულიად დაღუპულ სივრცისა, დაზარალებულია: ახალციხის მაზრაში—2.263 დეს. ბორჩალოს მაზრაში—2.789 დეს.; გორის მაზრაში—6.192 დ.; თელავის—1.565 დ. სიღნაღის—15.395 დ. სულ—28.204 დეს.

დეფიციტი გამოიხატება 15.095,9 ათ. ფ. აქედან ქალაქის მოსახლეობას ესაჭიროება—7.616,7 ათ. ფუთი. ჩვეულებრივათ საქართველოში — 10.000.000 ფუთამდი ყოველწლიურად, ასე რომ მიმდინარე წელში საჭირო იქნება დამატებით 5.000.000 ფ. პურეულის შემოტანა.

ბაილ-ბეთქენ

(ლეგენდა სვანეთის ცხოვრებიდან)

სვანეთის უზარმაზარი მთები დარაჯათ გადმოიყურებიან, თითქო მთვარის მომწყვდევასა სცდილობენო. ლამაზი, წერწეტიანი კოშკები თვალწარმტაც სანახაობას წარმოადგენენ. ბუნების ამ სიდიადით დამონავებული სოფელიც ტკბილ ძილს მისცემოდა, აქა-იქ ხანდისხან გაისმოდა ძაღლების ყეფა.

ყველას ეძინა, მხოლოდ ერთ სახლში ორი მეგობარი ქალი ხვამში და ტერო ფხიზლობდენ. სახლიდან ჭიანურის სასიამოვნო ხმა გამოისმოდა და ზედ ნაზი, დამღონებელი ხმა ერთოდა, ხვამზის თითები მარდათ ადი-ჩამოდიოდენ ჭიანურის სიმებზე და ორივე მეგობარი ზედ დამღეროდა ამბებს სვანეთის წარსული ცხოვრებიდან.

ჭიანურის ხმა ხან შესუსტდებოდა, ხან ისევ ამაღლდებოდა, ხან ნაზად შესწყდებოდა ერთ წუთს და ისევ გაგრძელდებოდა. ჭიანურის ხმაზე ნათლად გაარჩევდით სიმღერას „ბაილ - ბეთქენ!“—

ქალდეს ქვეყნიდან მძლავრი მტრისაგან დევნილმა სვანმა საბოლოოდ შეაფარა თავი „ქავქანს“ (კავკასიონი) იგი მთის შვილია, ლაღია ჯიხვსავით, მთას შეხარის, თავისუფლებას უმღერის. მისი სიმღერა აღსავსეა მელოდიით, ჰარმონიულია, მასში გამოსჭვივის სიცოცხლე, სილაღე, გულადობა, ვაჟკაცობა და ამაყობა! ყოველივე ეს სვანს, როგორც მთის შვილს, თან დაყოლილი აქვს ბუნებითვე; ყოველივე ეს მას ზრდის „ერთობილ და ლაღ სვანათ“. ნადირობაც სვანისათვის ვაჟკაცობაა და ამიტომაც მონადირეს იგი პატივისცემით ეპყრობა, უმღერის.

ს. ქ-ში ცხოვრობდა განთქმული მონადირე ბეთქენი, რომელსაც ფეხის სიმარდეში ვერავინ შეედრებოდა. ერთ დღეს მოედანზე შეყრილიყვნენ სოფლის მცხოვრებნი და ფერხული ჩაებათ, სადაც ჩვენი ბეთქენიც ერია. ამ დროს „თოთანზე“ (კლდეა) შველი გამოჩნდა. შეიქნა ჩოჩქოლი — ლაპარაკი — „აბა ვინ იქნება ისეთი, რომ შველი დაიჭიროს— მას მთელი სოფლის სვე-ბედს შევყრით.

აქ რძალი აქეზებს ბეთქენს — შენს მეტს ამის ასრულება არავის შეუძლიაო. ბეთქენი, რძლის ქებით გატაცებული გამოედევნება შველს. შველი გარბის, უკან ბეთქენი მისდევს. წინ გზა იშლება, უკან იკვრება. ამგვარად მიიტყუა ნადირმა ბეთქენი „უხვანში“ (სალი კლდე). უკუ იხედა, გზა აღარ არის. საწყალი ბეთქენი, უბედური ბეთქენი! მისი ტირილი მთელ მულახს ესმის. მასთან მყოფ ძაღლების ყეფილი რაჭა - ლეჩხუმამდე აღწევს. ს. მულახ - გუჟალი მოიყრის თავს მთის ძირში: ზოგს ბაწრის ტვირთი მოაქვს ,ზოგს ქეჩა - ნაბდებისა. ქვეშ ნაბდებს აფენენ, ზევიდან ბაწრის კიბეს უშვებენ, მაგრამ კლდე თანდათან დიდდება და ბაწრები თავისით წყდებიან. მონადირე ზემოდან დასტირის თავის მდგომარეობას,თან ამბობს ჩემს ცოლს უთხარით—შვილებს მიხედოს; დედა ჩემს უთხარით — ჩემს სახელს იგონებდეს სუფრაზე ხაჭაპურების წარდგმით; მამას უთხარით — შვილს თავის სუფრაზე წარდგმით მიხსენიებდეს; ჩემს დებს უთხარით —- კარგად დამიტირონ! ტოლ-ამხანაგებს უთხარით —- კარგი კუბო გამიკეთონ! თამარს, ჩემს რძალს უთხარით, რომ ჩემი ცოდვა ნუ მოაკლდების, რადგან სანადიროთ „ურწყულად“ (უწმინდურად) გამისტუმრა!

საწყალი ბეთქენი, უბედური ბეთქენი! ბაილ - ილბა, ილბა - ბაილ! ბეთქენი თვალებს ხუჭავს და კლდიდგან გადაეშვება. მხოლოდ ორიოდე ძვალმა მიაღწია დედამიწამდე, სხვა უზარმაზარმა კლდემ ჩაყლაპა! ბაილ - ილბა, ილბა - ბაილ! ხალხი იქვე მთის ძირში აბამს ფერხულს და ბეთქენის ვაჟკაცობას დამღერის, ხოლო რძლის საქციელს გმობს. კიცხავს. ის კლდე დღესაც ამაყად დასცქერის სოფელს, მას აქამდე ხალხი „ბეთქენი ნაშყადვ“-ს ეძახის (ბეთქენის გადმონავარდნი)...

შესწყდა ჭიანურის ხმა, დააბოლავეს ქალებმა სიმღერა “ბაილ ილბა, ილბა ბაილ”.

ივ. მარგიანი

გერმანიის მუშათა დელეგაციის გამგზავრება

საქ. მთავრობის თავმჯდომარესთან

გუშინ, დელეგაცია მთელი შემადგენლობით და ადგილობრივი მუშაკების თანხლებით ესტუმრა საქართველოს მთავრობის თავმჯდომარეს ამხ. ლ. ქართველიშვილს, რომელთანაც ხანგრძლივი საუბარი ჰქონდა.

საუბრის დროს დელეგატებმა მთავრობის თავმჯდომარეს მისცეს შემდეგი შეკითხვები: რამდენათ არის გატარებული საქართველოში მრეწველობის სოციალიზაცია, როგორი სიძნელეები იყო გადასალახავი და რას ფიქრობთ ამ მხრივ მომავლისათვის, როგორია ფინანსიური პოლიტიკა, რომელი გადასახადები იზრდება და როგორ იხდის მათ მოსახლეობა, აუნაზღაურდა თუ არა, ან და ფიქრობს თუ არა მთავრობა აუნაზღაუროს ზარალი იმ პირებს, რომლებმაც დაკარგეს დაგროვილი თანხები ვალიუტის კურსის დაცემის დროს; ჰქონდათ თუ არა მენშევიკებს კავშირი იმპერიალისტურ ინგლისთან და საფრანგეთთან და რაში გამოიხატა ეს კავშირი მენშევიკების ბატონობის დროს და მენშევიკური პერიოდის შემდეგ.

ყველა ამ კითხვებზე ამხ. ლ. ქართველიშვილმა ვრცელი და ამომწურავი პასუხი გასცა.

საუბარი გაგრძელდა დაახლოვებით 2 საათი.

პროფსაბჭოში

დღის 1 საათზე, საქართველოს პროფსაბჭოში შესდგა პროფსაბჭოს მუშაკების და დელეგატების გაერთიანებული თათბირი. თათბირი გახსნა საქ. პროფსაბჭოს მდივანმა ამხ. ბ. მაჩაიძემ, რომელმაც მოუწოდა დელეგატებს მისცენ ადგილობრივ პროფმუშაკებს შეკითხვები პროფესიონალური მუშაობის იმ დარგებიდან, რომელიც მათ აინტერესებთ.

დელეგატები ეკითხებოდენ პროფსაბჭოს წარმომადგენლებს, თუ რამდენი მუშა-ხელია საქართველოში, რამდენია გაერთიანებული პროფკავშირებში, როგორი მდგომარეობა იყო ამ მხრივ მენშევიკების დროს, როგორია მუშების საშუალო ხელფასი, რამდენს იხდიან ანარიცხებს პროფკავშირების სასარგებლოდ, როგორი კულტურულ-განმანათლებელი მუშაობა სწარმოებს პროფკავშირების წევრთა შორის, რამდენ პროცენტს უდრის წერა-კითხვის უცოდინართა რიცხვი და სხვა.

ყველა ამ კითხვებზე დელეგატებს ამომწურავ პასუხს აძლევდა ამხ. ბ. მაჩაიძე.

თათბირის შემდეგ დელეგატები ჯგუფ-ჯგუფად დადიოდენ მთავარ ქუჩებზე და ეცნობოდენ ქალაქს.

საღამოს დელეგაცია მთელი შემადგენლობით გაემგზავრა ერევანში, სადაც დარჩება ერთი დღე.

დელეგატების შთაბეჭდილებანი

გამგზავრების წინ ჩვენს თანამშრომელს საუბარი ჰქონდა დელეგატებთან საქართველოში მიღებულ შთაბეჭდილებების შესახებ. დელეგატები აღფრთოვანებული არიან იმ შეხვედრით, რომელიც მათ გაუმართა საქართველოს პროლეტარიატმა.

— საქართველოს ჩვენ ვიცნობდით გერმანიის მუშათა პირველი და მეორე დელეგაციების ანგარიშებიდან. იქ დაწვრილებით აწერილია ამ დელეგაციების მოგზაურობა წითელ საქართველოში. ეხლა ჩვენ საშუალება მოგვეცა ჩვენი თვალით გვენახა თქვენი ლამაზი ქვეყანა და შეგვემოწმებია იქ მოყვანილი ცნობები.

საქართველომ ჩვენზე ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა. ჩვენ დავათვალიერეთ თქვენი წარმოებები და ზემო-ავჭალის ჰიდრო-ელექტრო სადგური, რამაც დაგვარწმუნა საქართველოს მუშათა კლასის უდიდეს შემოქმედებით ნიჭში.

გერმანიაში დაბრუნებისას ჩვენი მოვალეობა იქნება დაწვრილებითი და სისწორით გავაცნოთ გერმანიის მუშებს ყველაფერი აქ ნახული და გაგონილი.

ერთი დელეგატი ეხება ომის საფრთხეს და ამბობს:

— კაპიტალისტური ქვეყნები თქვენთან საომრად ემზადებიან, თქვენ შეგიძლიათ დარწმუნებული იყოთ, რომ გერმანიის პროლეტარიატი ყოველ წუთში მზად იქნება გვერდში ამოუდგეს საბჭოთა კავშირის პროლეტარიატს და დაიცვას მსოფლიოში პირველი მუშათა სახელმწიფო.

კრიმინალოგიური კაბინეტის ქსელი

ჯანსაღკომის სახალხო კომისარიატთან შესდგა საუწყებათაშორისო თათბირი რესპუბლიკაში კრიმინოლოგიური კაბინეტის ქსელის მოწყობის შესახებ. თათბირს დაესწრენ განათლების, შინაგან საქმეთა და იუსტიციის კომისარიატების წარმომადგენლები.

კრიმინოლოგიური კაბინეტის მოწყობის მიზანია ბოროტმოქმედებათა ფორმების და თვით ბოროტმოქმედებათა პირების ბიოლოგიური და ფსიქოლოგიური შესწავლა. ბოროტმოქმედებათა შესწავლის დროს განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა ბოროტმოქმედების სოციალური ხასიათის მიზეზების გამოკვლევას, როგორ გარემოებაში ხდება იგი და როგორია თვით ბოროტმოქმედის სულიერი მდგომარეობა ნორმალურთან შედარებით.

კრიმინოლოგიური კაბინეტები, თათბირის დადგენილებით, უნდა მოეწყოს რესპუბლიკის სხვადასხვა ქალაქებში. ჯერ - ჯერობით ასეთი კაბინეტი გახსნილია: თბილისის 1-ლ გამსახლთან, სისხლის სამართლის მილიციის სამძებრო ქვე-განყოფილებასთან და მცირეწლოვან დამნაშავეთა ახალშენთან.

თათბირმა მიზანშეწონილად სცნო აგრეთვე ყველა კრიმინოლოგიურ კაბინეტებთან მოაწყოს კრიმინალოგიური მუზეუმი. როგორც მუზეუმების, ისე ახალი კაბინეტების დაარსებას და მუშაობას ხელმძღვანელობს ჯანმრთელობის კომისარიატთან დაარსებული კრიმინოლოგიური ბიურო, რომელიც ახლო ხანში გამოყოფს სამეცნიერო სექციას. სამეცნიერო სექციის თავმჯდომარედ მოწვეულია ფსიქო - ნევროლოგიური ინსტიტუტის დირექტორი პროფ. ასათიანი.

სასკოლო სტატისტიკოსების კონფერენცია

მეოთხე სხდომა

სასკოლო სტატისტიკოსების ამიერ - კავკასიის კონფერენციის მე-4 სხდომაზე გრძელდებოდა პროფესიონალურ სკოლების აღწერის ფორმულიარებისა და ანკეტების განხილვა. აზრთა გაცვლა - გამოცვლის შემდეგ წარმოდგენილი ფორმულიარებისა და ანკეტების ფორმები დამტკიცებული იქნა მცირე შესწორებებით.

ამავე სხდომაზე განხილული იქნა სასკოლო აღწერის ჩასატარებელი ხარჯთაღრიცხვის პროექტი 51.000 მან. რაოდენობით. სხდომამ დაწვრილებით განიხილა წარდგენილი ხარჯთაღრიცხვა და დაადგინა წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვა შემციროს 22 ათას მანეთამდე. ამრიგათ მთელ ამიერ - კავკასიაში სასკოლო აღწერის ჩატარების საქმეზე დაიხარჯება 22.000 მანეთი.

ცემენტის ქარხანა

საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის სახ. მეურნ. უმაღლესმა საბჭომ აღძრა შუამდგომლობა, რათა კასპში განზრახულ ცემენტის ქარხნის ადგილის რაიონიდან მოსახლე გლეხები გადასახლებულნი იქნენ სხვა ადგილზე. ცაკის პრეზიდიუმმა აღნიშნული შუამდგომლობის თანახმად დაადგინა კასპში ცემენტის ქარხნის ასაგებ ადგილის ახლო - მახლო რაიონში მოსახლე გლეხები გადასახლებული იქნენ სხვა ადგილას გადასასახლებელ გლეხებს სამოსახლო და ბაღების გასაშენებლად მიწები მიეცემათ კასპშივე — სხვა ადგილზე. მათ აუნაზღაურდებათ გადასახლებით მიყენებული ყოველგვარი ზარალი და გაეწევათ შესაფერი დახმარება ახალ სამოსახლო ადგილებზე მეურნეობის მოსაწყობათ.

პროფ. გიგო გაბაშვილის სურათების გამოფენა

გამოფენა მოწყობილია ქართველ მხატვართა საზოგადოების მიერ. მოტანილია ოთხმოც სურათზე მეტი. თავის ხანგრძლივ სიცოცხლის გზაზე-კი გაბაშვილს დაუხატავს თითქმის ორი ათასი სურათი. მისი სურათები მოთავსებულია უცხოეთის თითქმის ყველა დიდ ქალაქების სამხატვრო გალერეებში.

გიგო გაბაშვილის შემოქმედებას თუ შევხედავთ თანამედროვეობის თვალით, —გამოფენიდან დარჩება მხოლოდ რამოდენიმე პორტრეტი, როგორც კარგი ოსტატის შემოქმედება; მაგრამ ეს არ იქნება სამართლიანი შეფასება.

პროფ. გ. გაბაშვილი

—:—

გაბაშვილმა თავისი შემოქმედება დაასრულა, მისი შემოქმედება ისტორიას ეკუთვნის. და ამიტომ ჩვენც სრულიად აუღელვებლად უყურებთ მისი სიუჟეტების სიმარტივეს, კომპოზიციის ქაოტიურობას და რომანტიულ გულუბრყვილობას.

მხატვარი ხევსურეთშია შეყვარებული და გამოფენის ნახევარიც მათი ცხოვრებიდანაა. ეს ცხოვრება „თეთრი საყელოს“ გმირის რომანტიული თვალით არის დანახული. მუზარადის, ხმლის და ლრიების იქით ხევსური არ სჩანს. ეს-კი მხოლოდ დეკორაციაა ხევსურის გაწამებული ყოფის, უმაგალითო ჩამორჩენილობის და რელიგიური ფანატიზმის დასაფარავად. თანამედროვე მხატვარს უთუოდ მოვსთხოვდით ამ დეკორაციის მოხსნას.

როგორც გმირული ეპოპეის გადმომცემი სურათი, აღსანიშნავია „ხევსურთა შეტევა“. ამ სურათის კომპოზიცია უფრო სრულ ქმნილია, ვიდრე რომელიმე ხატურ-მორტის. ყოველ საგნის მოხაზულობა და ფერი იძლევა რისხვას მოსეულ მტრისადმი. მთავარი თვისების დაჭერა ხაზითა და ფერით მხატვარს უფრო პორტრეტებში ემარჯვება. ამ მხრივ ძლიერია ნ. ნიკოლაძის პორტრეტი, თუმცა ფერების ტექნიკურად დამუშავებას განსაკუთრებული სიძლიერით ამჟღავნებს უცნობი სასულიერო პირის „პორტრეტი“, „სამი მოქალაქე“ და „ბრმა მომღერალი“.

მასსიურ სცენების გადმომცემი სურათები ფერფლ მიყრილის შთაბეჭდილებას სტოვებს. მათში რამოდენიმედ გამოირჩევა „ალავერდობა“ და „ქიდაობა“ მაგრამ ორივე სურათის სულს აკადემიზმი აღრჩობს.

პერსპექტივა კარგად არის მოცემული სამარყანდის სურათებში განსაკუთრებით „ბაზრობა“-ში. სამარყანდის გზით გახურებული ატმოსფერის გადმომცემ ფერებს აკლია ფიზიოლოგიური ტონალობა. თუ თანამედროვე მხატვარის თვალი დიდ ყურადღებას აქცევს სურათის ორკესტროვკას და მონტაჟს. ამ მხრივ „მრეცხავი ქალები“-ს და „მწყემსები ტბის პირას“ გაგება კატალოგში ჩახედვას საჭიროებს.

მხატ. გაბაშვილის შემოქმედებაში ჩვენ თუმცა ვერ ვხედავთ ისეთ გაშლილ თემებს და გაბედულ დამუშავებას, როგორიც აქვთ აკადემიკოსებს ვასნეცოვს, რეპინს და სხვ. მაგრამ გაბაშვილი რომ დიდი მხატვარია, განსაკუთრებით ჩვენთვის, ეს უდავოა. ის ფაქტი, რომ მან უარჰყო ევროპიული ქვეყნების დიდება—სახელი და შერჩა თავის ქვეყანას, მისდამი პატივისცემას აძლიერებს.

გაბაშვილის საუკეთესო სურათები კერძო პირებს ეკუთვნის და შესაძლებელია მოკლე დროში რომელიმე კოლექციონერის საექსპლოატაციოდ გადაიქცნენ. ეროვნულმა გალერეამ დროზე უნდა მიაქციოს ყურადღება ამ მოვლენას.

არ შეიძლება აქვე დიდი სიამოვნებით არ აღინიშნოს ჩვენი მთავრობის განსაკუთრებული ყურადღება ქართველ მხატვართა საზოგადოებისადმი.

ბნელ და ნოტიო ოთახიდან მხატვრები გადმოუყვანიათ ნათელ და გამართულ „ორიანტის“ დარბაზებში. ვიმედოვნებთ, წუწუნს ბოლო მოეღება და ასეთ ყურადღების შედეგად მხატვრული მუშაობა გაცხოველდება ხშირ - ხშირი გამოფენებით.

ბენო გორდეზიანი.

ქინაქინის გავლენა ცოცხალი გულის ანატომიურ ელემენტებზე

(მოხსენება საქართველოს ექიმთა საზოგადოებაში)

27 ოქტომბერს საქართველოს ექიმთა საზოგადოებაში სახელმწიფო უნივერსიტეტის ფარმაკოლოგიის კათედრის ასისტენტმა ექ. გ. ცქიმანაურმა წაიკითხა მოხსენება შემდეგ თემაზე: „ქინაქინის გავლენა ცოცხალი გულის ანატომიურ ელემენტებზე“.

ქინაქინის მნიშვნელობა,—განაცხადა მომხსენებელმა,—როგორც სპეციფიურ საშუალების მალარიის წინააღმდეგ, განუსაზღვრელია, განსაკუთრებით კავკასიის რესპუბლიკებში, სადაც მალარია სტიქიურ უბედურებას წარმოადგენს ქინაქინი, როგორც სამკურნალო საშუალება იხმარება სხვა სნეულებათა წინააღმდეგაც (როგორც მაგალ. მუცლის ტიფი, შებრუნებითი, პარტახიანი ტიფი, ყივანა ხველა, დიზენტერია და სხვა). ქინაქინის ასეთი ფართე მოხმარება მედიცინაში აიხსნება მისი ძვირფასი ფარმაკოლოგიური თვისებებით, რომელთა შორის აღსანიშნავია ქინაქინის ის თვისება, რომლითაც იგი სიცხიან ავადმყოფობის ორგანიზმში აყუჩებს სასიცოცხლო ფუნქციებს, რომლებიც, მაღალი ტემპერატურის გამო, მეტი სიჩქარით აღგზნებული არიან და იწვევენ საკვებ ნივთიერებათა განსაკუთრებით, ძვირფას აზოტოვან ნივთიერებათა უზომო ხარჯვას. ქინაქინის გავლენით ამ ნივთიერებათა დაშლა საგრძნობლად მცირდება და ავადმყოფს ემატება ძალ-ღონე, რის გამოც იგი ადვილად უმკლავდება ავადმყოფობას. ქინაქინის მეორე ძვირფასი თვისება ის არის, რომ იგი მავნე ბაქტერიებისათვის წარმოადგენს ფრიად შხამიან ნივთიერებას, ხოლო ცოცხალი ქსოვილებისათვისა და ორგანოებისათვის შედარებით ნაკლებად მავნებელია. მაგ. ქინაქინის სასიკვდილო დოზა დიდი ადამიანისათვის უდრის 10 გრამს, მაშინ, როცა დარიშხანა, რომელიც აგრეთვე იხმარება მედიცინაში, მეათასედი დოზით უკვე სწამლავს ადამიანის ორგანიზმს. მიუხედავად ქინაქინის ასეთი ძვირფასი ფარმაკოლოგიური თვისებებისა, ქინაქინის გავლენა ორგანიზმზე და კერძოდ, ცალკე ორგანოებზეც ნაკლებად არის შესწავლილი. მაგ. დღევანდლამდე იგი ითვლება აბორტულ საშუალებათ, მაგრამ ჯერ მეცნიერულად გამოკვლეული არ არის აქვს თუ არა ქინაქინს ასეთი ზედმოქმედება ორსულ საშვილოსნოზე. ეს გარემოება ხშირად უმწეო მდგომარეობაში აყენებს ექიმს, როდესაც მას მალარიით შეპყრობილი ორსული ქალი დასახმარებლად მიმართავს და ამასთანავე სთხოვს, რომ ბავშვი არ დაეღუპოს. შეუსწავლელია აგრეთვე ქინაქინის გავლენა გულზე. მედიცინამ იცის, რომ პატარა დოზებით ქინაქინა აჩქარებს გულის ცემას, საშუალო დოზებით ანელებს, უფრო მეტი დოზებით კი აჩერებს და ბოლოს ჰკლავს კიდეც. არ არის საბოლოოდ გამორკვეული, გულის რომელ შემადგენელ ელემენტებზე მოქმედობს ქინაქინი უფრო მკაცრად. ამ საკითხით დაინტერესებული იყო თბილ. სახელმწიფო უნივერსიტეტის ფარმაკოლოგიის ლაბორატორია, რომელიც ცდებსა და გამოკვლევებს აწარმოებდა. ამ გამოკვლევით აღმოჩნდა, რომ ქინაქინისადმი უფრო მგრძნობიარე არიან გულის ავტომატიზმის მთავარი ცენტრები წინა გულების ფარგლებში მოთავსებული ნერვიული უჯრედებით და კვანძებით. უფრო ნაკლებ მგრძნობიარეა ცდომილი ნერვის სისტემა, რომელიც განაგებს გულის მუშაობის წონასწორობას. ყველაზე გამძლე ქინაქინის მავნე გავლენის წინააღმდეგ აღმოჩნდა გულის კუნთოვანი ელემენტები.

ქრონიკა

6,7 და 8 ნოემბერი უქმე დღეებია

საქართველოს შრომის სახალხო კომისარიატის დადგენილებით, 8 ნოემბერი გამოცხადებულია განსაკუთრებულ დასასვენებელ დღეთ. ამრიგად, 6 (კვირა), 7 (ოქტომბრის რევოლუციის ათი წლის თავი) და 8 ნოემბერი უქმე დღეებია.

ამხ. რუძუტაკის გამგზავრება

27 ოქტომბერს საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე და საბჭოთა კავშირის გზათა სახალხო კომისარი ამხ. ი. ე. რუძუტაკი გაემგზავრა მოსკოვში.

ამხ. ს. ჯუღელის ავადმყოფობა

23 ოქტომბერს სახელმწიფო უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტის ქირურგიულ კლინიკაში საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს ამხ. სიმონ ჯუღელს ქრონიკული აპენდიციტის გამო ადგილობრივი ანესტეზიის ქვეშ გაუკეთეს ოპერაცია.

ოპერაცია გაუკეთა დილის რვა საათზე პროფ. მაჭავარიანმა, ასისტენტებათ იყვნენ პროფ. კახიანი და კლინიკის უფროსი ასისტენტი ექ. კლავდი ტყემალაძე. ოპერაციას დაესწრენ ჯანმრთელობის სახალხო კომისარი კუჭაიძე, ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის საორგანიზაციო განყოფილების გამგე ფრანგულიანი, თბილისის აღმასკომის ჯანმრთელობის გამგის მოადგილე ცომაია და პროფ. ალადაშვილი.

ოპერაცია ამხ. ს. ჯუღელმა კარგად გადაიტანა. ოპერაციის შემდეგომი პერიოდი ნორმალურად მიმდინარეობს. გუშინ, 28 ოქტომბერს ავადმყოფის ტემპერატურა იყო 36,7 მაჯისცემა—76. საერთო მდგომარეობა კარგია.

ამხ. კრეიბიხის ჩამოსვლა

გუშინ სოხუმიდან თბილისში ჩამოვიდა ჟურნალ „კომუნისტური ინტერნაციონალის“ რედაქტორი ამხ. კრეიბიხი.

მოსკოველი მუშაკების ჩამოსვლა

თბილისში ჩამოვიდენ საბჭოთა კავშირის მეტალურგიული სინდიკატის გამგეობის წევრი ამხ. ფარიკოვი, მოსკოვის კომუნალური წარმოებების გაერთიანების დირექტორი ამხ. ბიჩუცკი და „ტექსტილსტროის“ გამგეობის წევრი ამხ. როზენი.

ახალი წიგნები

რედაქციამ მიიღო „ზაკკნიგა“-ს მიერ გამოცემული ახალი წიგნები: რუსულ ენაზე—სტალინი—ოქტომბრის რევოლუცია, ა. რიკოვი—ბრძოლისა და მშენებლობის ათი წელი (საკავშირო ცაკის მანიფესტი დამატებით), ს. სეფი—1917 წლის რევოლუცია ამიერ-კავკასიაში; სომხურ ენაზე: ჯონ რიდი—ათი დღე, რომელმაც შესძრა მთელი ქვეყანა, სარუხანი—დიდი ოქტომბერი (პიონერებისათვის).

თბილისის აღმასკომში

◆ **საბეითლო საქმის** გასაფართოებლად თბ. მაზრაში, აღმასკომმა გადასდო 68.239 მან.

◆ **აგრო - დახმარება.** თბილისის მაზრაში მოსახლეობისათვის აგრო - დახმარების გასაწევად და ახალი აგროპუნქტების გასახსნელად თბ. აღმასკომმა გადასდო 143.663 მან.

◆ **უმუშევრობასთან ბრძოლის** გასაძლიერებლად გადადებულია 60.000 მან.

◆ **ახალი სამკურნალო** დაწესებულებების მოსაწყობათ ჯანმრთელობის განყოფილებას გადაეცა 160.000 მანეთი.

◆ **საბჭოთა სახლებისა და დარაბების** შესაკეთებლად თბ. აღმასკომმა გაიღო 353.410 მან.

◆ **კეთილმოწყობის** განყოფილებას ქალაქის კეთილმოსაწყობად მიეცა 370.378 მან.

◆ **ქალაქსა და მაზრაში** ახალი გზების გასაყვანად აღმასკომმა გამოყო 289.680 მან.

◆ **საუტილიზაციო ქარხანა.** თბ. აღმასკომმა დაადგინა გადააკეთოს და გააფართოვოს სასაკლაოსთან არსებული საუტილიზაციო ქარხანა.

◆ **სკოლის შენობები.** ქალაქში და მაზრაში სკოლებისათვის ახალი შენობების ასაგებათ განათლების განყოფილებამ გადასდო 135.816 მან.

◆ **კომუნალურ მეურნეობაზე** თბილისის აღმასკომი წელს დახარჯავს 2.240.000 მან.

შემთხვევები

სახალხო მატარებლის გადავარდნა ლიანდაგიდან

გუშინ, 28 ოქტომბერს, ღამის 10 საათზე სად. ქსანი-კავთის-ხევის გადასარბენზე 307 კილომეტრის მანძილზე; თბილისიდან გასული სახალხო მატარებელ № 10-ის ორთქლმავალს (№ 99) გაუტყდა ღერძი, რის გამო ორთქლმავალი ლიანდაგს ასცდა და დაზიანდა ლიანდაგი.

ამ შემთხვევის გამო დაინიშნა დამხმარე მატარებელი და სპეციალური კომისია; მოძრაობის დარგის მეორე განყოფილების უფროსის ამხ. ვლასა ბარამიძის, მეოთხე უბნის რევიზორი ამხ. ვლ. ნიკოლაიშვილის, წევის დარგის მე-4 უბ. უფროსის ამხ. აკიმენკოს, საგანგებო კომისიის წარმომადგენლისა და სხ. შემადგენლობით.

სპეციალისტ-კომისიის წევრთა აზრით, მოძრაობა აღდგენილ უნდა ყოფილიყო, დღეს დილის 6 საათზე.

ადამიანთა მსხვერპლი ჯერ-ჯერობით გამოურკვეველია.

უპატრონო ბავშვი

27 ოქტომბერს ღამით ჩერქეზიშვილის ქუჩაზე ნაპოვნი იქნა 3 თვის ბავშვი, რომელიც დატოვებიათ ერთ - ერთ სახლის სადარბაზო შესავალში. ბავშვი გადაიგზავნა ორთაჭალის საბავშვო ბაღში.

დაჭრა

მოქ. მაჩაიძის და ტოგონიძის პურის საცხობში (ბაქრაძის შესახ. № 12) სტუმრად მისულ გიორგი, ვასილ და პორფილე ტოგონიძეებს ღვინის სმის დროს მოუხდათ ჩხუბი. ჩხუბის დროს რევოლვერით დაჭრილი იქნა ვარლამ მაჩაიძე, რომელიც გადაიგზავნა საავადმყოფოში.

სარდაფში ჩავარდნა

27 ოქტომბერს ლორის მელიქოვის ქუჩაზე (სახლი № 4) ქვაფენილში გადატანებული ფანჯრის სისველის გამო, მასზე გავლის დროს სარდაფში ჩავარდა მერძევე ქალი ანა კამილონა და მძიმედ დაშავდა, დაშავებული გაიგზავნა რესპუბლიკის მთ. საავადმყოფოში.

ავტომობილის ქვეშ

ავტომობილი, რომელსაც მართავდა შოფერი დიმიტრი ნიკოლოზის ძე პევუნოვი, მე-7 სამილიციო რაიონში დაეჯახა მცირე-წლოვან მიხეილ პაპაზიანცს და დააშავა. ბავშვი გადაიგზავნა საავადმყოფოში. მას დაზიანებული აღმოაჩნდა თავი.

27 ოქტომბერს, ვაკეში, სადაც შენდება ფიზკულტურის სტადიონი, მუშაობის ადგილას უეცრად ჩამოზვავდა მიწა, რომელსაც ქვეშ მოჰყვა მუშა დავით ვასილის ძე მეჩუტაშვილი (მცხოვრ. სოფ. ზურთში, გორის მაზრა) და მძიმედ დაშავდა. მეჩუტაშვილი გარდაიცვალა იმავე დღეს. გვამი გადაიგზავნა 1-ლ საავადმყოფოში.

— **სავაჭროს გაქურდვა.** 27 ოქტომბერს პუშკინის ქ. № 23 გაქურდეს მამედ ალი-ოღლის სავაჭრო. წაღებულ საქონლის ღირებულება გამოურკვეველია.

— **თავის მოწამვლა.** მე-2 საავადმყოფოში რომანიულ ნიადაგზე იოდით თავი მოიწამლა ელენე სარდიონის ასულმა გაბაძემ.

— **მორგებული გასაღების** საშუალებით 27 ოქტ. შრომის ქ. № 3 გაქურდეს სანდრო დათუნაშვილის სავაჭრო. წაიღეს 200 მანეთის ნივთები.

— **გამოტყუილება.** ზომა - წონის პალატის თანამშრომელს გიორგი კველიშვილს უცნობმა პირებმა გამოსტყუეს 200 მანეთი ფული და მიიმალენ.

— **მუშკოოპის** მაღაზიიდან (გორის ქ. № 2) საქონლის მოპარვისათვის შეიპყრეს კალისტრატე ნესტორისძე კოლუაშვილი.

სასამართლო

განაჩენი ა. ნაჭყეპიას საქმეზე

გუშინ აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლომ ამხ. ოდილავაძის თავმჯდომარეობით, პროკურორი ფირალიშვილის მონაწილეობით გაარჩია მილიციის თანამშრომელ ამბაკო ნაჭყეპიას საქმე. ბრალდებულს იცავდენ ბეს. ულენტი და ი. მაჭავარიანი.

როგორც ვსწერდით, ნაჭყეპიამ ფეხში დასჭრა გლეხი ღვინიაშვილი, რომელიც სრულიად უკანონოდ მიჰყავდა კომისარიატში.

მოქ. ნაჭყეპიას მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 3 წლით. სასამართლომ მხედველობაში მიიღო მსჯავრდადებულის სოციალური მდგომარეობა, აგრეთვე ის გარემოება, რომ დანაშაული პირველად აქვს ჩადენილი და სასჯელი დაუყვანა ერთ წლამდე წინასწარი პატიმრობის ჩათვლით.

როგორ დაახრჩვეს მოხუცი ქალი

ეს ამბავი მოხდა 1924 წლის შემოდგომაზე სოფელ ვაყაში (გორის მაზრა). ამ სოფელში მარტოთ ცხოვრობდა ერთი მოხუცი ქალი კატო ბეგთაბეგოვი. კარგად ცხოვრობდა წინად ის და სიბერისათვის ბევრი ძვირფასი ნივთები ჰქონდა შემონახული. ცხოვრობდა თავის სახლში, რომლის ნაწილი ექირავათ ადგილობრივ გლეხებსაც.

შემოდგომის ერთ-ერთ ღამეს იმავე ბეგთაბეგოვას სახლში შესდგა საიდუმლო თათბირი ბეგთაბეგოვას ქალის წინააღმდეგ შეთქმულების მოსაწყობად. თათბირს დაესწრენ შემდეგი პირები: 1) ბაგრატ ხიმონისძე ლამბაროვი, 2) იოსებ ალექსანდრესძე ოსკანოვი, 3) ბაგრატ ალექსანდრესძე ოსკანოვი, 4) რუბენ მელქოსძე ხარაზიშვილი, 5) აბგარ არჩილისძე მოსიაშვილი, 6) არტემო იაგორისძე აკოფოვი და 7) ილია პეტრესძე ნოზაძე.

ირჩეოდა საკითხი, თუ როგორ დაეღრჩოთ მოხუცებული კატო და როგორ გაეყოთ მისი ქონება. დაღრჩობა „პრინციპიალურად“ მიღებულ იქნა, მხოლოდ საჭირო იყო თაოსნობა. თათბირზე დიდმა უთანხმოებამ იჩინა თავი იმის გარშემო, თუ ვის დავალებოდა კატოს დაღრჩობა. ბოლოს დადგინეს ეყარათ წილი. კენჭი ერგოთ ბაგრატ ლამბაროვს და იოსებ ოსკანოვს, რომელთაც დაევალა დანარჩენების დახმარებით „განაჩენის“ სისრულეში მოყვანა.

იმავე ღამეს „შვიდნი ძმანი“ შეუდგენ ამ საქმეს. ბაგრატი და იოსები შეიპარენ მოხუცის ოთახში და ძილის დროს წაალრჩვეს კატო ბეგთაბეგოვა, გახადეს მას ყველაფერი და დაიწყეს „ნადავლის“ გაყოფა. გასაყოფი კი ბევრი რამ იყო: კაბები, პლუშის პალტო, ჩულქები, სუფრა, ოქროს ბეჭდები ზურმუხტის თვლებით, ოქროს საათი, ბალიშები, ლეჩაქი და ბევრი სხვა საოჯახო ნივთები. ეს კიდევ არაფერია იმ საზიზღრობასთან შედარებით, რაც ჩაიდინა ერთმა მათგანმა იოსებ ოსკანოვმა.

მოწმე ვარსენიკა აკოფოვა ლაპარაკობს, რომ იოსებ ოსკანოვმა მიცვალებულთან დაიჭირა სქესობრივი კავშირი.

ასე მოიყვანეს სისრულეში თავიანთი „განაჩენი“. მაგრამ მალე აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლო გამოიტანს მათზე ღირსეულ განაჩენს.

გ.

საბედისწერო ვაშლი

ამბავი იწყება ვაშლით და თავდება საზიზღარი მკვლელობით. გასული წლის დეკემბერში შაქრო დიმიტრისძე დვალიშვილმა თავის ბიძას გიგა დვალიშვილს გამოართვა 260 მანეთის ვაშლი და გასასყიდათ წაიღო ბაქოში.

ვაშლი გაყიდა და დაბრუნების შემდეგ თავის ბიძას დააკლო 100 მანეთი შეპირებულ თანხიდან. თავი იმართლა მით, რომ გზაში ბევრი ხარჯები შეხვდა, ერთი სიტყვით ბიძის ასი მანეთი შემოეხარჯა. ერთობ უარი არ უთქვამს ვალის გადახდაზე, მაგრამ მაინცა და მაინც თავს არ იცხელებდა გასტუმრებაზე.

ამბავი ხდება სოფ. მეჯვრისხევში (გორ. მაზრა). საქმე მიდის მეჯვრის-ხევის სასამართლომდე, რომელიც ადგენს ყადაღა დაადვას შაქრო დვალიშვილის ქონებას და გაიყიდოს ის მისავე ბიძის დასაკმაყოფილებლად.

ჩამოდგენ შუა კაცები. შაქრომ მისცა ბიძას ფულად 20 მანეთი, ხოლო დანარჩენში დაუტოვა ყანა, რომელიც ბიძას უნდა მოემკა. შაქრომ გამოართვა ბიძას ხელწერილი, რომ სავსებით დაკმაყოფილებულია და ამ ხელწერილის საშუალებით სასამართლოს მოახსნია ყადაღა ქონებაზე. ეს იყო შაქროს ხერხი, რომლითაც მას უნდოდა თავის დაძვრენა ვალისგან.

მოვიდა ყანის მომკის დრო. გიგა დვალიშვილი ჩავიდა სამკელად შაქროს ყანაში, მაგრამ ვაი ასეთ ჩასვლას. შაქრო დაუხვდა კეტით და სულ კუდით ქვა ასროლია ბიძას: „ხელწერილი მოგეცია, რომ დაკმაყოფილებული ხარ, ყანა დასცალე თორემ შავს დღეს დაგაყენებთ“,—შესძახა ბიძას შაქრომ.

დაიწყო ისევ სასამართლოს ამბავი. წელს 1 აგვისტოს შაქრო დვალიშვილი დააპატიმრეს [illegible] მეჯვრისხევის მილიციის სამმართველოს საპატიმროში. ორი დღე იყო საპატიმროში, მაგრამ აქაც [illegible] ხერხს მიმართა. მოიგონა საჭიროებისათვის გარეთ გასვლა. გაიყვანეს გარეთ. დერეფანში გაჩერდა შაქრო და თავი მოიკატუნა გულწასულივით. „დამტოვეთ აქ ცოტა ხნით, სანამ გულს მოვიბრუნებდე“,—სთქვა შაქრომ და იქვე ჩამოჯდა. მილიციელმაც დატოვა ის, შევიდა ოთახში და ოთახს დაუწყო გასუფთავება.

„გულწასული“ შაქრო გაფრინდა ჩიტივით, მივარდა თავის სახლში წამოიღო დანა და გამობრუნდა.

შუა დღეა. შაქროს ბიძას სძინავს თავის ვენახში ჩრდილის ქვეშ. შაქრო ეპარება მძინარეს, ამოიღებს დანას და ჩაარტყამს ორჯერ, შემდეგ წამოუხტება ხელს იქვე მდებარე ცელს და გამოსჭრის ყელს თავის ბიძას.

ასე გათავდა ვაშლის ისტორია. შაქრო დვალიშვილი დაპატიმრებულია და ახლო მომავალში წარსდგება სასამართლოს წინაშე.

ქუთაისი

კოოპერატიული თათბირი

(ჩვენი საკუთარი კორესპონდენტისა გან)

ამ დღეებში ცეკავშირის ქუთაისის პუნქტში შესდგა კოოპერატიული თათბირი, რომელსაც დაესწრენ: 27 კოოპერატიული ორგანიზაციის, 3 ცეკავშირისა და 7 სხვადასხვა დაწესებულება ორგანიზაციათა წარმომადგენელნი.

თავმჯდომარეობდა ცეკავშირის გამგეობის წევრი ამხ. ი. ცაგარელი.

უმთავრესი საკითხი, რომლისთვისაც თათბირი იყო მოწვეული, შეეხებოდა ცეკავშირის ქუთაისის პუნქტის ყოფნა - არ ყოფნას.

მეტად საინტერესო ცნობები იქნა თათბირზე წარმოდგენილი, საიდანაც ნათლად სჩანს, თუ რამდენ დროს კარგავდენ და რამდენ ხარჯს სწევდენ კოოპერატიული ორგანიზაციები იმის გამო, რომ ქუთაისის პუნქტში საქონელს ვერ შოულობდენ. ასე, მაგალითად, ერთი კოოპერატივის წარმომადგენელი თვეში 30 დღეს მივლინებაშია, რაც იწვევს ყოველთვიურ ზედმეტ ხარჯს 274 მან., არის ისეთი კოოპერატივიც, რომლის წარმომადგენელს თვეში 29 დღეს უხდება მივლინებაში ყოფნა, და ამ მივლინებით გამოწვეული ხარჯები მთელი თვიური ბრუნვის 7,16 პროც. შეადგენს.

ორატორები — კოოპერატივთა წარმომადგენელნი—ერთხმად მოითხოვდენ; მიღებულ იქნას ზომები პუნქტის გამოსაცოცხლებლად, გასაფართოებლად, მის დასატვირთავად ისეთი საქონლით, რომლის მოთხოვნილებაც დიდია.

როგორც ცეკავშირის წარმომადგენლის მოხსენებიდან გამოირკვა, ქუთაისის პუნქტის დაუტვირთაობის მიზეზი არის არა ცეკავშირის უყურადღებობა ამ პუნქტისადმი, არამედ ის გარემოება, რომ საქონლის განაწილებაში ხდება დიდი უსწორ - მასწორობა. ასე, მაგალითად, იმ 100 რონოდა [illegible]იდან, რომელიც გეგმის მიხედვით მე-4 კვარტალში უნდა შემოტანილიყო საქართველოში, 60 რონოდა — რონოდა არგუნეს მარტო ქალ. თბილისს; ქუთაისს, ბათომსა და სოხუმს — 20 რონოდა და საქართველოს დანარჩენ დაბა - ქალაქებსა და სოფლებს — მხოლოდ 20 რონოდა!

ხანგრძლივი კამათის შემდეგ, თათბირმა მიიღო ცეკავშირის გამგეობის მიერ წარმოდგენილი შემდეგი დადგენილება:

ა) გაძლიერდეს ქუთაისის პუნქტის მუშაობა იმ საქონლებით, რომლის მიწოდება შესაძლებელია ტრანზიტით (როგორიცაა: ფართალი, ჭურჭლეულობა, ფქვილი და სხვ.); ბ) გაიხსნას ანაბარის ანგარიში; გ) მიღებულ იქნას მაგარი დაკვეთები; დ) მოგვარდეს კრედიტების საქმე; ე) მოეწყოს საექსპედიციო საქმე.

დიდი კამათი გამოიწვია აგრეთვე სასეზონო და თეთრეული საქონლის შეუფერებლად განაწილებამ. აღნიშნული იყო, რომ ქუთაისის მუშკოოპს, რომელიც ბაზრის თითქმის 60 პროცენტს დაუფლებია, სრულიად არა აქვს თეთრეული საქონელი (ნარმა, მიტკალი და სხვ.) და არ აძლევენ მას თავის დროზე სასეზონო საქონელს. ამ დროს კი „ტექსტილტორგ“-ს ერთიცა და მეორეც ბლომად აქვს და მუშტარიც ძლიერ ეტანება.

„ტექსტილტორგ“-ი კერძო ვაჭრებს ბლომად აძლევს საქონელს, მათი ფართლეულობის 50 პროც. ჩარჩების ხელში გადადის.

აზრთა გაცვლა - გამოცვლის შემდეგ, მიღებულ იქნა შემდეგი დადგენილება:

ა) მიეცეს ცეკავშირს მის ქსელში შემავალ კოოპერატიულ ორგანიზაციათა შორის გასანაწილებლად საქართველოში შემოზიდული ფართლის მთელი რაოდენობიდან 60 პროც.

ბ) საფეიქრო სინდიკატის ფართლეულის მარაგის ნაწილი, ცეკავშირთან შეთანხმებით დანაწილებულ იქნას ძირითადი ქსელისათვის;

გ) ფართლეული ეგზავნებოდეს მოთხოვნილების რაიონებს პირდაპირ მოსკოვიდან ტრანზიტით;

დ) ვინაიდან კოოპერაციას შეუძლია სახელმწიფო საცალო ვაჭრობა ხელში აიღოს და თავის გამტარებელი ქსელის საშუალებით საქონელი უფრო დაუახლოვოს მომხმარებელს— აღიძრას შუამდგომლობა ცეკავშირის საშუალებით შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატისა და მუშათა და გლეხთა ინსპექციის წინაშე, რომ „ტექსტილტორგ“-ისა და „გრუზგოსტორგ“-ის საფართლო სავაჭროები დაიხუროს და მათი ხვედრი საქონელი კოოპერაციას გადაეცეს.

ე) ცეკავშირის საშუალებით აღიძრას შუამდგომლობა, რომ მოსახლეობის მინიმალურ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად საქართველოში შემოსაზიდი ფართლეულობის რაოდენობა — 132 რონოდა, გადიდებულ იქნას შესაძლებლობის ფარგლებში;

ზ) დაევალოს ცეკავშირს იზრუნოს ყველა ინსტანციებში საქონლის ასორტიმენტის აუცილებელ გაუმჯობესებაზე.

შემდეგ მიღებულ იქნა ცეკავშირის წინადადება მომავალი წლის 1-ლ იანვრამდი კოოპერატივების ხელმძღვანელ ორგანოების გადარჩევის შესახებ.

დანარჩენი საკითხები უმთავრესად საინფორმაციო ხასიათისა იყო.

დონ—ვალიანი.

ა.-კ. სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოში

სატყეო მასალის დამზადება

ა. კ. სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველო შეუდგა საექსპორტო ხე-ტყის დამზადებას; ახლო ხანში ევროპის ბაზრებზე გაგზავნილი იქნება ძვირფასი ჯიშის ხე-ტყის დიდი პარტია, ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში კი იგზავნება მასალები 100.000 ცალი ყუთისათვის. ეს იქნება ა. კ. სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოს პირველი გამოსვლა ახლო აღმოსავლეთის ბაზრებზე, რაც ხელს შეუწყობს ჩვენი სატყეო მასალების ექსპორტის განვითარებას ოსმალეთში, სირიაში, პალესტინაში და ეგვიპტეში.

გვირილას ექსპორტი

ა. კ. სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველო შეუდგა კავკასიურ გვირილას და ფიტოლიაკის გატანას საზღვარგარეთ. უცხოეთში გაიგზავნა აგრეთვე ბელადონას ფურცლების პირველი პარტია, რითაც საფუძველი ჩაეყარა ამ საქონლის ექსპორტს.

ხე-ტყის ექსპორტი

ა. კ. სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველომ უცხოეთის ბაზრებზე გაასაღა სატყეო მასალის დიდი პარტია. შემჩნეულია გაძლიერებული მოთხოვნილება კაკლის ბოძებზე და მუხის, წიფლის და ჩინარის მასალებზე. ესპანეთიდან მიღებულია მოთხოვნილება მუხის შპალებზე.

ხელოვნება

„ოქტომბრიდან ერთი საათის შემდეგ“

ოქტომბრის ზეიმისათვის საქართველოს „სახკინმრეწვი“ უშვებს სურათს—„ოქტომბრიდან ერთი საათის შემდეგ“.

ახალი სურათები

მიმდინარე 1927—28 საოპერაციო წლის განმავლობაში საქართველოს სახელმწიფო კინომრეწველობა გამოუშვებს შემდეგ სურათებს:

„მთის კანონი“—რეჟ. ბ. მიხინი, ოპერატორი ა. პოლიკევიჩი სცენარი ი. აბაის; მთავარ როლებში ვ. ბესტაევი და სანოვი, ლ. ტოლსტოის დაბადებიდან 100 წლის თავის შესრულების აღსანიშნავად გამოშვებული იქნება მხატვრული ფილმი „ყაზახები“—რეჟ. ვ. ბარსკი, ოპერატორი ი. გეგელი; მთავარ როლში თინა მაჟავარიანი.

„ჯანყი გურიაში“—რეჟ. ა. წუწუნავა, ოპერატორი— ა. დიგმელოვი; მთავარ როლებში: თამარა ბოლქვაძე და ი. ნაზარიშვილი. „უკანასკნელი დეკანოზი“ (ხევსურების ცხოვრებიდან), სცენარი ს. ტრეტიაკოვის, რეჟ. ბ. მიხინი. სურათი ამერიკულ ფერმერების ცხოვრებიდან „ქალი ბაზრობიდან“—რეჟ. გ. მაკაროვი, ოპერატორი ვ. ენგელსი; მთავარ როლში ბენა ბელეცკაია. „უკანასკნელი საათი“—სცენარი ბ. ლეონიდოვის, რეჟ. მ. ჭიაურელი. „ელისო“ (ჩეჩნების გადასახლების ეპოქა)—სცენარი ბ. ლეონიდოვის და ს.ტრეტიაკოვის, რეჟ. ნ. შენგელაია, ოპერატორი მ. კერესელიძე. „იუნა“—სცენარი ს. ტრეტიაკოვის, რეჟ. გ. მაკაროვი. „უკანონოთა კანონი“—რეჟ. ლ. პუშ ოპერატორი მ.კალატოზიშვილი; მთავარ როლში მარია შირაი. „პირველი და უკანასკნელი“ რეჟ. შაქრო ბერიშვილი, ოპერატორი ა. პოლიკევიჩი; მთავარ როლებში: ი. ნაზარიშვილი, ნ. კახიძე და ლ. ყიფიანი. „ლეილას ხალიჩა“—სცენარი ლ. ესაკიას, რეჟ. ნ. კახიძე. „აზას შენავთე“—სცენარი ბ. ლეონიდოვის, რეჟ. მიხ. გელოვანი. „კავკასიის ტყვე“ (ლ. ტოლსტოის ნაწარმოების მიხედვით). საბავშვო სურათი „პასუხი ჩემბერლენს“ რეჟ. ნ. კახიძე, ოპერატორი გ. პოზნანი, მთავარ როლში ახალგაზრდა არტისტი გოგი რატიანი. „ორი რეიდი“ (მენშევიკის დაბრუნება)—სცენარი შ. მდივანის, რეჟ. ა ბარხუდაროვი და მიხ. გელოვანი. „ბორია“ (ეოინიჩის რომანის მიხედვით)—რეჟ. კ. მარჯანიშვილი, ოპერატორი ს. ზაბოზლაევი; მთავარ როლებში ნატა ვაჩნაძე და ალ. იმედაშვილი. „ორთქლმავალი ს. 1000“—სცენარი ს. ტრეტიაკოვის, რეჟ. ლ. კულეშოვი, ოპერატორები პ. ნოვიცკი და მ. კალატოზიშვილი, მხატვარი ა. როდჩენკო.

ცირკი

დღეს, 29 ოქტომბერს, გაიხსნება თბილისის ცირკის 1927—28 წ. სეზონი.

ხელოვნების ქრონიკა

—ა. სუმბათაშვილ - იუჟინის ხსოვნის აღსანიშნავად მუშათა თეატრში რუსული დრამის მიერ 1 ნოემბერს წარმოდგენილი იქნება მისი პიესა „ჯენტლმენი“.

— „აბესალომ და ეთერი“. დღეს ოპერის თეატრში წარმოდგენილი იქნება „აბესალომ და ეთერი“.

— მუშათა თეატრში დღეს რუსულად წარმოდგენილი იქნება „ლიუბოვ იაროვაია“.

დღეს კინოებში

— აპოლო — „ავი სული“
— არფასტო — „ავი სული“
ხოლეი — „ავი სული“
— დარბაზი — „ვიქტორიას დაღუპვა“
— მინიონი — „ქალი კოლოფით“
—პალასი — „ქალი კოლოფით“

ახალი სამოსწავლო წელი

სახ. განათლება აჭარისტანში

1927—28 წ.

აჭარისტანის ავტ. რესპუბლ. მაზრებში ჩატარდა სააღრიცხვო კონფერენციები; რომელშიდაც მონაწილეობას ღებულობდენ სახალხო მასწავლებლობა და პოლიტგანათლების მუშაკნი. ამ კონფერენციებზე გამოირკვა, რომ მიმდინარე წლისათვის მოსწავლეთა რიცხვი აჭარისტანში, სადაც 80 ათასი მოსახლეა; გადიდებულია დაახლოებით 40 პროც. და ამჟამად აღწევს 7 ათასს.

სამაზრო სკოლების რიცხვი გასულ წელთან შედარებით გადიდებულია 8 პროცენტით. ამჟამად მთელს ავტ. რესპუბლიკაში 120 სკოლაა. ამ რიცხვში შედის სოფელ ხუცუბანში (ქობულეთის მაზრა) გახსნილი გლეხური ახალგაზრდობის სკოლა 40 მოწაფით. გარდა ამისა ახალი სკოლები შენდება ქობულეთსა და აჭარის წყალში.

სოფლელი მოსახლეობის განცხადების თანახმად განათლების სახალხო კომისარიატმა დაადგინა სამოსწავლო წელიწადი აჭარისტანში გაგრძელდეს 15 სექტემბრიდან პირველ მაისამდე.

წელს პირველი საფეხურის სკოლებში ტარდება სწავლების კომპლექსური მეთოდი. ამ მიზნით ჯერ კიდევ მიმდინარე წლის ზაფხულზე სპეციალურმა კომისიამ გადაამუშავა ყველა არსებული სახელმძღვანელო წიგნები პირველი საფეხურის სკოლებისათვის.

პედაგოგიური პერსონალის კვალიფიკაციის ასაწევად ამ ზაფხულზე ქობულეთსა და ცისის ძირში გახსნილი იყო გადასამზადებელი კურსები. გარდა ამისა სრ. საქართველოს პედაგოგიურ კურსებზე გაგზავნილი იყო 20 მასწავლებელი.

მიმდინარე სამოსწავლო წლიდან მოწყობილია რამდენიმე ფუნდამენტალური წიგნთ-საცავი, სპეციალური პედაგოგიური ლიტერატურით.

მიმდინარე სამოსწავლო წლიდან ბათომის პედაგოგიურ ინსტიტუტში გახსნილია მე-4 სპეციალური ჯგუფი, რომლითაც თავდება საშუალო პედაგოგიური განათლება. ამჟამად პედაგოგიურ ინსტიტუტში სწავლობს 214 აჭარელი ახალგაზრდა.

ტყეების გაშენება

ყვარელის სატყეოებში

ყვარელის სატყეოებში—ყვარელთან ორი ვერსის დაშორებით ეწყობა ახალი სანერგე, სადაც დაითესება ძვირფასი ჯიშის ხის თესლები, ვაზიანის მიდამოებში 100 დესეტინის სივრცეზე სწარმოებს ტყის გაწმენდა, რომ ახალ ტყეს მიეცეს თავისუფლად გაზრდის საშუალება, ასეთივე სამუშაოები ტარდება გრემის უბანში და ძველი გავაზის რაიონებში, სადაც ტყე გაწმენდილი იქნება 1.200 დესეტინის სივრცეზე.

რკინისგზებზე

364.345 მანეთი განათლების საქმისათვის

ამიერ-კავკასიის რკინის გზებზე არსებულ პროფტექნიკური სასწავლებლების, სოც. აღზრდის სკოლების და პოლიტგანმანათლებელი დაწესებულების შესანახად სატრანსპორტო განათლების ცენტრალურმა სამმართველომ მიმდინარე სამეურნეო წლის პირველ კვარტალისათვის გადასდო 364.345 მანეთი.

სასმელი წყალი

სადგ. თბილისი სასმელ წყალს იღებს არა ავჭალის წყალსადენიდან, არამედ საკუთარ წყალსაქაჩავიდან.

საგზაო სანიტარულმა კომისიამ გამოიკვლია ეს წყალი და დარწმუნდა, რომ იგი საკმაოდ არ იწმინდება და ამისათვის საჭიროდ სცნო სადგ. თბილისის წყლის სადენები შეუერთოს ქალაქის წყალსადენს.

პირდაპირი მატარებლები

ამ დღეებში ამიერ-კავკ. რკ. გზ. გამგეობას განზრახული აქვს დაიწყოს ორი მატარებლის (№ 7 8) პირდაპირი მიმოსვლა მოსკოვ-თბილისს შორის.

ამჟამად ეს მატარებლები კვირაში დადიან მხოლოდ სამჯერ—ორშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

მეცნიერება და ტეხნიკა

ახალი სათბობი მასალა დირიჟაბლებისათვის

დირიჟაბლების ფართოდ გამოყენებას სხვათა შორის, აბრკოლებს სათბობი მასალის რაციონალურად გამოყენების საკითხის გადაუჭრელობა. საქმე იმაშია, რომ დირიჟაბლები შორ მანძილზე ფრენის დროს სათბობი მასალის მეტად დიდ რაოდენობას მოითხოვენ, რის გამო მცირდება ადამიანთა და ბარგის ის რაოდენობა, რომლის გადაყვანა და გადატანა შეიძლება დირიჟაბლს სხვა პირობებში, გარდა ამისა, სათბობი მასალის ხარჯვასთან ერთად (სათბობი მასალა იხარჯება 30 ფუთამდე საათში) დირიჟაბლი თანდათანობით მსუბუქდება და სულ უფრო და უფრო მაღლა მიდის. დღემდე დირიჟაბლის წონასწორობის დასაცავად, ნავთის დაწვასთან ერთად, დირიჟაბლიდან უშვებდენ წყალბადის შესაფერ რაოდენობას. ამრიგად სრულიად უმიზნოდ იკარგებოდა წყალბადის დიდი რაოდენობა.

ამჟამად ინგლისში შენდება დირიჟაბლი „P-100“, რომელშიც ეს ნაკლი აცილებულია. „P-100“-ზე დადგმულია ექვსი მოტორი. აქედან ოთხი მოტორი მუშაობს ნავთზე, ორი კი იმ წყალბადით, რომელიც ზედმეტი ხდება ნავთის დაწვის გამო, ამგვარი წესი შესაძლებლად ხდის როგორც სათბობ მასალის გამოზოგვას, აგრეთვე იმ სივრცისაც, რომელიც სათბობ მასალას უჭირავს.

„P-100“ თავისი სიდიდით სჯაბნის ისეთ საჰაერო გიგანტს, როგორიც არის ამერიკისათვის გერმანიაში აგებული დირიჟაბლი „ლოს-ანჟელოს“, რომელიც 72 საათის განმავლობაში გადაფრინდა გერმანიიდან ამერიკაში.

„P-100“ დაიტევს 100 მგზავრს და 4.320 ფ. ბარგს, შეუძლია 150 ვერსის გავლა საათში. დირიჟაბლზე, გარდა საძინებელი ოთახებისა, მოწყობილია რესტორანი 50 კაცისათვის, თამბაქოს მოსაწევი ოთახი, სასეირნო ოლდანი და სხვა. „P-100“-ს შეუძლია 500 ვერსის გავლა შეუჩერებლად.

მეტრიული სისტემა

ა-კ. ვაჭრობის სახალხო კომისარიატის ცნობებით, მეტრიული სისტემა ამიერ-კავკასიის ყველა რესპუბლიკების სახელმწიფო - კოოპერატიულ საბითუმო და ნახევრად საბითუმო ვაჭრობაში სავსებით გატარებულია, გარდა ღვინო - სპირტით, ქვა - ნახშირით, სილიკატებით, სატყეო მასალებით ვაჭრობისა, კერძო ვაჭრობაში მეტრიზაცია გატარებული არ არის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ბაზარზე.

მეტრიზაციის სრულ გატარებას ხელს უშლის ის გარემოება, რომ ორგანიზაციებმა თავის დროზე ვერ მოიმარაგეს მეტრიული სისტემის ყველა საჭირო მოწყობილობანი.

აზერბეიჯანში მეტრიული სისტემის გატარებას კერძო ბაზარზე (საბითუმო და ნახევრად საბითუმო ვაჭრობა სასოფლო - სამეურნეო პროდუქტებით) აფერხებს ვაჭრების მცირემცოდნეობა.

სასოფლო - სამეურნეო პროდუქტების კერძო ბაზარზე ფასები დაწესებულია რუსულ ზომა - წონის ერთეულებში.

შრომის ბირჟაში

დღეს, 29 ოქტომბერს შრომის ბირჟა სამუშაოზე იწვევს შემდეგ უმუშევართ: კვალიფიციურ მუშათ პირველი სექცია: გედევან ბაღდასაროვი, გალუსტიკ ჩახალიანცი.

პირველი სექცია სამუშაოზე გასაგზავნად იწვევს: ისაკ ოგანეზოვი, გაბრიელ ვართანოვი, პეტროს ოგანეზიანი, ხანუმ ოგანოვა, ანასტასია ზულაკოვა, მარგარიტა მონასოვა, ოლია დელიჩ, ევა არუთინოვა, ნატალია მარგიშვილი, ოლია ოგანეზოვა, ნ. ნავროზოვა, მარგალიტა სარქისიანც, აგილას სიმონიანც, ანასტასია ვარდიევა, ვ. ახმედოვი, ელენა დემენტიევა თამარა გვეტაძე, ნინა იმესაშვილი, თამარა კურთიანც, მარიამ კონსული, მარია მიქეუჟუნა შვილი, იზუმრუდ ხარშუდიანი, ანა ალავერდოვა, ანა ხორამშილი, ანა ისაევა, ნინო პაპიაშვილი, ელენე მოლაბერიძე, მ. კოვოსოვა, ვასკრინიკოვა, ანა მატუსოვა, ანა გრიაშვილი, სარა გუგნოვა, აიკანუშ გრიგორიანი, ნინო ბეჟანიშვილი, ანაიდა მამიკონიან, ნინო ხეჩუმიანც, მარიამ გულსტოვა, მარიამ მურადოვა, მარიამ მიკირტიჩიანცი, აიკანუშ მალხასიანც, ვარსენიკ გეურქოვი, ოლია ცერცვაძე, პელაგია ნაზარენკო, პელაგია ზუბკოვა, ალექსანდრა კულაგინა, ელისაბედ მკერვალიძე, ვერა ბიძინაშვილი, მარია კარიუკოვა, პრასკოვია სამარინა, ვარვარა კარმანოვა, მარია გუშაკოვა, სტანისლავა ამილახვარი, აგრაფინა ბაბია, მარია მურალაშვილი, იგულ მარტიროსოვა, ზინაიდა პლეტნიევა, ევა ჯავახიძე, ლიუსიკ ოგანეზოვა, ანასტასია არენინა, სოფიო ადამოვა, ელისაბედ კობიაშვილი. შავმუშათა მესამე სექცია: გიორგი სულაძე, ვასილი ბობოროვსკი თედორე ჯაგაევი, ნიკოლოზ გაბრაევი, ისმაილ სირაძე, ნიკოლოზ კამხაძე, თედორე რაზმაძე, ვლად. ჯაფარიძე, აკაკი სარჯველაძე, პარმენ ბოლქვაძე, ნესტ. ხუბიევი, ამბროსი მინდაძე, ერმადა მირზანოვი, სტეფანე მირუაშვილი, ვლადიმერ გობაზოვი, არშაკ ხარიებკაშვილი, ალექსანდრე მაისურაძე, სოლომონ ჯიხვიშვილი, პავლე ბეგიაშვილი, ალექსანდრე მჭედლიძე, ნიკოლოზ ჩეხოვი, იასონ ალბოროვი, შალვა ბუხრაძე, იაკონ ჯაბაევი, შალვა გურციევი.

იურიდიული დახმარება

ამხ. ერმალო მუმლაძეს

პასუხი

ვინაიდან სამუშაოს პირობებისა გამო თქვენ გიხდებოდათ მუშაობა ზედმეტ საათებში თვით ადმინისტრაციის დავალებით. ამიტომ თქვენ უსათუოდ უნდა მოგეცეთ „ზედმეტი ნამუშევრის“ ჯილდო, თანახმად შრომის კანონთა კოდექსის მუხ. 60-ისა და საკავშირო ცაკის და სახკომსაბჭოს 1927 წ. 14 იანვრის დადგენილებისა, (გამოქვეყნებულია გაზ. „იზვესტიაში“ № 53-ში 1927 წ. 5 მარტიდან). ის გარემოება რომ თქვენ იყავით დროებით მოწვეული საწყობის მომუშავედ, არ აძლევს ადმინისტრაციას უფლებას რომ მან თქვენ არ მოგცეს ზედმეტი ნამუშევრის ჯილდო, თუ კი თქვენ არ მუშაობდით ნარდათ ან და აღნიშნულ სამუშაოს შესრულებისათვის არ გეძლეოდათ სპეციალური პერსონალური განაკვეთი ადმინისტრაციასთან წინდაწინ (ე. ი. დაქირავების დროს) შეთანხმებით.

ს. ხეთის (ზუგდიდის მაზრა) მცხ. ლევან კობახიძეს

პასუხი

საკავშირო ანარიცხები ნებაყოფლობით თავიანთ კავშირებში შეაქვთ მხოლოდ კავშირის წევრებს თავიანთი ფაქტიური ხელფასის მიხედვით და არა მათი დამქირავებლებს. დამქირავებლები ვალდებული არიან აუცილებლად დააზღვიონ თავიანთი მუშა-მოსამსახურენი და დამზღვევ სალაროში მასთან შეთანხმებით შეიტანონ დაზღვევის პროცენტები სათანადო რაოდენობით—მუშაობის პირობებისა და მისი მავნებლობის მიხედვით.

ოფიც. განყოფილება

დადგენილება № 15

საქართველოს შრომის სახალხო კომისარიატისა

1927 წ. 28 ოქტომბ.

1927 წ. 8 ნოემბრის დასვენების განსაკუთრებულ დღეთ გამოცხადების შესახებ

საქართველოს შრომის სახალხო კომისარიატმა დაადგინა: 1927 წლ. 8 ნოემბერი გამოცხადებულ იქნეს დასვენების განსაკუთრებულ დღეთ.

საქართველოს სსრ შრომსახკომის მოადგილე: **ჭელიძე**

საქ შრომსახკომის საქმეთა მმართველი **ჯაგადარი**

შეთანხმებულია ს.კ.პ.ს. ბ. მაჩაიძე

პარტიული კალენდარი

— დღეს, 29 ოქტომბერს, ნაშუადღევის 3 საათზე ქალაქის რაიკომის შენობაში (ოთახში № 43) შესდგება საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომის პირველი საორგანიზაციო პლენუმი.

ყველა წევრებისა და კანდიდატების დასწრება სავალდებულოა.

— თბილისის სახ. უნივერს. სოციალურ - ეკონომიურ ფაკულტეტთან არსებულ უჯრედის კრება შესდგება დღეს, 29 ოქტომბერს საღამოს 6 საათზე.

ყველა წევრ - კანდიდატების დასწრება სავალდებულოა.

უზომოთ მწუხარებაში მყოფნი: დედე ანნა დიმიტრის ასული ძიქაძისა, დები ოლა, ნინა, თამარა და ლიზა, დეიდა მარიამი დიმიტრის ასული ყარალაშვილისა, სიძეები დომენტი ოტიასძე ბენდუქიძე და გრიგოლ დიმიტრისძე ბაქრაძე აუწყებენ ნათესავთ, მეგობრებს და ნაცნობებს რომ გადახდილი იქნება პანიშვიდი ძვირფას და დაუვიწყარ

კოსტა მიქაძის

კვირას, 30 ოქტომბერს, ნაშუადღევის 1 საათზე კუკიის წმინდა ნინოს სასაფლაოზე. 281

ღრმა მწუხარებაში მყოფნი: ქვრივი ანასტასია სპირიდონის ასული, ქალიშვილები ნატალია პავლოვისა, ნინო გოგიტიძისა, ელენე გალიცკისა, ბაბულია მიშელისა, ლიუბა ალადაშვილისა, ქმრებით, თამარა და ვაჟი გიორგი ცოლით აუწყებენ მეგობართ, ნაცნობებს და ნათესავებს. რომ კვირას 30 ოქტომბერს, დღის 1 ნახ. საათზე ვერის ახალ სასაფლაოზე გადახდილი იქნება პანაშვიდი ძვირფას და დაუვიწყარ

ყარამან ქაიხოსროს-ძე მგელაძის

გარდაცვალებიდან ექვსი თვის შესრულების აღსანიშნავად. 280

კომუნისტი

ხელისმოწერა მიიღება

თბილისში—მთავარ კანტორაში, რუსთაველის პროსპ. 34

პროვინციაში

1. **ხაშურში**—კონტრაგენტ ეალოდია კარსანიძესთან.
2. **ჟიათურაში**—კონტრაგენტ გ. გოგელიასთან—მთელი შორაპნის მაზრისთვის.
3. **ქუთაისი**—კონტრაგენტ მ. ტყაბლაძესთან—ქუთაისის და ახლო მდებარე რაიონებ.
4. **სამტრედია**—კონტრაგენტ ვლ. გოგელიასთან—სამტრედია და ახლო მდებ. რაიონ.
5. **სენაკი**—კონტრაგენტ ესებუასთან—ქ. სენაკი და ახლო მდებარე რაიონისთვის.
6. **აბაშა**—კონტრაგენტ მიქაძესთან—დ. აბაშა და ახლო მდებარე რაიონისთვის.
7. **ფოთი**—ფოსტა-ტელეგ. კანტორაში.
8. **ბათომი**—ფოსტა-ტელეგრაფის კანტორაში მთელი აჭარისტანისთვის
9. **ზესტაფონი, ჩხარი, სვირი, აჯამეთი.** ათ. ცხომელიძესთან.
10. **დიდი ჯიხაიში**—წიგნის მაღაზიაში გიორგი ბიბილეიშვილთან.
11. **ოზურგეთი**—კონტრაგენტ პოლ. ინწკირველთან—მთელი ოზურგეთის მაზრისათ.
12. **თელავი**—კონტრაგენტ რევაზოვთან—მთელი თელავის მაზრისათვის.
13. **გორი**—მაისურაძესთან.
14. **სურამი**—მუავანაძესთან.
15. **სიღნაღი**—კონტრაგენტ ა. მდივანოვთან—სიღნაღის მაზრისათვის.
16. **ზუგდიდში**—პოლიტგანის კიოსკში—კილასონიასთან.
17. **სოხუმში**—ფოსტა-ტელეგ. კანტორაში
18. **ველისციხის და გურჯაანის რაიონში**—კონტრაგენტ შიშნიაშვილი ესტატე
19. **ბორჯომ-ბაღი**—მაქაცარია
20. **ნავთლუღი**—კიოსკი.
21. **ხონი**—გალდავაძესთან.

და სპეციალურ რწმუნებულების საშუალებით, რომლებიც აღჭურვილი არიან კანტორის სათანადო მოწმობებით

„კომუნისტი“-ს მთავარი კანტორა

0—1

ანონსი: ამ დღეებში კინო-თეატრებში

არფასტო

სეზონის ერთ-ერთი საუკეთესო სურათი

ლეონ კუტიური

მთავარ როლში **სოლნცევა**

განთქმული სურათ „აელიტას“ გმირი

აპოლო

მხატვრული სურათი უკრაინის ფოტო-კინო სამმართველოს (ВУФКУ)

„ალიმ“

ყირიმელი ჯიგიტი

მთ. როლში ხაირი.

თვალყური ადევნეთ დადგმის დღეებს

ნ. 127

სახელმწიფო ოპერა

დღეს, შაბათს, 29 ოქტომბერს.

ქართული ორიგინალური ოპერა

აბესალომ და ეთერი

მონაწილეობენ: დანელიანი, მაყაშვილი, ბლანკმანი, ხუმაროვა, ქუმსიაშვილი, კარცივაძე.

დირიჟორი—სახ. მსახ. ი. პ. ფალიაშვილი.

კვირას 30 ოქტომბერს—რიგოლეტო.

სამშაბათს, 1 ნოემბერს—მაზეპა.

დასაწყ. საღ. 8 საათ. ბილეთები იყიდება.

ნ. 122

ცირკი

„კოლოს“

შაბათს 29 და კვირას 30 ოქტომბ. ცირკის საზეიმო გახსნა

დიდი წარმოდგენა 3 სხვადასხვა განყოფილებით დედაქალაქების ცირკების პროგრამის მიხედვით ს. ს. ს. რ. დამსახურებულ არტისტების **ძმ. ტანტების** მონაწილეობით

დასი შემდგარია საბჭოთა კავშირის და უცხოეთის ცირკების საუკეთესო ძალებისაგან. **მთელი დასის საზეიმო გამოსვლა**

დასაწყისი 8 ნახ. საათზე.

სალარო ღიაა ყოველდღე დღის 12-დან 2 საათ. და საღ. 5 საათ.

კვირას, 30 ოქტომბერს, დღისით წარმოდგენა ბავშვთათვის დასაწყისი დღის 2 საათზე. **ბავშვები—უფასოდ**

დირექცია—ი. ზ. კუდრიავცევი, რწმუნებული—კ. მ. გროდზიცკი, სამხატვრო ნაწილის გამგე ლეო ტანტი. ადმინისტრატორი მ. ი. ტადე

ნ. 126 წაიკითხეთ აფიშები!

აპოლო არფასტო სოლეი დარბაზი

სახკინმრეწვის თეატრები

დღეს და ყოველდღე

სომხეთის სახკინმრეწვის მხატვრული ნაწარმოები—დრამა

„ავი სული“

შირვან-ზადეს რომან. მიხედვ., ა. ბეკ-ნაზაროვის სცენ. რეჟ. ა. ბარხუდაროვის და მ. გელოვანის დად. ოპერ. ანოშჩენკო და იალოვიი

მთავ. როლ.: მ. გელოვანი, ასმიკ მანუჩარიანი, ეპიტაშვილი, მამიკონიანი, აბრამიანი, და სხ.ა

უკანასკნელად თბილისში! „მეჟრაბპომ-რუსის“ საუკეთესო სურათი

„კაცი რესტორანიდან“

რეჟისორი ი. ა პროტაზანოვი. მთავარ როლებში რესპუბლიკის დამსახ. მსახ. მ. ა. ჩეხოვი, ვ. ი. მალინოვსკაია, კოვალ-სამბორსკი და სხვა.

0—17 ნ. 1388

ანონსი: საქართვ. სახკინმრეწ. მორიგი ნაწარმოები „იბრაგიმ და კოდერძი“

ექიმი

ი. პ. მჭედლიშვილი

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. **შინაგანი სნეულებანი.** სპეციალურად **კუჭის და ნაწლავების** სნეულებათა გამოკვლევა და მათი მკურნალობა. ღებულობს 5—6 ს. სანაპირო ქუჩა (ყოფ. ნაბერეჟნაია) № 7, ვერის ხიდთან. ტელ. № 15—02

სახელმწიფო უნივერსიტეტის სტომატოლოგიურ

(კბილის სნეულებათა)

კლინიკაში

ავადმყოფების მიღება 1 ნოემბრიდან იწარმოებს

დილით 8—12 საათამდე

საღამ. 4— 6 საათამდე

საღამოობით რჩევა-დარიგება უფასოა, მკურნალობა დაკლებულ ფასებში

კლინიკასთან არსებობს რენტგენის კაბინეტი. მისამართი: პლეხან ვის გამზირი 126, ტელეფ. 25—34.

25—1 250

„კომუნისტი“

დიდი პოლიტიკური გაზეთი

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის

და

თბილისის კომიტეტის

და

სრულიად საქართ. მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა

და

მეზღვაურთა ცენტ. აღმასრულებელი კომიტეტის ორგანო

მიიღება ხელის მოწერა წლის ბოლომდე

გაზეთი ღირებს:

მუშა-მოსამსახურეთა, გლეხების, წითელარმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის

1 თვით	1 მან.
2 „	2 „

დაწესებულებათა, ორგანიზაციებისა და კერძო პირთათვის

1 თვით	1—30
2 „	2—60

საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხეებში

1 თვით	1 მან. 50 კ.

საზღვარ-გარეთ

1 თვით	1 ნახ. დოლ.

0—1

თბილისის კომუნალური მეურნეობა

აცხადებს, რომ ა. წ. 29 ოქტომბრიდან

წყლის და სინათლის გადასახადების მიღება

იწარმოებს მე-10, 11 და 12 სამილიციო უბნების აბონენტებიდან პლეხანოვის პროსპექტზე კინო პალასის შენობაში № 125, მე-5, 6 და 7 უბნების აბონენტებიდან-კი სიონის ქუჩაზე № 32 დანარჩენი უბნების აბონენტებს შეაქვს უშუალოდ წყალსადენის და ტელას-ის სამმართველოში.

კომუნალურ მეურნეობის გამგე—ასრიევი

კოლეგიის მდივანი—მუჩაიძე

კვირას 30 ოქტომბერს

მოწვეულია თბილისის და მისი მიდამოების

სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხ-ბის

დამფუძნებელი კრება

აღნიშნულ რაიონის ყველა მებაღე-მებოსტნეს,ვისაც სურს გახდეს ამხ-ბის წევრი, შეუძლია დაესწროს. კრება შესდგება პლეხანოვის პროსპექტზე ხელოსანთა კლუბში, დილ. 10 საათ.

ნ. 123

სურამ-ბორჯომის სახ. სასამართლოს აღმასრულებელი

ი. ქურდევანიძე

ამით აცხადებს, რომ 4 ნოემბერს 1927 წ. დილის 9—12 საათ. ქ. ბორჯომში სახ. სასამართლოს შენობაში **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის მოქ. ილია გიორგისძე და ელისაბედ გიორგის ასულის ნოზაძეების ორ სართულიან ქვიტკირის და ხის შენობით შემდგარ სახლს, თერთმეტი ოთახით, სამზარეულობი და სხვ. დახურული თუნუქით, მდებარე—ქ. ბორჯომში ჯაფარიძის ქ. № 15 შოთავსებული დაახლოვებით 108 კვ. საჟ. მიწაზე შეფასებულია 400 მან. გრიგოლ ქიძერიძის ვალის დასაკმაყოფილებლად 458 მან. ვაჭრობის დროს მყიდველებმა უნდა დაიცვან სას. სამ. საპ. კოდ. 311, 312 მუხ. ქონების დათვალიერება შეიძლება ვაჭრობის დღეს. 282

მიხეილ გედევანიშვილის

სახელობის

სამკურნალო

საწოლებით

ელექტრონით და სინათლით სამკურნალო კაბინეტი

ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 1—25

ექიმი

ა. დ. კეკელია

სიფილისი, ვენერიულ და კანის სნეულება.

მიღება 8—12 დილ. 6—8 საღამ. პლეხანოვის პრ. № 116. სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ 25—7

ექიმი ქ. ს. ფონ-ირტელი

პლეხანოვის პროსპ. № 10

სპეციალურად მკურნალობს **საშარდე, სქესობრივ** (სქესობრივი უძლურება, ნერვიული სისუსტე), **ვენერიულ** (ტრიპერი) ავადმყოფობას, **სიფილისს,** და მის შედეგებს, **კანისა და ქირურგიულ** ავადმყოფობის (სიმსივნე, ბუასილი) ელექტრომკურნალობა და ოპერაციები

ავადმყოფების მიღება დილ. 8 ს. დღის 12 საათამდე და 4 ნახ. საათ.—საღ. 7 საათამდე. ქალების მიღება ცალკე დილ. 11—12 საათამდე და საღ. 7—8 საათამდე

222—13—1

გორის უბნის სახ. სასამართლოს აღმასრულებელი

გ. ი. ტლაშაძე

ამით აცხადებს, რომ ის 2 ნოემბერს 1927 წ. დილის 10 საათ. ადგილობრივ ქ. გორში, ლენინის ქ. წითელ სასადილოში **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის გიორგი ხაბელაშვილის და ივანე ალექსისძის ქონებას: ერთ როიალს, ორ დუჟინ ბამბუკის სკამს, ღვინის რეზინებს, ბორჯომის ბოთლებს, არყის ბოთლებს, ღვინის ბოთლებს, ხის ყუთებს, სხვადასხვა მაგარ სასმელებს და 3 ნოემბერს 1927 წ. დღის 2 საათზე სოფ. ქარელში, გიორგი ხაბელაშვილის ქონებას მისივე სახლში სხვადასხვა სახლის და დუქნის ავეჯეულობას, ხის მასალას და სხვას სულ შეფასებულ 672 მან. თბილისის ქალაქის ბანკის გორის განყოფილებ. ყოფილ წითელ სასადილოს თანამშრომლების და სხვ. ვალის თასაკმაყოფილებლად.

ნ. 124

ა. ვ. მიქაბერიძე

პარიზში 1923 წელს დაამთავრა

„სილამაზის ინსტიტუტი“

მასაჟი სახის, კისრის, ხელების და სხვ. ელექტრ. ორთქლის ვანები და ახალი ელექტრო-აპარატები კანის სილამაზის დასაცავათ.

ძნელაძის ქუჩა (ყოფ. საპიორის) 19 იღებს დილით 10-დან 2-დე და საღამოს 5—8-დე. შესასვლელი შესახვევიდან. 5—21

მედიცინის დოქტორი

ა. ა. მონსე

განაახლა ავადმყოფების მიღება ყოველ დღე 10—1 საათამდე და საღ 6—7 საათამდე

როგორც მოზრდილთა, ისე ბავშვთა შინაგანი, ორგანოებისა და ნერვიული სისტემის ავადმყოფობათა მკურნალობა. გიპნოზი.

კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქუჩა № 17, ზემო სართული. 25—

ხელოვნურ კბილების

მომზადება და ჩასმა (კაუჩუკზე და ოქროზე) შეღავათიან ფასებში სწარმოებს სტომატოლოგიურ კლინიკასთან არსებულ კბილის ტეხნიკოსთა კურსებზე—პლეხანოვის გამზირი № 126 ავადმყოფობის მიღება სწარმოებს სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით საღამოს 4—6 საათამდე.

25—1

ექიმი მებრაბიანცი

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება.

ფილტვების, ჭლექის და გულის სნეულებანი

ციების საგანგებო მკურნალობა ელექტრო-შუქით რენტგენის სამკურნალო კაბინეტში

სურათების გადაღება და რენტგენის სხივებით წამლობა

ხელოვნური მთის მზე. იონოთერაპია. მიღება ყოველდღე დილ. 9—1 და საღ. 6—8 საათ. ენგელსის ქ. № 23. ყოფ. ბებუთოვის ქუჩ.. 25—1

მედიც. დოქტორი

გ. ა. ახვერდოვი

ვენერიული და სიფილისი.

დილ. 9—12, საღ. 6—8. პლეხანოვის პროსპექტი № 7, კ. მარქსის ძეგლთან, შესავალი ამ სახლის კუთხიდან. 5—2

ექიმი

გ. ნ. ონანოვი

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი, სქესობრივი სისუსტის ექიმობა

ავადმყოფების მიღება დილით 9 საათიდან 12 საათამდე, საღამოთ 5—8 ს-დე. ქალების 7—8 ს-დე. ელისაბედის ქუჩა, № 13 | 25.

თმის მკურნალობა

და

სამკურნალო კოსმეტიკა

ელექტრო-სინათლით მკურნალობის კაბინეტი.

ი. გ. კანტოროვიჩი

მიღება 11-დან 3-დე და 6-დან 8-დე. **კოსმეტიური მასაჟი და პირის სახის მკურნალობა უცხოეთის უახლეს მეთოდებით.**

საბა-სულხანის ქ. № 1 (ყ. ფრეილინის). 25—15

ექიმი

ს. ი. ვოლოხი

ქალთა სნეულება და მეანობა. მიღება საღამოს 5—7 ს.-დე ყოველდღე (გარდა ხუთშაბათისა), ბელგიის ქ № 5 მთავარ საავადმყოფოს (ყოფ. მიხეილის) მახლობლათ. 25—1

ექიმი

ვლ. ა. თოხაძე

გადავიდა ალექსანდროვის ქუჩიდან **ბესიკის** (ყოფ. დავიდოვის) ქ. № 20.

ღებულობს ავადმყოფ ბავშვებს ყოველ დღე საღ. 4—6 საათამდე

დავკარგე ა. ლ. კ. კ.-რის წიგნაკი გაცემული ა | წ. 27 მაისს ნესტორ გიორგისძე გოთაშვილის სახელზე, ჩ. გ. 279

დავკარგე ბეჭედი „თელეთის თემპოლიტგანის საბჭოსი“ რგვალი, შუაში ჩაქუჩი და ნამგალი, ჩ გ. 275

დავკარგე ორი მოწმობა მოცემული ნახახულევის თემაღმასკომიდან № № 3193, 3194 სერგო ეფრემიძეს სახელზე, ჩ. გ. 276

დავკარგე საბინაო დავთარი სახლი ბაიაზეთის ქჩ. № 15 ა. ჭიჭინაძისა ჩ. გ. 278

დავკარგე ქალ. გორის კომუნალურ ბანკის სააქციო დროებითი მოწმობა № 519 | 631. 25 მან., ვასილ დავითისძე სურამელის სახელზე, ჩ. გ. ნ. 125

დავკარგე ქ. გორის კომუნალური ბანკის საქციო დროებითი მოწმობა № 1167—50 მან., მოსე ქიტოსძე ნოდელის სახელზე, ჩ. გ. ნ. 125

პოლიგრაფტრესტის მე-5-ე სტამბა, კამოს ქ. № 68